

ჩ - 38

ს. ს. ს. რ.



პრეტლუცატორთ ეფელა ძეგეცნისა, შივტთღით!

საქართველოს კომპარტიის სპ პარტიის გენერალური



რევოლუციის გატიანა

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№ 2 (15)

111

1926

8903 1564



ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი.



ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ზ. ფ—ონელი — ჩვენი შემდეგი მუშაობისათვის	1
2. აპოლონ იმნაიშვილი — აჯანყება გურიაში 1919 წელს	4
3. ტარასი მგალობლიშვილი — 1919 წლის ნოემბრის 7-8 აჯანყება გურიაში	12
4. მ სიმონგულოვი — ბალშევიკები ჩხარში 1918 წელს	23
5. პ. მ. საყვარელიძე — ოქტომბრის რევოლუცია და ქართველი მენშევიკები	29
6. ოქტომბრის რევოლუციის გამოძახილი ტფილისში	34
7. ა. სუდაკოვი — 1917 წლის ოქტომბერი ქუთაისში	50
8. ნ. ა.—დუშეთის აჯანყების მოსაგონარად	54
9. დ. მ. როსტომაშვილი — მუშათა გამოფხიზლების დასაწყისი	58
10. ს. ალილუევი — ტფ. რკ. გზ. სახელოს. მუშ. გაფიცვა 1900 წ.	67
11. ნ. ქერეჭაშვილი — როგორ დაიწყო რევ. მოძრაობა გორის მაზრაში	71
12. მანასე გოგუაძე — იარალის ძებნაში	80
13. ნიკო იტრიევი — ტფილისის მკერვალთა წარსულიდან	82
14. ვ. ლომთათიძე — ნაროდნიკები ჩვენში	88
15. ს. გეგია — თავ. დიასამიძის მკვლელობა 1897 წ.	91
16. მ. ჩოდრიშვილი — ჩემი თავგადასავალი	101
17. ფ. შემოქმედელი — მწარე ფიქრები	109
18. პარტიული არქივი	119
19. რუს. სოც. დემ. პარტია 1908 წ.	133
20. ნეკროლოგი: 1) ამხ. იაკინთე მალრადის ხსოვნას	148
2) რაფიელ არუთინიანი და ბარსეგ ბაბიანი	150
3) ვასო მინასძე ხუციშვილი	151
21. სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის ისტორიიდან (გენ. ალიხანოვის წერილი)	153

ჩვენი უაგლავი გუჯაოგისათვის *)

ჩქარა შესრულდება 4 წელი, რაც გამოდის „რევოლიუციის მათიანე“ (პირველი ნომერი გამოვიდა 1923 წლის დასაწყისში). ღღემდე გამოვიდა სულ 12 წიგნი.

საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ამ ჟურნალმა დაუფსებელი ღვაწლი დასდო, ჩვენ ახალ თაობას, უნაკლო არაფერი. მუშაობის შეცდომა ყოველთვის თან სდევს, მაგრამ „რევოლიუციის მათიანემ“ ყოველ შემთხვევაში ის დიდი მუშაობა მაინც შეასრულა, რომ ჩვენ ახალგაზრდობას დაანახვა წარსულ ბრძოლათა სახე და შინაარსი.

ჩვენ ბრძოლა ჯერაც არ დაგვითავებია, მომავალში, ვინ იცის, რამდენჯერ შეგხვდება მშვიდობიანი მუშაობის თავის დანებება და ისევ საომარ იარაღებისათვის ხელის მოკიდება. წარსულის გამოცდილება მომავალ ბრძოლაში უნდა გამოვიყენოთ.

ამიტომ საჭიროა რევოლიუციონური წარსულის არამც თუ ზერელედ გაცნობა, არამედ მისი ზედმიწევნით შესწავლა.

ეს საქმე ჩვენ ჯერ არც კი დაგვიწყია. „რევოლიუციის მათიანემ“ ის დიდი დამსახურება აქვს, რომ მან ჩვენ მკითხველებს გაუღვიძა ინტერესი ისტორიის გაცნობისადმი. თავდავიწყებული გატაცებით ეცნობა ჩვენი მკითხველი ყოველივე იმას, რაც ენება ჩვენი ძველი ამხანაგების თავგადასავალს, მაგრამ მარტო ეს მაინც არ კმარა. ისტორიის შესწავლა მარტო და მხოლოდ ამ მასალების მიხედვით არ შეიძლება.

პირად მოგონებებში — ხშირად ძალაუწებურათ, რასაკვირველია, ავტორს ერევა ხოლმე დრო, ალაგი, მომქმედი პირების ვინაობა. არის შემთხვევა, რომ წრევანდელ ამბავს მარშანდელად მოგვითხრობენ, აქეთ გადმოაქვთ. ხშირად ამა თუ იმ საქმის მონაწილეთ ერთის მაგიერად ამორგეს ასახლებენ და სხვ.

ეს აუარებელ უკმაყოფილებას და გაუგებრობას გწვევს. მკითხველებსაც, ცოტა არ იყოს, გულიც უტყდება და ელფრ გაუგია თუ რა არის ამ ნაწერებში ტყუილი და მართალი.

შემდეგისათვის საჭირო იქნება, ჩემი აზრით, მუშაობის გეგმის შეცვლა. მე არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენ ხელალებით უნდა დავანებოთ თავი მოგონებებს, რომ ჩვენ აღარ უნდა ვისარგებლოთ ასეთი

*) წინადადების სახით.



მოგონებებით. როგორც მასალით, მაგრამ ეს მაინც მასალაა და მისი ისეთი, რომელსაც დიდი სიფრთხილით სჭირდება მოხმარება. მართო მოგონებების ამბარა დარჩენა შეუძლებელია. დღემდე კი ჩვენ მუშაობაში, რა საჭიროა ამის დამალვა, სწორედ მოგონებები სჭარბობდა.

ჩვენ რევოლიუციის მუზეუმში დიდძალი მასალაა დაგროვილი. ეს ძველი არქივებია მეფის დროინდელ დაწესებულებებიდან დარჩენილი. აქ არის ძველი გაზეთები და წიგნები, აქვეა ძველი რევოლიუციონურ ორგანიზაციების მიერ გამოცემული ფურცლები, წიგნები, გაზეთები, აქვეა თავმოყრილი (არ ვიცი სრულიად, თუ არა) სასამართლოების საქმეები.

ჩვენი რევოლიუციის წარსულის მკვლევართათვის ყოველივე ეს დაუფასებელი საგანძურია, მაგრამ ამ საგანძურს მოხმარება უნდა.

ყოველად მიუღებელია ის წესი, რომლითაც ეხლა მუშაობენ სხვადასხვა მოხალისეები რევოლიუციის მუზეუმში. ამ მუშაობაში არ არის გეგმა, არ არის მასალის დამუშავების — გასაკეთებელი საქმის დაყოფა-დანაწილება. შესაძლებელია, რომ ერთ-ერთი და იმავე დროს რამდენიმე მოხალისე მკვლევარმა მოჰკიდოს ხელი. მხოლოდ მთელი წყება მასალები, რომლებიც ფრიად საინტერესო და საგულისხმო ხანას ეხება, მთლად უყურადღებოდ დარჩეს.

აქ ჩვენ ისტორიას ვერ აღვადგენთ — წარსულს ვერ შევისწავლით. პირველ ყოვლისა, უნდა შევსცვალოთ ეს მოხალისე და თავის გუნდებით მუშაობის წესი. მე იმას არ ვამბობ, რომ ვინმეს რევოლიუციის მასალების დამუშავებაში, თუ კი მას ასეთი სურვილი ექნება, ხელი შეუშალოთ, აუკრძალოთ, ამის ნება არ მიცეთ. — არა. საჭიროა მხოლოდ ის, რომ ამ საქმეში გეგმით იყოს მუშაობა.

მე მომავალი მუშაობა დაახლოვებით ასე მაქვს წარმოდგენილი: ჩვენ უნდა დავყოთ ჩვენი რევოლიუციის წარსული რამოდენიმე ხანათ დროისა და ადგილის მიხედვით. ასე დაყოფა პირობითია, რასაკვირველია. შეიძლება ასეთ ხანებათ დაყოფილი ნაწილების რაოდენობა მეტიც იყო, ნაკლებიც. შემდეგ თვითთულ ხანის შესწავლას უნდა შეუდგეს არა ერთი ადამიანი — ეს ერთი ადამიანის ძალას აღემატება. — არამედ მომუშავეთა მთელი ჯგუფი. თვითთულ ასეთს ჯგუფს, რასაკვირველია, უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი. როცა ჩვენ ამ რიგად დავანაწილებთ ყველა მასალებს და თვითთული ჯგუფი თავის გაკვეთილს მოჰკიდებს ხელს, რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინ უფრო ვერცლად და ფართოდ გადავშლით ჩვენი წარსულის შინაარსს.

ერთი ხანა, ერთი რომელიმე მუხლი ჩვენი წარსულის მეორესთან დაკავშირებულია, ერთი მეორის გაგრძელებაა მუშაობაში, საჭიროა დაცული იყოს ერთი კავშირი და ეს თავის თავადაც მოხდება, მაგრამ განაწილება და ერთი და იგივე ამბების სხვადასხვანაირად გაშუქება



ომ არ მოხდეს, საჭირო იქნება ცალ-ცალკე ჯგუფების ნამუშევარის ერთად თავის მოყრა და ერთ რომელიმე სარედაქციო კოლექტივში ანხილვა.

ასეთ კოლექტივად ჩვენ უნდა ვიგულოთ ის ცალ-ცალკე ჯგუფების ხელმძღვანელები, რომლებიც მთელ ნამუშევარს ერთად თავს მოუყრიან და რედაქციული კრიტიკით ასწონ-დასწონიან.

რას ვუხამთ ამ მასალას, დავბეჭდავთ? ზოგს კი, და, რასაც დავბეჭდავთ, ამას უმთავრესად „რევოლიუციის მათიანეში“ მოვათავსებთ. შეიძლება ზოგ-ზოგი რამ ცალკე წიგნებადაც გამოუშვათ. დანარჩენი დამუშავებული მასალა დარჩება მომავალ ისტორიკოსისათვის, რომელიც გუნებიერად შეუდგება ამ დალაგებულ მასალების ერთ მთლიან ნაშრომად შედუღებას.

ერთი სიტყვით, ჩემი წინადადება იქნებოდა გეგმის შეტანა ჩვენს მუშაობაში და მოსახლეობისათვის თავის დანებება. ეს წინადადება, საჭიროა ამ წინადადების უფრო დაკვირვებით დამუშავება. ეს შემთხვევის საქმეა. თუ ეს წინადადება მისაღები იქნება, მაშინ ამ წინადადებას შევსებაც და შესწორებაც დასჭირდება.

პარტ. ისტორიის განყოფილებას ჰყავს საბჭო, რომლის ახალი შექმადგენლობა ამ რამოდენიმე ხნის წინათ დაამტკიცა ც. კ. სამდივნომ. პირველ ყოვლისა მან უნდა იქონიოს მსჯელობა ამ საგანზე.

აჯანყება გურიიში 1919 წელს

უკანასკნელი კრება კომპარტიის ლანჩხუთის რაიონის არალე-გალურმა კომიტეტმა მოახდინა ნესტორ კვიციანიას სახლში. ამ კრე-ბაზე მოვისმინეთ მოხსენება გამოსვლების შესახებ. თუ რომელ დღეს მოხდებოდა გამოსვლები, ეს ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული. ყვე-ლა ამხანაგები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ გარდაწყვეტილებას, გულის ფანცქალით მოელოდნენ აჯანყებას და მენშევიკურ-ბურჟუა-ზიულ მთავრობის დამხობას. არ შემოძლია არ აღენიშნო ამხ. ილა-რიონ სარჯველაძის ოპტიმისტური გამოსვლა ამ კრებაზედ. ყოვე-ლივე მის მიერ თქმული სიტყვა, ჩვენს ნევრებს ელექტრონის ტოკი-ვით ხვდებოდა და ენთებოდა. და თუ ვინმეს ოდნავ მაინც მერყეობის სუნი გვდიოდა, იმ წუთიდან უადრესი ბრძოლის სურვილით აღვიტურ-ვეთ და ყველამ ერთმანეთს შევფიცეთ ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

აჯანყების დღეც მოახლოვდა (8 ნოემბერი). ყველა სოფლები-დან მოდიოდნენ ჩვენი რაზმები. თავს ვიყრიდით მთის ძირას, მივარ-დნილ სოფელ ჯაბელში. 500 კაცზე მეტი მოგროვდა, მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ იარაღი ძლიერ ცოტა გვქონდა. გავნა-წილდით რაზმებათ ლანჩხუთის რაიონის სწვადასხვა დაწესებულე-ბებზედ თავდასასხმელად. იქვე ავირჩიეთ რევოლუციონური კომი-ტეტი, რომელშიაც შედიოდნენ: 1) ამხ. კოსანდილე ცინცაძე, 2) ალექ-სანდრე ბზეკალავა და ბიქტორ ცინცაძე. ამხ. კოსანდილე ცინცაძის დამრიგებელ სიტყვის შემდეგ გავეშურეთ თავიანთ მოვალეობის შე-სასრულებლად. იყვნენ შეიარაღებულნი. სანამ ჩვენ მივიდოდით და-ნიშნულ ალაგზე, მტერმა უკვე გაგვიგო და დასახედრად მოემზადა. მიუხედავად ამისა ქალაქის და რაიონის მილიციის სამმართველოები მაინც დაეიკავეთ. გათენებისას გვარდიის შტაბის ტყვიის მფრჭვე-ველმა გეძლია, რის შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იყო ჩვენი გამაგ-რება, როგორც იარაღის, ისე ვაზნების უქონელობის გამო. უკან დახვევა უწყსრივოდ მოგვიხდა. მოგვიკლეს ამხ. პ. ლევი.

ამხანაგების ერთი ჯგუფი წავედით „სამების“ მთის მიმართუ-ლებით. საიდანაც ვფიქრობდით ოზურგეთელ ამხანაგებთან შეერთე-ბას. ამ ჯგუფში იყვნენ: იულო ცინცაძე, ილარიონ სარჯველაძე, გიორგი კომახიძე, ესეფი გოგვაძე, ემენი ჯიხ. წილოსანი, ესე წილო-სანი, ნოე გვარჯალაძე, ბათლომე თურნავა, ირაკლი, მათე და სო-

საქართველოს
საქართველოს

ლომონ ზენაიშვილები. ჩვენ თან გვყავდა წაყვანილი ტყვედ ჩავარდნილი გვარდიის შტაბის წევრი კოწია წილოსანი და გვარდიელი აგენტი ქინჭლაძე. ესენი გავანთავისუფლეთ იმ პირობით, რომ დაჭერილ ჩვენს ამხანაგებს ცუდად არ მოეპყრობოდნენ, არც აწამებდნენ. ორი ამხანაგი — იულო ცინცაძე და გიორგი კომახიძე გავგზავნეთ სილაურში ამბავის გასაგებათ, თუ სად და რა პირობებში იმყოფებოდნენ იქაური ამხანაგები. ამხანაგების დაბრუნებას დაავგიანდა ორი დღე. ამ ორი დღის განმავლობაში სოფლიდან 7 — 8 ვერსის დაშორებით ამ მთაზედ საქმელს გვიგზავნიდა: პოლისი მდინარაძისა, (განსვენებული ამხ. მაკარი მდინარაძის მეუღლე) ნასტა და ელენე თურმანაძეები და აგრეთვე ზემოხსენებულ ამხ. ამხ. ზენაიშვილების ცოლებიც. გავგზავნილი ამხანაგები დაბრუნდნენ და გვაცნობეს, რომ სილაურში თავმოყრილია ორასამდე ამხანაგი, რომლებიც ფიქრობენ ოზურგეთზე გალაშქრებასო. ცნობის მიღებისთანავე გავემგზავრეთ სილაურისაკენ. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო რამოდენიმე ამხანაგი უკან დაბრუნდა. — სანამ ადგილიდან დავიძროდით უცბათ ჩვენთან მოიჭრა სოფელ ორაგვეს მცხოვრები მენშევიკი კვაჭაძე. ის თითქოს ხარებს ეძებდა მთაში. მაგრამ ნამდვილათ კი ჩვენი მამებარი იყო. ის ჩვენ დავატუსაღეთ. ამხანაგებმა შესაშინებლად მოითხოვეს მისი დახვრეტა. კვაჭაძე ძლიერ შეშინდა: დაიწყო ხეწვნა და მუდარა. ჩვენ მას უთხარით: თუ წახვალ გვარდიის შტაბში და რასაც დაგაბარებთ, სისწორით ეტყვი გვარდიის შტაბის თავმჯდომარეს. გაგიშვებთ. თორემ ეხლავე ვადაგვცემთ ჩვენს შტაბში და ხელად გაგასამართლებენ — თქო. თუმცა ჩვენ იქ არც შტაბი და არც ბატალიონი გვყავდა, მაგრამ კვაჭაძემ ყველაფერი დაიჯერა და თანხმობა განაცხადა გვარდიის შტაბში წასვლაზედ. შტაბის თავმჯდომარეს შეუთვალეთ: ჩვენამდე მოდის ცნობები, რომ ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც თქვენ გყავთ დაჭერილი, თურმე საშინლად აწამებთ და მათ ცოლშვილთ აწიოკებთ, წინადადებას გაძლევთ შესწყვიტოთ ასეთი მხეცური მოქმედება, თორემ ხვალვე სამაგიეროს მიიღებთ. კვაჭაძემ ეს დავალება შეასრულა, რასაც ამტკიცებს ის, რომ მეორე დღეს ამხანაგებისათვის ნება დაერთო საქმელის მიღებაზე და სხვა. კვაჭაძის წასვლის შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ სილაურისაკენ. ბნელი ღამე იყო. უგზო-უკვლოთ ვიარეთ. ტანისამოსი თითქმის სრულიად შემოვიხიეთ. დიდი ვაი-ვაგლახით, როგორც იყო მივედით სილაურში. მაგრამ იქ ამხანაგები აღარ დაგვხვდა. მტრის სასტიკი წინააღმდეგობის გამო მიმოფანტულიყვნენ. ჩვენს დანახვაზე ყველა ყვიროდა: გვარდიელებმა რომ დაგინახოს ჩემს ეზოში, გადაგვწვაფუნო. მდინარე სუფსას გაღმიდან ურტყამდა ოთხი ზარბაზანი. ტყვიის მფრქვეველები ყოველი მხრიდან რაკრაკებდნენ. სოფელი აწიოკებული იყო. გვარდიელები ენა წაეარდნილი დარბოდნენ.



არავის არ ინდობდენ. ჩვენთან სილაურელი ამხანაგები დარჩნენ: სევასტი სარიშვილი, ხალამპრე ჯინჭარაძე და მაკარი ქილიფთარი. ყველა ამხანაგებმა მოახერხეს გაქცევა. მხოლოდ ტყვედ ჩაეარდით: ილარიონ სარჯველაძე, იულო ცინცაძე, ესეფი გოგვაძე და მე. გაგვგზავნეს ოზურგეთის ციხეში. იმავე ღამეს ჩონატაურ — ხიდისთავიდან ჩამოიყვანეს დაჭრილები ერთი მეორეზე თოკებით მიკრული ორასამდე ამხანაგი. დაახლოებით ერთი კვირა დევყავით ოზურგეთის ციხეში, რის შემდეგ ლანჩხუთის სამხედრო საველე სასამართლოს განკარგულებით აღნიშნული ოთხი ამხანაგი ვადმოგვიყვანეს ლანჩხუთში. წამოსვლის დროს მოვითხოვეთ ბორკილებში ჩავეჭედეთ, ვინაიდან „გაიქცა — წაიქცაო“ გვეზინოდა, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. ჩვენი ვადმომყვან რაზმს მეთაურობდა ლადიკო გიგინეიშვილი. 24 ნოემბერს დაიწყო აჯანყებულთა გასამართლება. სასამართლოს წინაშე იდგა 300-მდე ხელეზ დაკოჟირილი და ძონძებში გახვეული გლეხი. სასამართლოს შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე პოლკოვნიკ. ლეკვინაძე, სახელმწიფო ბრალმდებელი სერგო მათითაშვილი, სასამართლოს წევრები: ჭაჭრაძე და ერთი გვარი არ მახსოვს. სასამართლოს მდივანი სერგო ჯიბლაძე. გასამართლება პირდაპირ ხდებოდა, დაკითხვა და წინასწარი ძიება არ უწარმოებიათ. დაკითხვა — გასამართლება ამხ. პარმენ ცინცაძიდან დაიწყეს. (რომელიც იმ დროს ძლიერ ავითმყოფი ქუთაისის საპრობილედან ვადმოიყვანეს). სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზედ. — თუ როგორ მოგწონს ეს მდგომარეობაო, ამხ. პარმენმა ხელი მოგვიშვირა უკან მჯდომ 300 ამხანაგს და სთქვა: მე კი არ მომწონს ამდენი ხალხის ტანჯვა-წამება. არამედ ვიწვი მათი სიცოდავითო. ეს პასუხი სასამართლომ. ცოტა არ იყოს, იუკადრისა და ამხ. პარმენს დაუწყეს მუქარა. დახვერტას პირდაპირ პირდებოდენ. ბრალს სდებდენ აჯანყების ხელმძღვანელობაში.

ჯერი მიდგა ამხ. ილარიონ სარჯველაძეზედ, მაგრამ მისგანაც ვერავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. ამხ. ილარიონს ბრალს სდებდენ აჯანყებისა და ერთ-ერთ რაზმის ხელმძღვანელობაში, მას მოსთხოვეს ის თოფები და რევოლვერები, რომლებიც მან აპყარა გვარდიელებს და დაურიგა თავის ამხანაგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დახვერტით ემუქრებოდენ, მაგრამ ის მტკიცედ იდგა თავის სადარაჯოზედ და ამბობდა: კომუნისტი ვარ და კომუნისტადვე მოვედებიო. ასეთ ქარ-ცეცხლში ვაგვებარეს ყველა ამხანაგები. ამინდი ძლიერ ცუდი იყო. ამხანაგების შშობლები და ცოლ-შვილი სასამართლოს კარებთან იდგნენ და მოელოდნენ განაჩენის გამოცხადებას. პრეცესი სამი დღე გაგრძელდა.



27 ნოემბერია. დღე და ღამე იყრება. კოკისპირული წვიმაა. დედები, რომლებიც კარებთანაა ატუზული, მოუთმენლად მოვლიან ჩვენს განთავისუფლებას. სასამართლო გამოდის და კითხულობს განაჩენს. ამხანაგების ერთი ნაწილი განთავისუფლეს და იმ წამსვე დააცლევინეს დარბაზი. მეორე საგრძნობი ნაწილი, ადმინისტრატიული წესით დასტოვეს. მხოლოდ 28 ამხანაგს მოგვისაჯეს დახვრეტა. ამათში სხვადასხვა ვადით კატორღით შეეცვალა დახვრეტა: 1) იულო ცინცაძეს, 2) ბათლომე თურნაევს, 3) გრიგოლ ფირცხალაიშვილს, 4) კარპეზ კვირკელიას, 5) დათიკო გვარამიას, 6) ნოე გვარჯალაძეს, 7) ბარამიძეს, 8) დომენტი მგელაძეს, 9) სამსონ ფაციფიშვილს, 10) დიომიდე ლლონტს, 11) მირიან კალაძეს, 12) ივანე გადახაბაძეს, 13) ლავრენტი ძიმისტარაშვილს, 14) ვანო გურგენიძეს, 15) ალექსანდრე ხავთასს. დასახვრეტად დავრჩით: 1) ილარიონ სარჯველაძე, 2) კიმოთე კერესელიძე, 3) კალისტრატე კილაძე, 4) მოსე სირაძე, 5) სიმონ ადვიშვილი, 6) იულო გვარჯალაძე, 7) მასიკო წილოსანი, 8) ილარიონ გოგიჩაიშვილი, 9) ესეფი გოგვაძე, 10) ჯორბენაძე, 11) კარპეზ ჩხაიძე და მე. განაჩენის სისრულეში მოყვანას შეგვპირდნენ 24 საათის განმავლობაში, სასამართლო გავიდა. გარედ მშობლების და ნათესავების წივილ-კივილი მოისმოდა. ჩვენ სიკვდილის არ გვეშინოდა, მაგრამ დედების უმწურო მდგომარეობა ძლიერ გვტანჯავდა. ისინი გამხეცებული ლომივით ეხეთქებოდნენ ქვის კედლებს, ცხვირ-პირს იმტვრევდნენ. მაგრამ არავის ებრალებოდა. ჩვენ სიმღერა შემოვსძახეთ. ხელათ ბორკილებიც მოიტანეს, თან მოიყვანეს მჭედლები, რომლებმაც დაგვჭედეს. ამ დროს შემოვიდა ვალოდია გოგვაძე და გვითხრა: ჯერ დახვრეტო და შემდეგ დაგწვავთო. ჩვენ სიმღერით უბასუხეთ. წაგვიყვანეს ციხეში. ღამე ძლიერ ბნელოდა. ამხ. ჯორბენაძე გზაში გაიპარა. ციხეში შესვლის დროს რალაც იღბლად აღარ დაგვთვალეს. დავთარი ამათაც აბნეული ჰქონდათ. ვიცოდით ღამის განმავლობაში თუ დასახვრეტად არ გავვიყვანდნენ. დასათვლელად მაინც შემოვიდოდნენ. ასეც მოხდა. მაგრამ ჩვენ ერთს ხერხს მივმართეთ. გამოვიღეთ ხის კედელი და გამოვიყვანეთ ერთი ამხანაგი, რომელიც ჩვენს გვერდით იმყოფებოდა სხვებთან ერთად კატორღელები და მოეპრულდით თორმეტად. ამით გაქცეულ ჯორბენაძეს საშუალება მიეცა სიკვდილისათვის თავი დაეღწია. მეორე დღეს ყველაფერი გაიგეს, მაგრამ გვიანლა იყო. 28 კატორღელი ამხანაგი ქუთაისში წაიყვანეს, ადმინისტრატიულად დატოვებული კი — თბილისში. ჩვენ იქ დავრჩით. ცდილობდით როგორმე თავი დაგვეწვია ამ მდგომარეობიდან. მოველაპარაკეთ ყარაულის უფროსს ყ. ხუზუნაიშვილს და ესთხოვეთ მას გავეყვანეთ ციხიდან სულ ყველა და თითონაც ჩვენთან წამოსულიყო. ორი-სამი საათის მოფიქრების შემდეგ მან თანხმობა გავიცხადა. წინ თამით ამხ.



იულო ცინცადის ცოლმა ამხ. მარია ცინცადის საშველებით, რომელიც იმ დროს ჩვენს გვერდით ციხეში იჯდა, გადმოგვცა ქლიბები. დღისით ბორკილების დაჭრა ვერ მოვახერხეთ (ვინაიდან ყარაულები ფანჯარაში გვითვალთვალებდა) უნდა დაგვეწყო დაღამების შემდეგ. დაღამებამდის ერთი საათი იქნებოდა, ჩვენთან მოიბრძინა ერთმა გვარდიელმა დეპეშით ხელში და გადმოგვცა, რომ დახვრეტა კატორღაზე შეგეცვალათო. დეპეშაშიც ვერე ეწერა. ამ გარემოებამ ზოგიერთი ამხანაგის აზრი შესცვალა. თუ აგრეა, რაღას მივდივართო. მაგრამ მაინც გაქცევა გადავწყვიტეთ. დაღამდა თუ არა, შეუდექით მომზადებას, მაგრამ აღარ დაგვაცალეს. გარს შემოგვერტყა რამოდენიმე ათეული შეირადებული ჯალათი. მოითხოვეს: 1) ილარიონ სარჯველაძე, 2) მოსე სირაძე, 3) კიმოთე კერესელიძე, 4) კალისტე კილაძე, და 5) სიმონ ადეიშვილი. ხსენებული ამხანაგების მიცემაზე უარი განვაცხადეთ. გამოძახებული ამხანაგები უკან დავაყენეთ, ჩვენ წინ წავდექით. მოვითხოვდით ერთად წავეყვანეთ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ. ბრძოლამ თითქმის ორი საათი გასტანა. ციხის კარზედ მოადგა გვარდიის შტაბის წევრი ევგენი იმნაიშვილი. რომელმაც დაგვარწმუნა, რომ გამოძახილი ამხანაგები გადაყავთ ქუთაისის ციხეში და არავითარი ხიფათი არ მოელისო. ჩვენ მაინც უარზე ვიდექით. ამ დროს ფანჯარაზე მოადგა გვარდიის ოფიცერი ჭანიშვილი, რომელმაც მრისხანეთ დაიყვირა: თუ არ გამოხვალთ, აქვე მოვიყვან განაჩენს სისრულეშიო და ბომბი ფანჯარაში შემოდო. თანაც მაუხერი მოიმარჯვა. მას დიდი აღელვება ეტყობოდა. ცხადი იყო, რომ სისხლი სწყუროდა, დაბირებას უეჭველად შეგვისრულებდა. ამ დროს ამხ. ილარიონ სარჯველაძემ სთქვა: ამხანაგებო! შეიძლება ის ამხანაგები, რომლებიც არ გამოუძახიათ გადაიჩინ. რომ არ გავიდეთ, აქ სულ ყველას ამოგვწყვეტენ და უმჯობესია ჩვენ გავიდეთო. ამ სიტყვების თქმისთანავე ამხ. ილარიონი გარეთ გამოვიდა, მას მიყვენ სირაძე, ადეიშვილი, კილაძე და კერესელიძე. ჩვენ იმ წამსვე კარები ჩაგვიკეტეს. ამხანაგები წამსვე გააქროლეს. სადგურ ლანჩხუთში ჩასვეს ჯავშნიან მატარებელში, ჯავშნიანი სადგურიდან დაიძრა და ერთი ვერსის დაშორებით გაჩერდა ნიგოითის მიმართულებით. ჯალათებმა ამხანაგებს წინადადება მისცეს ძირს ჩამოსულიყვნენ (გსარგებლობ გაქცეულ ამხანაგ სიმონ ადეიშვილის მიერ მოწოდებული ცნობებით). ეხლა ამხანაგები უკანასკნელად დარწმუნდნენ, რომ საქმე გლახათ იყო. მოემზადნენ უკანასკნელი ბრძოლისათვის. ამხ. სარჯველაძე, კერესელიძე და კილაძე ჯალათებს ხელდახელ დაეტაკენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ღამე ძლიერ ბნელი იყო, ვაგონებშიაც არ იყო სინათლე. ყველა ჯალათები სარჯველაძეს და კილაძეს ეცენ. რას უნდა გამხდარიყვნენ ხელ-ფეხ შეკრული ამხანაგები, იბრძოდნენ კბილე-



ბით და მუშტებით, მაგრამ დიდი აღარ დასცალდათ. ისინი ხმამაღლა დახვრიტეს, დანარჩენმა ამხანაგებმა — სირაქემ და ადგიშვილმა ისარგებლეს ხელჩართული ბრძოლით, გადანტენ მატარებლიდან და გაიქცნენ. როცა დარწმუნდნენ ჯალათები აღნიშნული სამი ამხანაგების დახოცვაში, დაედევნენ გაქცეულ ამხანაგებს, მაგრამ უშედეგოთ. ისინი მიიმალნენ. გათენდა. დანარჩენ ამხანაგების გადაყვანა ველარ მოასწრეს. დახვრეტილი ამხანაგების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს. მათი მშობლების და ნათესავების კვილიმა მთლად შესძრა ყველაფერი. ლანჩხუთის სამმართველოს წინ დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა. დამწუხრებული დედები ეძებდნენ შვილებს. მათ წინ გვარდიელები ელობებოდნენ, ნებას არ აძლევდნენ ენახათ საზიზღრად დახვრეტილი შვილები. საწყალი დედები დაჭრილ ლომებივით ღრიალებდნენ. გაეშურნენ „სასაკლაოსაკენ“ და მათი შვილები: ილარიონი, კიმოთე და კალისტე „ჯიკის ტბის“ ერთ-ერთ თხრილში აღმოაჩინეს ჩაყრილი, რომლებიც თავიანთ სისხლში სცურავდნენ.

გულშემწარავი სურათი იყო: ვინ არ სტიროდა, ვინ არ მოსთქვამდა, ყველა მწუხარებას გამოსთქვამდა.

დახვრეტილი ამხანაგები დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ თავთავიანთ სახლებში გადაასვენეს, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვასცა ბრძანება, რომ დასაფლავებას არავინ დაესწროს და ამალამვე დაასაფლავონო.

ეხლა ჯერი დანარჩენ ამხანაგებზე მიდგა. აღნიშნულმა გარემოებამ ხალხი ძლიერ შეაწუხა. საწყალი გლეხების „ჯიკის ტბაში“ დახვრეტა ბევრს აღარ ესიამოვნა. ადგილობრივი გვარდიის შტაბიც მოხერხებულად მოიქცა. ჩვენ. ექვსი ამხანაგები — გოგვაძე, გოგიაიშვილი, წილოსანი, გვარჯალაძე, ჩხაიძე და მე ქუთაისში გაგვაგზავნეს, რათა სალორის „სასაკლაოზე“ დავეკალით. ჩვენმა წამყვანმა რაზმის უფროსმა ქ. იმნაიშვილმა ქუთაისის ციხის უფროსს ასათიანს თავის ხელით მიუტანა პაკეტი, რომელშიაც ეწერა (აღნიშნული ამხანაგებზედ) მიღების თანავე დახვრიტეთო. მიღებისთანავე გაგვხადეს ჩვენი ტანისამოსი. გახვიეს და თოკებით შეკრეს. ზედ ჩვენი მისამართი დააწერეს. შეკითხვაზე — თუ რა საჭიროა მისამართი-თქო, მიპასუხეს: წესი ასეა, რომ ტანსაცმელები თქვენს მშობლებს უნდა გაუგზავნოთო. სამაგიეროთ ჩვენ შავი ხალათები გადაგვაცვეს და ორ-ორი ამხანაგი „სეკრეტში“ მოგვათავსეს. ამავე ციხეში ისხდნენ ამხ. მისაქვაკაია, მამია ორახელაშვილი, მიშა ოკუჯავა, შამშე ლეჟავა, ვახტ სტუროვა და სხვა მრავალი ამხანაგები. იმავე დღეს კარზედ მოდგა ამხ. შამშე ლეჟავა და შემოგვძახა: არ შეშინდეთო. ჩვენ მას ვერ ვიცნობდით, მაგრამ მაინც გაგვეხარდა. ცოტა ხნის შემდეგ ამხ. დათიკო კოპლატაძის ხელით ციხეში არსებულმა კომიტეტმა გამოგვიგზავნა ფული და

წერილი სადაც გვეწოდნენ — არ შეშინდეთ, თუ საქმე წახდა და არ შეგიცვალეს, უეჭველად გაგაქცევთო. დაღამდა. როგორც მახსოვს, 4 დეკემბერი იყო. საღამოს 10 საათი იქნებოდა. უეცრად კარები გაიღო. კარებზედ ორი თოფიანი კაცი მოადგა, ერთიც შიგ შემოვიდა. ჩვენ გადავწყვიტეთ აღსასრული მოახლოვდა თქო, მაგრამ თურმე დასათვალეირებლად შემოვიდნენ. როცა თავის მოვალეობა შესრულეს ზედამხედველმა კოსტა ქოიავამ გარეთ გასვლის დროს გვითხრა: თქვენ ამელამ მაინც დაგზვრეტენ და ეს პაპიროსები მე მომეცითო (რომელიც იქვე იატაკზე გვეწყო). დავაპირეთ მისი დაჭერა, მაგრამ გაგვასწრო. როგორც მახსოვს, 6 თუ 7 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ სამტრედიის აჯანყებაში მონაწილეობისათვის ორ ამხანაგს: გრამიტონ სვანიძეს და აკაკი ფანცულაიას მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. სულ იმ დროს ციხეში ვირიციხებოდი 8 კაცი, რომელთაც დახვრეტა გეჭონდა მისჯილი. ორი კვირის შემდეგ დახვრეტა შეგვეცვალა სამუდამო კატორღით. ქუთაისის საგუბერნიო ციხეში (მაშინ საკანტროლო ციხეთ ითვლებოდა) ვისხედით სამოცამდე კატორღელი ამხანაგები. გორიდან: ამხ. ვასო ქურდაძე, ბუხნიკაშვილი, გომარელი, მაისურაძე და სხვ. ჩვენი პირობები, როგორც კატორღელების, სხვა ტესალებთან შედარებით, ძლიერ ცუდი იყო: დღე-ღამეში ერთი გირვანქა მქაღი გვეძლეოდა და იგიც დამპალი. არ გეჭონდა უფლება მშობლების ნახვის, თუ ვინმე მოვიდოდა ჩვენდა სანახავად. არ გვაძლევდენ უფლებას წიგნების კითხვისას. მისი შემოტანა ჩვენს კამერაში აკრძალული იყო. აგრეთვე უფლებას არ აძლევდნენ ჩვენს მოწინავე ამხანაგებს ჩვენთან შემოსულიყუნენ და გვემაცადინა. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ამხ. ნიკოლოზ ოკუჯავა შემოიპარებოდა ჩვენთან მოხსენების გასაკეთებლათ. ისიც ერთი მეკარეს კონრეიდის საშუალებით და თუ ვინმე წამოგველანდებოდა, ამხ. ნიკოლოზს ნარს ქვეშ ვმალავდით. ჩვენ არა ერთხელ ვსთხოვეთ ციხის ადმინისტრაციას ნება დაერთო გვენახა ჩვენი ლიდერები: მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი და სხვები, მაგრამ ამის ნება არ მოგვეცეს. ციხის აუტანელი რეჟიმის საპროტესტოთ გამოვაცხადეთ შიმშილობა. ეს გაფიცვა მაშინ მთელ საქართველოს მაშტაბით მოხდა პოლიტიკური პატიმრების მიერ. ვიშიმშილეთ 4 დღე-ღამე, ბევრი ამხანაგი გახდა ავად ამ ნიადაგზედ. მაგრამ ნაწილობრივ გამარჯვებას მაინც მივალწიეთ. თუმცა ჩვენზედ, როგორც კატორღელებზედ, არ გაავრცელეს მოპოებული გამარჯვებანი. ჩვენ მაინც არ ვლონდებოდით, — ვიცოდით, რომ სამუდამოდ იქ არ დავრჩებოდით.

განუსაზღვრელი სიხარული გამოიწვია ჩვენში საქართველოს მთავრობისადმი მიმართულმა ამხ. კარახანის ნოტამ, რომელიც წინადადებას იძლეოდა ჩვენი განთავისუფლების შესახებ. ფონებ 25 აბ-

1919 წლის ნოემბრის 7-8 აჯანყება გურიაში

ჯერ კიდევ 1918 წლიდანვე დაიწყო მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

თავიდანვე გურიის გლეხოზა თუმცა სიმშვიდეს იჩენდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ის ერთვად მთავრობის მხარეზე იყო: ის მხოლოდ დროს ელოდებოდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის დროს იერიში მიეტანა მენშევიკური მთავრობის ჩამოსაგდებათ.

ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მოწვევით 1919 წლის ზაფხულზე ქ. ბაქოში შესდგა არალეგალური ყრილობა, სადაც დელეგატები იყვნენ თითქმის ყველა მაზრებიდან. ყრილობაზე, სხვათა შორის, დასმული იყო საკითხი — საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების ჩამოგდება და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ყველა მაზრებიდან გაკეთდა სათანადო მოხსენებები. გურიიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. კალანდაძემ, რომელმაც ასე დაასრულა ის: გურია მზად არის და როცა საჭიროება მოითხოვს, (საერთო აჯანყების დროს) ის გამოვა და იმედიცა გვაქვს, რომ გურიაში ძალა-უფლებას ისე ჩაიგდებენ ხელში, რომ მსხვერპლსაც კი არ გაიღებენო. ამ სიტყვებს ყრილობა ტაშის ცემით შეხვდა.

როდესაც ყრილობიდან დაებრუნდით, ჩვენი მუშაობა ერთში გამოიხატებოდა: ეს იყო საყოველთაო აჯანყების მოწყობა საქართველოში. მაზრის ხელმძღვანელ მუშაკებს თავიანთ მაზრებში უნდა ჩაეტარებიათ სამხედრო სამზადისიც.

მოვიწვიეთ გურიის სამაზრო კონფერენცია, გაეკეთეთ მოხსენება, თუმცა სასტიკი რეაქცია მიჰქინვარებდა, მრავალი მოწინავე ამხანაგი სამაზრო და საგუბერნიო ცხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი, მაგრამ ეს სამაზრო კონფერენცია ჩვენ მაინც ჩინებულათ ჩავატარეთ ს. ფიჩხისჯვარზედ. დაგვეწრო ამხ. გ. სტურუა.

კონფერენციაზე მთავარ საკითხად იდგა — თუ როდის მოგვეწყობა საერთო გამოსვლები. გადაწყდა: ჭირნახულის აღების შემდეგ, კონფერენციის შემდეგ ამხანაგებმა ჩაიებარეთ რაიონები, სადაც უნდა გვეწარმოებია სამხედრო მზადება.

თუ არ ვცდები, იმ დროს გურია 12 რაიონად იყო დაყოფილი. ყოველ რაიონს ჰყავდა რაიონის საკუთარი სამხედრო ხელმძღვანე-



რილი იყო, ამხ. მ. ცხაკაია გაანთავისუფლეს. წითლებმა ბაქოც აიღეს. ტფილისში ციხეში მყოფი ყველა ამხანაგები ქუთაისში გადმოიყვანეს. 1 მაისი თენდებოდა. რალაც ხალხის ხმა და თანაც ინტერნაციონალის სიმღერა მომესმა. დიდხანს არ დაუჯერე თავს. ვერ წარმომედგინა, თუ მართალი იყო. გათენებადის ორი საათი იქნებოდა. მეკარეს მივაძახე: რა ამბავია, რა მოხდა მეთქი; იქით-აქეთ მიიხედა და მითხრა: ნუ გეშინია, საქმე შენ რომ გინდა, ისეაო. გათენდა. ყველა კამერების კარები გაიღო, მაგრამ კატორღელების კარები ისევ ჩაკეტილია. ადმინისტრაცია ჯიუტობს. კატორღელებს კარებს ვერ გაუღებთო. მაგრამ გამოჩნდა ტფილისიდან ჩამოსული ციხის მამასახლისი ამხ. გრიშა სარჯველაძე და ადმინისტრაციას წინადადებას აძლევს კარები გააღოს. ცოტა ხანი და ჩვენი კარებიც იღება. ციხის ეზოში გავრბივართ. მიტინგი უკვე იხსნება. მიტინგს ხსნის ამხ. რაჟდენ კალაძე. დროშებიც ააფრიალეს. ათას კაცზედ შეტი ვართ. ამ დროს ხმები მოისმა: ამხ. მიხა ცხაკაია ხელახლა დაუჭერიათ და ციხეში მოჰყავთო. ჩვენ სწრაფად ჩავმწყრივდით ამხ. მიხას შესახვედრათ. რამოდენიმე ამხანაგმა ციხის კარებთან მივირბინეთ. ცოტა ხანი და ციხის კარებიც გაიღო. გამოჩნდა ჩვენი თეთრ წვერა ბელადიც. ინტერნაციონალმაც დაიგვიგინა ამხ. მიხაც ავიყვანეთ და ტრიბუნისაკენ გავაქანეთ. საიდანაც მხურვალედ მოგვესალმა. თანაც მაშინდელ მდგომარეობაზედ მოხსენება გააკეთა და მოგვილოცა გამარჯვება და განთავისუფლების მოახლოვება. მიტინგი ზეიმით დამთავრდა, ყოველ საათში იმართებოდა ლექციები და სხვ. მოხსენებები. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამაც მოგვისწრო. ხელშეკრულების თანახმად მთელი რიგი ამხანაგებისა გაანთავისუფლეს, მხოლოდ დაგვიტოვეს ციხეში სერიოჟა ქავთარაძე და 12 სხვა ამხანაგი, როგორც უკიდურესი ზომით დასჯილები. მაგრამ მეორე დღეს ჩვენც გაგვანთავისუფლეს. ვარეთ გამოსვლის დროს ციხის კარებთან დაგვხვდა ამხ. ამხ. მამია ორახელაშვილი და კარო მიქაძე, რომლებმაც გზის ფული მოგვცეს და გავემშურეთ სოფლებისაკენ...

სუფსა.
1921 წ. 5 მაისი

ამოლონ იმნაიშვილი.



ლი შტაბის წევრებით, აგრეთვე ასისა და ათისთაეები. ეს უკანასკნელნი იყვნენ სოფლებში, კომ-უჯრედებთან დაკავშირებულნი, საიდანაც ღებულობდნენ საჭირო დირექტივებს. სამაზრო შტაბთან იყვნენ დაკავშირებულნი, რაიონის შტაბის ხელმძღვანელები. მაზროს შტაბს იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა სამაზრო პარტიული კომიტეტი, რომლისათვისაც თავის წევრთაგან გამოყოფილი ჰყავდა ერთი წევრი, იგივე სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს სამაზრო სამხედრო რევოლუციონური შტაბის თავმჯდომარე იყო.

ყველა ამხანაგს ეგალებოდა საკუთარ ბინაზე ყოფნა და ცნობის მიღებისთანავე უნდა გაჩენილიყო დანიშნულ ალაგას იარაღით.

სამაზრო სარევოლიუციო შტაბს ყველა რაიონში ჰყავდა აღრიცხვაზე აყვანილი ჯარისკაცები იმის აღნიშვნით, თუ რა სამხედრო მომზადებით იყო ის აღჭურვილი.

კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ ჩვენ გვეშურეთ რაიონებში. მაგრამ არც ჩვენს მტრებს ეძინათ. ამხანაგების უმრავლესობა რაიონებში დაპატიმრებულ იქნენ. ხიდისთავის რაიონის კომიტეტის შემადგენლობაც ერთ ღამეს დაატყვევეს ს. ბუკნარში. ასე, გურიის კომიტეტის წევრთა უმრავლესობა დაპატიმრებულ იქნა. პრეზიდენტის წევრთაგან მარტო მე გადავრჩი დაპატიმრებას.

ძალღებული შევიქნენი მომეწვია ახალი კონფერენცია, რომელსაც უნდა აერჩია სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ყველა რაიონებში ამხანაგები დავგზავნე, დავნიშნე კონფერენციის ალაგიც. მეორე დღეს ვღებულობ ცნობას, რომ სოფ. ასკანაში ამხ. სევესტი თალაკვაძეს მოწვეული ჰყავს კომიტეტის პლენუმის კრება და გადახისო.

ეს ცოტა არ იყო, გამიკვირდა, რადგან სევესტიმ არ იცოდა. თუ ვინ უნდა მოეწვია და რომელ რაიონიდან. ჩვენი მუშაობა მიმდინარეობდა ძლიერ კონსპირატიულად და ამიტომ შესაძლებელი იყო ასეთ მოქმედებას გამოეწვია უნებლიე პროვოკაცია. თვით ამხ. სევესტიც მეტად უცხო პარტიული მუშაკი იყო გურიის გლეხობაში. როგორც მოულოდნელათ მოვლინებულს, საოლქო კომიტეტის დირექტივობით, მას აღმაკერად შეხვდნენ გურიის ამხანაგები, რაც დამტკიცდა მით, რომ მის მიერ სამჯერ დანიშნული კრება არც ერთხელ არ შესდგა. ამავე ხანებში ორი რაიონის წარმომადგენლები: ასალო ცინცაძე და ვარლამ კუნჭულია მთავრობამ შეიპყრო. კუნჭულია მაშინვე ყაჩაღათ მონათლეს და ბორკილებში ჩაქედილი გადმოაგზავნეს საგუბერნიო ციხეში.



ჩვენ მიერ დანიშნულ დღეს შესდგა სრული კრება. ამხ. სევესტიმ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე და შემდეგ მოხდა სამაზრო კომიტეტის არჩევნები. ამხანაგებს წინადადება მიეცა, რომ მზად ყოფილიყვნენ, შორს არავინ წასულიყო, რადგან ცენტრიდან ყოველ დღე ველოდით ცნობას საერთო აჯანყების დაწყების შესახებ.

უნდა აღვნიშნო, რომ გურიის კომიტეტის სამაზრო კრებას ყოველთვის ესწრებოდა ამხ. თედორე კალანდაძე. მიუხედავად იმისა, რომ იმავე სოფელში ცხოვრობდა თედორე. სადაც სევესტიმ მიიწვია სამაზრო კომიტეტის კრება, თედორე არ მიიწვია კრებაზე. მან არც კი იცოდა არაფერი კრების შესახებ. მხოლოდ შე და სხვა ამხანაგებმა წაიყვანეთ თედორე კრებაზე. სადაც მან ამხ. სევესტის უსაყვედურა ასე უტაქტოდ კრების მოწვევა და ის, რომ მას არ შეატყობინა.

თედორე თუმცა არ ყოფილა გურიის კომიტეტის წევრი, მაგრამ ის ახლოს იყო კომიტეტთან, იცოდა ყველაფერი რაც კეთდებოდა. კომიტეტის კრებაზედაც თედორეს წინადადება იყო მიღებული — თუ საერთო აჯანყება არ მოეწყობოდა მთელს საქართველოში, ისე გურია არ უნდა გამოსულიყო. თვით ცნობა გამოსვლების შესახებ კომიტეტს უნდა მიეღო საოლქო კომიტეტის ერთ-ერთი წევრის საშუალებით ან საოლქო კომიტეტის ბეჭედ დასმული ქაღალდით. ამის შემდეგ, ცხადია, ეს ცნობა გურიის კომიტეტს ვერ გადმოეცემოდა ისეთი პირის საშუალებით, როგორც ამხ. სევესტი იყო.

მზადებაში გავიდა ოქტომბერი. 3 ნოემბერს ცნობა გვაქვს: უნდა მოვიწვიოთ სამაზრო კომიტეტის პლენუმი, აგრეთვე — სამხედრო სარევოლიუციო შტაბის წევრები. შევიკრიბეთ და ველოდებით ცენტრიდან საოლქო კომიტეტის წევრებს. მაგრამ არსად სჩანს. გავგზავნეთ სადგურზე კაცი, რომ გზა არ აბნეოდა. როგორც იქნა, 5 ნოემბერს მოვიდა ამხ. გიორგი სტურუა, რომელსაც ამხ. სევესტი ახლდა. ამხ. სტურუამ გააკეთა მოხსენება. აცნობა კრებას, რომ მთელ საქართველოში და აგრეთვე ტფილისშიაც გამოსვლები მოხდება 7-8 ნოემბერს, მხოლოდ სამეგრელოში გამოსვლების მოწყობას უფულობა უშლის ხელსო. გადაწყდა იმ 50 ათასი მანეთიდან, რომელიც გურიის კომიტეტისათვის ჰქონდა, 40 ათასი მანეთი გადაეგზავნა სამეგრელოსთვის, რათა იქ უფულობით არ შეშლოდათ ხელი. საგანგებო გაგზავნილი ამხანაგის ხელით სამეგრელოს გადაეცით 40 ათასი მანეთი. ამის შემდეგ მოხდა გურიის კომიტეტის ხელახალი არჩევნები. არჩეულ იქნა 7 წევრი და 7 — კანდიდატი. სამაზრო-სამხედრო სარევოლიუციო შტაბი 3 კაცისაგან. წევრებათ: ამხ. სამსონ ჭანიშვილი და ამხ. სარდიონ ჯიბუტი და თავმჯდომარეთ კი რვივე სამაზრო კო-

მიტეტის თავმჯდომარე, სოფლებში და რაიონებში ხელმძღვანელებათ შემდეგი ამხანაგები: ოზურგეთში აშხ. კირილე ჩხარტიშვილი, რომელთანაც უნდა მისულიყვნენ გამოსვლების დაწყებისას, სალამოს, 7 ნოემბერს, აშხ. გ. სტურუა და აშხ. სევესტი თალაკვაძე და უნდა დაეჭირათ კავშირი ჯუმათ-სიროულთან, რომლის შეერთებული ძალებით — ასკანა, ხიდისთავი, ნავომარი, — აიღებდნენ ქალაქ ოზურგეთს. შემოხსენებულ სოფლებიდან ყავდათ მეთაურებათ შემდეგი ამხანაგები: რუსიძეები — ბესარიონ და მისი ძმა, ს. სარიშვილი, ანთიმოზ სიორიძე, სავლე გოგიჩაიშვილი, კ. უჯმაჯურიძე, ნეოფიტე ჭეიშვილი, ერ. ჩიგოგიძე, ემ. კალანდაძე, თ. და აკ. სინარულიძეები. ასკინიდან: თალაკვაძე და ინწყირველი. ლანჩხუთს ხელმძღვანელობდნენ იულო, კოსანდილე, ბიქტორ და კ. ცინცაძეები და გ. კომანიძე, აგრეთვე ძმ. სარჯვალაძეები. დ. ნატანებს: მ. ვაშაყმაძე, მიმაგრებული იყო მასთან სევესტი თალაკვაძის ძმა. დაბა სუფსას ხელმძღვანელობდა კოწია გურგენაძე, მოსე და ნესტორ ღლონტი, აღმოსავლეთ გურიაში, დაბა ჩოხატაურში, უნდა მოთავსებულიყო მთავარი სამაზრო შტაბი და ჩოხატაურის აოგება ევალებოდა შემდეგ სოფლებს: ამაღლებას, ჯვარცხმას, ფარცხმას, ციხე-იანეთულს, ერკეთს და ხეგ-ქებალას. შემოხსენებულ სოფლებში ხელმძღვანელებათ იყვნენ შემდეგი ამხანაგები: ლევანტი, ილარიონ და სანდრო რამიშვილები, ლადიმე და შერშანდი ცინცაძეები, ძმები გოგოლაძეები, აფთონ და ივლიანე ანთიძეები, სერაპიონ და იესე ჩანტლაძეები, მიტროფანე, ამბერკი, ილარიონ, თეოფილე, გიასე, ყარამან, სარდიონ და სხ. შამალაძეები, ილარიონ, ლადიკო და სოლომონ ჯინჭარაძეები ტ. და ერპილე მინდაძეები, ნოე კობიძე, ბეჟუკი, გიორგი და ბენია ბერიძეები, კოწია შაქრიშვალი, კალია და სევერიანე კალანდაძეები, გერასიმე სინარულიძე, ევგენია მდივანი, ვასილ როინიშვილი, ფილიპე და ანტონ მგალობლიშვილი, აკაკი შარაშიძე და სხვები. ქალებიდან იყვნენ შარო და ოლლა კალანდაძეები, ნატალია მგალობლიშვილი და ქიონია ჯინჭარაძე. გამოსვლების წინა კვირებში იყვნენ და იცოდნენ, რომ მოხდებოდა გამოსვლები ადრე და წავიდნენ შემდეგი ამხანაგები: თენგის ჟღენტი, თეოფილე ჩიჩუა, სიმონ ჟღენტი, და ვალერიან გოგიბერიძე, დაჭერილები იყვნენ: ანდრო და თედორე დოლიძეები, ვარდენ, იაგორ და ელიზბარ კალანდაძეები, ბესარიონ და მიჩაკო მეგრელიძეები, პარმენ და ასალო ცინცაძეები, გრიგოლ და ეატა მგალობლიშვილები, ვალოდია თავართქილაძე, დათიკო ფოცხიშვილი და სხ.

7 ნოემბერია. მთელ მაზრაში არის მზადება. ყველა სოფლის ამხანაგებმა იციან. თუ ღამის სამ საათზედ სად უნდა შეიკრიბონ, უჯრედებს შიკრიკები ყავს დაგზავნილი სამხედრო ათის თავებთან;




ესენი კი ვალდებულნი არიან — თავიანთი შეიარაღებული რაზმით მივიდნენ დანიშნულ ალაგს. ეს ისე ხდება, რომ შეუძლებელია მოწინააღმდეგემ რაიმე შეამჩნიოს და ამავე დროს თითქოს ბუნებაც ხელს უწყობს, რადგან მთელი დღე არის წყნარი წვიმა. ღამის სამი საათია და თითქოს ბუნება გაწყრა. ატყდა ქექა-ჭუხილი, რომელსაც მოჰყვა მრისხანე კოკისპირული წვიმა, აღიღდა პატარა მდინარეები, რაზმელები აღარ ერიდებიან დასველებას, დაბრუნება ხომ შეუძლებლად მიაჩნიათ, რადგან სოფლებში მენშევიეების ყვითელი გვარდიელები უკვე განაიარაღეს და მათი იარაღით კი ჩვენი წითელი რაზმელები არიან შეიარაღებულნი და თემებში კი თემის სამმართველოში და სასწავლებლებში მენშევიეების გვარდიელები და მეთაურები დატყვევებული ჰყავთ. მე აქ ვლაპარაკობ აღმოსავლეთ გურიაზე, კერძოდ ხევ-ერკეთზე, სადაც გამოსვლებს მე თვითონ ვხელმძღვანელობდი. ამ სოფლების წითელი რაზმელების თავის შესაყარი მთავარი ადგილი იყო ქვედა ერკეთი, სადაც ეხლა სახალხო სახლია აგებული. ღამის სამ საათზედ მოვიდა ქვაბლის და ხევის ძლიერი რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ძმები მამალაძეები და ჩანტლაძეები. ამავე დროს მოდის ცნობა ჩოხატაურიდან, რომ გაღმა სოფლების რაზმელები, სუფსის ხილთან, ჩოხატაურის ახლოს, გვიციდიან, რომ შეერთებული ძალით მივიდნენ ჩოხატაურის ასაღებათ; შევერთდით ხილთან. აქ მოხდა ძალების განაწილება, თუ რომელი ასეული მიადგეს ასაღებათ ფოსტას, გვარდიის შტაბს, რაიონის მილიციას, ერობის სამმართველოს და სამნეო საწყობს. აგრეთვე ქალაქის დარაჯებს და სასამართლოსა და შკოლებს. გვყავს ოთხი რაზმი უფშემადგენლობით, ყველას სურს იქ წასვლა, სადაც მტერი მაგრად გრძნობს თავს: ასეთია გვარდიის შტაბი და რაიონის მილიცია. პირველი სიმაგრე ერგო ძმებ მამალაძეებს და ჩანტლაძეების რაზმს. მეორე — ამხ. შ. ცინცაძის რაზმს, დანარჩენებზე კი წავიდა სხვები. მეც მიუძღვი წინ რაზმს, მაგრამ როცა მიუახლოვდი უკანასკნელ ფოსტას, იქ მტრელებენ ერთი ამხანაგით და მეუბნებიან, რომ როცა ყველა სიმაგრეებს ავიღებთ, ერთი მეორეს ვაცნობებთ აღებას ტყვიისმფრქვეველის ერთი ლენტის დაცლით, შემდეგ მივალთ, შევეუდგებით საბჭოთა სამმართველოს მოწყობას. არ გასულა ნახევარი საათი და შეიქნა ყოველმხრივ ხშირი სროლა, ასევე უბასუხებენ. ფეხზე დგომა შეუძლებელია, გავიშლართეთ მიწაზედ, მაგრამ ტყვია ზუილ-ზუილით მივლის ყორებთან და ამტვრევს ხის შტოს, რომელიც გვაცვივა თავზედ მე და ჩემს ამხანაგს; თითქმის გათენდა და შეწყდა სროლა. წამოვდექი, გავიხედ-გამოვიხედე და დავინახე ამხ. ყანსარ ბენდელიანი, რომელსაც დაგავალე შესულიყო ქალაქში და გაეგო რა ამბავი იყო. ისიც წავიდა



თუ არა, ასტყდა ტყვიის მფრქვეველის სროლაც, რომელიც ჩქარა შეჩერდა. მომაგონდა, რომ ეს იყო ნიშანი გამარჯვებისა და წავედი. პირველად შევედი ფოსტა-ტელეგრაფში, სადაც ვნახე დატყვევებული ფოსტის უფროსი ჩიგოგიძე და სტუდენტი ვრიშა შაქარიშვილი. პირველს რევოლვერი ესროლა ჩვენი რაზმისათვის. მეორე ეკლესიასთან ჩასაფრებულოყო და იქიდან ესროლა ჩვენებისათვის. დაენიშნე ფოსტა-ტელეგრაფის კომისრად ერთი ჩვენი ამხანაგი. ფოსტის უფროსს ვანუცხაძე, რომ იქნებოდა კომისრის განკარგულებაში, მხოლოდ თუ გაფლანგავდა ფულებს ან ამანათებს, პასუხს აგებდა სარევოლიუციო კომიტეტის წინაშე. ამის შემდეგ წავედი ქალაქისაკენ და საავადმყოფოს რომ გაუპირდაპირდი, უკანიდან მომესმა თოფის ხმა და ტყვია კი მოხვდა მიწაში ჩემს მარცხენა ფეხთან. მივეცი ნიშანი ამხანაგებს, რომ მითითებულ სახლისათვის ალყა შემოვრტყათ. განკარგულება მოიყვანეს სისრულეში, დაატყვევეს თავის იარაღით გვარდიელი და წარმომიდგინეს. მან აღიარა, რომ პირდაპირ მე შესროლა, რადგან მიცნობდა, როგორც ხელმძღვანელს, დაპატიმრებული ვაფგზავნე საპრობილეში. შევიარე საავადმყოფოში, სადაც იყვნენ საავადმყოფოს მოსამსახურენი ორი ექიმის თანაშემწე გ. დოლიძე და ალექსანდრე, რომელნიც გავაფრთხილე, რომ აესრულებოდათ თავინთი მოვალეობა პირნათლად, რადგან მოსალოდნელი იყო დაჭრილების მიყვანა, აგრეთვე იქაც დავუნიშნე ერთი ამხანაგი გამგეთ, რომელსაც უნდა დამორჩილებოდენ. შევიარე მილიციაში და ყოფილ გვარდიის შტაბში, სადაც საწყობებიდან არიგებენ იარაღს, წარმოიდგინეთ თავისი ნებით მოდის უღარიბესი გლეხობა და თხოულობს იარაღს, მაგრამ მალე ყველას არ აძლევენ, უკეთუ კეთილ-საიმედოთ არ ცნობდენ. შტაბის წევრები მოვიდნენ ქალაქის ალების შემდეგ, ამხ. ჭანიშვილი და ამხ. ჯიბლაძე კი — რაზმით. მათი მოსვლისთანავე გადაწყვიტეთ ქალაქის გარშემო სიმაგრეების გამართვა, რადგან ვაეიგეთ, რომ ს. სურების და საჯევახოს მხრიდან ემზადებოდენ მენშევიკები ჩვენზე თავდასხმას. ეს თემები ძალის სიმცირის გამო აუღლებელი დაგვრჩა. მოეწყო სიმაგრეები, ქალაქის გარშემო. შემოვლელბულოა რკალი სადარაჯოებისა გარშემო ქალაქზედ. მგზავრებს უნებართვოთ არ უშვებენ. დილის რვა თუ ცხრა საათია და მოდის ერთი ვაჭარი, რომელმაც გამიცხადა: მენშევიკების გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ვასო ჩიგოგიძემ გამომაგზავნა და გთხოვთ მხოლოდ შენ წაიყვანო საავადმყოფოში, რადგან არის დაჭრილი სასიკვდილოდ და სხვას არ ენდობათ. რადგან მე დრო არ მქონდა, გადავეცი ამხ. სამსონ ჭანიშვილს, რათა წაეღო საკაცე საავადმყოფოდან და გამოეყვანა. ასეც მოიჭვა. გამოიყვანა და მოვათავსეთ საავადმყოფოში და დავავალეთ ექიმებს კარგათ მოეპყრონ მ დროს

8903





ეტლს დაუპასეთ და სამი რაზმელით ვაგზაენი სოფელ ინტაბუეთში, ამხ. თედორე კალანდაძის მოსაყენათ. მაგრამ ამ დროს ჩოხატაურის მახლობლად, მდინარე სუფსის ხიდზედ, გაჩაღდა ტყვიის მფრტვეველის და თოფების სროლა. გამოირკვა, რომ ოზურგეთის სამაზრო მენშევიკების გვარდიის შტაბის თავმჯდომარე მათითაიშვილი იმ დამეს ყოფილა თავის სახლში, ხიდისთავში და რომ გაუგია ჩოხატაურის აღება, შეუტროვებია გვარდიელები და დაგვესხა თავზე. ხიდის მახლობლად მ. ცინცაძის ეზოში ჩვენ გვეყავდა რაზმი ამხ. მიტროფანე მამალაძის ხელმძღვანელობით, რაზმს თან ჰქონდა ერთი მაქსიმის სისტემის ტყვიისმფრტვეველი. სროლაზე ჩვენებმა სროლითვე უპასუხა. ჩვენებმა ერთი გვარდიელი მოკლეს, ერთიც საგუშაგოზე მდგომ ამხანაგებს დაეჭირათ. ნახევარი საათის შემდეგ ამხ. ამბერკი მამალაძემ თავის რაზმით ხელით სასროლი ტყვიის მფრტვეველით გასცურა ადიდებულ მდინარე სუფსაში და ის იყო უნდა მოეჭრა გზა და უკანოდან დასცემოდა. ამ დროს შემთხვევით შეხვედრია იმ დროს ყუჩალი პაიჭაძე, რომელსაც გადაუსვრია მათითაიშვილის რაზმისათვის ბომბა. მათ გაქცევით უშველეს თავს. ამის შემდეგ ეტლი ამხ. თედორესთან ვერ ვაგვზაენეთ, ვერც თვითონ მოახერხა მოსვლა. აღვადგინეთ ქალაქში წესრიგი. რევკომის სახელით ქალაქს იცავს წითელი მილიცია, რომლის ხელმძღვანელია ამხ. სამსხან ქანიშვილი, თემებში აღდგენილია რევკომები და მილიცია. სატუსაღოები გავსილია პ/მ. მენშევიკებით, როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში გამოვეციით სამაზრო რევკომის სახელით მოწოდება; მოუწოდებთ მშვიდობიან ცხოვრებისაკენ მოქალაქეებს და გლეხებს, გახსნილია სავაჭროები, დატულია სრული მშვიდობიანობა. მაგრამ ოზურგეთი და ლანჩხუთი, მიუხედავთ იმისა, რომ ტელეფონი არ არის გადაჭრილი, პასუხს არ იძლევა. მხოლოდ სამტრედიის გვემუქრება და, შვადლეზე უკვე ვიცით, რომ არსად არავითარი ამბავი არ არის, ნაშვადლევის 3 საათზე ცნობაც მაქვს სამტრედიიდან, რომ ცენტრში მთავარი შტაბი ჩავარდა და გამოსვლები არსად არ არის.

ეს მხოლოდ მე ვიცი. მოვიწვიე შტაბის კრება, სადაც შევიცვანეთ კოლპტაციით შტაბის წევრად იმ დროს ჩვენი თანამგროძობი სამხედრო პირი ამხ. ვაბო ბერძენიშვილი. თათბირი გაგრძელდა, შრავალი წინადადებებია შემოსული. მაგრამ დიდათ გვიშლის ხელს ოზურგეთის და ლანჩხუთის ამბების გაუგებრობა. სადამო ხანია, მოყავთ დატყვევებული მწვერავი მილიციელი ჟღენტი, რომელიც ოზურგეთიდან ყოფილა გამოგზავნილი და ჩავარდნილა ჩიჩენს საგუშაგოზე ტყვეთ. გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ ოზურგეთში არაფერი არ მომხდარა. ლანჩხუთში და სუოთსაში იყო გამოსვლები, მაგრამ ჩქარა ჩააქრო გოგვადის ჯანოსანმაო და ჩოხატაურზე წამო-

სულია ოზურგეთის გვარდია (150 კაცი) და ორი მძიმე არტილერია და გოგვაძემ სადგურ საჯავახოში რაზმი გადმოხსნა ჯავშნოსანიდან და მოადგება ჩონხატაურს აღმოსავლეთის მხრიდანო. ეს ჩვენ ერთხანს არ დაუჯერეთ, მაგრამ ორზე მხრიდან ჩვენი მზვერავების საშვალებით გავიგეთ, რომ ეს სიმართლეს შეიცავდა. გადავწყვიტეთ ისევ მშვიდობიანი გზით დაგვეტოვებია ქალაქი და სოფლები და დაგვეხია უკან. ორ ნაწილად გავიყავით მთავარი ძალები. ერთი ნაწილი წავიდა ხევ-ერკეთისაკენ მამალაძეების ხელმძღვანელობით. გამაგრდებოდნენ მთაში. მეორე კი ნიკოით-ამაღლების მხრივ მთაში, სადაც შტაბის შემადგენლობაც გავყევით, რათა კავშირი არ გაგვეწყვიტა, ვინცობაა რაიმე ცვლილება მომხდარიყო. დამის 10 საათია. ვაცნობეთ რაზმების მეთაურებს თავ-თავიანთი გზა და აგრეთვე მოვიწვიეთ საიმედო პატიოსანი მოქალაქენი და ვაჭრები, რომელთაც ჩავაბარეთ იარაღი და დაგვალეთ თავდაცვა მოსალოდნელი ბანდიტებისაგან. მთავარ ალაგებზე, მაგალითად ფოსტა-ტელეგრაფზე და საწყობზე დავტოვეთ ჩვენი მცველიც, რომ არ გაეტაცებიათ ფულები ან საქონელი პროვოკაციის მიზნით და აგრეთვე შეძლებულ ოჯახებსაც დავტოვეთ დარაჯები, რომ არ გაეძარცვათ. ეს იმ მოსაზრებით, რომ ხალხში აგრცელებდნენ ხმებს — ვითომ ბოლშევიკები მძარცველები არიანო და მოსალოდნელი იყო ხელოვნური პროვოკაცია. აგრეთვე სასადილოებში თუ იყო რაზმელების მიერ რაიმე ნახარჯი, ყველგან გავასწორეთ. თუმცა ასეთი მხოლოდ ორ ალაგს აღმოჩნდა: ერთი მოვაჭრე ანდრო ჯინჭარაძესთან და მეორე კოოპერატივში, სადაც ხელმძღვანელებათ იყვნენ ბოლშევიკი ამხანაგები სეფე და კოსტა ცინცაძეები, რომლებმაც ნებით არ ისურვეს მოსვლა და სასადილოს გახსნა, სანამ იძულებით არ მოვაყვანიინეთ და არ მივეცით წინადადება, რომ ევაჭრათ. ვასვლისას ყველას ქონდა მიცემული წინადადება, რომ ვისაც იარაღის შენახვა არ შეეძლო, ჩაებარებია უკანვე. ჩემთან წამოვიდა ერთი რაზმი და დამის სამი საათი იქნებოდა, რომ აველით ამაღლების მთაზედ, საიდანაც დავცქერით გურიას, იმერეთს და სამეგრელოს. დავსხედით მაღლობზედ მაღალ ხეების ძირას. არე-მარე სდუმს. ამ დროს ჩონხატაურის მახლობლად ოზურგეთის მხრიდან იგრიალა ზარბაზანმა და ბაზრის თავს გაანათა. ამას მოყვა ორი თუ სამი გასროლა და ამას გამოეხმაურა ტყვიისმფრქვეველის ხმა აღმოსავლეთის მხარეზე. პირველად ვიფიქრეთ, ჩვენებმა უპასუხენო, მაგრამ რადგან ჩვენები იმ მხრივ არ იყვენ წასულნი, ვიფიქრეთ ნამდვილად გოგუაძის ჯარია, რომელიც საჯავახოდან მოდის ჩონხატაურზეო. მეორე დილას გავიგეთ, რომ გოგუაძის რაზმი შეხვედროდა მენშევიკების მეორე რაზმი ტარიელ ხელმძღვანელობით და მოსვლიდათ გაუგებრობით შეტაკება. რომლის დროსაც გვარდიის

ხელმძღვანელი (საჭამიის სერის მცხოვრები) ტ. ყენია მოეკლათ და რამოდენიმე დაეჭრათ. გათენდა. არსაიდან სროლის ხმა არ ისმოდა, მხოლოდ ჩვენ კი, რადგან საავდროდ ემზადებოდა ჰაერი, ყოველ მხრივ შორიდან გვესმოდა ზარბაზნის ხმები, რაც ყოფილიყო ჭექა-ქუხილი, ჩვენ კი გვეჩვენებოდა, აჯანყებაა ყველგან და ზარბაზნების ხმაო.

მეორე დღეს გავგზავნე შიკრიკი სამტრედიიაში, საიდანაც უნდა მიმელო ცნობები ამხ. ოლა სტურუასაგან. მესამე დღეს მომაწოდა ცნობა, რომ საჭიროა მშვიდობიანი საუშალებით დაშლა და მეთაურები კი მიიმალონ, რადგან არსად გამოსვლები არ ყოფილა და ცენტრშიც „პრავალი“ მოხდაო. მან ცოტა ფულიც მოგვაწოდა. ამ ფულის ნაწილი გაუგზავნეთ ხევ-ერკეთის რაზმელებს. ნაწილი ოზურგეთის ციხეში მყოფ ამხანაგებს ამხ. თედორე კალანდაძის საშვლებით. ნაწილი — ლანჩხუთ-ჯუმათელებს, (თუმცა ისევ უკან მოიტანა წამლებმა, რადგან ვერავინ ენახა და ამხ. ბიჭტორ ცინცაძისთვის არ მიეცა, რადგან თურმე არ იცნობდა). ნაწილი ჩვენ დავიტოვეთ. ამის შემდეგ მოვიშორეთ ჩვენთან მყოფი ამხანაგებიც და ყველგან ვაცნობეთ, რათა მეთაურები არ ჩავარდნოდნენ ხელში და უბრალო რაზმელებს ეხმარათ შერიგების პოლიტიკა. მეოთხე დღეს გავიგეთ, რომ ჩონატაურ-ხევ-ერკეთის ამხანაგები დაუჭკრიათ (48 კაცი) და გადაუწყვიტეს ჩვენ შტაბის წევრებითურთ დახვრეტაო, მაგრამ რაღაც მიზეზით ჩონატაურიდან სასამართლო ოზურგეთში გადავიდა და ეგებ შეღავათი იქნესო. აგრეთვე ვღებულობთ ცნობებს, რომ კლმაიას დამსჯელი რაზმი წავიდა თავისი არტილერიით ხევ-ერკეთისაკენ და აწიოკებენ ბოლშევიკების ოჯახებს ყოველ მხრივ. სურსათსანოვანის სახით რაც შეხვდებათ ოჯახებში მიაქვთ, ჰკლავენ პირუტყვებს და სასიმიინდეებს სკლიან, იტაცებენ ცხენებსა და უნაგრებს, ერთი სიტყვით, მწერენ — საქართველოში ალა-მამად-ხანის შემოსევა დაგავიწყებსო, აგრეთვე მწერენ ოჯახიდან — არ გამოჩნდე თუ ცოცხალი ხარ, რადგან „ხალხი“ და ადმინისტრაცია ყველა შენ გაბრალებს აჯანყებასო.

ჩვენ დავრჩით ერთად სამი ამხანაგი: ს. ჭანიშვილი, ს. ჯიბუტი და მე. თუმცა ერთი კვირა ნადირივით ტყეში ვიყავით ეკლითა და ტყის მწარე მსხალ-ვაშლით ვირჩენდით თავს, ყოველ დღე ალყა გვქონდა შემორტყმული, მაგრამ ვერ დავგიჭირეს მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ იმ ტყეში ვიყავით. შემდეგ დაუახლოვდით ჯაპანის მხარეს და მივადექით ღამით ერთ ოჯახს, რომელსაც იცნობდა ამხ. ს. ჯიბუტი და ვთხოვეთ საქმელი და ხელის შეწყობა. მასპინძელმა გულუხვობა გამოიჩინა და გაგვიწია დახმარება. ეს იყო ნესტორ ყაჭიშვილი თავის შვილებით, ღარიბი, უპარტიო გლეხი. არაიითარი

სასყიდელი არ აუღია და არც მის შემდეგ შემხვედრია სადმე. გადაწყვეტით, ვინაიდან 48 ამხანაგს მოელის სიკვდილით დასჯა წავსულიყავით ტფილისში ჩვენ სამნი და გაგვეცხადებია ჟორდანიათვის ისინი უდანაშაულნი არიან და გაუშვან და ჩვენ კი გაგვასამართლონ. ასეც მოვიქეციით. გავაკეთეთ განცხადება, მოვაწერეთ ხელი სამივემ და დავასვით გურიის კომიტეტის ბეჭედი (ბოლშევიკების პარტიის) და ჩავიდევით უბეში. მე უნდა ჩამეტანა ტფილისში და გადამეცა რამიშვილისთვის და თუ მივიღებდი თანხმობის პასუხს, დებეშას მივცემდი ამხ. ერასტო ჩიგოგიძეს ნიშნით, — გამოგზავნე თბილი, კარგი ფასი აქვს. რომ წასულიყო ეს ორი ამხანაგი, შევადგინეთ ყოველგვარი ცნობები, ავწერეთ კ. პ. გურიის კომიტეტის მომავალი წევრების სახელი და გვარი. შევხვეთ, დავადევით ბეჭედი და გადავეცი ამხ. თედორე კალანდაძეს. რომ ეხელმძღვანელა ამ სიით. გადასაცემად წაიღო ამხ. სამსონ ქანიშვილმა. დავემშვიდობებთ ერთმანეთს [18] ნოემბერს და მე სამტრედიამდე გამომიყვანა ამხ. სარდიონ ჯიბუტის ძმა. წავედი ჩამოფლეთილი ტანისამოსით, როგორც საწყალი გლეხი. იქ მივედი ერთ საიმედო მენშევიკის ოჯახში, სადაც მოვაწყვე ამხ. ოლას მოყვანა. რომლის საშუალებით შევიძინე ტანისამოსი, ავიღე ბილეთი და გავემგზავრე ტფილისში. 19 ნოემბერს გაუგზავნე საიმედო კაცის ხელით ნ. რამიშვილს განცხადება და გავაგზავნე აგრეთვე ახერბეიჯანში ბილეთის (პროპუსკი) ასაღებათ კაცი. გაგზავნილებმა შეასრულეს დავალებანი, ერთმა მომიტანა სხვის სახელზე „პროპუსკი“. რადგან სხვისი მოწმობა მქონდა და მეორემ კი, მომიტანა პასუხი, რომ 48 ყაჩაღი გაასამართლა გურიის გლეხობამ და მაგათაც ისინი გაასამართლებნო და გადაეცით, რომ ჩიტათ რომ გადაიქცენ, საქართველოს ფარგლებიდან მაინც გერ გაგვივაო. ამის შემდეგ რაღა შემეძლო: ავდექი და მივედი სადგურ ნავთლულში, სადაც ავაღებინე მატარებლის ბილეთი ამხანაგს და ჩავჯექი. ჩავედი ფოილოს ბილეთან, იქ კი გავვშინჯეს და წაველით ბაქოში მშვიდობიანათ. ბაქოში ჩასვლისას გავემართე მუშათა სასახლეში, მაგრამ დახე უბედურებას, რომ კარები დაღუჭული დამიხვდა, გავჩერდი და ამ დროს ვილატამ ჩამოიარა და მითხრა ჩალაპარაკებით: ამხანაგო, გაეცალე მადედან, რომ არ დაგიჭირონო. გავშორდი და ჩაველი დაბლა (ყოფილ პარაპეტის ბაღში) ცოტა ხანს დავისვენე და ვფიქრავ, თუ სად წავიდე, ბოლოს მომაგონდა ერთი ამხანაგი. — ს. კეკელიძე, მაგრამ ქუჩა არ ვიცი სად ცხოვრობს. მომაგონდა, იქავე ახლოს სახელოსნო აქვს კალანდაძეს. მივედი, გამოვიძახე გარეთ. ვთხოვე გამყოლოდა. დამეთანხმა სიამოვნებით და თან მომილოცა, რომ ჩვენ გავიგეთ ვითომ დაგხერიტესო და ცოცხალი ხარო, მიმიყვანა კეკელიძესას, რომ-

ლის ოჯახში ჩემი მისვლით დიდი სიამოვნება შეიქნა, რადგან მათი ნათესავი სამსონ ჭანიშვილი იყო ცოცხალი ჩემი ცნობით.

შემდეგ გავიგე ყველაფერი. გამოირკვა, რომ მთელი მოწინავე ამხანაგები თითქმის დატყვევებული არიანო და სასტიკი რეაქცია სუფევსო, ამავე დროს ვინც 1918 წელში არ ყოფილა ბაქოში, ყველას იჭერენ და გზავნიან თავ-თავიანთ ქვეყანაშიო. შემდეგ წაველო ბაღდადაში. იქ ვნახე ძმები ალექსანდრე, არტემ, პავლე და ნიკოლოზ ლომთათიძეები და ვანო მიქელაძე, რომლებმაც ძმური დახმარება გამოიწიეს; ბინათ კი ვიყავი ჩემ ნათესავ, ვანო და ნატა ლომთათიძეებთან. ვცხოვრობდი თითქმის 15 დღე არალეგალურათ, ჩატუწერავათ, რაც დიდათ აკრძალული იყო. მაგრამ არტემ ლომთათიძემ მოახერხა ვიღაც მის ნაცნობ ქართველ პრისტავ ავლოვის საშუალებით ბილეთის აღება, ვითომ მე ვცხოვრობდი 1918 წლიდან და ვმსახურობდი მასთან როგორც ტარიელ მგალობელი. ასე მომეცა საშუალება აშკარა მისვლა-მოსვლის და ამხანაგებიც გამოენახე. ცოტა ხნის შემდეგ შევედი რკინის გზის კურსებზე და რომ სხვა უკეთესი სამსახური ვერ ვიშოვნე, დავიწყე მუშაობა საქალაქთაშორისო სახალხო მატარებელზედ კონდუქტორათ, სადაც გავიცანი ამხანაგები. დავდიოდი კრებებზედ, კლუბებში და სხვ. მხოლოდ აპრილის რევოლიუციის დღიდან კი ახტეკას განკარგულებით ვიქენი რკინის გზაზედ გადაყვანილი კომისრად, მაგრამ თითქმის მუშაობა არც კი დამეწყო ისევ გამომიძახეს და გამგზავნეს მე-11 არმიის პოლიტ-სამმართველოს განკარგულებაში, რომელმაც დამნიშნა ქართულ ლეგიონის კომისრად, სადაც მრავალი ქართველი გამოიწაფა და 1921 წელს 25 თებერვალს პირველ ჯავშნიან მატარებელს შემოვყევი საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისში.

ტარასი მგალობლიშვილი.

გალუპევიკები ჩხარში 1918 წ.

(მათი მუშაობის ერთი სურათი)

1918 წლ. 19 თებერვლისათვის დ. ჩხარში მოწვეული იყო მენ-
შევიკების მიერ ჩხარის რაიონის გლეხთა ყრილობა-მიტინგი, სადაც
უნდა აერჩიათ გლეხთა საბჭო.

აღგ. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელსაც იმ ხანებში
მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქუთაისის ორგანიზაციასთან, გადასწყვიტა
მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და გაეყვანა თავისი კანდიდატები
ულარიბესი გლეხებიდან. გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად
საჭირო იყო ჩვენც გვეყოლოდა ერთი კარგი პროპაგანდისტი ამ დღი-
სათვის, რომელიც ყრილობაზე გააცნობდა დამსწრე გლეხობას ბოლ-
შევიკების მოთხოვნილებებს საერთაშორისო მდგომარეობასთან და-
კავშირებით. ამ წელში ჩხარის ბოლშევიკური ორგანიზაცია სუსტი
იყო. შენდგებოდა 22 წევრისაგან, თავმჯდომარეთ ითვლებოდა ამხ.
ვ. შოთაძე. ეს ის დრო, — იყო, როცა ძალზე იყო გამწვავებული სა-
ქართველოში მდგომარეობა. ბათუმზე უკვე იწყებოდა შემოტევა ოს-
მალეთის მხრივ.

ამასთანავე ერთად დასავლეთ საქართველოში (ქუთაისში) ადგი-
ლი ჰქონდა დიდ უწესობას, არ ნახულ „პოგრომებს“. დ. ჩხარში ორ-
განიზაციამ დაგვაგალა მე და ამხ. ა. აუშტროვს წავსულიყავით ქ.
ქუთაისში 17 თებერვლს, გვენახა იქ ამხანაგები, გადაგვეცა მათთვის
დ. ჩხარის მოწვეულ გლეხთა ყრილობაში ჩვენი მონაწილეობის მი-
ღების გეგმები და გვეთხოვა, რომ გამოეგზავნათ ერთი მოწინააღმდეგე
ამხანაგი. დავალება შესრულებული იქნა. 17 თებერვალს საღამოთი
უკვე ქუთაისში ვიყავით „პროვოდნიკის“ შენობაში (თეატრთან ახ-
ლოს), სადაც იყვნენ ამხ. ბუდუ. ს. გეგეჭკორი და სხ. ამხ-გები. მათ
გადავეცით რაშიაც იყო საქმე და ვსთხოვეთ, რომ წამოსულიყვნენ
დ. ჩხარში.

ამხ. ბუდუ მაშინვე დასთანხმდა წამოსვლაზე, რომელსაც ს. გე-
გეჭკორიც უნდა წამოჰყოლოდა, მაგრამ იმ საღამოსვე მიღებულ იქნა
ცნობა ლეჩხუმის მაზრაში აჯანყების დაწყების შესახებ და ამის გამო
ამხ. საშა ჩხარში ვეღარ წამოვიდა.

ამხ. ს. გეგეჭკორის მაგივრად ამხ. ბუდუსთან ერთად წამოვიდა
ნ. ბახტაძე.

17 თებერვალსე ღამით ამხ. ბუღუ, კოლია ბახტაძე და აუტ-ტროვი გამოემგზავრენ სვირში ღამის მატარებლით, საიდანაც დ. ჩხარში უნდა ასულიყვნენ 18 თებერვალს. მათ წამოსვლამდე მე გამოვყევი პირველ მატარებელს სვირისაკენ და ნაშუალამევის ორ საათზე უკვე სვირში ვიყავი, საიდანაც გავუდექი ჩხარის გზას ბნელ ღამეში. სვირიდან ჩხარამდე 13 ვერსია. გზაზე წამოვეწიე ერთ სოფ. სიქთარუელ გლესს, გვარად, თუ არ ვსცდები, ცხადაძეს. რომელთან დავრჩი იმ ღამეს. აქედან კიდეც 8 ვერსია დ. ჩხარამდე.

დილით ადრე ჩხარში მისვლისთანავე ვიქირავეთ ცხენები და სასწრაფოთ გაუგზავნეთ ამხ. ბუღუს და სხვა ამხანაგებს სადგურ სვირში. დღის პირველ საათზე ამხ. ბუღუ ამხანაგებით მოვიდა. ბუღუს მოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ ჩხარის რაიონს. ახმაურდენ ადგილობრივი მენშევიკ-ფედერალისტ-რევოლუციონერები. ამხ. ბუღუს მოსვლისთანავე ჩვენ ხელით დავსწერეთ დიდი აფიშები და გავაკრით რამოდენიმე ალაგას, რითაც ვაუწყებდით მოქალაქეებს, რომ 18 თებერვალს, საღამოს სრულ 8 ს. ამხ. ბუღუ გააკეთებს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე. მოხსენებაზე შესვლა უფასო იყო. მოხსენებისათვის ავირჩიეთ ყველაზე უფრო დიდი დარბაზი დ. ჩხარში, ადგ. სომეხთა სასწავლებლის დარბაზი, სადაც ხშირად იმართებოდა სხვადასხვა წადმოდგენები და საღამოები. ეს დარბაზი უფრო ჰგავდა ეხლანდელ პატარა კლუბს. ამხ. ბუღუმ მოსვლისთანავე გაიცნო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მენშევიკური ბიუროს მოწინავე პირები. ამ ხანებში ბოლშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოცხადებული „კანონს ვარეშე“ მენშევიკების მიერ და ბოლშევიკების დევნა ის იყო იწყებოდა.

ამხ. ბუღუმ მისწერა ადგ. მენშევიკების ბიუროს: „მე დღეს საღამოს 8 ს. ვაკეთებ მოხსენებას და გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენლები კამათში მონაწილეობის მისაღებათ“.

იმ ხანებში ჩხარის მენშევიკურ ბიუროში მუშაობდა მინა ჩუბინიძე, რომელიც ახლად ჩამოსული იყო ციმბირიდან. ამხ. ბუღუს მისვლის დღეს იქ იმყოფებოდა მენშევიკების სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი ძველი მუშა და პასუხისმგებელი პიროვნება მენშევიკებში მოქ. ბარამ მერკვილაძე. ჩვენ ვემზადებოდით, რომ მასიური ხასიათი მიგვეცა ამხ. ბუღუს მოხსენებისათვის.

18 თებერვალს, შაბათს, კარგი ამინდია, უკვე ღამდება. ხალხმა ნელ-ნელა იწყო თავის მოყრა სკოლის დარბაზში, ამ დროს მენშევიკებსაც არ სძინავდათ. თავისი მხრით იმითაც მიიღეს სასწრაფო ზოლები, რომ ამხ. ბუღუს არ გაეკეთებია მოხსენება. იმათ მიმართეს შემდეგ ხერხს; ჯერ კიდევ ადრე მენშევიკებმა მოსთხოვეს ამხ. ბუღუს. მერე ისიც ქუჩაზე, ბალშევიკური პარტიის წევრობის მანდატი, ბუღუმ

მათ არ უჩვენა ეს და უბასუხა: „ხომ მიცნობთ, მე ბუღუ მდივანი ვარ, მით უმეტეს აქ გაზრდილი. მოწმობები და მანდატები ჩვენ გვჭირდება ნიკოლოზის დამქაშების მოსატყუებლად. ესლა რა საჭიროა ასეთებით“.

მენშევიკებს აოაფრად ეპიტნავათ ამხ. ბუღუს ასეთი პასუხი. ვაიმართა ცხარე ლაპარაკი მათ შორის. სხვათა შორის, ამხ. ბუღუმ უთხრა მათ: „ჯერ მე თქვენგან მიღებული მაქვს ასეთი 10 შეურაცყოფა. მეთერთმეტე ესლა ჩხარი იქნება“. მენშევიკებმა ბუღუს ეს სიტყვები კარგად ვერ გაიგონეს, ან და აქაც გამოიჩინეს „ვეუკაცობა“ და „დიდი ნიჭი“, გადააკეთეს ბუღუს ეს სიტყვები შემდეგნაირად: „ათი „პოგრომი“ უკვე მოვახდინე და მეთერთმეტე ჩხარი იქნება“. მენშევიკებმა მოილაპარაკეს სასაწრაფოთ, შეუხმატკბილდენ ადგ. ფედერალისტებს და სხ. პარტიებს, დასწერეს სასაწრაფოთ წერილი მაზრაში გასაგზავნათ. გადაკეთებული ბუღუს სიტყვები ჩასწერეს წერილში, როგორც თითონ მოუხდებოდნენ და ამასთანავე ერთად დაუმატეს: „ბუღუ მდივანი მოვიდა ჩხარში, ჩხარში „პოგრომია“ და იწვის. სასაწრაფოთ მოგვეშველეთ“. წერილი ვაატანეს ძველ „რევოლუციონერს“ გრიგოლ ფიფინოვს. მაშინ ტელეფონის ქსელით არ იყო ჩხარი შეერთებული მაზრასთან. ჩხარიდან ზესტაფონამდე 25 ვერსტია. რაც არ უნდა ყოფილიყო, ზესტაფონიდან მაინც ვერ მოვიდოდნენ მეორე დღემდე „პოგრომისა და ცეცხლის ჩასაქრობად“. ამასთანავე ერთად მენშევიკებმა მოიწვიეს გაერთიანებული კრება ფედერალისტებთან და მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ ჩაეშალათ ამხ. ბუღუს მოხსენება. ერთდამივე დროს ფეხზე დააყენეს შეიარაღებული გვარდიაც. კრებაზე გაჩნდნენ ისეთები, რომლებიც ამბობდნენ: უმჯობესი იქნება ბუღუ ესლავე დაეატუსალოთ და მოხსენებაც აღარ შესდგებოდეს. ზოგი კი ამის წინააღმდეგი იყო: „ბუღუ დიდი კაცია და მისი დატუსალება შეუძლებელია“.

მოხსენებაზე საკამათოთ წამოსვლას კი ვერავინ ბედავდა. მენშევიკ ბარამ მერკვილაძემ, რომელიც თავისი ყვირილით მუდამ ხალხს აყრუებდა, ამ შემთხვევაში თავი შეიხვია „თავის ატკივების გამო“. კრებაზე დაბოლოს მიღწიეს შეთანხმებას, გაეგზავნათ არჩეული კომისია და ჩაეშალათ დახურული მიტინგი, იმ მიზეზით, რომ ბუღუს არ ქონდა მანდატი და არ არის ოფიციალური წევრი ბოლშევიკური ორგანიზაციისაო. ამასთანავე ერთად კომისიას თან გააყოლეს შეიარაღებული ძალა. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ხალხი არ დაიშლებოდა, მაშინ გვარდიას ძალით უნდა გაერეკა მიტინგი. მიტინგს ხალხი აუარებელი დაესწრო. მ საათი უკვე სრულდებოდა და მენშევიკების წარმომადგენლები, რომლებიც ამხ. ბუღუმ მოიწვია, ჯერ კიდევ არ სჩანდნენ და არც არავითარ პასუხს იძლეოდნენ. ამხ. ბუღუ არ იწყებს მოხ-



სენებას. მან კიდევ გაგზავნა რამოდენიმე პირი მენშევიკებთან, რომ მოსულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში. ბევრი ცდის შემდეგ ამხ. ბუდუმ ამჯობინა მოხსენების დაწყება. მიტინგი გახსნა ამხ. ნ. ბახტაძემ. ამხ. ბუდუმ დაიწყო მოხსენება. ხალხი სმენად არის გადაქცეული და ყველა აღტაცებაშია კარგი და გასაგები მოხსენებით. მოხსენება უკვე ერთი საათის დაწყებული იქნებოდა, როცა შევიტყვეთ ჩვენ მენშევიკების ბიუროს დადგენილება მიტინგის ჩაშლის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხალხი არ დაიშლებოდა, ძალით უნდა გაერეკათ და ბუდუ კი დაეტუსაღებიათ. სრული ცხრის ნახევარი იქნებოდა, რომ დარბაზში შემოვიდა მენშევიკების ბიუროს მიერ გამოგზავნილი წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ: მიხა ჩუბინიძე (მენშევიკი), ალ. კავაძე — ადგ. უმაღლეს დაწყებითი სკოლის გამგე — (ამ ეამად სიმონეთის შრომის სკოლის გამგე — ფედერალისტი) და ივანე ლუტიძე — ფედერალისტი და სხვები.

დარბაზში შემოსვლისთანავე ამხ. ბუდუს შეაწყვეტინეს ლაპარაკი. ამხ. ბუდუ შეჩერდა და „სტუმრებს“ დაუწყო ცქერა. მოქ. კავაძემ მოიხადა ქუდი და დაიწყო: „ბატონებო! ბუდუს ჩვენ რამოდენიმე საათით ადრე ვთხოვეთ ბოლშევიკური პარტიის წევრობის მანდატი. ასეთი მას არ აღმოაჩნდა და ამიტომ ბიუროს დადგენილებისა და მისი დავალების თანახმად გიცხადებთ და მოგიწოდებთ დაიშალოთ ახლავეო“.

შემდეგ სიტყვა აიღო ამხ. ბუდუმ და დაწვრილებით გააცნო ხალხს, თუ როგორ მისწერა წერილი მან მოსვლისთანავე მენშევიკებს. ამოიღო უბიდან პარტიის წევრობის მანდატი და მიმართა მიტინგის ჩამშლელებს: „აი ჩემი მანდატი, მე ვფიქრობდი, რომ დღეს, ამ დიდი რევოლუციის დროს, თქვენ „სოციალისტები“ ასეთ რამეებს აღარ გამოეკიდებოდით და მე უფრო მენდობოდით პირადათ. აი ჩემი ნამდვილი პირადობისა და პარტიის წევრობის მანდატი, რომელიც გამოცემულია ქუთაისის ბოლშევიკურ ორგანიზაციისაგან“ (წაუკითხა მანდატის ნომერიც).

ბუდუმ უჩვენა მანდატი ხალხს და „სტუმრებს“ კი უთხრა: „ამ მანდატს ამის შემდეგ აი ვაჩვენებ ხალხს, მივსცემ მათ და თქვენ კი არაო. ამდენი ხანი თქვენ გელოდებოდით, მოხსენება გვიან დავიწყე და თქვენ ამის მაგივრად მოსულხართ და ხელს გვიშლით მოხსენების ჩატარებაშიო“. დაასრულა თუ არა ეს სიტყვები ამხ. ბუდუმ, დარბაზში გაისმა გაცხოველებული ტაში და ძახილი მენშევიკების მიმართ: „გარეთ“, „გარეთ“ და სხ. ამ დროს მენშევიკების გიარდიას ალყა შემოერტყა შენობისათვის და ელოდებოდა უფროსების განკარგულებას. მიტინგზე გაშავებულები გამოვიდნენ გარეთ მუქარითა და გას-

ცეს განკარგულება გვარდიელების მიმართ აეტეხათ სროლა. მკაცრ-
 ლაც, არ გაუვლია რამოდენიმე წუთს და შეიქნა საშინელი სროლა
 ვინტოვებიდან. აირია მთელი დარბაზი, რომელიც ძლივს იტევდა
 ხალხს. შეიქნა საშინელი წივილ-კივილი. „სტუმრები“ ისევ შემოვი-
 დნ დარბაზში და დაიწყეს ყვირილი და ხალხის ვითომდა დაწყნა-
 რება. ხალხი კი არ აცლიდა მათ და გაბრაზებული უყვიროდა შეეწ-
 ყვირათ სროლა და დაეტოვებინათ დარბაზი.

ამხ. ბუღუ ამ დროს აუღელვებლად იდგა და მოუწოდებდა ხალხს,
 რომ დაწყნარებულიყო.

შესწყდა სროლა. დამსწრენი წამოდგნ და დაიკავეს თავიანთი
 ადგილები: ხალხი დაწყნარდა. ამხ. ბუღუ კვლავ შეუდგა თავის მოხ-
 სენების გაგრძელებას. სროლის შემდეგ დარბაზს ხალხი კიდევ უფრო
 მოემატა. თვით გვარდიელებიც კი შემოვიდნ დარბაზში და მოის-
 მინეს მოხსენება. ამხ. ბუღუს მოხსენებამ მართლაც ძლიერ დააინტე-
 რესა დამსწრენი. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზე-
 დაც მან სათანადო პასუხი გასცა.

მიტინგი დაიხურა ნაშუალამევის 1 საათზე. მენშევიკებმა კი ამ
 საზიზღარი ამბის შემდეგ დაჰკარგეს ნდობა ყოველი პატიოსანი მო-
 ქალაქის თვალში.

როგორც ზემოთ მქონდა აღნიშნული, ამხ. ბუღუს მოსვლისთა-
 ნავე მენშევიკებმა ზესტაფონში აფრინეს კაცი. თებერვლის 18-ს და
 19 თებერვლისათვის მოწვეული გლეხთა მიტინგი გადასდევს სხვა
 დროისათვის.

მაზრის ხელისუფლებამ მაშინვე გასცა განკარგულება გვარდიის
 მიმართ და მეორე დღეს, დილის 10 ს. გვარდიის უფროსის ნიკოლოზ
 გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით ჩხარში მოვიდა 45 კაცამდე თავიდან
 ფეხებამდე შეიარაღებული ცხენოსანი გვარდია ერთი ეტლით (ეტლი
 წამოყვანათ სპეციალურად ამხ. ბუღუ მდივნისათვის). 19 თებერ-
 ვალი კვრა იყო. დილიდანვე მოდიოდა ნელი წვიმა. ახლო-მახლო
 სოფლებიდან იწყო ხალხმა დენა დ. ჩხარში. ყველას გაეგო ამხ. ბუ-
 ლუს მოსვლა და ეშურებოდნ მის ნახვას და მოხსენების მოსმენას.

ხალხში ბევრი გამოჩნდა მობოლშევიკო ყოფლი „ხალდათები“,
 კვლავ გაიმართა კრება ისევ იმ სასწავლებლის დარბაზში. წვიმის
 გამო გარეთ კრების გამართვა არ მოხერხდა.

ამხ. ბუღუმ ამ დღეს გამართა საუბარი მომავალი მუშაობის
 შესახებ.

ამხ. ბუღუ მოხსენების შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ისევ ქუ-
 თაისში. სწორედ ამ მოხსენების დროს დარბაზში შემოვიდა ზესტა-
 ფონის გვარდიის უფროსი მოქ. ნიკოლოზ გაჩეჩილაძე. თვით შენობას
 კი ალყა ჰქონდა შემორტყმული გვარდიელების მიერ.

გვარდიის უფროსი მიუახლოვდა ბუდუს და გამოუცხადა; „თუ წვიძლებოდეს, წამობრძანდით ადგ. კომისარიატში“ (მილიციის სამმართველოში). ბუდუ დასთანხმდა მხოლოდ მოხსენების დასრულების შემდეგ. გაჩეჩილაძე იქვე ჩამოჯდა სკამზე თვით ბუდუს თხოვნით. გაათავა ამხ. ბუდუმ თავის მოხსენება. 11 საათი იქნებოდა, რომ ის წაიყვანეს დატუსაღებული. ჩვენთან დარჩა ამხ. ნ. ბახტაძე. ბუდუს დატუსაღების შემდეგ კრება არ დაშლილა. კრებაზე შემოიტანეს წინადადება, რომ აერჩიათ 3 — 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია და გაეგზავნათ გაჩეჩილაძესთან ამხ. ბუდუს დატუსაღების მიზეზის გამოსარკვევად. მართლაც, აირჩიეს დელეგაცია დამსწრე გლეხებისაგან და გაგზავნეს გაჩეჩილაძესთან, სადაც იმყოფებოდა ამხ. ბუდუ დატუსაღებული. დელეგაცია მალე დაბრუნდა. შეეიტყვეთ, რომ ამხ. ბუდუ დატუსაღებული ზესტაფონში მიყავდათ. დაიშალა კრება, ჩავედით ბაზარში, სადაც ხალხი არაჩვეულებრივ მოძრაობაში იყო. ბაზარი სავსეა ზესტაფონიდან მოსული გვარდიელებით და ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული გლეხებით. უკვე ემზადებიან ამხ. ბუდუს წასაყვანათ, მოიყვანეს ეტლი, რომლითაც ამხ. ბუდუ გარშემორტყმული 45 ცხენოსანი გვარდიელით წაიყვანეს ზესტაფონში. ამხ. ბუდუს ეტლს ხვდებოდა ხალხი და ემშვიდობებოდა. ბუდუც მადლობას უხდოდა ხალხს და ეუბნებოდა: „მოვა დრო და ისევ მალე გნახავთ“. ამხ. ბუდუ ზესტაფონში ჩაყვანისთანავე გაანთავისუფლეს, საიდანაც ის პირდაპირ გაემგზავრა. თუ არ ვსცდები, დ. აბაშაში, სადაც ისეთივე ამბავი შეხვდა, როგორც დ. ჩხარში. იქ. დატუსაღებული ამხ. ბუდუ გადაგზავნეს ქ. ქუთაისის ციხეში. დ. ჩხარში ამხ. ბუდუს დატუსაღების რამოდენიმე დღის შემდეგ ვკითხულობთ ქუთაისის გაზეთ „სოციალ დემოკრატი“ (№ № არ მახსოვს) კორესპოდენტის „პროლეტარის“ ხელმოწერით, სადაც აწერილი იყო ამხ. ბუდუს მიერ დ. ჩხარში „მოდენილი პოგრომის ამბები“. დამწერს (ზესტაფონელს) რაღაცა გაუგონია ქუჩაზე და იმ წამსვე გამოიტანა ასეთი „სიმართლე“ გაზეთის ფურცლებზე. დ. ჩხარში ამ წერილის წაკითხვა საზოგადოებაში იწვევდა უსაზღვრო სიცილს.

იმ ხანებში ქალაქ ქუთაისში გამოდიოდა გაზ. „ჩვენი ბრძოლა“ (ბოლშევიკ. ორგანო), სადაც დაიწერა პასუხი ზემოხსენებულ წერილზე. გაზეთი მოითხოვდა ამხ. ბუდუს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ოქტომბრის რევოლუციის და ქართული მენშევიკები *)

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ამონაწერებს გაზეთებიდან იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ საქართველოში ოქტომბრის რევოლუციას.

ეს ამონაწერები აშკარათ და ნათლათ ამკტიცებს, თუ რა უცბათ იცვალეს ფერი მენშევიკებმა პროლეტარული რევოლუციის პირველი ამბის გაგონებისთანავე. ამ მხრივ ამ ამონაწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოქტომბრის რევოლუცია მაშინ მოხდა, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაფარებული მენშევიკური „დემოკრატიული რესპუბლიკის“ თეთრი სუღარა, მაგრამ ეგრეთ წოდებული დემოკრატია, ამ დემოკრატის დიდი უმრავლესობა, მენშევიკების გამგონე და დამჯერე იყო.

მუშები ჯერ ვერ ერკვეოდნენ მენშევიკების ვინაობაში, მენშევიკების გაზეპირებული რევოლუციონური სიტყვა-პასუხი იმ დროს ბევრს მუშას კიდევ სწამდა.

ოქტომბრის რევოლუცია იმ დროს მოხდა, როდესაც მენშევიკების ბელადები სხვის გასაგონათ მაინც ამბოდნენ ხოლმე, რომ „რუსეთის რევოლუციაში შექმნილი ყოველი მთავრობა პროლეტარიატის ნების გარეშე კონტრ-რევოლუციონური იქნება“.

ასეთი იყო მენშევიკების სიტყვები, მაგრამ, როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა მოინდომა არამც თუ ის, რომ მის ნებისა და სურვილის გარეშე არავის მოეწყო მთავრობა, არამედ მან — პროლეტარიატმა — თვითონ მოინდომა და იკისრა მთელი სახელმწიფოს ძალაუფლების ხელში აღება, მაშინ მენშევიკებს ეს სიტყვა-კაზმული ლაპარაკი შეეშალათ და ფერი ეცვალათ.

როგორ შეხვდნენ მაინც მენშევიკები ოქტომბრის გადატრიალების ამბავს?

იმდროინდელ გაზეთებს, როდესაც ჰკითხულობ, აშკარათ სჩანს მენშევიკური პარტიის ბელადების გზადანეული თაღლითობა. ჯერ ისენი თავს იკატუნებენ, თითქოს არც კი ესმით და არ იციან, თუ რა

*) რედაქცია სთხოვს ამხანაგებს მოგვაწოდონ ამავე თემაზე როგორც პირადი მოგონებები, ისე სხვა მასალები.



ამბავია პეტროგრაღში. შემდეგ, როდესაც მომხდარი ამბების გადამალვა და გადაფურჩეხება შეუძლებელი შეიქნა, მაშინ მენშევიკების ბელადების ნიჭი და უნარი მხოლოდ იმას უნდებდა, რომ ყველას დაუმტკიცონ, რომ ამ ამბებიდან სახეირო არაფერი გამოვა და უსათუოთ ბალშევიკების დამარცხებით გათავდებაო. როდესაც არც ეს იმედი გაუმართლდათ, ისენი ურყევით და გარკვევით გადავიდნენ არა მუშების მხარეზე, — მუშათა მტრების ბანაკში მოკალათდნენ და იქედან მოჰქონდათ და მოაქვთ იერიშები მუშათა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ესლა, რასაკვირველია, ძნელათ თუ მოაბოვება ჩვენში ისეთი მუშა, რომ არ ესმოდეს და გაგებულნი არ ჰქონდეს მენშევიკების მოქმედების ნამდვილი მნიშვნელობა, მაგრამ ესლაც საჭროა კიდევ, თუნდა ერთხელ, ძველი საბუთების გადათვლიერება და კვალ და კვალ თვალის გაყოლება, თუ როგორ მოსცილდნენ და უღალატეს მენშევიკებმა მუშათა საქმეს.

როგორც ზევით ვთქვი, პირველათ მენშევიკები თავს იკატუნებდნენ, არ ვიცით რა ამბავია პეტროგრაღშიო.

„ყველა რევოლიუციისაში ასე მომხდარა — მემარცხენე ელემენტების გაძლიერება და ქუჩის გამოსვლა რევოლიუციონურ ორგანოებზე გაელენის მოსახდენათო“.

ასე ანუგეშებს და ამშვიდებს ქართველ მუშებს ერთი მათგანი. „...დიდი არაფერი გეგეონოთ, რომ რევოლიუციის დროს ყოველთვის მომხდარა ასეთი ამბები და ესლაც იგივე ხდება, რაც სხვა რევოლიუციების დროს ყოველთვის მომხდარაო“ — ასე უნდა გავიგოთ მანუგეშებელის ზემოთ მოყვანილი სიტყვები.

მის სიტყვებს რომ მეტი დაჯერება ჰქონდეს, ის იქვე უმატებს:

„ასე იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როცა პარიზის პროლეტარიატმა მოითხოვა ჟირონდისტების გამორიცხვაო“.

ესეც ისტორიული მაგალითი ბრიყვების და გულუბრყვილობის დასაჯერებლათ.

ეს ყოველივე თავის-თავად საუცხოო და საგულისხმოა, მაგრამ უფრო მეტათ საინტერესოა იმავე მენშევიკის დასკვნა. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვედროდნენ, რა თვალთ უნდა შეეხედათ ქართველ მუშებს პეტროგრაღში მომხდარ ამბებისათვის. ის ასეთს რჩევას იძლევა:

“ჩვენ არც უნდა გავკიცხოთ არც უნდა მივესალმოთ ბოლშევიკების გამოსვლასო“.

ერთი სიტყვით, პეტროგრაღში ბოლშევიკები თავის ტყავში არ ეტყვიან, რაღაც უკიდურესობაში გადავარდნილან, რაღაცას მოითხოვენ, მაგრამ, რა ვუყოთ, რევოლიუციის დროს ასეთი ამბები ყო-

ველთვის ხდება და ამისათვის თავის შეწუხება არ ღირსო.

ასეთია პირველი ცდა! მენშევიკებს უნდათ ოქტომბრის რევოლუციას დაუკარგონ ქართველი მუშების თვალში ყოველგვარი მნიშვნელობა და ურჩევნ ქართველ მუშებს — რას დაეძებთ, კისერი უტეხიათ, მაგათი სისულელით ჩვენ არაფერი დაგვიშავდებაო.

ასეთი ხერხით ფონს გასვლა ძლიერ ძნელია.

წვრილმან რაიმე ამბავის რამოდენიმე დღით მიჩქმალვა და მიფუჩჩეება კიდევ მოხერხდება, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის დამალვა ხომ ყოველად შეუძლებელი იყო და მენშევიკებმა არჩიეს გამოეჩინათ ეს „ჭირი“ და სატკივარი.

გაზეთებში ზედიზედ იბეჭდებოდა ცნობები, რომლებიც სრულებით არ უმოწმებს მენშევიკებს, რომ პეტროგრადში უბრალო „ქუჩის გამოსვლა“ იყო და მეტი არაფერი.

25 ოქტომბერს თბილისში უკვე არის ცნობა, იმის შესახებ, რომ „პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციონურმა კომიტეტმა ჯარის ყველა ნაწილებში დაგზავნა კომისრები“.

ეს ერთი ცნობა. ეხლა მეორე:

„პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციონურმა კომიტეტმა მიწვრილობა დაუგზავნა ჯარის ნაწილებს არ დაემორჩილონ მთავრობის ვანკარგულებებს“.

ასეთია პირველი ცნობები, რომლებიც სავსებით აბათილებს მენშევიკების განმარტებას უბრალო „ქუჩაში გამოსვლის“ შესახებ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს უკვე პირველი წინასწარი ნაბიჯია ძალაუფლების დასაპყრობათ.

მეორე დღეს 26 ოქტომბერს კიდევ უფრო აშკარათა და ცხადათ სჩანს, რომ პეტროგრადის პროლეტარიატმა არამც თუ გადასწყვიტა. არამედ კიდევ დაიწყო ის საბედისწერო ბრძოლა, რომლისათვისაც ის აგერ რამდენი ხანია ემზადებოდა.

„...ლამის პირველ საათზე გამოვიდნენ ბალშევიკები.

„...დაპატიმრებულია მინისტრი კარტაშევი.

უკვე სჩანს, რომ აჯანყება დაწყებულია, რომ აჯანყებულებს დაუპატიმრებიათ დროებითი მთავრობის წევრები. მართალია, აქ მხოლოდ ერთი მინისტრის შესახებ არის ცნობა, მაგრამ რომელ გიჟს უნდა დაეჯერებია ის, რომ, რახან დაჭერაზე მიდგა საქმე, ვიღაც „სარწმუნოების მინისტრს“ დაიჭერდნ და სხვებს კი თან არ მიაყოლებდნ. მაგრამ მენშევიკებისათვის, ალბათ, არ იყო სასურველი და სასარგებლო მთელი სიმართლის გაგება და გამომჟღავნება.

მაგრამ ცნობები ერთი-მეორეს მისდევს, ერთი მეორეს უსწრებს:

„...პეტროგრადის გარნიზონის დიდი უმრავლესობა გადავიდა ბოლშევიკების მხარეზეო, მოაქვს ცნობა ჩრდილოეთიდან ტელეგრა-



ფის მავთულს და მენშევიკებს თუმცა ძალიან არ უნდათ ამ ამბის გამხელა, მაგრამ რას იზამ, „ძალა აღმართს ხნავს.“

„...სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის მხარეზე გადავიდა მთელი პეტროგრადის გარნიზონიო, ატყობინებს სულ ცოტა ხნის შემდეგ ტელეგრაფი.

იქვეა ცნობა იმის შესახებ, რომ კერენსკის ჩრდილოეთის ფრონტიდან მოუხსნია ერთი არმია და მოჰყავს აჯანყების ჩასაქრობათო.

ამის გაგებაზე, ალბათ, მანშევიკებს, ცოტა არ იყოს, გულზე მოეშვათ. დაიბადა იმედი, რომ კერენსკი სისხლში ჩაალრჩობდა აჯანყებას და მენშევიკების ბელადებმაც ხელი მოუსვეს ფარისევლურ გოდებას.

„...არიქა შევატყობინოთ და ეთხოვოთ მათეობას, რომ საქმე მორიგებით გაათავოსო“.

ეს „მთავრობა“ („დროებითი მთავრობა“) მაშინ პეტრე-პავლეს ციხეში ბრძანდებოდა, მაგრამ მენშევიკებს ცნობა მოუვიდათ, რომ ამ მთავრობის მაგიერათ სადღაც მოფარებულ ალაგას — ლუგაში (ეს რკინისგზის პატარა სადგურია, პეტროგრადის ახლოს). დაარსდა რაღაც მთავრობის მაგიერიო. აი იქ აფრინეს მათ თავიანთი დებეშა.

მენშევიკების მეთაურები არც იმდენათ ბრიყვები იყვნენ, რომ არ ცოდნოდან, რომ ისეთი „ქუჩის გამოსვლა“, სადაც ერთმანეთს დაპირდაპირებული ჰყავს პეტროგრადის გარნიზონი და მთელი არმია, აქ სოფლათ ვადამალულ ვიგინდარეების ხელით არაფერი არ მოხერხდებოდა.

ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ბანაკი ერთი-მეორეს წინააღმდეგ იარალით მიდის — ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს, ან მეორემ.

გაიმარჯვებს მუშები და ის ჯარი, რომელიც მუშების მხარეზეა და ერთხელ და სამუდამოთ ფეხი ამოეკვეთება რუსეთის სახელმწიფოში თავად-აზნაურების, მემამულეების, და კაპიტალისტების თარეშ — გამეფდება შრომის ხელისუფლება, რომელიც სოციალიზმის აშენებას მოჰკიდებს ხელს.

დამარცხდება მუშები — გაიმარჯვებს მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალა, კიდევ უფრო მძიმე, კიდევ უფრო აუტანელი შეიქმნება მშრომელი ხალხის მდგომარეობა, მუშებსა და გლეხებს კვლავ წარეკავენ დაუსრულებელ ომის სასაკლაოზე.

ეს ყველასათვის ცხადი და აშკარაა.

ყველასათვის, ვინც ამჟამად ამ ქვეყანაში ცხოვრობს, საჭიროა არჩევანი — ან აქეთ, ან იქით. შუაგული აღარ არის!

ეს კარგათ ესმით მენშევიკებს, მაგრამ ამის თქმა და გამხელა არ შეიძლება. მათ უკვე მოხდენილი აქვთ არჩევანი, მაგრამ მუშებისათვის ამ არჩევანის გაგონება საშიში და სახიფათოა.

რაც არ უნდა იყოს, მენშევიკები მუშების „ვივესკით“ მუშაობენ. მათ პარტიას მუშათა პარტია ჰქვია.

ამიტომ საჭიროა მუშების „მომზადება“ და აი შეიქნა სამზადისი: 26 ოქტომბერს, როცა შუალამისას მთელი თბილისის მუშები გარეთ არიან და მოუთმენლათ მოელიან ამბებს, მენშევიკების მქადაგებლები ერთი მეორეს ეჯიბრებიან ყველა ერთხმად, ერთპირათ მიტინგებზე უმტკიცებენ და არწმუნებენ მუშებს, რომ ბოლშევიკების გამარჯვება და დამარცხებაც ჩვენთვის საზარალოაო.

ჩვენ ვერც დავეხმარებით, ხელსაც არ შეუშლით, ჩვენ აქედან სეირს ვუყუროთო, ამბობენ და ამტკიცებენ მენშევიკები.

მათ იმედი აქვთ, რომ ბალშევიკებს კერენსკის არმია მოსტეხს კისერს, ამიტომ თვითეული ქორი, შეუმოწმებელი ცნობა, რომელიც კი ჩამოაღწევს თბილისამდე, ესენი დიდი ზარითა და ზეიმით აცნობენ მუშებს და უმტკიცებენ:

„პეტროგრადის აჯანყება უკანასკნელ დღეებშია. ის თავიდანვე იყო განწირული, რადგანაც შეთქმულობის წესით ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ეწინააღმდეგება რევოლიუციის ბუნებრივ განვითარებას“.

ასე დასჩხავის თავზე პეტროგრადის გამარჯვებით დათავებულ აჯანყებას, როდესაც საიდგანდაც ვინ იცის რომელი „სარწმუნო წყაროდან“, ჩეწვეთათ ყურში მენშევიკებს მათთვის სასიამოვნო ამბავი.

შეუძლებელია თვითეული ამონაწერის ცალკე გარჩევა და თვითეულზე ცალ-ცალკე შეჩერება. ეს არც საჭიროა, იქ თითქმის ყველგან ერთი და იგივეა. ყველა თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებს.

საბედისწერო და სავალალო იყო მენშევიკებისათვის ოქტომბრის რევოლიუცია და არა მარტო იმისათვის, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ გაუთხარა უფსკრული მენშევიკების „დემოკრატიული სამეფოს“ განხორციელებას, არა, აქ უფრო საბედისწერო მენშევიკებისათვის მეორე გარემოება იყო.

ოქტომბრის რევოლიუციამ გამოაჩინა და გამოიტანა დღის სინათლეზე მათი ბუნების ნამდვილი სახე.

სიტყვაში გავარჯიშებულ მენშევიკების მოციქულებს, სიტყვით მუშებისა და რევოლიუციის მომხრეებს, როდესაც საქმე მუშათა ინტერესების დაცვაზე, მუშათა კლასის მიზნის განხორციელებაზე მიდგა, მენშევიკებს, ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოეცალათ.

მენშევიკების სათაყვანებელი დამოკრატია მოითხოვდა მუშათა კლასის ინტერესების ჩაწინხვლას, მუშათა ინტერესების დალატს და გაცემას, მენშევიკებს აქ დიდი ხნის ყოყმანი არ დასჭირვებიათ — მათი არჩევანი ჩქარი და ურყევი იყო.



...დემოკრატიათან, მუშათა კლასის წინააღმდეგ! აი ასეთი გზა აირჩია მენშევიკებმა საქართველოში, ისე, როგორც ყველგან, მენშევიკები შეუდგენ მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ მუშაობას.

ერთხანს ოსტატურად ახერხებდენ ესენი მუშების მოტყუებას და თვალის ახვევას, მაგრამ საქართველოს მუშებმაც მიაგნეს თავიანთ გზას. ისენი გვერდში ამოუდგენ ოქტომბრის რევოლიუციის დროს გამარჯვებულ თავიანთ თანამოქმედს და მასთან ერთად შეუდგენ დიდი ოქტომბრის წყალობით მოპოვებულ თავისუფლების გამოყენებას სოციალიზმის ასაშენებლათ.

მე აქ განგებ არ ვეხები სხვა პარტიებს. ესერები არსებითად თავის საკუთარსა და განსხვავებული გზას არ ადგენ, ისენი მხოლოდ იმასვე იმეორებენ. რასაც მენშევიკები.

3. მ. ხაყვარელიძე

ოქტომბრის რევოლიუციის გამოქაზილი ტფილისში.

1917 წლის 25 ოქტომბერს მომხდარი გადატრიალების შესახებ ცნობებს ტფილისამდე დიდათ არ დაუგვიანია.

„ტფილისის მუშ. და ჯარ. საბჭოს დეპუტატების იზვესტია“-ს ოქტომბრის 26-ის ნომერში (171) დეპეშებში ასეთი ცნობებია მოთავსებული: „პეტროგრადი, 24 ოქტომბერი. პეტროგრადის რაიონის დეპუტატთა საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლიუციონურმა კომიტეტმა მიწერილობა დაუგზავნა ჯარის ნაწილებს არ დაემორჩილონ მთავრობის განკარგულებებს, უკეთუ ამაზე კომიტეტის სანქცია არ იქნება. კომიტეტმა ჯარის ყველა ნაწილებში დანიშნა კომისრები. დროებით მთავრობა პირველად ფიქრობდა კომიტეტის დატუსაღებას, მაგრამ შემდეგ გადასწყვიტა დაეცადა, თუ რა მოხდებოდა. მცხოვრებთადმი მიმართულ თავის მოწოდებაში სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი აცხადებს, რომ შტაბი არ სცნობს კომიტეტს, ამიტომ უკანასკნელი შტაბის მოქმედებაში პასუხს არ აგებს და ყველგან გზავნის თავის კომისრებს, რომელნიც უნდა დარჩნენ ხელშეუხებელნი. ჯარისკაცთა კომიტეტი მოუწოდებს მცხოვრებთ სიწყნარისა და რევოლიუციონური დისციპლინისაკენ“... და სხ.

— „პეტროგრადში ბალშევიკების კომიტეტის სხდომა განუწყვეტლივ სწარმოებს — საღამოთი ლაპარაკობდენ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტთან შეერთებაზე, მაგრამ ღამით გამოირკვა კომიტეტის შეურიგებლობა“.

ეს ცნობები აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ როგორი მზადება იყო ხელისუფლების დასაპყრობათ.

27 ოქტომბრის „იზვესტია“-ში კი შედარებით დაწვრილებითაა მოთხრობილი როგორც მომხდარი, გადატრიალება, ისე მისი შეფასება სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლების მიერ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრ. კომიტეტის სხდომაზე. ეს სხდომა გაზეთში აღნიშნულია 25 ოქტომბრის თარიღით.

„პეტროგრადის ამბები.“

„ამხ. ვეგეჰკარი აუწყებს კრებას საოლქო (კრაევოი) ცენტრის მიერ მიღებული ცნობების შესახებ. დილის 9 $\frac{1}{2}$ საათზე მიღებულ იქნა დეპეშა, რომ „ლამის 3 საათზე გამოვიდნენ ბალშევიკები. დაპატიმრებულია სარწმუნოებათა მინისტრი კარტაშევი და დროებით მთავრობის საქმეთა მმართველი ვალპერინი. პეტროგრადის გარნიზონის დიდი უმრავლესობა გადავიდა ბოლშევიკების მხარეზე“. დღის 4 საათზე ხელ-ახლა მიღებულ იქნა დეპეშა მინისტრ მალიანტოვიჩისაგან: „მდგომარეობა სერიოზულია. დაწესებულებათა დიდი ნაწილი დაკავებულია ბალშევიკების მიერ. ექსცესები არ არის. ბალშევიკები ფრთხილად მოქმედებენ. ალბათ, ეშინიათ ანარქიული გამოსვლების. შემთხვევით დაპატიმრებული მინისტრი კარტაშევი და ვალპერინი განთავისუფლებულია. სწარმოებს მოლაპარაკება. ხელისუფლება საჭიროებს თქვენის მხრით მხარის დაჭერას“. „პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო“ სალამოს დეპეშაში აღნიშნავს, რომ 22 ოქტომბერს პეტროგრადში შესდგა სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი, რომელთა განკარგულებაში გადავიდა მთელი გარნიზონი. კომიტეტსა და შტაბს შორის მოხდა კონფლიქტი. და ბოლოს, სალამოთი, ამ სხდომის დაწყების წინ, ფრონტის შტაბის უფროსმა გენ. ლეხენინსკიმ გვაცნობა მის მიერ მიღებული დეპეშის შინაარსი „სტავკიდან“, საიდანაც ირკვევა, რომ მინისტრთა თავმჯდომარის კერენსკის მოთხოვნით სტავკას დაუძრავს პეტროგრადისაკენ ჩრდილოეთის ფრონტიდან ერთი არმიითაგანი. კერენსკის გამოუცია მოწოდება, სადაც ის აღნიშნავს, რომ ბალშევიკებმა კავშირი გასწყვიტეს მთელ რევოლუციონურ დემოკრატიასთან იმ დროს, როცა ის ერთიანდებოდა და მოახდინეს გამოსვლა, რაც გამოიწვევს კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლას კადეტებისა და ბურჟუაზიის სხვა ფენებისას. დროებითი მთავრობა ითხოვს მხარი დაუჭირონ მას, რომ დანიშნულ ვადაზე მოიწვიოს. დამფუძნებელი კრება. რესპუბლიკის საბჭო გარეკილია. ბალშევიკებმა დაიკავეს ბანკები და ხაზინა“. საოლქო ცენტრმა ზომები მიიღო რათა დაცულ იქნას მხარეში წესიერება და



წინადადება მისცა საბჭოებს შეაკავოს მოსახლეობა მოსალოდნელ შეტაკებათა და სისხლის ღვრათაგან.

„ამხ. ვრეშჩანკი წინადადებას აძლევს კრებას დაგმოს ბალშევიკური გამოსვლა, რომელსაც მოაქვს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება და დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადება. შექმნილ მდგომარეობიდან უნდა მონახულ იქნას გამოსავალი, რადგანაც ბალშევიკების, როგორც გამარჯვება, ისე მათი დამარცხება მიგვიყვანს რევოლიუციის დასამარებამდე. უნდა შევუდგეთ მოლაპარაკებას და წინადადება მივსცეთ, მოკლე ხნით, რომელიც დარჩენილია დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, შედგენილ იქნას ერთფეროვანი დემოკრატიული ხელისუფლება.“

„ამხ. ავაკიანი წინადადებას აძლევს ადგილობრივ ბალშევიკებს გამოსთქვან თავიანთი აზრი, რომ ვიცოდეთ, თუ რანაირი პოზიცია დავიკავოთ და რანაირი ზომები მივიღოთ მათ შესახებ.“

„ამხ. სტრელკოვსკი: შეიარაღებული ძალით ბალშევიკების წინააღმდეგ გამოსვლა და მათი დამარცხება შექმნის ნიადაგს სამხედრო დიქტატურისა, საბჭოების გარეკისა და რევოლიუციის დამარცხებისათვის. ბალშევიკების გამარჯვება, მათ ხელში ხელისუფლების გადასვლა ვერ შექმნის მტკიცე წეს-რიგს და აუცილებლათ მიგვიყვანს კონტრ-რევოლიუციამდე. ერთად ერთი გამოსავალია შეთანხმება.“

„ამხ. ჯუღელი მიუთითებს, რომ ბალშევიკების გამოსვლა ნაკარნახევია რევოლიუციის მთელი მსვლელობით. ყველა რევოლიუციებში, ვიდრე ისინი აღმავალ ხაზით მიდიან, ხდება ამგვარი გაძლიერება უკიდურეს მემარცხენე ელემენტების და ქუჩის გამოსვლა რევოლუციონურ ორგანოებზე გავლენის მოსახდენათ. ასე იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როცა პარიზის პროლეტარიატმა მოითხოვა ჟირონდისტების გამორცხვა, ესევე ხდება ამჟამად ჩვენშიაც. მეტად საჭიროა ამჟამად არ იქნას დემოკრატიის შორის გაღრმავებული უფსკრული. ამიტომ ჩვენ არც უნდა გავკიცხოთ, არც უნდა მივესალმოთ ბალშევიკურ გამოსვლას. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ როგორც ფაქტს და რაც შეიძლება ჩქარა უმტკივნეულოდ მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია, უნდა გვახსოვდეს რა, რომ ბალშევიკების განადგურება სამხედრო ძალის დახმარებით ხვალეე მიგვიყვანს მენშევიკებისა და ს.რ. განადგურებამდე. უნდა მოხდეს ამ გამოსვლების ლიკვიდაცია სამოქალაქო ომის გარეშე, მით უმეტეს. თვით ბალშევიკებს თავი ფრთხილად უჭირავთ და ექსცესებს არ მიმართავენ. უნდა მოვსთხოვოთ დრ. მთავრობას შეაჩეროს ჯარების გაგზავნა პეტროგრადის წინააღმდეგ და წინადადება მიეცეს ორივე უკიდურეს ფრთას მოახდინონ შეთანხმება ჩვენი კავკა-

სიის პლატფორმის ნიადაგზე. — შექმნან ერთფეროვანი დემოკრატიული ხელისუფლება.

„ამხ. გუსევი აღნიშნავს, რომ დამნაშავეა მთელი დემოკრატია, რომელმაც სწორად ვერ გაიგო ქვეყნის დაცვის იდეა. აქედან, კავკასიიდან, ძნელია რაიმე დირექტივების მიცემა პეტროგრადისათვის, რადგანაც ჩვენ მეტათ ცოტა ვიცით შესახებ იქაური ვითარებისა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რესპუბლიკის საბჭო და დრ. მთავრობა შექმნილია ჩვენ მიერ და ჩვენ ვალდებული ვართ მხარი დაუჭიროთ ხელისუფლებას. უნდა მიღებულ იქნას ზომები, რომ ასეთი გამოსვლები არ მოხდეს ჩვენში, სადაც ეს გამოსვლები ბოლშევიზმის სისუსტის გამო მიიღებდა სრულიად ანარქიულ ხასიათს.

„ამხ. ცერცვაძე ამტკიცებს, რომ დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა ავირჩიოთ — თუ საით მივდივართ — მარჯვნივ — კონტრ-რევოლუციონური ფრთის. თუ მარცხნივ — ბოლშევიკურისაკენ. ბოლშევიკების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლაზე ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრნია და ამჟამადაც ჩვენი გზა უეჭველად მარცხნითაა. ბოლშევიკები დაგვეთანხმებიან და დადგებიან ჩვენს პლატფორმაზე.

„ამხ. შტეინიგერი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საბჭო ახლანდელ შემადგენლობით შესდგა დემოკრატიული თათბირის უმრავლესობის გარეშე. შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ბოლშევიკებს, მათი გამოსვლა ჩასთვალთ უფსურებათ. მაგრამ არ შეიძლება კიდევ უფრო დიდი უფსურების ჩადენა და ჩავახშოთ მათი გამოსვლა იარაღით. ბოლშევიკების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა — ეს რევოლუციონური დემოკრატის თვითმკვლევლობაა. უკეთეს ბოლშევიკურ მოძრაობას ნიადაგი არა აქვს, ის თავის თავად ჩაკვდება. ვერ იხილავს რა ჩვენის მხრით მხარის დაჭერას. უნდა მოხდეს კონფლიქტის ლიკვიდაცია მშვიდობიანის გზით. ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხში კი უნდა დაეადგეთ რევოლუციონურ გზას.

„ამხ. გვარჯალაძე აღნიშნავს, რომ უნდა იმავე გზას დაეადგეთ, რასაც წინად აღგენ მენშევიკები. ჩვენ უარყოფით საბჭოთა ხელისუფლების შედგენას იმ მოსაზრებით, რომ გვეწინაოდა იმ ოპოზიციის. რომელიც მას გაუჩინებოდა მთელი არაპროლეტარული დემოკრატის სახით და გვაშინებდა სამოქალაქო ომი. ამ ჟამადაც ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ არ მოხდეს სამოქალაქო ომი. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ დემოკრატის ერთმა ნაწილმა შეიარაღებული ძალით გაანადგუროს, მეორე ნაწილი, რადგანაც ბოლშევიზმის დამარცხება ლოღიკურათ მიგვიყვანს რევოლუციის დამარცხებამდე. არც ერთ ხელისუფლებისათვის ამ საქმეში მხარის დაჭერაზე ლაპარაკი არ შეიძლება. გამოსავალი ერთია — შევეუდგეთ მო-

ლაპარაკებას და მით დავიხსნათ ბალშევიკები აუცილებელი განადგურებისაგან.

„ამხ. მუხარინსკი ფიქრობს, რომ ბალშევიკებთან შეთანხმება გაახანგრძლივებს დაშორების საქმეს და არ მოახდენს მის ლიკვიდაციას. ბალშევიკები გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ. უნდა გამოვიანგარიშოთ ჩვენი ძალები. ან დავიხიოთ უკან და გზა უჩვენოთ მათ, ან თუ ჩვენ მიგვანჩნია ისინი უძლურათ ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში, ჩავებათ მათთან ბრძოლაში.“

„ამხ. ტრაპაიძე (ბალშევიკი) აცხადებს, რომ ტფილისის ბალშევიკების სიმპატია ერთავად პეტროგრადის რევოლიუციონური დემოკრატიის მხარეზეა, რომელიც გამოვიდა სასიკვდილო ბრძოლაში. გამოსვლის ყველა დეტალების გათვალისწინება ამ ჟამად შეუძლებელია. მაგრამ როძიანკოს და სხ. მიერ უკანასკნელი სიტყვები ბალტიის ფლოტის განადგურებისა და რევოლიუციის ციხე-სიმაგრის — პეტროგრადის დამორჩილებისა, მაჩვენებელია იმისი, რომ პეტროგრადის რევოლიუციონური დემოკრატიისათვის საკითხი იდგა მეტად მწვავედ.“

„ამხ. შორდანი აღნიშნავს, რომ ბალშევიკების გამოსვლა აუცილებლათ გამომდინარეობდა დემოკრატიულ თათბირზე მომხდარ პროლეტარიატის იზოლიაციით და მისი ნების გარეშე ხელისუფლების შექმნით. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის რევოლიუციაში შექმნილი ყოველი მთავრობა პროლეტარიატის ნების გარეშე, იქნება კონტრ-რევოლიუციონური. დემოკრატიულ თათბირზე პროლეტარიატის ნება-სურვილებს ანგარიში არ გაუწიეს და ასე, მას წაუზბიძგეს გამოსვლისაკენ. ამის შესახებ ჩვენ ვაფრთხილებდით დემოკრატიულ თათბირს. აუცილებლათ ბოლო უნდა მოვუღოთ პროლეტარიატის იზოლიაციას და შევქნათ ისეთი ხელისუფლება, რომელიც მისაღები იქნება როგორც მისთვის, ისე მთელი დანარჩენი დემოკრატიისათვის. დემოკრატიულ თათბირზე ბალშევიკები თავისთვის მისაღებათ თვლიდენ ერთფეროვან დემოკრატიულ ხელისუფლებას. ცენზიანი ბურჟუაზიის მონაწილეობის გარეშე. ასეთი ხელისუფლება უნდა შევადგინოთ. როგორც ბალშევიკების გამარჯვება, ისე მათი დამარცხება მიგვიყვანს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებამდე. ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობოთ პეტროგრადს.“

„ბალშევიკების ფრაქცია აცხადებს, რომ ყველა გარემოებათა გამორკვევამდე მას შეუძლებლათ მიაჩნია რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა პეტროგრადში მომხდარი გამოსვლის შესახებ.“

„ს. რევ. ფრაქცია წინადადებას იძლევა დაიცადონ ვიდრე სა-
 ოლქო (კრაევოი) ცენტრი გამოიტანდეს გადაწყვეტილებას.

„ამხ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ საქირთა დღესვე ეცნობოს დრ.
 მთავრობას შეიარაღებული ძალის არგამოყენების შესახებ, რადგანაც
 ხვალ უკვე მოსალოდნელია შეტაკებები.

„კრება 26 ხმით (სოც. რევ. ფრაქციამ და ბოლშევიკებმა თავი
 შეიკავეს—27 ხმა) იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „პეტროგრადში
 მომხდარი ბალშევიკების გამოსვლა იმ შემთხვევაში, დროებით იქ-
 ნება ის გამარჯვებული თუ დაუყონებლივ ჩახშობილი იარადით.
 აუცილებლათ მიგვიყვანს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებამდე და
 მოპოვებულ თავისუფლებათა დაღუპვამდე. რევოლიუციის ინტერე-
 სები გვიკარნახებენ აჯანყების მშვიდობიანის გზით ლიკვიდაციის
 აუცილებლობას მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის შეთან-
 ხმების საფუძველზე დემოკრატიული ხელისუფლების შედგენით ცენ-
 ზიანი ელემენტების მონაწილეობის გარეშე იმ პირობით, რომ დამ-
 ფუძნებელი კრების მოწვევა მოხდეს დანიშნულ დროზე“.

„ამხ. გეგეჭკორს მიენდო მღლებული რეზოლიუციის გადაცემა
 პირდაპირი მავთულით პეტროგრადში.

„საზოგადოებრივი უშიშროების კომისიის მოხსენება.

„ამხ. ჯუღელი მოხსენებას აკეთებს საზოგადოებრივი უშიშროე-
 ბის კომისიის მოქმედების შესახებ ქალაქის მილიციის შექმნის, ია-
 რალის შეკრების და მუშათა მილიციის მოწყობის საქმეში. კრება
 ადგენს მილიციონერების შერჩევა მიენდოს ქალაქის ახალ თვითმარ-
 თველობას და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ვინტოვკებისა და
 ვაზნების მისაღებათ მუშათა მილიციის შესაიარაღებლათ.

„საზოგადოებრივი უშიშროების ამიერ-კავკასიის ცენტრალურ
 კომიტეტში არჩეულ იქნენ: ამხ. მახარაძე (ს. დ. მენშ.), ვერეშჩაკი
 (ს. რ.) და კუზნეცოვი (ს. დ. ბალშ.)“.

დანარჩენი საკითხები, ამ კრებაზე გარჩეული, არც ერთი არ ეხე-
 ბა პეტროგრადში მომხდარ გამოსვლებს, მხოლოდ ყურადღების ღირ-
 სია ერთი საკითხი, სახელდობრ:

„რეველის სიკვდილის ბათალიონის მოწოდება.

„ამხ. კუზნეცოვი კითხულობს ქუჩებში გამოკრულ რეველის
 სიკვდილის ბათალიონის მოწოდებას. სადაც პროვოკაციული ადგი-



ლებია და წასისიანება ბალშევიკებისადმი. მიაჩნია რა ასეთი გამოსვლა საშიშრათ ამ მომენტში. ორატორი წინადადებას აძლევს აღმ. კომ. ბიუროს გამოარკვიოს იმ ორგანიზაციის ფიზიონომია, რომელმაც ეს მოწოდება გამოსცა, მისცეს ის პასუხისგებაში და მიიღოს ზომები ასეთი ლიტერატურის აღმოსაფხვრელად. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად“.

26 ოქტომბრის ტფილისის „იზვესტიაში“ (№ 173) მოთავსებულია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დებუტატების საბჭოების საოლქო ცენტრისა და ტფილისის მუშ. და ჯარ. საბჭ. აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებული სხდომის ანგარიში.

„26 ოქტომბერი 1917 წ.“

„დილით დახურულ სხდომაზე ირჩეოდა საკითხი პეტროგრადის ამბებთან დამოკიდებულების შესახებ. ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ვინაიდან გამორკვა, რომ არსებითი განსხვავებაა ერთის მხრით სოც. რევ. და მეორე მხრით მენშევიკების ფრაქციათა შორის. 4 ს. 30 წ. სხდომა შესწყდა იმ მოსაზრებით, რომ ფრაქციებს მისცემოდათ შესაძლებლობა შეთანხმებულიყვნენ.

„სხდომა განახლდა საღამოს 8 საათზე. კენჭის საყრელად წამოყენებულ იქნა ბალშევიკების რეზოლიუცია და კომპრომისული რეზოლიუცია მენშევიკებისა და სოც. რევ. ფრაქციებისა.

„ბალშევიკების რეზოლიუცია“

„განიხილა რა საკითხი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დებ. საბჭოს და მისი რევოლიუციონური კომიტეტის გამოსვლის შესახებ კავკასიის საოლქო ცენტრი ადგენს:

„1) გამოეცხადოს სრული მხარის დაჭერა პეტროგრადის მუშ. და ჯარ. დებ. საბჭოს და მის რევოლიუციონურ კომიტეტს, რომელნიც სათავეში ჩაუდგენ რუსეთის რევოლიუციის დაცვის საქმეს იმპერიალისტური და კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის, როგორც საერთაშორისო, ისე საკუთარი, თავდასხმისაგან.

„2) გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი დროებით მთავრობას კერენსკის სახით იმ მოწოდებისათვის, რომლის თანახმად შეიარაღებული ძალით უნდა იქნას ჩახშობილი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკ. დებ. საბჭოთა და მისი რევოლიუციონური კომიტეტის გამოსვლა და ამათი წარმომადგენელი მუშებისა და ჯარისკაცთა მასებისა.

„3) ხელისუფლების საკითხი გადაეცეს გასარჩევათ მუშ. და ჯარისკაც. დებ. საბჭოთა ყრილობას.

„4) გამორკვეულ იქნას თავისი დამოკიდებულება კავკასიის არმიისადმი მიმართულ მოწოდებაში, მიენდოს არმიის რევოლუციონურ საბჭოებსა და კომიტეტებს რევოლუციონური წესრიგის დაცვა და მიიღოს ყოველივე ზომები მოსალოდნელი კონტრ-რევოლუციონური გამოსვლების ასაცილებლათ.

„5) დაუყოვნებლივ მოხდეს რევოლუციონური კომიტეტის არჩევნები ადგილობრივ მუშ., ჯარისკაც. და გლეხთა დებუტატების საბჭოებისაგან. ამ კომიტეტში მონაწილეობას მიიღებენ რევოლუციონური პარტიების და მუშათა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. რევ. კომიტეტი ხელმძღვანელობას გაუწევს მთელი მხარის როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ცხოვრებას“.

„მენშევიკების და სოც. რევ. რეზოლიუცია.

„ბალშევიკების გამოსვლა პეტროგრადში. იმ შემთხვევაში, გაიმარჯვებს ის დროებით, თუ დაუყოვნებლივ იქნება ჩაქრობილი შეიარაღებული ძალით, მიგვიყვანს კონტრ-რევოლუციის გამარჯვებამდე და მოპოვებულ თავისუფლებათა დასამარებამდე.

„რევოლუციის ინტერესები გვიკარნახებენ აჯანყების მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს მთელი რევოლუციონური დემოკრატიის შეთანხმება ხელისუფლების დემოკრატიზაციის მოხდენით იმ პირობით, რომ დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქნას დანიშნულ ვადაზე.

„აცხადებს რა ამას საოლქო ცენტრი, მოუწოდებს მშვიდობიანობისა, რევოლუციონური წესრიგის დაცვისა და რევოლუციონური დემოკრატიის მთლიანობისაკენ.

„კენჭის ყრის შედეგი:

„ბალშევიკების რეზოლიუციას ხმა მისცა 15. წინააღმდეგ — 147, თავი შეიკავა — 5.

„მენშევიკებისა და ესერების რეზოლიუციას ხმა მისცა 145. წინააღმდეგ — 13. თავი შეიკავა — 9.

„შესწორებანი.

„ამხ. კუზნეცოვი წინადადებას იძლევა. იმ აბზაცის ფორმულიროვკა, რომელიც იწყება — „ბალშევიკების გამოსვლა პეტროგრადში



იმ შემთხვევაში, დროებით გაიმარჯვებს ის თუ დაუყონებლივ ჩაქრობილი იქნება იარაღით“. შეიცვალოს ასე: „პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გამოსვლა თუ ის ჩახშობილი იქნება იარაღით“.

„ამხ. კუზნეცოვის შესწორება უარყოფილი იქნა“.

„ამხ. ჯუღელი წინადადებას იძლევა სიტყვები: „ხელისუფლების დემოკრატიზაცია“ — შეიცვალოს ასე: „ერთფეროვანი დემოკრატიული ხელისუფლების შექმნა“.

„ამხ. ჯუღელის მიერ შემოტანილ შესწორებას ხმა მისცა 58. წინააღმდეგ — 103.

„ამხ. კუზნეცოვი წინადადებას იძლევა სიტყვებს „ხელისუფლების დემოკრატიზაცია“ დაემატოს „ცენზიანი ელემენტების გარეშე“.

„ამხ. კუზნეცოვის შესწორება უარყოფილი იქნა.“

გაზეთის ამავე (№ 173) ნომრის ქრონიკაში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „**მიტინგები**. 26 ოქტომბერს ერევნის მოედანზე ღამის 12 საათამდე ეწყობოდა მთელი რიგი მიტინგები პეტროგრადის უკანასკნელი ამბების გამო. ასეთივე მიტინგები მოხდა ავლაბარში, მიხეილის ქუჩაზე და ქალაქის სხვა ნაწილებში“.

31 ოქტომბრის ტფ. „იზვესტიაში“ (№ 175) მეთაურ წერილში, „რა ვაკეთოთ?“ — სწერია: „კერენსკის ჯარებმა პეტროგრადი აიღო. ასეთია უკანასკნელი ცნობა. სხვა გამოსავალის მოლოდინი არც კი იყო შესაძლებელი. განმარტოვებულს, მოშორებულს მთელი ქვეყნისგან პეტროგრადს თავის მცხოვრებთა სრულ გულგრილობაში, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ერთი კვირითაც კი გამაგრებოდა კერენსკის შეიარაღებულ ძალებს. ჩვენ არ ვიცით როგორ იქნა აღებული პეტროგრადი. მაგრამ თვით ტერმინი „აღება“ გულისხმობს ძალადობით და არა შევიდობიანათ კრიზისის გადაჭრას“...

ამავე ნომერში მოთავსებულია ქალაქის საბჭოს სხდომის ანგარიში. სხდომა შემდგარა 28 ოქტომბერს. საბჭოს თავმჯდომარე **გეგეჭკორი** მოახსენებს პეტროგრადის ამბების შესახებ შემდეგს: „ამჟამად მდგომარეობა ასეთია: მთავრობის ჯარები კერენსკის მეთაურობით დგანან გატყინოში. პეტროგრადში ძალა-უფლება ბალშევიკების ხელშია. აგრეთვე ყველა დაწესებულებები მათ ხელშია. დროებითი მთავრობა დაპატიმრებულია და მოთავსებული პეტროპავლეს ციხეში. მოსკოვში მოეწყო ქვეყნის დამხსნელი კომიტეტი; ამ კომიტეტის გარშემო ჯგუფდებიან მუშები და ბალშევიკურ აგი-

ტაციას გასავალი არ აქვს. არის ცნობები, რომ საბჭოების ყრილობის მონაწილე ს. რ., მენშევიკები და ინტერნაციონალისტები ცენ. აღმ. კომიტეტთან ერთად წავიდნენ ლუგაში ხელისუფლების მოსაწყობათ. სხვა არავითარი ცნობები არ არის. ბევრი იმ ცნობებიდან, რომლებიც გაზეთებში იბეჭდება, რეპორტიორების მიერაა გამოგონებული. აქ, ტფილისში, მოეწყო ამიერ-კავკასიის ცენტრალური უშიშროების კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ ყველა რევოლუციონური პარტიების წარმომადგენლები. ბალშევიკების წარმომადგენელი გუშინ ამ კომიტეტიდან გავიდა.

„გამგეობის წევრი ფირუშოვი აუწყებს საბჭოს, რომ ქალაქში არავითარი გაშოსვლა არ მომხდარა და გამგეობას მიღებული აქვს ზომები გამოსვლების თავიდან ასაცილებლათ“.

ლაპარაკობენ ფრაქციათა წარმომადგენლები — ფედერალისტი, კადეტი, სოც. რევ., მენშევიკ., დაშნაკელი და სხ. ამათ სიტყვებში ახალი არაფერია.

სხვათა შორის უორდანია ლაპარაკობს, რომ „საბჭო (ქალაქის) უნდა დაადგეს გამოსვლის მშვიდობიანის გზით მოგვარების გზას. პეტროგრადის აჯანყება უკანასკნელ დღეებშია. ის თავიდანვე იყო განწირული, რადგანაც ასე შეთქმულობის წესით ხელისუფლების ხელში ჩაგდება ეწინააღმდეგება რევოლუციის ბუნებრივ განვითარებას. რევოლუციაში ხელისუფლება დაიპყრობა მხოლოდ კლასიურა ბრძოლის გზით“.

შემდეგ უორდანია მოითხოვს ერთფეროვანი მთავრობის შედგენას და დასძენს — „რომ საბჭომ (ქალაქის) თავისი აზრი უნდა აცნობოს ლუგაში“-ო.

„ამხ. ცხაკაია აღნიშნავს რომ უკიდურესი მემარჯვენენი და მარჯვენა ცენტრი სოც. რევ. სახით პეტროგრადის გამოსვლების საკითხში ერთის გზით მიდინან. ომმა რუსეთი და მთელი დემოკრატია მიიყვანა ჩიხში. ისე სჩანდა, თითქოს ინტერნაციონალი მოკვდა. მაგრამ სოციალისტთა ზოგიერთი ფენები არ მიეცენ შოვინისტურ „უფარს“. შიკრიბნენ ციმერვალდში და ომს ომი გამოუცხადეს. ისინი, ვიაც კადეტები გერმანელთა პროვოკატორებს უწოდებენ, ასულდგმულებდნენ ლიბკნეხტის გამირულ გამოსვლებს. ამ ჟამად რუსეთში მოხდამუშათა კლასის იზოლიაცია. ამაში დამნაშავეა მენშევიკების გაუბედავი პოლიტიკა. მაგრამ რევოლუცია მაინც არ დაილუპება. ის კიდევ დღევდება და მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა, მიგვიყვანს გამარჯვებამდე. მისი შედეგი იქნება დემოკრატიული რესპუბლიკა, უფრო სრული, ვიდრე შვეიცარიისაა, რადგანაც ჩვენი რევოლუცია სხვა რევოლუციებზე უფრო მწყობრათ მიმდინარეობს და მონაწილეობს მასში დემოკრატიის ფართო ფენები.“



ამხ. რამიშვილი (ს. დ. მენშ.) — მიუთითებს სოც. რევოლიუციონერებს იმაზე, რომ მათი შიში ხელისუფლების პრესტიჟის შერყევისა სრულად უადგილოა რევოლიუციონერისათვის. ბრალს სდებენ რა ბალშევიკებს ხალხის ნების შებღალვაში, სოც. რევ. ივიწყებენ, რომ ასევე „ხალხის ნების“ წინააღმდეგ კონვენტში მოხდა პარიზის პროლეტარიატის გამოსვლა, რაც უირონდისტების გაძევებით დასრულდა. არ არის საშიში ბალშევიკებისათვის დათმობა და მათთან შეთანხმება. შეთანხმება საჭროა მთელი დემოკრატიის გაერთიანების და მომავალი კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის გულისათვის. რასკოლი დემოკრატიის შორის და თუ გინდ მისი ნაწილის იზოლიაცია, გამარჯვებას მიანიჭებს კონტრ-რევოლიუციონურ კლასებს. ძირითადი შეცდომა ბალშევიკებისა ჩვენი რევოლიუციის არასწორ შეფასებაშია. ისინი ივიწყებენ, რომ მხოლოდ რუსის პროლეტარიატს თავისი ძალებით სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა არ შეუძლია“.

„კენჭის საყრელად წამოყენებულია სამი რეზოლიუცია. ბალშევიკები წინადადებას იძლევიან მიესალმონ პეტრ ოგრადის პროლეტარიატის და გარნიზონის გამოსვლას; კადეტები წინადადებას იძლევიან ჩაითვალოს ეს გამოსვლა კონტრ-რევოლიუციონურად და უარი სთქვან ყოველგვარ შეთანხმებაზე აჯანყებულებთან. ორივე რეზოლიუციას უარყოფენ.“ წარმოადგინეს მენშევიკმა „კრავეო“ ცენტრში მიღებული რევოლიუცია — გაიმარჯვებენ თუ დამარცხდებიან ბალშევიკები კონტრ-რევოლიუცია გაიმარჯვებსო და სხ., რასაც შეუერთდენ ესერები და დაშნაკელები. დიდის ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ ნ ხმისა (ბალშევიკები და კადეტები) ის მიღებულ იქნა.

თავიდანვე მენშევიკ-ესერული ცნობილი რეზოლიუცია — გაიმარჯვებენ თუ დამარცხდებიან ბალშევიკები ორივე შემთხვევაში კონტრ-რევოლიუცია გაიმარჯვებსო, ტრაფარეტად იქცა.

სადაც კი მივიდოდნენ მენშევიკ-ესერები, ყველგან ამ რეზოლიუციას წამოაყენებდნენ და გაჰყავდათ კიდეც.

ასე მოიქცნენ ტფ. მუშ. და ჯარისკ. დეპუტატების საბჭოს სხდომაზე 29 ოქტომბერს. ამ სხდომაზე თავმჯდომარე გეგეჭკორმა ვრცელი მოხსენება გააკეთა და სხვათა შორის სთქვა, რომ „ძალა-უფლების ხელში ჩაგდება (ე. ი. პეტროგრადის გამოსვლა) უკანასკნელი ცნობებით უკვე ლიკვიდაცია ქმნილად შეიძლება ჩაითვალოს; მაგრამ დემოკრატია უნდა მოითხოვოს, რომ მისი ლიკვიდაცია მოხდეს მშვიდობიანის გზით, მთელი დემოკრატიის შეთანხმებით“ და სხ.

სხვათა შორის ამ სხდომაზედაც მიღებულ იქნა ცნობილი ტრაფარეტი — რეზოლიუცია. აქაც, როგორც „კრავეო“ ცენტრში ამხ.

კუნეცოვმა მოითხოვა შესწორების შეტანა, მაგრამ ყველა მისი შესწორებები უარყოფილ იქნა. სხვა ორატორების სიტყვებს ჩვენ აქ არ გამოვეყიდეებით და მოვიყვანთ მხოლოდ ბალშევიკ-ორატორების სიტყვებს:

„ამხ. დენისოვი (ბალშევიკი) ამტკიცებს, რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო მთელმა პეტროგრადის პროლეტარიატმა და გარნიზონმა და არა მარტო ბალშევიკებმა. პეტროგრადის პროლეტარიატი მუდამ ერთგული დარაჯი იყო რევოლიუციისა: მის ღალატში ვერავინ ეჭვს ვერ შეიტანს. პეტროგრადში მომხდარი გამოსვლა გამოწვეული იყო ბურჟუაზიის და მთავრობის პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებაში და პეტროგრადის ჩაბარებაში. პეტროგრადი — მთელი რუსეთი არაა და ორგანიზაციულად შეკავშირებული დემოკრატიის უმრავლესობა არ ეთანხმება პეტროგრადის ტაქტიკას. მაგრამ სახელმწიფოში სწარმოებს მოუწყობელი, გლეხთა სტიქიური მოძრაობა, რომელთაც უმრავლესობის ტაქტიკა ვერ აკმაყოფილებს. არ აკმაყოფილებს მათ აგრეთვე საკითხების ნახევრად გადაჭრა დამფუძნებელ კრებაში. უკეთეს ორგანიზაციული დემოკრატია არ გამოიცივლის თავის ტაქტიკას. მოძრაობის სტიქიური აფეთქება აუცილებელია. პეტროგრადის პროლეტარიატის გამოსვლის გაკიცხვა არ შეიძლება. რადგანაც ის რევოლიუციონურია. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ მუშა მუშის და სალდათი სალდათის წინააღმდეგ არ წავა. დემოკრატია უნდა მონახოს და შეუძლია საერთო ენის გამოხატვა და თუ ჩვენ სისხლის დაუღვრელად შევთანხმდებით ერთფეროვანი დემოკრატიული ხელისუფლების შედგენაზე, ეს უდიდესი მონაპოვარი იქნება პეტროგრადის პროლეტარიატისა.

„ამხ. კალანდაძე (ბალშ.) აცხადებს, რომ სამოქალაქო მშვიდობიანობის და შემთხვევითი პოლიტიკის დრო საუკუნეს ჩაბარდა. ახლა ორი გზაა — რევოლიუციისთან ან კონტრ-რევოლიუციისთან ერთად. ძალა-უფლება ხელთ იგდო პეტროგრადის პროლეტარიატმა და გარნიზონმა; ის მოძრაობა, რომელმაც გამოიწვია ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ღრმა რევოლიუციონურია და მას მხარი უნდა დაეუჭიროთ. აჯანყების ლიკვიდაცია მშვიდობიანის გზით შეუძლებელია. პეტროგრადი დათმობაზე არ წავა და პოზიციებს არ დასთმობს. რუსეთის დემოკრატიის დიდი უმრავლესობა თანაუგრძნობს პეტროგრადის გამოსვლას. უკეთეს საბჭოების ყრილობა, რომელიც წარმოადგენს მთელს ორგანიზაციულად შეკავშირებულ რევოლიუციონურ დემოკრატიას, მხარს დაუჭერს გამოსვლას. თქვენი ვალია დაემორჩილოთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას. მხოლოდ რევოლიუციონური ხელისუფლება შესძლებს დაუყონებლივ დააკმაყოფი-



ლოს დემოკრატიის ზოგიერთი მოთხოვნებიანი და უზრუნველყო საჩქაროდ და სისწორით დამფუძნებელი კრების მოწვევა.

„ამხ. ნაზარეთიანი (ბალშ.) აღნიშნავს, რომ პეტროგრადის პროლეტარიატმა ამ უამად ჩამოაგდო მემამულურ-ბურჟუაზიული მთავრობა, ისე როგორც თებერვალში ჩამოაგდო თვითმპყრობელობა. ამ გამოსვლას უნდა მივესალმოთ. რევოლიუციის მსვლელობაში რასკოლი გაღრმავდა დემოკრატიისა და ბურჟუაზიის ბანაკებს შორის. კოალიციამ მოშალა საზღვარი და არეგ-დარეგა შეიტანა მუშათა შეგნებაში. პეტროგრადის პროლეტარიატი აჯანყდა კოალიციისა და კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დაარსა ერთფეროვანი პროლეტარულ — გლეხური დემოკრატიული ხელი-სუფლება. პეტროგრადის გამოსვლის წყალობით დემოკრატიის შორის რასკოლი გაღრმავდა, მოხდა დაშორება გუშინდელ მოკავშირეებს — მენშევიკებსა და ესერებს შორის. მენშევიკებს მიაჩნიათ გამოსვლის იარაღით ჩაქრობა კონტრ-რევოლიუციონურ საშვალე-ბით, სოც. რევ. მხარს უჭერენ ასეთ ზომას. სოც. რევ. აქ ააშკარა-ვებენ იმ არსს, რაც იფარება მათი სოციალისტური ეტიკეტის უკან, როცა ისინი გამოდიან სოციალიზმის მატარებელ პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად, აქ ჩვენ ვხედავთ ვინაა რევოლიუციის მხარეზე და ვინაა მის წინააღმდეგ. სოც. რევ. რევოლიუციის წინააღ-მდეგნი არიან. ისინი მხარს უჭერენ კერენსკის, „ყაზახთა მისწრაფე-ბის“ ზრდას. საბჭოების ხელისუფლება ადგილობრივ ის ერთფერო-ვანი დემოკრატიული მთავრობაა, რომელზედაც ლაპარაკობენ მენ-შევიკები, რადგანაც მთელი პროლეტარულ-გლეხური დემოკრატია გაერთიანებულია საბჭოებში. არავითარი საჭიროება არაა იმისი, რომ მთავრობის შესადგენათ მოწვეულ იქნას უცენზო ბურჟუაზია, რომე-ლიც შემოკრებილია ცენზიანი ელემენტების გარშემო. მხოლოდ ერთ-ფეროვან დემოკრატიულ მთავრობას შეუძლია მისცეს ხალხს ზავი, მიწა და პატიოსნურად მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ჩვენ ამ უ-ამად ვფიქრობთ არა სოციალურ რევოლიუციაზე, არამედ — ფართო სოციალურ რეფორმებზე. ამ რეფორმების ეშინიათ კადეტებს და ესერებს, ამიტომ ისინი ახანგრძლივებენ დამფუძნებელი კრების მოწ-ვევას. ბალშევიკებმა და მენშევიკებმა კი უნდა იჩქარონ დამფუძ-ნებელი კრების მოწვევა, რომელმაც უნდა დაადასტუროს დემოკრა-ტიული მთავრობის მიერ მიღებული რეფორმები. ადგილობრივთა საბჭოებმა მხარი უნდა დაუჭირონ პეტროგრადის გამოსვლებს, გა-უწიონ მას ნივთიერი დახმარება და ზომები მიიღოს არა საიმედო ჯა-რების გადაგზავნის წინააღმდეგ.

„ამხ. ცერცვაძის წინადადებით უნდა მივესალმოთ გამოსვლას. რომელმაც გადასჭრა გორდიოსის კვანძი. საბჭოთა მთავრობა არის

სწორედ ერთფეროვანზე დემოკრატიული მთავრობა, რადგანაც საბჭოების გარეშე დემოკრატია არ არის“.

ამის შემდეგ ე. ი. 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე თითქმის არაფერია ტფ. „იზვესტიაში“ საერთო მსჯელობისა და ზოგიერთი სენსაციების გარდა.

3 ნოემბრის ნომერში (178) გაზეთი კვლავ უბრუნდება კონულიეტის მშვიდობიანის გზით მოგვარების საკითხს, ერთფეროვანი მთავრობის შედგენას დემოკრატიის მიერ. სადაც „თავისთავად ცხადია, მთავრობაში უნდა შევიდნენ ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის რა თქმა უნდა, ბალშევიკებიც. ეს არის ერთად ერთი გზა: ყოველგვარი სხვანაირი გადაჭრა საკითხისა მიგვიყვანს შეიარაღებულ შეტაკებამდე და უეჭველად კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებამდე“.

დაბოლოს, 4 ნოემბრის ტფ. „იზვესტია“-ში მოთავსებულია სატახტო ქალაქებიდან მიღებული გაზეთების ცნობა პეტროგრადის ამბების შესახებ. ამ ნომერშიაც წერილში — „ისტორია მეორდება“ — მოთხოვნილია „ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობა“ და სხ.

ამავე ნომერში მოთავსებულია 2 ნოემბერს გამართული გაერთიანებული სხდომის ტფილისის მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოთა მუშათა სექციისა და პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებისა.

ამ სხდომაზე მოხსენება გაუკეთებია ჟორდანიას „მიმდინარე მომენტზე“. ულაპარაკნია იმის შესახებ, თუ როგორი თანაგრძობის გამოცხილი ჰპოვა ადგილობრივ გარნიზონში ამ ამბებმა. ტფილისში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში გამოსვლა მისი აზრით მიიღებს ნაციონალური შეტაკების ხასიათს და სხ.

„ამხ. კუზნეცოვის და კალანდაძის აზრით უკმაყოფილება გარნიზონში გამოწვეულია აღმასრულებელი კომიტეტის გაუბედობით და იმ გაურკვეველი პოზიციით, რომელსაც დაადგენ ტფილისის საბჭო და საოლქო ცენტრი პეტროგრადის ამბების შესახებ. ტფილისის დემოკრატია გადაჭრით უნდა სთქვას ვისთანაც არის ის — პეტროგრადის პროლეტარიატთან თუ კერენსკისთან და მის ჯართან. აქ ტფილისში უნდა მოეწყოს რევოლიუციის დაცვის საქმე. ეს აქვს დასახული მიზნით გარნიზონის სადელეგატო კრებას. მისი ორგანიზაცია გამოწვეულია საბჭოს გაუბედავი პოლიტიკით და ხელახალი არჩევნების უარით. მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონ გარნიზონს მისი დელეგატების სახით.

„კრებამ 141 ხმით 17 წინააღმდეგ. 10 თავი შეიკავა, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მუშათა სექციამ და პროფ. კავშირების გამგეო-

ბებმა იმსჯელა რა ტფილისის გარნიზონის ერთი ნაწილის სულიერ განწყობილების შესახებ, რაც გამოწვეულია პეტროგრადის ამბებით და მიიღო რა მხედველობაში საბჭოს პოზიცია, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანის გზით მოგვარების მომხრეა და აგრეთვე მიიღო მხედველობაში მოსახლეობის სიჭრელე. დაადგინა, რომ შეიარაღებული გამოსვლა ტფილისის ქუჩებში იქნება ორგანიზაციულად შეუკავშირებელი ნაწილის ორგანიზაციულის წინააღმდეგ გამოსვლა. რაც გააზალბდა პოგრომებს და ეროვნებათა შორის შუღლს მთელს ამიერ-კავკასიაში. ამიტომ მუშათა სექცია და პროფ.-კავშირების გამგეობები მიუთითებენ გარნიზონის მოწინავე ნაწილს იქონიონ გავლენა მთელს გარნიზონზე იმ აზრით, რომ დაცულ იქნას სრული სიმშვიდე და რევოლიუციონური დემოკრატიის მთლიანობა“.

იმ ხანებში ტფილისში გამოდიოდა ბალშევიკური „კავკასკი რაბოჩი“.

ამ გახეთის 26 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ასეთი მეთაური — „ვინ არიან ბალშევიკები და რას მოითხოვენ ისინი“ და სხვა პრინციპიალური ხასიათის წერილები. რაც შეეხება პეტროგრადის გამოსვლებს, ამის შესახებ არაფერია.

27 ოქტომბრის „კავ. რაბ.“ მეთაურია — „ხელისუფლება საბჭოებს“. ამავე ნომერში მოთავსებულია პეტროგრადის დეპუტათა სააგენტოს ცნობა 24 ოქტომბრის თარიღით — სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის მოქმედების შესახებ“, რაც ყველა ადგილობრივ გახეთებშიც იყო მოთავსებული.

1 ნომერის (№ 188) „კავკ. რაბ.“ მეთაურში — „რევოლიუცია სცოცხლობს“ — სწერს: „მთელი ბურჟუაზიული და ობორონცული პრესა სწერს პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცების აჯანყების ლიკვიდაციაზე. ყველანი ერთხმად უნერგავენ აზრს, პეტროგრადის კერენსკის ჯარების მიერ აღებაზე, მოსკოვის კრემლის ჩაბარებაზე და სხ.“

„მაგრამ როდის დაიკავა კრემლი მოსკოვის პროლეტარიატმა და გარნიზონმა, რატომ ამის შესახებ არაფერი ყოფილა მოთავსებული პრესაში. ხალხს ძველებურად სიმართლეს უფარავენ.“

„და ვინ დაუჯერებს მათ რევოლიუციონური პეტროგრადის აღებაზე, როცა ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე სტყუიან“...

ამავე (№ 188) ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „ამხ. ჯარისკაცების საყურადღებოთ: 28 ოქტომბერს ტფილისის გარნიზონის 36 ნაწილის წარმომადგენლებმა შექმნეს ტფილისის გარნიზონის ნაწილების დელეგატთა კრება და აირჩიეს დროებითი საორგანიზაციო კომისია. დელეგატთა კრებამ დაისახა ორი მიზანი. მოახ-

დინოს ტფილისის საბჭოს სამხედრო სექციის ხელახალი არჩევნები. აგრეთვე ჯარის ნაწილების ყველა კომიტეტებისა და მოახდინოს შეუიარაღებელი ჯარის ნაწილების და კომანდების შეიარაღება. თავისი დადგენილება ხელახალი არჩევნებისა და შეიარაღების შესახებ დელეგატთა კრება შეეცადა დაესვა გასარჩევად ტფილისის საბჭოს სხდომაზე, მაგრამ საბჭოს პრეზიდიუმმა უარი უთხრა დელეგატს დადგენილების გამოქვეყნებაზე, რადგანაც დელეგატთა კრება უფლებამოსილი ორგანო არ არისო.

„ვეფიქრობთ რა, რომ ხელ-ახალი არჩევნებისა და შეიარაღების საკითხი ახლანდელი მომენტის მწვავე საკითხებია და არ ითმენს გადადებას. საორგანიზაციო კომისია სთხოვს ყველა ჯარისკაცთ აირჩიონ თავიანთი დელეგატები მიღებული ნორმის თანახმად — 100 — 1 დელეგატი. დელეგატთა კრებისათვის, რომელიც შესდგება ოთხ-შაბათს, 1 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ავტომობილთა ნივთების საწყობში (ჩერქეზოვის ქ. სახ. № 60). კრებაზე მოწვეული იქნება ტფილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. (ხელს აწერს) ტფილისის გარნიზონის დელეგატთა საორგანიზაციო კომისია.

ტფილისის გარნიზონის დელეგატთა საორგანიზაციო კომისია.
 2 ნოემბრის ნომერში (189) წერილში — „რევოლიუცია ვითარდება“ — სწერს: „დეპეშები არ არის. გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ ბალშევიკებმა ვორონეჟში ტელეგრაფი დაიკავესო. მაგრამ არ იფიქროთ, ამხანაგებო, რომ დეპეშები მართლაც არ იყოს. არაფერი ამის მსგავსი. დეპეშებს ლებულობენ, მაგრამ არ აქვეყნებენ. ამიტომაც, რომ ასეთი გასავალი აქვს ყოველგვარ ხმებს. ამასთან იბეჭდება უმეტესად ისეთი ცნობები, რომლებიც აშკარად მიმართულია რევოლიუციონური პეტროგრადის წინააღმდეგ“...

შემდეგ წერილის ავტორი განაგრძობს, რომ მიღებულია ცნობები კერენსკის დამარცხების შესახებ და სხ.

3 ნოემბრის ნომერში კი (190) მოთავსებულია ანშლავი — „რუსეთის დიდი რევოლიუცია“ (მეორე გვერდზე) და სხვა ცნობებიც.

4 ნოემბრის ნომერში კი (191) მიღებული პეტროგრადის გაზეთებიდან გადმობეჭდილია დაწვრილებითი ცნობები და ცალკე დამატებათ დეკრეტი ზავის შესახებ. მიღებული ერთხმად საბჭოების ყრილობაზე 26 ოქტომბერს.

1917 წლის ოქტომბერი კალ. კუთაისში

1917 წლის დიდი ნაწილი, დაწყებული ივნისიდან, ქუთაისში გა-
ვატარე, მხოლოდ 1918 წლ. ივლისში საქართველოდან გავემგზავრე
უკრაინით ლენინგრადში. ამ დროს უკრაინა დაკავებული ჰქონდა
გერმანეთის ჯარებს. საქართველოში მენშევიკები ბატონობდნენ. ისინი
მეთაურობდნენ ამიერ-კავკასიის საოლქო საბჭოში, აგრეთვე ქალაქთ-
საბჭოებში, შემდეგ კი, როცა სამოქალაქო არჩევნები მოხდა, — გა-
ბატონდნენ ქალაქის თვითმართველობებში. ქუთაისში დრ. მთავრობის
ოფიციალურ წარმომადგენლად იყო გუბერნიის კომისარი მენშევიკი
ვრიგოლ გიორგაძე. 1917 წლის ზაფხულზე ქუთაისის მენშევიკურ
ორგანიზაციაში შედიოდა 2000 წევრი. აგვისტომდე მენშევიკურ ორ-
განიზაციაში შედიოდნენ ბალშევიკები (მცირე რიცხვი) ცალკე ფრაქ-
ციის სახით. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო დიდს არა-
ფერს აკეთებდა. მან ძალა-უფლება თავისი ნებით გუბერნიის კომი-
სარს და ქალაქის თვითმართველობას დაუთმო. საბჭოს სამხედრო სექ-
ცია მეტ წილად იკრიბებოდა ცალკე. სექციის პრეზიდიუმი შესდგე-
ბოდა ესერ-აფიცერთაგან. აგიტაცია-პროპაგანდას ჯარში (მე-110 სა-
თადარიგო პოლკი) არც სოც.-დემ., არც საბჭო არ აწარმოებდა. საბ-
ჭო სცემდა ყოველ დღიურ გაზეთს „გოლოს სოლდატა“-ს, რომელიც
ვრცელდებოდა ქალაქში და ფრონტზე. ს.-დემოკრატებს, ფედერა-
ლისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს ჰქონდათ თავიანთი გაზეთები
ქართულ ენაზე, გამოდიოდა კიდევ ერთი „უპარტიო“ რუსული გა-
ზეთი, რომელსაც კერძო პირები სცემდნენ. ამ გაზეთს გარკვეული მი-
მართულება არ ჰქონდა. აი ამ გაზეთში ივლისში დავიწყე მუშაობა
ჯერ კორექტორად, შემდეგ მდივნათ. ჩემი სტატიები და შენიშვნები,
თუმცა აშკარა ბოლშევიკური იყო, მაგრამ რედაქტორი დაუბრკო-
ლებლად ათავსებდა. ამ ხასიათის წერილებს ათავსებდა აგრეთვე ამხ.
ე. კმონძერი. ჩვენ ორი კაცი ვიყავით იმ ხანებში, რომლებიც ბოლ-
შევიკურ პროპაგანდას ვეწეოდით ჯარის კაცებში. გარნიზონის სუ-
ლიერი განწყობილება რევოლიუციის პირველ თვეებში აშკარა ესე-
რული იყო, მაგრამ აგვისტო-სექტემბერში ჯარი გარევიოლიუციო-
ნერდა. გამოცდილი პროპაგანდისტი — ბოლშევიკების მუშაობა თან-
დათან აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ ძალები
არ იყო.

ოქტომბრის დასაწყისში, როცა საბჭოს ხელახალი არჩევნების შემდეგ სამხედრო სექციაში იყო 15 — 20 ბოლშევიკების თანამგრძნობი, ჩემი ინციატივით მათ მოაწყვეს ფრაქცია, აირჩიეს პრეზიდიუმი. მაგრამ, რადგანაც მათში არ მოიპოვებოდა მომზადებული ამხანაგი, საბჭოშიაც ვერაფერი გაპყავდათ. საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ფრაქციამ სთხოვა თავმჯდომარე ურატაძეს ნება მოეცა ჩემთვის პასუხი გამეცა ე. გეგეჭკორისათვის (საოლქო საბჭოს თავმჯდომარე). მაგრამ ასეთი ნებართვა, როგორც „საბჭოს არა წიერს“ მან არ მომცა. მაგრამ შემდეგ მიტინგზე მენშევიკებს მოუხდათ ბოლშევიკებთან დაპირდაპირება. კრების უკანა რიგში (დარბაზში) მყოფი ჯარისკაცები შქუხარე ტაშის ცემით შეხვედნენ ქუთაისში ჩამოსულ ამხანაგებს — მიშა ოკუჯავას, ერქომაიშვილს და სხ. აქ გეგეჭკორმა პირველად მოისმინა — „ძირს კონტრ-რევოლიუციონერებში“.

მდგომარეობა შეიცვალა. ტფილისიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა მყისვე მოაწყვეს ბოლშევიკური საქალაქო ორგანიზაცია, დაარსეს კლუბი „ლამპარი“ და ასე, მუშაობა გაჩაღდა. სხვადასხვა ადგილას (შენობებში) თითქმის ყოველდღე ხდებოდა ჯარისკაცთა მრავალრიცხოვანი კრებები. ჯარისკაცთა ესერული სექციის აღმასკომმა იგრძნო რა საშიშროება, მოახდინა ძალთა მობილიზაცია. ისინი მიტინგს ახდენდნენ გიმნაზიის შემობაში. ჯარისკაცთა მასა ხალისით ემზებოდა პოლიტიკურ ბრძოლაში. ახლოვდებოდა ოქტომბერი, ყოველ-დღე მოდიოდა ცნობები ლენინგრადიდან, მოსკოვიდან და ჩრდილოეთის ფრონტიდან რევოლიუციის მომწიფების შესახებ. 25 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა. ამ მოვლენის დიდ მნიშვნელობას ყველა გრძნობდა. მენშევიკ-ესერულმა პრესამ გაცოფებული ცილისწამებითი კამპანია გააჩაღა. ბოლშევიკების კომიტეტმა გამოყო კომისია საკუთარი გაზეთის გამოსაცემად. პირველი ნომრის შედგენა-გამოცემა მონდობილი მჭონდა მე. მეთაურ წერილში ვადმოსროლილი იყო ზავის ლოზუნგი და ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემა. ამ გაზეთის ერთი ცალი დღემდე შენახული მაქვს.

26 — 27 ოქტომბერს ცნობა მოვიდა პეტროგრადში მომხდარ გადატრიალებისა და საბჭოების ყრილობის მიერ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. მენშევიკები და ესერები დაიბნენ. მათი თვალსაზრისით ყრილობის გადაწყვეტილება უკანონო არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყრილობა იყო სრულიად რუსეთისა და მასში მონაწილეობდნენ დელეგატები კავკასიიდან, მაგრამ ამ ხელისუფლებისადმი მორჩილება მენშევიკ-ესერებმა მაინც არ ისურვეს. ამ დაბნეულობიდან ისინი გამოიყვანა კერენსკის „რელიაციაში“ პეტროგრადზე შეტევის შესახებ. მაშინ მათ ვადმოსროლეს ლოზუნგი შე-



საქართველო
საქართველო

თანხმებისა და წმინდა სოციალისტური მთავრობის შედგენის შესახებ
 „სახალხო სოციალისტებიდან ბოლშევიკებამდე“. მახსოვს ქუჩაში
 ხელი მტაცა მენშევიკ ფალავამ (ქუთაისის მენშევიკების კომიტეტის
 წევრმა) და წინადადება მომცა წავსულიყავ მე-110 სათადარიგო პოლ-
 კის ყაზარმაში და აგიტაცია გამეწია ამ ლოზუნგის სასარგებლოთ. მე
 რყევაში ვიყავი და არც გასაკვირველი იყო ჩემი ასეთი მდგომარეობა.
 კერენსკის შემოტევა სინამდვილეთ არ მიმაჩნდა. ამას გარდა დეპეშა
 მოუვიდა ჩვენი პარტიის ც. კ. მომხდარი რასკოლის. იქიდან ზინო-
 ვიევის წასვლის შესახებ და სხვა. მიტინგზე მე მაინც არ წაველ. მალე
 მდგომარეობა გამოირკვა. პეტროგრადის პროლეტარიატის დამარ-
 ცხების ცნობა ტყუილი გამოდგა, ასეთი ცნობა გავრცელებული იყო
 იმ მიზნით, რომ შეეჩერებიათ გამოსვლები რუსეთის სხვა ადგილებში
 და აგრეთვე — არმიის ფრონტზე. პეტროგრადიდან მოსული რადიო-
 დეპეშებისა და დეკრეტების დამალვა კი შეუძლებელი იყო. რესტო-
 რანი „ანონა“, სადაც ბოლშევიკური მიტინგები ხდებოდა, სალამო-
 ბით 110 სათადარიგო პოლკის ჯარისკაცებით ივსებოდა. აქ ჩვენ
 ვკითხულობდით საჯაროთ რადიო-დეპეშებს და ვამბობდით სააგიტა-
 ციო სიტყვებს. სულიერი განწყობილება ჯარისკაცებში რევოლიუ-
 ციის სასარგებლოდ, საუცხოვო იყო. ყოველ ცნობას რევოლიუციის
 გამარჯვების შესახებ აღფრთოვანებით ხვდებოდენ. ბოლშევიკების
 „ბიულეტენს“ გაფაციკებით დაეძებდენ, მაგრამ არც საბჭოს ჯარის-
 კაცთა ესერული სექციის აღმასკომს ეძინა. დაიწყო საზიზღარი ცი-
 ლისწამების კამპანია ჩვენზე, როგორც მიტინგებზე, ისე გიმნაზიის
 შენობაში მოწვეულ კრებებზე. მე მომიხდა ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე
 დასწრება. დარბაზი ჯარისკაცებით იყო სავსე, პირველ რიგში — უნ-
 ტერ-ოფიცრები იყვნენ. ტრიბუნაზე ოფიცრებისაგან შემდგარი აღ-
 მასკომი და მთელი ესერების კომიტეტი. მათი გამოსვლები, ცილის-
 წამება იმდენათ საზიზღარი იყო, რომ თავის შეკავება შეუძლებელი
 შეიქნა. მე მოვითხოვე სიტყვა, რაც აუდიტორიის ძალდატანების შემ-
 დეგ პრეზიდენტმა მომცა. ჩემი ამოცანა ადვილი არ ყოფილა. მე უნდა
 უარმეყო აშკარა სიტყუე და აღმენიშნა პეტერბურგში მომხდარი გადა-
 ტრიანლების მასიური ხასიათი, მიმეთითებია. თუ როგორის ერთსუ-
 ლოვნობით უჭერდა მხარს ახალ ხელისუფლებას პეტროგრადში და
 სხვა ქალაქებში ისეთივე ჯარის-კაცები, როგორიც ამ კრებაზე იყვნენ.
 სამჯერ მომიხდა მე ტრიბუნაზე ასვლა. მებრძოდენ ცილის-წამებითა
 და სხ. ესერები. დარბაზში წარმოუდგენელი ხმაურობა იყო. უკანა
 რიგში მყოფი ჯარის-კაცები მე მხარს მიჭერდენ, წინა რიგებიდან კი
 მოისმოდა ლანძღვა-გინება და სრულიად არ მაძლევდენ ლაპარაკის
 ნებას. გიორგის ჯვრით დაჯილდოვებული უნტერ-ოფიცრების აღ-
 შფოთება ჩემს წინააღმდეგ იმ ზომამდე გაიზარდა, რომ ერთ-ერთი

მთგანი წამოიჭრა ჩემსკენ ყვირილით: „ფანჯრიდან გადავაგდოთ ეს არამზადა“-ო. ყოველ წამში იყო მოსალოდნელი დარბაზში მუშტი-კრივის გაჩაღება. დაბოლოს, როგორც იქნა, კრება დაამოშმინა პრეზიდენტმა.

ყოველ დღე აშკარად ემჩნეოდა, რომ ჯარისკაცები ოქტომბრის მხარეზე გადადიოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობა მოვიდა ესერების პარტიაში რასკოლი მოხდა და შემარცხენე ნაწილი მთავრობაში შევიდაო; ამის შემდეგ ჯარისკაცების მასა უფრო გადაიხარა ბოლშევიკებისაკენ. მახსოვს, რედაქციაში დეპეშა მოვიდა, სადაც მიწათ-მოქმედების კომისრათ მოხსენებული იყო კარელინი. მე ვისარგებლე რედაქტორის არ ყოფნით და ამ ცნობას განმარტება გაუკეთე, სადაც აღენიშნე შემარცხენე ესერების მონაწილეობა მთავრობაში. საღამოთი როცა რედაქტორი (ესერი) მოვიდა, თმები კინალამ დაიწეწა. მე გამიჯავრდა, როგორც ტენიკურ მუშაკს, ამის უფლება არ გაქვთო და სხ. ჯარისკაცი-ასოთამწყობნი კი ილიმებოდნენ, როცა რედაქტორი ბრაზობდა. შეიარაღებული გამოსვლა ქუთაისში მაინც არ მომხდარა. ქალაქის მცხოვრებნი ჯერ კიდევ მენშევიკებს უჭერდნენ მხარს და საოლქო ცენტრის სათავეში (ტფილისში) ევ. გეგეჭკორი იყო. გაბალშევიკებული პოლკი მენშევიკებმა მოიშორეს მოლაღატური გზით. მთელი მე-110 სათადარიგო პოლკი და ფრონტიდან დასასვენებლად მოსული ნაწილები დაშალეს. შეადგინეს შვებულების გამცემი კომისია, რომელიც ყოველ დღე იძლეოდა შვებულებას ათობითა და ასობით.

ა. სუდაკოვი.

დუშეთის აჯანყების მოსაზრებად

1918 წლის ივნისის 20-ში კავკავში დღისით ვერაგულად მოკლულ იქნა სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბუაჩიძე.

მოკლული ამხანაგის ნათესაების თხოვნის თანახმად კავკასიის საოლქო კომიტეტმა, რომელიც მაშინ კავკავში იმყოფებოდა, გადასწყვიტა ამხ. ბუაჩიძის ცხედარის გასვენება სამშობლოში — ბელაგორი (ქუთ. გუბ.), რის ნებართვა პირდაპირი მავთულით მიღებული იქნა ჟორდანიას მთავრობისაგან.

სწორედ ამავე დროს ბაქოდან ამხ. ს. შაუმიანიისაგან მისი პირადი შიკრიკის ხელით მიღებულ იქნა წერილი, სადაც ის მიუთითებდა რა იმ საფრთხეზე, რომელიც საბჭოთა ბაქოს მოელოდა ოსმალთაგან, აუცლებლათ მიაჩნდა საქართველოს გასაბჭოების დაჩქარება, შით უმეტეს, რომ გლეხთა უკმაყოფილება მენშევიკების მთავრობით დღითიდღე იზრდებოდა და ზოგიერთ ადგილებში ეს უკმაყოფილება აჯანყების სახეს ღებულობდა (სამხრეთ-ოსეთი, ლეჩხუმი, დუშეთის მაზრა და სხვა).

ამის გამო საოლქო კომიტეტმა დაადგინა დაუყონებლივ გაეგზავნა ზოგიერთი თავისი წევრები ტფილისში მდგომარეობის ადგილობრივად გამოსარკვევად და საჭირო ღირექტივების მისაცემად, — და რადგანაც მენშევიკების სამეფოში ამხანაგების გადასვლა უზიფათო საქმე არ იყო, ამხანაგებმა გადასწყვიტეს ესარგებლათ შემთხვევით და გაჰყოლოდნ ამხ. ბუაჩიძის ცხედარს, როგორც მთავრობის წარმომადგენლები.

მოწმენდილი, მზიანი დღე იყო.

კავკავის ქუჩებში ათასობით გამოეფინა ხალხი, რათა უკანასკნელად გამოემშვიდობებოდა საყვარელ ბელადს, რომელსაც საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. საბარგო ავტომობილი, რომელზედაც ცხედარი ესვენა, გაწყობილი იყო წითელი მატერიით, გირლიანდებით და ყვავილებით. სამგლოვიარო პროცესია „თქვენ მსხვერპლი გახდით“ და სხვა რევოლიუციონური სიმღერებით ქალაქის ქუჩებით გაემართა საქართველოს სამხედრო გზისაკენ. ორატორები მიუთითებდნ დიდ დანაკლისზე, მოუწოდებდნ სამაგიერო გადაეხადათ გათავხედებულ შავი ძალებისათვის, რომელთაც მეტროპოლთა რიგებიდან გამოსტაცეს საუკეთესო ამხანაგი...

ავტომობილი აუჩქარებლათ გაემართა საქართველოს სამხედრო გზით. მას უკან მისდევდა ორი სხვა ავტომობილი. ერთში ისხდენ ამხ. ბუაჩიძის ორი ძმა და სამხედრო კომისრები ფიგატნერი და ყამარაული, მეორეში — ტფილისში გაგზავნილი ამხანაგები — ლადო ღუმბაძე, სერგო ხანოიანი, ნინა აღაჯალოვა და ამხ. საბაშვილი.

ორი ვერსტი არც კი გაგვევლო, რომ ჩვენს პროცესიას შემოუვება ინგუშების დელეგაცია მოლლას მეთაურობით, რომელსაც თან ახლდა ცხენოსნებიც. გრძობიერ სიტყვებში დელეგაციამ თავისი თანაგრძნობა განაცხადა ასეთი მიძიმე დანაკლისის გამო და აღნიშნა ის ყურადღება ამხ. ბუაჩიძისა, რომელსაც ის იჩენდა ინგუშების მიმართ. საპასუხო სიტყვაში ამხ. ფიგანტერმა მოუწოდა მათ ყოველივე ძალღონით დაეცვათ საბჭოთა ხელისუფლება და დაუნდობლად ებრძოლათ ამ ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ.

ცხენოსან ინგუშების მიერ გარსშემორტყმული ცხედრიანი ავტომობილი გაქაჩა ლარსის სადგურისაკენ. მთის კალათების მწვანე ფონზე ლამაზად გამოიყურებოდა წითელი ავტომობილი, 200 — მხედარი კი, შავ, ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი, ავსებდა ამ კალმისათვის ძნელად ასაწერ დიდებულ სურათს.

ვიდრე ლარსში მივალწევდით, ჩვენ შევხვდით ტფილისიდან კავკაში მომავალ მგზავრებს; მათგან ჩვენ გავიგეთ, რომ ლუშეთის მაზრაში სიწყნარე არ იყო, რომ გლენობა აჯანყდა; გავიგეთ, რომ ყაზბეგში — მენშევიკთა ამ ბუნაგში — დიდი აღშფოთება იყო, ყველა გამვლელთ გულდასმით ჩხრეკდენ და ართმევდენ გადასაზიდ ყოველგვარ საშუალებებს ცხენებს, ფურგუნებს, ავტომობილებს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ მაინც გადავსწყვიტეთ გავვეგრძოგზა, მაგრამ მეტი სიფრთხილისათვის გადავსხედით მთავრობის ავტომობილში (ამხ. ფიგანტერი ფიქრობდა, რომ მენშევიკები ვერ შეეხებოდნენ ამ ავტომობილს სარეკვიზიციოდ). ჩვენ გამოვემშვიდობეთ რა იმ ამხანაგებს, რომელნიც კავკაეში ბრუნდებოდნენ, განვაგრძეთ გზა ყაზბეგისაკენ.

კვირა დღე იყო.

როგორც კი მივალწიეთ სადგურამდე, საკმაოდ გადაკრული. შეზარხოშებულნი ყაზბეგელები გარს შემოგვერტყენ და დაიწყეს გამოკითხვა ყოველი მხრიდან — „ვინ ვართ“, „ვის მივასვენებთ“, „სად მივდივართ?“ ამხ. ლადო შეეცადა დაეკმაყოფილებია მათი ცნობის მოყვარეობა, მას უხეშად აწყვეტინებდნენ: „ბუაჩიძე?“ ეს ის ბუაჩიძეა, რომელიც ჩვენთვის ჩრდილო კავკასიიდან პურს არ უშვებდა?“ ვინც ჩვენში მთავრობის წინააღმდეგ ლუშეთელები ააჯანყა?“ მაშ, თქვენ ბოლშევიკები ხართ და აჯანყებულებთან მიდინხართ?“ ამ დროს ერთმა



ბრბოდან დაიძახა: „ამხანაგებო, ისინი ბუაჩიძეს კი არ მიასვენებენ, მათ კუბოთი იარაღი მიაქვთ აჯანყებულთათვის“.

აქ საძაგელი, ამალშფოთებელი სცენა დატრიალდა. გამხეცებული ბრბო მივიარდა ცხედრიან ავტომობილს. ყვაილები, გვირგვინები, გირლანდები, წითელი მატერია — ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში ჩამოგლიჯეს, ფეხ-ქვეშ გათელეს. ეს კიდევ არაფერი. რამოდენიმე კაცი მოვიდა ცულებით და შეუდგენ კუბოს სახურავის ახდას და როცა ერთმა მათგანმა შეჰყო რა ხელი კუბოში და როცა იქიდან გამოიღო ის გასისხლიანებული, ბრბო დარწმუნდა, რომ კუბოში მართლა ამხ. ბუაჩიძის გვამი იყო.

თითქოს ყაზბეგელების ყოველგვარი ეჭვი გაფანტული იყო. მაგრამ მათ მაინც გადასწყვიტეს ამხ. ბუაჩიძის ცხედარი თავისი ორი ძმის თანხლებით გაეშვათ, ჩვენთვის ავტომობილი ჩამოერთმიათ და თვით ჩვენ დავეპატიმრებით ჩვენ ვინაობათა გამორკვევამდე.

არაფერი დაგვიჩენოდა, უნდა დავმორჩილებოდით. ჩვენ მოგვათავსეს სასტუმროში. მთელი დღის განმავლობაში ბრბო მღელვარებდა: ჩვენი ფანჯრების წინ წარმოუდგენელი ხმაურობა იყო. ხან ერთი, ხან მეორე შემოიჭრებოდა ჩვენთან ოთახში და სხვადასხვა შეკითხვებს გვაძლევდა. რაც დრო მიდიოდა, ჩვენი მდგომარეობა. მით უფრო საძნელო ხდებოდა, მით უმეტეს, რომ ერთს ჩვენს ამხანაგს ასეთი მუქარისათვის მოეკრა ყური: „უკეთესი იქნებოდა ამათთვის ბოლო მოგველო“.

ასე ვაგრძელდა ღამით დიდხანს. მხოლოდ 12 საათზე ხმაურობა თანდათან მიწყნარდა. ამ დროს ჩვენი ფანჯრიდან მომხიბლავი სურათი გამოჩნდა. ღრუბლიდან გამოჩნდა მთვარე და გაანათა მუდამ თოვლით მოცული ყაზბეგის მწვერვალი. მაგრამ აბა რა იყო ჩვენთვის ეს სურათი. — ძილი ხომ არ გვეკარებოდა... შეუდექით იმაზე ფიქრს, თუ როგორ დაგვეღწია თავი ამ ხაფანგისათვის; როცა გარშემო ყველაფერი მიწყნარდა, ამხ. ლადო ნაშვალამევის 3 საათზე გამოვიდა დასაზვერავად. ის იყო თენდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ის დაბრუნდა სასიხარულო ამბით. — რომ მან ნახა ერთი მალაკანი ფურგუნით, რომელიც დათანხმდა ჩვენს ჩაყვანაზე ტფილისში. ჩვენ იმ წამსვე მოვკრიბეთ რაც რამ გვებადა და ჩუმად, შეუმჩნეველად, გამოვედით სასტუმროდან. იქვე ახლო გველოდებოდა ფურგუნი, რომელზედაც მოვთავსდით და გავუდექით სად. კობისაკენ, რომელიც, როგორც ამბობდნენ, აჯანყებულ გლეხების ხელში იმყოფებოდა.

კობი აჯანყებულთა ბანაკს წარმოადგენდა, ყველგან სიცოცხლე, მოძრაობა იყო, ქუჩა სავსე იყო ქვეითი და ცხენოსანი გლეხებით, მათი უმრავლესობა შეიარაღებული იყო. ყველანი ხმამალა რალაცხე ლაპარაკობდნენ. დაობდნენ. ეტყობოდა არაჩვეულებრივი აღ-

ტყინება. — მათი თქმით ისინი მოელოდნენ გლეხებს მახლობელ სოფლებიდან. რომ მათთან ერთად გაელაშქრათ ყაზბეგელების წინააღმდეგ; მხოლოდ ყაზბეგელები იყვნენ მენშევიკების მხარეზე.

ჩვენ განვაგრძეთ გზა. გზაში ჩვენ გვხვდებოდნენ გლეხთა ჯგუფები 50 — 100 კაცი. მათში შეამჩნევდით ახალგაზრდებს, მოხუცთ, ზოგი თოფით იყო შეიარაღებული. ზოგი კომბლით; ჩვენ შეკითხვაზე, თუ სად მიდიოდნენ. გვესმოდა ერთი და იგივე პასუხი — „ჩვენ მივდივართ, რომ შეუერთდეთ ჩვენს ძმებს, რუსებს, რომელთაც მენშევიკებმა ჩამოგვაშორეს“.

დუშეთში, აჯანყების ცენტრში, მოთავსებული იყო მთავარი შტაბი. აქ ჩვენ შევხვდით ბევრ ამხანაგებს. ტფილისიდან მოსულთ, მათ შორის აშხ. შოშიაშვილს, რომელიც შემდეგ თეთრგვარდიელებმა დახვრიტეს კავკავში. აქ მუშაობა გაჩაღებული იყო, მხნე საუბარი, სულიერი განწყობილება სუფთედა. ყველა დარწმუნებული იყო გამარჯვებაში.

გზაში შეგვხვდა მცხეთიდან მიმავალი რამოდენიმე საბარგო ავტომობილი სურსათით. დუშეთში მიმავალნი. ერთ-ერთი ასეთი ავტომობილით მიდიოდნენ აჯანყებულთა დასახმარებლათ სამხედრო საქმის მცოდნე ამხანაგები. მათ შორის იყო აფიციერი ხაჩატუროვი, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა პროვოკატორი და გასცა ბევრი ამხანაგი.

მცხეთაში სიწყნარე იყო.

ტფილისში შევედით ღამით. გვიანი იყო. ქალაქი უდარდელ ძილში იყო გახვეული. იქ კი, დუშეთში, ჩვენ დაეტოვეთ ზღვის მსგავსად აბობოქრებული ხალხის მასა, რომელიც მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და გაჭირვებისა, მიისწრაფოდა წინ ახალი, უკეთესი ცხოვრებისაკენ...

მუშათა გამოფხიჭლების დასაწყისი

(მოგონება).

I.

1890 წლები არის მუშათა გამოფხიჭლების წელიწადი; აქედან იწყება მუშათა ცოტათ თუ ბევრად შეგნებული შრომა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გამოფხიჭლება და წერა-კითხვისადმი ლტოლვილება. იოსებ დავითაშვილის გამოსვლამდის წერა-კითხვა თავად-აზნაურთა და სამღვდელოების მონოპოლიას შეადგენდა, მაგრამ ი. დავითაშვილმა ეს მიუვალი გზა გატკეპნა და მოძმეთ უთხრა: მოდით ძმანო ამ გზაზე გაიარეთ“. აი ერთ თავის მსგავს მუშა მწერალს (გორდულაძეს) რას ეუბნება:

კარგს აქვებ, ცუდსა აძაგებ, გამკიცხავი ხარ ბოტისა,
 არ დამირიდო მუშა ვარ, ნება მიბოძე ცნობისა,
 მიცან და ერთად შევებათ, ახალ ცხოვრების უღელში.

„მე“ მოვსპოთ „ჩვენა“ ვინმაროთ, მით მოძმეს მივცეთ ნუგეში!

მუშებში ჩაისახა მწერლობისადმი მიბაძვა, ამ წლებში იყო შინაური ხელთნაწერი ჟურნალები. (სამწუხაროთ მათი სახელი აღარ მახსოვს). ასეთი ჟურნალი რამდენიმე ნომერი მეც წავიკითხე. მახსოვს ერთ ასეთ ჟურნალში. — ბოლო ფურცლებში მოთხრობა იყო დაწერილი და ამავე მოთხრობის კრიტიკა კი — ჟურნალის დასაწყისში.

ასე მიდიოდა ეს წლები, ინტელიგენტი ხელმძღვანელი არავინ სჩანდა; ერთად ერთი **ჯაჭარია ჭიჭინაძე** იყო. ის კი ყველა ნაცნობს და უცნობს „ფურიეს“, „ლუი ბლანს“, „უანჟაკ-რუსოს“ და სხვა ასეთებს მიაჩეჩებდა ხოლმე. მაგრამ ამ წიგნებში მკითხველი ვერაფერს პოულობდა გარდა იმ პირთა დაბადებისა და სიკვდილის წლებისა.

მუშათა თვითშეგნება და მომწიფება იქამდის გაზრდილი იყო, რომ ერთხელ ოცდა ათ კაცამდის, სულ ახალგაზრდანი, შეკრებილი ვიყავით და ერთმა ინტელიგენტმა (თუ არ ვცდები, სტუდენტი იყო) მოისურვა ჩვენს კრებაზე დასწრება, ჩვენ მას ნებას არ ვაძლევდით, მაგრამ მან პირობა მოგვცა. რომ „თქვენს საქმეში არ ჩავერევიო“ და ჩვენც ნება დაერთეთ... კრებაზე შემოხსენებული ინტელიგენტი გაჩუმებული იჯდა და როცა კრება დაიშალა, მას ჩვენი კრების მსვლელობა ძაან მოეწონა და გვითხრა:

— „ასრე მწყობრად კრებას სტუდენტებიც ვერ ჩაატარებდნენ. რა იყო კრების მიზეზი?

ჩვენ იმ დროს ვნის მაჩვენებელი არავენ გეყავდა, ვინც რას გვეტყოდა, ყველას უჯრედებით, ჩვენ შორის იყო ერთი ღურგალი (სტალარი) გვართ ასათიანი (სახელი არ მახსოვს), მან მუშათა კავშირის გეგმა წამოაყენა. ამ კავშირით ის ათასგვარ სიკეთეს გვპირდებოდა, ესე იგი, ჩვენ ფული უნდა გამოგველო, ამ ფულით უნდა მომგებიანი ბილეთები გვეყიდნა, ლატარიაში ფული გვერგებოდა, ამ ფულით ავაშენებდით ქარხანას, ყველა ვიმუშავებდით და მოგებას-სხვას აღარ შევაჭმევდით!

ასათიანის წინადადებას ყველა დიდის სიხარულით მიეგება და პირველ კრებაზედვე გადაწყვეტით ფული მოგვეგროვებინა. ფულს თითქმის ორ წლამდის ვაგროვებდით და ვიყიდეთ ოთხი მომგებიანი სახელმწიფო ბილეთი, თითო 600 მანეთათ. ყოველ თვე ვმართავდით კრებებს, თავმჯდომარეთ მუდამ ასათიანი იყო. ის ჩვენში ყველაზე შეგნებულად ითვლებოდა. ჩვენ მას ანგარიშს ვუწვევდით. წესდების თანახმად ჩვენ შორის მთერალს ან ლოთს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ამაზე ასათიანი ხშირად ლაპარაკობდა. წესდებაში იყო ერთი მუხლი, რომელიც ამბობდა: „თუ რომელიმე ამხანაგმა არა საპატიო მიზეზებით საწვევო გადასახადის შემოტანა შეწყვიტა, იგი ამხანაგობიდან გაირიცხება და შეტანილი ფულიც კავშირის სახარგებლოდ რჩება“. ასეთი წევრი ორი გეყავდა, მათ თითქმის ხუთ-ხუთ თუმნამდის ჰქონდათ შემოტანილი, როცა ფულის შემოტანა შესწყვეტეს, ამის შესახებ კრებაზე საკითხი დასვა იმ ამხანაგებმა, რომლებიც ამ მუშებს იცნობდნენ. დაახსიათეს ისინი, როგორც ლოთები, ამხანაგობამ იგინი ერთხმად გამოირიცხა. ასე მიდიოდა ჩვენი ახალგაზრდობის დრო, ვწერდით ლექსებს და ვცემდით შინაურ ჟურნალს და მეტს ვერაფერს გავაკეთებდით, რადგან ხელმძღვანელი არავენ იყო.

ამ დროს რუსეთში თუმცა იყო „ნაროდნიკული“ მოძრაობა, მაგრამ ამის შესახებ ქართულად ჩვენ აქ ძლიერ ცოტა რამ გვესმოდა. ვინაიდან ქართულად ვერაფერს ვმოულობდით, რუსული კი ჩვენ არ ვიცოდით.

სხვათა შორის ჩვენს ამხანაგობაში მიხა ბოჭორიშვილიც იყო. იგი ამ დროს მეტად ცოცხალი და მოძრავი ადამიანი იყო, იგი ყველგან წილს იღებდა, როგორც მუშტ-კრივში, ისე ლხინში და კავშირშიაც ერთნაირად სწრაფი და გაბედული იყო.

ასე მივალწიეთ 1895 წლამდის, მახსოვს ამ წელს ეთხელ არსენალთან მიხა ჩოღორიშვილს კრება ჰქონდა და მეც დავესწარი, მაგრამ ამ კრებას უფრო ნაროდნიკული ხასიათი ჰქონდა.

აქ საჭიროა ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ „მესამე დასი“.

1893 წ. გიორგი წერეთელმა თავის მეუღლის ანასტასიას რედაქტორობით გამოსცა ყოველკვირეული გაზე „კვალი“. პირველ ხანად აქ მუდმივი თანამშრომელნი იყვნენ: აკაკი, გიორგი წერეთელი, გველესიანი და სხვანი; ამ გაზეთის დაარსებისათანავე მე გამოვიწერე ის და რკინის გზის მუშებს დაუფუყე კითხვა: ყოველ დღე სადილობისას ჩემთან იკრიბებოდნენ. მე მათ უკითხავდი „კვალს“, „ივერიას“ და როცა 1894 წელს ჟურნალი „მომამბე“ გამოვიდა, ესეც გამოვიწერე და რასაც მოვასწრებდით, სადილობის დროს, ვკითხულობდით და ვმსჯელობდით. შემოხსნებული სამი გამოცემა მუშებს ისე ჩასწვდათ, რომ პირველი წლის მეორე ნახევარში და მეორე წელიწადს, „კვალზე“ 20 მუშამ განაცხადა ხელის მოწერის სურვილი, „ივერია“ ორმა გამოიწერა და „ჯეჯილი“ რამოდენიმე მცირეწლოვანმა (კარგათ არ მახსოვს).

იმ დროს მუშებს მოთხოვნები უფრო ეინტერესებოდათ, არ იყო არც ერთი მოთხოვნა, რომ მუშებს უყურადღებოთ დაეტოვებინათ. ყოველ უწინარეს მოთხოვნას, ლექსებს კითხულობდნენ, ჩვენი მუშები მაშინ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მასალა იყო. ან სულ უსწავლელი იყვნენ. ზოგმა მათგანმა ანბანი იცოდა, ისიც სახლში პქონდა ნასწავლი, ათასში ერთს თუ ქონდა სოფლის ორ-კლასიანი სასაწავლებელი დასრულებული.

ჟურნალ-გაზეთებში ბევრი წერილები გაუგებარი იყო, სწორეთ ამის გამო მუშებს ბელეტრისტიკა უფრო იზიდავდა, მაგრამ „კვალს“ და „ივერიას“ მაინც თვალს ადევნებდნენ, ვინაიდან ამ დროს მათ შორის კამათი იყო დაწყებული: ერთხელ ერთმა მუშამ გაკვირვებული მკითხა — რაა ეს მესამე დასი? „მესამე დასი ჩვენ ვართ“ — მიუგე მე.

„კვალი“ იმ დროინდელ „ივერიას“ მედგრად ებრძოდა, „ივერია“ თავის „დავიწყებული“ „კენტით“ და სხვებით თავს ესხმოდა, მაგრამ „კვალი“ დლითი-დღე იზრდებოდა და ამ ზრდის მიზეზი კი მუშათა თანდათანობითი შემეცნება იყო.

რუხეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დასაწყისი.

1896 წელს, კარავდ არ მახსოვს თებერვალში თუ მარტში რკინის გზის ხარატთა განყოფილებაში ჩემთან მოვიდა არჩილ არავია-შვილი და მითხრა: „შენთან ძაან საჭირო საქმე მაქვს და მსურს სახლში მოველაპარაკო“. მე მისამართი მივეცი, ისიც იმავე საღამოთი მეწვია.

არჩილი დიდხანს მელაპარაკა ვინ იყო მარქსი, რა გააკეთა მან, როგორი შეგნება შეიტანა მან მუშებში და სხვა, მან ამიხსნა მახლობელი და შორეული მიზანი, რა უნდა გაეკეთებინა მუშას, როგორ უნდა ებრძოლა, მე გაჩუმებული ვუსმენდი და ბოლოს უთხარი: დიდაა სა-

სიაზოვნოა, რაც შენ გამაგებინე და მსურს რკინის გზაზე გავავრცელო, მაგრამ მასწავლებლები რომ ვერ ვიშოვეთ მეთქი.

თუ ცოდნის მსურველები აღმოჩნდებიან, მასწავლებლები ჩემზე იყოს. მე შემძლიან ვიშოვო, — ასე მიპასუხა არავიაშვილმა.

დავდეთ შემდეგი პირობა: რადგან რკინის გზაზე მე უკვე კარგად მიცნობდენ და მეც მუშებს კარგად ვიცნობდი, უნდა შემედგინა წრეები, მას უნდა მოეყვანა მასწავლებლები.

უნდა გამოვტყდე, რომ იმ პირებს გარდა, რომლებიც წერაკითხვაში ბონაწილეობას ღებულობდნენ, იყვენ კიდევ ისეთებიც (უმრავლესობა), რომელნიც თავისუფალ დროს ლხინში და სხვა ასეთ საქმეებში ატარებდენ. ამ საქმეს მეტადრე რუსობა მისდევდა, რუსებმავე შემოიღეს „კლიოპკა“. ახალ მიღებულებს ან ახლად ჯამაგირ-მომატებულებს ამართვინებდენ „კლიოპკას“, ესე იგი, წაველოდენ და ერთს მაგრად გამოთვრებოდენ.

თუ სადმე სამს ან ოთხს მუშას ერთად შეამჩნევდით. უეჭველად ან გავლილ ლოთობაზე იყო ლაპარაკი. ან მომავალზე. ამ მიზეზით არავიაშვილს ვთხოვე წრეები ისე შეგვედგინა, რომ ჩვენში ასეთი ხალხი არ მოჰყოლოდა. მოვიყვან ერთ მაგალითს: რამდენიმე წელიწადს მე და ნიკო ერიჭოვი ქარხანაში ერთად ვსადილობდით, დიდი მეგობრობა გვქონდა, მაგრამ იგი ლოთი იყო და ამ მიზეზით მე იგი წრეში არ მოვიწვია, ვაი თუ ლოთობაში რამე წაიყბედოს მეთქი.

პირველი წრე მე ერთ კვირაში შევადგინე. ამ წრეში იყვნენ დათიკო დვალი, ვანო სტურუა, ილიკო კოპალეიშვილი, მიხა ბოჭორიშვილი, გიორგი ჩხეიძე და მე. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენში რუსულის კარგად მცოდნე მხოლოდ ერთი იყო (ვანო სტურუა), ამისათვის ჩვენ სხვასთან ერთად რუსულიც უნდა გავველო, ვანოსათვის თუმცა ეს საჭირო არ იყო. მაგრამ იგიც ჩვენ თან მოგვედგა.

ამის შემდეგ შევადგინე მეორე წრე; აქ იყვნენ: კალისტრატე გოგუა, ვლადიმერ ჩაჩაია (ტენნიკი), ვანო ყიასაშვილი, სწორედ ამ დროს ესენი ქარხნიდან დებოში გადაიყვანეს და დანარჩენი თავიანთი ამხანაგნი თვითონ გამონახეს: არაქელა ოქუაშვილი და ზაქარია ჩოდრიშვილი.

ჩვენი პირველი წრე შეიკრიბა ავლაბარში ჩვენსა, სურბ-მინასის შესახვ. № 12. მასწავლებლად მოვიდა ვანო შუაქრიშვილი, მაგრამ რალაც მიზეზით, ერთი კვირის შემდეგ, უარი გვითხრა: ამის შემდეგ დაგვინიშნეს ვანო ზედგინიძე, მაგრამ ავლაბარი ამანაც იშორა. ჩვენ იძულებული ვიყავით სახლი სხვაგან მოგვეჩანა.

ჩვენს ამხანაგებში ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა მიხა ბოჭორიშვილის სახლი (თუმანოვის ქუჩაზე). აქ ჩვენ დიდხანს ვიმეცადინეთ: ოთხი-ხუთი თვის შემდეგ ჩვენ უკვე ცოტათ თუ ბევრად, შეგნებულნი

ვიყავით და მე და მიხამ ჩვენი მომგებიანი ბილეთები უტოპიათ ჩავთვალეთ, მოვილაპარაკეთ როგორმე ზემოხსენებული ამხანაგობა დაგვეშალა.

ამ დროს ასათიანი ცოცხალი აღარ იყო, ბილეთები მიხა ბოჭორიშვილთან ინახებოდა. მე და მიხამ დავნიშნეთ კრება; კრებას აუხსენით, რომ ასეთი ამხანაგობა მიზანს ვერ მიაღწევს, აქედან თავის თავის მოტყუების მეტი არა გამოდიოდა რა, ჩვენი მოხსენება კრებას მოეწონა და დაადგინეს ამხანაგობის დაშლა და ფულის განაწილება. სალიკვიდაციო კომისიაში ამოგვიჩიეს მე და მიხა ბოჭორიშვილი.

ფულის განაწილების დროს ის ამხანაგებიც მოვიწვიეთ, რომელნიც ამხანაგობიდან გამორიცხული იყვნენ, მათაც გაუწაწილეთ ბილეთებიდან აღებული ფული.

ასეთი ბოლო მოჰყვა ამხანაგობას, ამ ამხანაგობის არსებობას უმნიშვნელოთ შინც არ ჩაუვლია, მას თავის კარგი მხარეც ჰქონდა, ოცდაათამდის ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე მუშა ყოველ კვირა ერთმანეთს ვხვდებოდით და ერთმანეთზე არამცირე ვაულებას ვახდენდით.

საუბედუროთ, მე ამხანაგობის ყველა წევრების გვარები აღარ მახსოვს, ამათში რამდენიმე ნიჭით და ენერჯით სავსე ახალგაზრდები იყო.

რკინის გზაზე ჩვენი ხელმძღვანელი (არავიაშვილი) უმეტეს წილად კონსპირაციის შესახებ გველაპარაკებოდა. ჩვენც კონსპირაცია ისე დავაყენეთ, რომ ერთმა ამხანაგმა მეორის არა იცოდა რა.

მუშებს საიდუმლო საღარო არ გვქონდა. მოვილაპარაკეთ და დავაარსეთ ამავე წელიწადს, როდესაც რადენობაზე კითხვა დაისვა, ამხანაგებმა ზოგმა ხუთი პროცენტი დაასახელა, ზოგმა ათი, მაგრამ მე უთხარი ყველა ეგენი მუშისათვის საძნელო გადასახადია, ისეთი გადასახადი უნდა დავიწესოთ, რომ მუშას გადახდა არ გაუძნელდეს და გადასაწყვეტად დავსვი 2 1/2 პროცენტი, ამხანაგებმა ერთხმად მიიღეს, მოღარეთ ამოვიჩიეთ მიხა ბოჭორიშვილი, გადასახადი თუმცა მცირე იყო, მაგრამ მოკლე ხანში იქამდის გაიზარდა, რომ ერთხელ ოცი მანეთით დათიკო დვალს დახმარება აღმოუჩინეთ.

1900 წელს მე რკინის გზას თავი დავანებე და გადავსახლდი იარმუკაში ჩემ ძმასთან, სავაქროში. აქ მე ვასრულებდი ბიბლიოთეკარის როლს, ჩემთან ვანო ჯობიაშვილმა გადმოვიტანა რამდენიმე ფუთი აკრძალული რუსული ლიტერატურა, მე მას დავუთმე პატარა კუთხე და ყოველ კვირა ვანო ჯობიაშვილს საჭიროებისამებრ მოჰქონდა და ჰქონდა.

კიბის ზევით დავტოვეთ 4 არშინი ცარიელი, დავაწყეთ ფიცრები და ზევიდან 10 არშინი მიწა დავაყარეთ, ამნაირად კიბე მიწის ქვეშ დაიმალა.

დურგლებმა ყოველი საქმე მოათავეს, საქმე მიდგა-ჭიდან ჰის შეერთებაზე, დურგლები წავიდნენ, აქ საქირო იყო დიდი კონსპირაცია. ჯერ სახლის სახურავის კრამიტით დახურვა ჩამოთავებული არ იყო, მოვიდნენ შემდეგი ასოთ-ამწყობი ამხანაგები: **ლადო ღუმბაძე, მანასე გოგუაძე, გიგო ლელაშვილი, ჭიჭიკო და ბაბე ლაშაძე**. რომ სახურავი მალე დაგვეხურა, ზემოხსენებულმა ამხანაგებმა ძან გულმოდგინეთ იმუშავეს, კარგად არ მახსოვს, ერთ დღეში თუ ორ დღეში გაათავეს, ამხანაგებმა დაიწყეს გვირაბის თხრა, ერთი ჭიდან მეორემდის საქირო იყო ორი საყენი გვირაბის გაყვანა, ეს საქმე ამხანაგებმა მშვენივრად შეასრულეს და სტამბა გადმოიტანეს მიუხედავად იმისა, რომ სამ ენაზე გვქონდა შრიფტი და ისიც საკმარისად, საბეჭდი მანქანა პატარა იყო, სტამბის თავზე თაღში შუა ადგილას 1 $\frac{1}{4}$ არშინი თავისუფლად გვქონდა დატოვებული. ზედ ეწყო ფიცრები, ფიცრებზე ორი არშინიანი მიწა იყო წაყრილი, ამ სათადარიგო გზის ახდა, სტამბის არსებობაში მხოლოდ ორჯერ დაგვეჭირდა, ერთხელ, როცა პირველად გადმოზიდეს, მეორედ — როცა ამხანაგ ლადო ღუმბაძემ ბაქოდან მსწრაფლმბეჭდავი მანქანა მოიტანა, დანარჩენ დროში ჩვენ ჭით ვსარგებლობდით, მსწრაფლმბეჭდავ მანქანის მიღების შემდეგ მუშაობა გახურდა, მრავალ არალეგალურ ბროშურათა გარდა, იბეჭდებოდა ყოველთვიური ყურნალი „პროლეტარიატის ბრძოლას“, „Борьба Пролетариата“-ს და „ბანგორი კრივ“.

ლიასახლისის მოვალეობას ასრულებდა ბაბე ლაშაძე, მე ვიყავ სტამბის და ორგანიზაციის შემაერთებელი ძაფი, ამ დღიდან ჩემი ბინა გადაიქცა არალეგალურ საწყობათ: შრიფტი, ქალაღი და ხშირად დაბეჭდილიც ჩემთან მოქონდათ, აქედან კი დანიშნულებისამებრ.

მოვიყვან ერთ მაგალითს: 1905 წელს, 22 დეკემბერს სალდათის ქუჩაზე ყაზახ-რუს. ბოში ესროლეს, ცხენი მოკვდა, ამ დროს ჩემთან სამი ფუთი შრიფტი ინახებოდა და რაღაც მიზეზით დიდხანს არ წაიღეს, წინად მომხდარ „პოგრომების“ გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ „პოგრომი“ აქაც მოსალოდნელი იყო და მე და ჩემმა ძმამ მოვილაპარაკეთ, თუ როგორ უნდა მოვექცეულიყავით, რადგან „პოგრომის“ დროს შრიფტს წაიღებდნენ, რითაც პარტიას ზარალი მოუვიდოდა და შეიძლება ჩვენც ჩავცვივნულიყავით.

ჩემმა ძმამ კოტემ შრიფტს ხელი დაავლო და გადაიტანა ავლაბარში, ჩვენსა, ჩვენმა წინად-გრძნობამ არ გვიღალატა, — მეორე დღეს

კიბის ზევით დავტოვეთ 4 არშინი ცარიელი, დავაწყეთ ფიცრები და ზევიდან 10 არშინი მიწა დავაყარეთ, ამნაირად კიბე მიწის ქვეშ დაიმალა.

დურგლებმა ყოველი საქმე მოათავეს, საქმე მიდგა-ჭიდან ჰის შეერთებაზე. დურგლები წავიდნენ. აქ. საქირო იყო დიდი კონსპირაცია. ჯერ სახლის სახურავის კრამიტით დახურვა ჩამოთავებული არ იყო. მოვიდნენ შემდეგი ასოთ-ამწყობი ამხანაგები: **ლადო ღუმბაძე, მანასე გოგუაძე, გიგო ლელაშვილი, ჭიჭიკო და ბაბე ლაშაძე**. რომ სახურავი მალე დაგეხურა. ზემოხსენებულმა ამხანაგებმა ძან გულმოდგინეთ იმუშავეს. კარგად არ მახსოვს. ერთ დღეში თუ ორ დღეში გაათავეს. ამხანაგებმა დაიწყეს გვირაბის თხრა. ერთი ჭიდან მეორემდის საქირო იყო ორი საჟენი გვირაბის გაყვანა. ეს საქმე ამხანაგებმა მშვენივრად შეასრულეს და სტამბა გადმოიტანეს მიუხედავად იმისა. რომ სამ ენაზე გვქონდა შრიფტი და ისიც საკმარისად. საბეჭდი მანქანა პატარა იყო. სტამბის თავზე თაღში შუა ადგილას 1¹/₄ არშინი თავისუფლად გვქონდა დატოვებული. ზედ ეწყო ფიცრები. ფიცრებზე ორი არშინიანი მიწა იყო წაყრილი. ამ სათადარიგო გზის ახდა. სტამბის არსებობაში მხოლოდ ორჯერ დაგვჭირდა. ერთხელ. როცა პირველად გადმოვიდეს. მეორედ. — როცა ამხანაგ ლადო ღუმბაძემ ბაქოდან მსწრაფლმბეჭდავი მანქანა მოიტანა. დანარჩენ დროში ჩვენ ჭით ვსარგებლობდით. სწრაფლმბეჭდავ მანქანის მიღების შემდეგ მუშაობა გახურდა. მრავალ არალეგალურ ბროშურათა გარდა. იბეჭდებოდა ყოველთვიური ჟურნალი „პროლეტარიატის ბრძოლას“. „Борьба Пролетариата“-ს და „ბანგორი კრივ“.

დიასახლისის მოვალეობას ასრულებდა ბაბე ლაშაძე. მე ვიყავ ატამბის და ორგანიზაციის შემაერთებელი ძაფი. ამ დღიდან ჩემი ბინა გადაიქცა არალეგალურ საწყობათ: შრიფტი, ქალაღი და ხშირად დაბეჭდილიც ჩემთან მოქონდათ. აქედან კი დანიშნულებისამებრ.

მოვიყვან ერთ მაგალითს: 1905 წელს. 22 დეკემბერს საღდათის ქუჩაზე ყაზახ-რუსს. ბომბი ესროლეს. ცხენი მოკვდა. ამ დროს ჩემთან სამი ფუთი შრიფტი ინახებოდა და რალაც მიზეზით დიდხანს არ წაიღეს. წინად მომხდარ „პოგრომების“ გამოცდილებიდან ვიცოდით. რომ „პოგრომი“ აქაც მოსალოდნელი იყო და მე და ჩემმა ძმამ მოვილაპარაკეთ. თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით. რადგან „პოგრომის“ დროს შრიფტს წაიღებდენ. რითაც პარტიას ზარალი მოუვიდოდა და შეიძლება ჩვენც ჩავცვივნილიყავით.

ჩემმა ძმამ კოტემ შრიფტს ხელი დაავლო და გადაიტანა ავლადარში. ჩვენსა. ჩვენმა წინად-გრძნობამ არ გვიღალატა. — მეორე დღეს

იარმუკაში ყველაფერი დაღეწილი, მოსპობილი და გაცარცული აღმოჩნდა.

სტამბის მუშაობის დაწყებისთანავე, ამხანაგ ბოქორიშვილმა მიჩნია, სხვა საქმეებში არსად მონაწილეობა არ მიმელო და რაც შეიძლებოდა კონსპირაცია მტკიცეთ დაგვეცვა; ამ მიზნით ჩვენ თავი ისე გვეჭირა, ვითომ პარტიას არ თანავუგრძნობდით. ძველი ნაცნობები ამხანაგები შემომწყურენ. — უშვერი სიტყვებით მიხსენიებდენ. მიხო ბოქორიშვილი ჩემთან თითქმის ყოველ ორ დღეში ერთხელ მოდიოდა და სტამბასთან დაკავშირებულ საქმეებზე ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით ძველ ამხანაგებიდან მოყენებულ უსიამოვნებაზე, მან ბევრი იცინა და სთქვა: ბოლოს გამოჩნდება ვინ რაც არისო.

1903 წ., როდესაც პარტიაში რასკოლი მოხდა, მეუმრავლესე-მეუმცირესობათ გაიყო, ვისაც კი სტამბასთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა, ყველა მეუმრავლესეებში გადავიდა. მენშევიკები დარჩნენ უსტამბოთ. მათ დაიწყეს მეცადინეობა, რომ როგორმე ჩვენი სტამბახელში ჩაეგდოთ. ერთ დღეს ლადო დუმბაძე მოვიდა ჩემთან და მითხრა: მენშევიკებს სურთ სტამბა ძალით წაგვართვან. მე შევეკითხე:

როდის აპირებენ მეთქი?

შეიძლება ამალამ!

დღე სცადონ. მიუგე მე. ლადო წავიდა. იმ საღამოთი მე და ჩემი ძმა კოტე მიველით სტამბაში, აქვე იყო სტამბის მთელი შტატი. ჩვენ ლამის თორმეტ საათამდის ველოდით, მაგრამ არავინ მოვიდა. შეიძლება მისთვის არ მოვიდენ. რომ მენშევიკთაგანმა სტამბის ბინა არავინ იცოდა.

ასე გავატარეთ 1906 წ. მენშევიკებმა საკუთარი სტამბა შეიძინეს, ამ წელს მოხდა ბოლშევიკ-მენშევიკთა შეთანხმება. მენშევიკებს სტამბა ქალაქის ცენტრში ქონდათ, ჩვენი ასოთ-ამწყობნი გადასახლდნენ მენშევიკთა სტამბაში, ჩვენი სტამბა, თავის მოწყობილობით დროებით დავხურეთ, მას ვინახავდით „ყოველ შემთხვევისათვის“.

დ. მ. როსტომაშვილი.



სფ. რკინის გზის სახელოსნოების გუშათა გაფიქვამა 1900 წელს

1900 წლის აგვისტოს 1-ს ტფ. რკინის გზის სახელოსნოებში დაწყებული გაფიქვა, რომელსაც ტფილისის ორგანიზაცია (რ. ს. დ. მ. პ.) ხელმძღვანელობდა, სასახელო ფურცელია ტფ. რკინის გზის პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიაში.

ამ დღეს პირველად გამოვიდა რკინის გზის პროლეტარიატი გაფიქვით და წამოაყენა რევოლიუციონური-პოლიტიკური ლოზუნგები.

1 აგვისტოს ტფილისის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ორგანიზაციამ პირველად აშკარად გამოიწვია ბრძოლის ველზე მეფის თვითმპყრობელობა და საუცხოვოთ ჩააბარა თავის სიმწიფის და უშიშრობის გამოცდა მედგარ ბრძოლაში ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გასაუმჯობესებლათ.

ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც მეკმუშაობდი სახარატო ცეხში ზეინკლად, მე-90 წლების ნახევრიდან შრომის ხელფასი ყოველწლობით ეცემოდა, ზედმეტი და ნარდი მუშაობა კი თანდათან იზრდებოდა.

იყო ცეხები, სადაც ზოგიერთი დღიური 91½ საათის მუშაობით, თვიური 50 — 60 დღის ქირას აკეთებდენ, ასე რომ, დღე-ღამეში მუშაობდენ 18 საათს.

1900 წლების დასაწყისში ასეთი წესი იყო: კარგ ხელოსან ოსტატ — მუშას სასტიკი გამოცდის შემდეგ დღიური 90 კაპ. უნიშნავდენ, შავი მუშა კი დღიურად ლებულობდა 50 კაპ. ეს ისეთი ხელფასი იყო, რომელიც ვერ დააკმაყოფილებდა მცირე მოთხოვნილების მუშასაც კი და მხოლოდ იმ ცეხებში, სადაც შემოღებული იყო ზედმეტი მუშაობა და სადაც ნარდი ნამუშევარის რეგიანი შეფასება იყო და ზედმეტი ნამუშევარი 30 — 40% აღწევდა, მხოლოდ აქ იკმაყოფილებდენ ასე თუ ისე მუშები თავიანთ მოთხოვნილებებს. ზოგიერთ ცეხებში კი (განსაკუთრებით საორთქლმავლო ცეხში), სადაც მეტი ცოდნა და შრომა იყო საჭირო საქმისათვის, ზედმეტი ნამუშევარი აღწევდა 10 — 15%, ზედმეტი მუშაობა აქ არ არსებობდა. სახარატო ცეხში, სადაც მუშები ვაგონების ბორბლებზე მუშაობდენ, დღიურად ლებულობდენ 50 — 60 კაპ. — ზოგიერთი ხელოსნების თქმით თვიური ხელფასი გვარიანი იყო და ეს იმიტომ, რომ იქ მუშები თვიურად



აკეთებდნენ 60 დღეს. ხშირად ისინი კვირაობით არ გამოდიოდნენ სახელოსნოდან, დაზგასთან ეძინათ. ზოგიერთი ხელოსნები კი ახერხებდნენ ორსა და სამ დაზგაზე მუშაობას. რა თქმა უნდა უფროსების ძალდატანებით. რათა უარის თქმის გამო არ გადაეყვანათ შავ მუშად. უფრო რთული სამუშაოს შემსრულებელი მუშები კი შედარებით ცოტას ლებულობდნენ; შავ მუშას კი არც ნარდი. არც ზედმეტი სამუშაო არ ჰქონდა. თვითრად ლებულობდნენ ისინი 12 — 13 მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ მუშები მომატებას მოითხოვდნენ, ადმინისტრაცია უარს ეუბნებოდა. ადმინისტრაციის გამოანგარიშებით სახელოსნოს და დეპოს ხელოსანი მუშის თვიური ხელფასი უდრიდა 37 მანეთს. ამიტომ ქირის მომატებას უსაფუძვლოდ სთვლიდნენ. ამასთან 1900 წლის მეორე ნახევარში წლიური პერსონალური მომატება მეტად მცირე იყო (5 კაპ. სულზე) და ისიც განაწილებული იქნა მახლობლებსა და ერთგულთ შორის. ამან გამოიწვია მუშებში კანონიერი უკმაყოფილება. ამას დაერთო ის აუტანელი პირობები, რომელშიც მუშები იმყოფებოდნენ უფროსების უზრდელი და უხეში მოპყრობის გამო.

ყველაფერი ეს მიღებული იყო მხედველობაში, როცა 1900 წელს გადახდილი იქნა პირველი მაისობა მლაშე ტბასთან. როგორც მახსოვს, ამ დღესასწაულს დაესწრო 300-მდე მუშა. ამ მაისობის შემდეგ გაჩაღდა მუშებში ავტაცია მათი უმწურო მდგომარეობის შესახებ. აქ, ამ პირველ მაისობაზე გამოიჩვენა, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მუშები, არა მარტო რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, არამედ — ქალაქის სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებში. მუშები ეძებდნენ გამოსავალს ასეთი მდგომარეობიდან. რადაც არ უნდა დამჯდარიყო ის.

ამიტომ მოწინავე მუშების წინაშე საკითხი დაისვა ესარგებლათ მუშათა ასეთი სულიერი განწყობილებით და დაეწყოთ ბრძოლა. პროპაგანდა-ავტაცია ნარდი და ზედმეტი სამუშაოს წინააღმდეგ დაიწყო მაისის მეორე ნახევრიდან.

იმ ცეხებში, სადაც ზედმეტი მუშაობა იყო შემოღებული, ნორმალური სამუშაო დღის შემდეგ, მუშათა ცალკე ჯგუფები უარს აცხადებდნენ ზედმეტი საათების მუშაობაზე. ამ ნიადაგზე დაიწყო შეხლა-შემოხლა მუშებსა და ზედმეტი მუშაობის მომხრე ხელოსან — ბრიგადირებს შორის. გაძლიერდა აგრეთვე პროტესტები უზრდელათ მოპყრობის წინააღმდეგ. ამის საპასუხოთ დაიწყეს მუშების დათხოვნა, რის გამო მუშებმა ნაწილობრივ შეაჩერეს მუშაობა ცეხებში. მუშაობის შეჩერების ასეთი მაგალითი ტფილისში რამოდენიმეჯერ იყო სახარატო ცეხში. მუშაობას აჩერებდნენ მუშები რამდენიმე წამით. ამისათვის ვერავის ვერ ითხოვდნენ.

ივლისის მეორე ნახევრიდან სახარატო და სავაგონო ცენტრში საქმე უფრო და უფრო გამწვავდა. თვის გასულს კი ის გაფიცვამდე მივიდა.

რკინის გზის ადმინისტრაცია და ჟანდარმერია თავიდანვე ამ მოვლენას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, თვის ბოლოს კი ის საქმეს შეუდგა. მოწვეულ იქნა რკინის გზის მმართველობის და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელთა თათბირი ვიცე-გუბერნატორის ერდელის თავმჯდომარეობით. ამ თათბირზე მდგომარეობის სერიოზულობას აღიარებდნენ წევის უფროსის თანაშემწე კარაბუგ-დამკვეიჩი და ვიცე-გუბერნატორი ერდელი. რომელნიც მოითხოვდნენ ნაწილობრივად მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მუშაობის პირობების შემსუბუქებას. რათა ასე, მათი აზრით, აცილებული ყოფილიყო გაფიცვა. რომელიც ჩაითრევედა სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებსაც. დანარჩენები კი. — რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ჟანდარმერია, გუბერნატორი და სხვანი დათმობის წინააღმდეგი იყვნენ — ისინი მოითხოვდნენ რეპრესიების გაძლიერებას, მოითხოვდნენ მეთაურების შეპყრობას, რომ ასე თავიდან აცილებული ყოფილიყო გაფიცვა. მაგრამ უკვე გვიან იყო რეპრესიებით გაფიცვის შეჩერება.

ივლისის გასულს რამდენიმეჯერ გვეწვია ჯაშუშების თანხლებით ჟანდარმერია; ჟანდარმები მუსაიდს მართავდნენ მუშებთან. რომ ასე გამოერკვიათ მეთაურების ვინაობა.

აგვისტოს 1-ს დაპატიმრებული იქნა მუშების პირველი ჯგუფი 5 კაცი — ვას. ბეჟანოვი, რაბინოვიჩი, ლ. სამჩიკაშვილი (ხარატნი), თ. ტოკარენოვი და ამ სტრიქონების დამწერი (ზეინკლები). სახარატო ცენტრის მუშებმა სამუშაოზე გამოსვლით გაიგეს თუ არა ამხანაგების დაპატიმრება. პირველად მოუწოდეს გაფიცვისათვის და 7 1/2 საათზე ჩამოიარეს ყველა ცენტრები. მათ წამოაყენეს 8 საათის სამუშაო დრო. შრომის ხელფასის მომატება, ზრდილობიანი მოპყრობა, ზედმეტი სამუშაოს მოსპობა. ორი „სმენის“ შემოღება, შეფასების მომატება. უხეში ხელოსან-ბრიგადირების დათხოვნა. დაპატიმრებულთა განთავისუფლება და გაფიცვის გამო დათხოვნილი მუშების უკანვე მიღება. დილის 9 საათზე დეპო და სახელოსნოები დაცარიელდა.

გაფიცვის მეორე დღეს დაიწყო მუშათა დაპატიმრება.

გაფიცვის ხელმძღვანელობას კი შეუდგა ტფილისის არა ლეგალური ორგანიზაცია. რამოდენიმე დღის შემდეგ მოვიდა რკინის გზის უფროსი, რათა შემანქანეთა თანაშემწეები მიემხრო, რომ ასე ნაწილობრივად აღედგინა მატარებლის მოძრაობა და გაეტენა მუშათა გაფიცვა. როცა ამის გამო რკინის გზის უფროსი მათ მიმართავდა, ისინი გაოცებული რჩებოდნენ — მათ ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ



შეიძლებოდა იმ მუშების წინააღმდეგ გამოსვლა, რომელნიც თავიდან მოიხრებოდნენ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. არც თვით მემანქანეთა თანაშემწეების მდგომარეობა ყოფილა მუშებისაზე უკეთესი. ზოგიერთ მათგანს ივლისის ჯამაგირი სრულიად არ ჰქონდა მიღებული, რადგანაც მათ ზედმეტი მაშუთის დაწვისათვის დაუჭირეს. აგრეთვე ნაცვლად პრემიისა, დაუჭირეს რემონტზე ზედმეტი დანახარჯი და სხ. ამიტომ, როცა ვედენევი (რკინის გზის უფროსი) წავიდა, ისინი, შეიკრიბენ რიცხვით 25 კაცამდე და გადასწყვიტეს გაფიცული მუშებისათვის დაეჭირათ მხარი. და რადგანაც მოსალოდნელი იყო მათი ძალით გამოყვანა სამუშაოდ, ისინი რამდენიმე დღით გაიხიზნენ მცხეთის ახლო მონასტერში. რამდენიმე დღის შემდეგ მთავრობამ გაიგო სადაც ისინი იმყოფებოდნენ და მათ შესაპყრობათ გაგზავნა ყაზახები. აქ მემანქანეები წასული იყვნენ მემანქანეთა — გოგუას, ყიასაშვილის და ბალინოვსკის წინადადებით, როცა გაიგეს ყაზახების მიახლოება, მათ დასტოვეს მონასტერი და ამხანაგებს მიანიჭეს მოქმედების თავისუფლება ე. ი. ვისაც აღარ შეეძლო მეტის ატანა. ნება ეძლეოდა სამუშაოზე დაბრუნებისა. ერთი კვირის შემდეგ მემანქანეთა ერთი ნაწილი მუშაობას შეუდგა, ნაწილიც დაპატიმრებულ იქნა. ორთქლმავლები მუშაობდნენ ჯარისკაცების მეთვალყურეობის ქვეშ. თვით სახელოსნოებში გაფიცვა დამთავრდა 3 კვირის შემდეგ. ქალაქშიაც გაიფიცა ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხანა. 500-დე მუშა იქნა შეპყრობილი, ბევრი გადაასახლეს სამშობლოში.

აქ ზედმეტი არ იქნება ზოგიერთი საბუთების მოყვანა ჟანდარმერიის არქივიდან. ტფილისის ჟანდარმა სამმართველო პოლიციის დეპარტამენტს ივლისის 20-ის თარიღით შემდეგს ატყობინებს: „ივლისის 20-დან რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში მუშებში მღელვარებაა, ახლო მომავალში მოსალოდნელია გაფიცვა, რომლის მიზანია შრომის ხელფასის გადიდება და სამუშაო დღის შემოკლება 8 საათამდე. ხელმძღვანელი როლი ამ მოძრაობაში ეკუთვნის სახარატო ცეხს. რომელსაც აზრათ აქვს გაფიცვის დროს წაახდინოს ყველა ის სამუშაო იარაღები, რომელიც იქ მოიპოვება. ჟანდარმა საგუბერნიო სამმართველოს ხსენებულ სახარატო ცეხში გაგზავნილი ჰყავს თავისი აგენტი ცნობების შესაკრევათ. ატყობინებს: **შტაბ-როტმ. ლავროვი.**

პოლიციის დეპარტამენტში 20 ივლისს გაგზავნილ მოხსენების დამატებათ იგივე ლავროვი ატყობინებდა: „გამოირკვა, რომ სახარატო ცეხის მუშათა საგრძნობმა ნაწილმა უარი თქვა ზედმეტ მუშაობაზე და ხელს უშლიან თავის ამხანაგებს შეასრულონ ზედმეტი სამუშაო, მუშათა შორისაც მღელვარებაა, მუშათა ჯგუფები (5-7 კაცი თითოეულში) მოქმედებენ როგორც სამსახურის დროს, ისე მის გა-

რეშე. ჩუმიად აწარმოებენ მოლაპარაკებას, რაღაცას ანიშნებენ მუშაობის დროს და სხ. უკმაყოფილება იმაში გამოიხატება, რომ რკინის გზის უფროსმა დააკმაყოფილა რა მუშების მოთხოვნა, საუკეთესო მუშების მეტ ნაწილს 1-ლ ივლისიდან მოუმატა ჯამაგირი (თითქოს დაცინვათ) 5 კაპ. დღიურათ. მუშები ემზადებიან გაფიცვისათვის ხელფასის მოსამატებლათ, სამუშაო დღის შესამცირებლათ და თითქოს შაბათისათვის მოწვეულია მუშების კრება, რომელზედაც კილაც სტუდენტი განუმარტავს მუშებს საქმის ვითარებას, ზოგჯერთი მუშები ურჩევენ ფულის შეგროვებას გაფიცვის გასამაგრებლათ. ერთმა შენიშნულმა მუშამ სახარატო ცეხისა ლავრენტი საჩუკაშვილმა მიმართა მთავრობას, რომ მას ნება დართონ გაემგზავროს პარიზში, რათა გაეცნოს მუშათა მდგომარეობას დასავლეთ ევროპაში, რასაც დაბრუნებისას გააცნობს ადგილობრივ მუშებს. როტმისტრი **ლავროვი** 1-ლ აგვისტოს 1900 წელს ტფილისის რკ. გზის მთავარ სახელოსნოების ყველა ცეხებში და დეპოში დილის 9 ს. მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს და სახლებში წავიდნენ. ხელს აწერს: შტაბ როტმისტრი **ლავროვი**.

რკინის გზის ქანდარმთა სამმართველოს პოლკოვნიკი ელენი 2 აგვისტოს თარიღით შემდეგს ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს: "მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გუშინ დილით ტფილისის სახელოსნოების სახარატო ვაგონების ცეხებმა თვითნებურათ მიატოვეს სამუშაო და აიძულეს სხვა ცეხები და დეპო შეეწყვიტათ მუშაობა. გაფიცვის მიზეზის შესახებ არაფერი უთქვამთ. სახელოსნოების დატოვებისას მუშებს არავითარი არეულობა არ მოუხდენიათ, წყნარად დაიშალენ. თათბირმა გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაადგინა მიიღოს ზომები თანახმად 1897 წ. პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოცემული ცირკულიარისა. გაფიცულია 3000 კაცამდე".

ს. ალილუევი.

როგორ დაიწყო რევოლუციონური მოძრაობა გორის მაზრაში

1902 წლამდე გორში არსებობდა პატარა სოც.-დემ. წრე. ამ წრეში შემდეგი ამხანაგები იყვნენ თავმოყრილნი: სიკო ალინბაროვი, სანდრო კეცხოველი, ნესტორ ქერეჭაშვილი, კოლა გვარამაძე და გიორგი ელისაბედაშვილი.

რამდენათაც მახსოვს, ეს წრე დაარსდა სოსო ჯულაშვილის თაოსნობით. სწორედ იმ ხანებში ამ წრის საშუალებით გაეცნენ ერთმანეთს სოსო და კამო.

ეს გაცნობა მოახდინა შემდეგმა გარემოებამ: იმ დროს სამოქალაქო სასწავლებლიდან დათხოვილ კამოს დედა ეძებდა მასწავლებელს, რომ სიკო მოემზადებინა საიუნკრო სასწავლებლისთვის. ეს იკისრა სოსომ. იმ დროს სოსოს გორში აღარ ედგომებოდა, რადგან უანდარშებმა „სუნი აიღეს“. ის წავიდა ტფილისში და კამოც თან წაიყვანა.

გავიდა თითქმის წელიწადი, რომ გორის წრემ თითქმის აღარაფერი იცოდა არც კამოს და არც სოსოს შესახებ. ამ ხნის განმავლობაში გორში უკვე იყო სამი წრე: 1) ნოქრებისა, 2) მუშა-ხელოსნებისა და 3) ერთი მოსწავლე ახალგაზდობისა. ვინ შედიოდა ამ წრეებში, ეს-ლა კარგადაც არ მახსოვს.

შემოდგომის ჭინჭყლიანი დღე არის, სახელოსნოში ვმუშაობ. ამ დროს მოულოდნელად შემოვარდა კამო.

ძია-ამხანაგ ნესტორს გაუმარჯოს! სიტყვა „ამხანაგი“ კამოსაგან ძლიერ მიამა; მივხვდი, რომ ის უკვე ჩვენი იყო. შემდეგ სიკო მეუბნევა: პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გორში გამოგზავნიან ამხანაგებს: სილიბისტრო ჯიბლაძეს და ვასო ცაბაძეს და პირველ ხანებში ბინა შენთან ჩქნებათო. არ ვიცი მეორე თუ მესამე დღეს მოვიდა ვასო ცაბაძე ცოლით. აღარ მახსოვს კარგათ, მგონი ერთი კვირა დარჩნენ ჩემთან. მერე კი ცალკე ბინა მოუწყვეთ. ამ ხანებში სილიბისტროც მოვიდა, ეს იყო 1902 წელს შემოდგომაზე. აი აქედან იწყება ფართე მოქმედება ჩვენი ორგანიზაციისა. მთელი ზამთარი და გაზაფხული 1903 წლის პარტიულ მუშაობაში გავატარეთ, გავაბით ძაფი სოფლის მასწავლებლებთან, ჯარის ნაწილებთან. გამრავლდნენ წრეები თვით გორში, ლიტერატურას განუწყვეტლივ

გაწვდიდა თბილისის ორგანიზაცია სილიბისტროსა და კამოს ხელით. მახსოვს ამ ხანებში მოგვივიდა ლიტერატურა ბაქოდან ამ. დათიკო ქონიაშვილისაგან.

პარტიული მუშაობის სულის ჩამდგმელი იყვნენ სილიბისტრო ჯიბლაძე და ვასო ცაბაძე. მაისის დღესასწაულიც ვიდღესასწაულეთ ტყეში „გორისაზე“, სამაისო ფურცლებიც გაეკარ-გავფანტეთ ქუჩებში.

რასაკვირველია. ეს ყველაფერი პოლიციამ გაიგო. გაიგო ისიც, თუ ვინ იყო ამ მოძრაობის მეთაური. მეონი მაისის ბოლო რიცხვებში, 1903 წლ., სილიბისტრო და ვასო დაიჭირეს გორის სამაზრო ციხეში. მერმე კი თბილისში გაგზავნეს მეტეხში. ამით რომ გზავნიდნენ, გორის ორგანიზაციამ მოაწყო სადგურზედ დემონსტრაცია. პირველათ გორის მაზრაში აფრიალდა წითელი დროშა. მთავრობის აგენტები ისე დაიბნენ რომ დემონსტრანტებისთვის ხელი არავის შეუშლია. სადგურიდან გამობრუნებული დემონსტრაცია ხიდს გამოსცილდა და დაიშალა.

რა თქმა უნდა ამას მთავრობა გორის ორგანიზაციას არ აპატიებდა. მხოლოდ კიდევ რაღაცას ელოდა და დროს უცდიდა, რომ მეტი ფაქტები ჰქონოდა ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამ „რაღაცამ“ აღარ დააყოვნა.

ხაშურში მოხდა დეპოს მუშების გაფიცვა და დემონსტრაცია. პოლიცია-სტრატეგიებმა რამოდენიმე ათეული მუშა დახოცა. ამან ააღელვა მთელი გორის მაზრა და თვით ქალაქი გორი. რომლის ერთი შვილი, მუშა ტურაშვილი იმსხვერპლეს ხაშურში. გორის ორგანიზაციამ მოახერხა ამ მუშის, ცხედრის გორში მოსვენება და დამარხვა. დამარხვის დღეს მთელი ქალაქი დაკეტილი იყო. ყოველნაირი საქმიანობა სრულიად შეწყდა. ცხედარს მოსდევდა არა ნაკლები ორ-ათასი კაცისა. რაც პატარა გორისთვის საგრძნობელი რიცხვია.

მთავრობას მეტი მოთმინება აღარ ეყო და მეორე დღეს დაგვაპატიმრეს 8 კაცი: სიკო აღინბაროვი, ნესტორ ქერეჭაშვილი, ყაზარა არხანოვი, კოლა გვარამაძე, კოტე მამულაშვილი, სანდრო მთვარელიძე და ორი ძმანი მუჩაიძეები: დათიკო და ვასო. მე მეგონია ეს ორი უკანასკნელი გაუფებრობით დაიჭირეს, რადგან გორის ორგანიზაციასთან მათ საერთო არა ჰქონდათ რა. მხოლოდ ბოქაულ ავალიშვილთან მოსვლოდათ ლაპარაკი და ამის გულისთვის მოგვატმანეს ჩვენ.

სანდრო კეცხოველი და სოსო იმერლიშვილი გადაურჩნენ დაქერას. ამით შეადგინეს ახალი სამაზრო კომიტეტი, რომელშიაც შედიოდა სამი ამხანაგი: სანდრო კეცხოველი, სოსო იმერლიშვილი და ვკონებ. სოსო მახარაშვილი.



ჩვენი დაჭერით მაინც და მაინც მუშაობა არ შეფერხებულა. კამო გარეთ იყო და გორის ორგანიზაციას ყოველგვარ დახმარებას უწყვედა. ჩვენ ციხეში გავიგეთ, რომ მოეწყოთ გეპტოგრაფი და ფურცელიც გამოეშვათ. მხოლოდ აღარ მახსოვს რა შინაარსისა იყო ეს ფურცელი. ვგონებ ამავე ხაფხულს გურიიდან ჩამოვიდა ერთი ახალგაზრდა, — სამსონ პატარაია, რომელმაც სოფ. ქარელში თავი შეატყუა როგორც კანცელარიის მწერალმა. მან გააბა კავშირი გორის ორგანიზაციასთან. სამსონი გვარიანათ მომზადებული ამხანაგი იყო და დიდ მუშაობასაც ეწეოდა გლეხკაცობაში. მაგრამ მალე გაუგეს და კანცელარიაში „მწერალს“ აღმაცერათ დაუწყეს ყურება. ისიც იძულებული გახდა მწერლობისათვის თავი დაენებებია და არალეგალურ მუშაობას შედგომოდა.

მისი მუშაობა ამის შემდეგ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა: რამდენათაც მე ვიცნობდი ამხ. სამსონს, ეხლა რომ ცოცხალი ყოფილიყო. უეჭველად კომუნისტი იქნებოდა. მაგრამ ბედმა მალე უმუხთლა და 1904 წლ. გაზაფხულზე მას აღმოაჩნდა აშკარა ნიშნები უკურნალი ქლექისა. ჯერ გორში გვიწვა კონსპირატიულ ბინაზე, მაგრამ რომ ჰაერი გამოგვეცვალა, ის გავგზავნეთ სოფ. ხოვლეში ამხ. შაქრო ჯავახიშვილისას, სადაც ის ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა და იქვე დასაფლავებულ იქნა. კარგი იქნებოდა, რომ ამხანაგები საფლავს ყურადღებას მიაქცევდნენ.

ჩვენ გორის სამაზრო ციხეში სამი კვირა თუ ერთი თვე გვამყოფეს. გამოძიებას აწარმოებდა ქანდარმთა შტაბს-კაპიტანი ცნობილი მარტინოვი. შემდეგ გადაგვაგზავნეს თბილისის მეტეხის ციხეში. სადაც იმ დროს ისხდნენ ლადო კეცხოველი, მიტო გურგენიძე, პეტრე მონტინი და ორი-სამი კიდევ სხვა ამხანაგი. ერთი კვირის წინეთ გავგზავნეთ დიდი ეტაპი პოლიტიკურებისა აღმოსავლეთ ციმბირში. რომელშიაც იყვნენ, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვასო ცაბაძე და ბევრი სხ. ამხანაგებიც. მგონი ერთი ძმა ჩოდრიშვილი. არაქელა ოქუაშვილი და სხვები. საკანებიდან გამოყვანის დროს ამათთვის ბორკილები გაეკეთებინათ. მოთხოვნილება წარედგინათ ციხის ადმინისტრაციისთვის ნათესავ-მეგობრების ნახვისა. ეს მოთხოვნილება, თურმე შეუსრულეს, რის შემდეგ ლამის მატარებლით გაესტუმრებინათ. აი ამათ დაცლილ საკნებში მოგვათავსეს ჩვენ რვა კაცი გორიდან, თორმეტი გურიიდან. მათ შორის იყო ვარდენ ჩხაიძე; მაშინ ვარდენ ჩხაიძემ გვითხრა, რომ სოსო ჯუღაშვილი ბათომის მუშებში მუშაობსო და თავისუფალიაო, რაც ჩვენ ძლიერ გვესიამოვნა. რადგან ამბობდნენ, რომ სოსო ბათომში დაიჭირესო. ჩვენ რვა კაცი გორიდან წავგიყვანეს ივნისის ბოლო რიცხვებში შაბათ საღამოს. ერთ კვირა დილით ქვემო საკანიდან რალაც ხმაურობა მოგვესმა. თურმე სწორეთ ჩვენ საკნის

ქვეშ მჯდარიყო ლადო კეცხოველი და ის გველაპარაკებოდა და უნდოდა გაეგო ვინ ვიყავით, ან საიდან მოსულნი, ჩვენც ზევიდან, როგორც შეგვეძლო, პასუხს ვაძლევდით. სწორეთ ამ დროს იგრიალა მეფის ჯალათის თოფმა და გაუგმირა ლადოს გმირი გული, რომელიც მუდამ პროლეტარიატის ინტერესებისთვის ფეთქავდა. ამ ამბის გაგებაზედ მთელი ციხე შეტორტმანდა. „უგალოვნებიც“ კი შეაშფოთა ამ ამბავმა.

ჩვენ გვინდოდა რამენაირად პროტესტი გამოგვეცხადებინა, მაგრამ ახლათ ჩამოსული ვიყავით, ჯერ ციხესთან არაფერი კავშირი გქონდა. იმ დღეს ციხის სადილის მიღებაზე უარი განვაცხადეთ. ამხ. ლადოს გვამი კი მტარვალეზმა იმ ღამესვე ქურდულათ გაიტანეს და სადღაც ჩაფლეს.

გამოგვიშვეს. ისევ გორს დავბრუნდით. გორში პარტიული მუშაობა ველარ მიდიოდა სასურველათ, რადგან შემჩნეული ამხანაგები აქეთ-იქით წასულიყვნენ. ჩვენ კი, ესე იგი, ამ სტრიქონების დამწერი, სიკო ალინბაროვი და ალექსანდრე თვარელიძე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გამოგვაცხადეს და ყოველ ჩვენ ნაბიჯს გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ. შეუძლებელი გახდა აქტიური მუშაობის წარმოება. საჭირო იყო გორის ორგანიზაციაში პოლიციისთვის უცნობი ახალი პირების გამონახვა. 1904 წლ. გაზაფხულზე დაარსდა ახალი ორგანიზაცია პორფილე ეფრემიძის ხელმძღვანელობით. ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ შემდეგი ამხანაგები: გორის საქალაქო ორგანიზაციაში: ეფრემიძე, მინაზაროვი, ს. მახარაშვილი, ვასო ბედაიანიძე; სამაზრო ცენტრში, — ს. პატარაია, პატარა მიხა ტეტიაშვილი, გიორგი ვაგლოევი და იაკოვა გოზალოვი.

ამ ორგანიზაციამ შესძლო 1904 წლ. განმავლობაში გორის მაზრის ყველა რაიონებში ორგანიზაციების მოწყობა. გორის მაზრა დაიყო შემდეგ რაიონებათ: თვით გორი, ცხნვალის რაიონი, ქვემო ქალისა, მეჯვრისხევისა, ახალქალაქისა, ხიდისთავისა, ქარელისა და გომისა. რაც შეეხება ხაშურსა და ბორჯომს, რადგანაც რაიონები მუშათა ცენტრებათ ითვლებოდნენ, ამიტომ ისინი ცალკე მოქმედებდნენ.

დადგა 1905 წელი. ცხრა იანვარი პეტერბურგში. რაც ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს. ამ ამბების ტალღამ გორის მაზრამდისაც მოახწია. ამას ზედ დაერთო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ბაქოში და სხვა ქალაქებში. პირველი საპროტესტო დემონსტრაცია მოვაწყვეთ მარტში (რიცხვი არ მახსოვს) ქალ. გორში „ახალსაყდრის“ ეზოში აფრიალდა წითელი დროშა, წარმოითქვა სიტყვები. პოლიცია არსად ჩანდა. დემონსტრაციას ხელმძღვანელობდა სანდრო კეცხოველი, „ცაცა“ დერძიბაშოვი, დათიკო ცერცვაძე, ნესტორ ქერეჭა-



შვილი და სხვები. სიტყვები წარმოსთქვა კეცხოველმა, მ. გულიშამ-
ბაროვისამ და ს. მთვარელიძემ. გორის მაზრაში გამოცხადდა გა-
ძლიერებული დაცვის წესები. გორისა და დუშეთის მაზრის გენე-
რალ-გუბერნატორათ დანიშნეს გენ. ამილახვარი. რომელმაც თა-
ვისებურათ დაიწყო მაზრის „დამშვიდება“: ყაზახ-რუსებით აავსო
გორის მაზრა, ახლდა აგრეთვე ესკადრონი დრაგუნებისა. სოფლებში
დაიწყო აგრარული მოძრაობა. გლეხებმა რამდენიმე ალაგას თავადა-
ზნაურთა სახლ-კარი გადაბუგეს. ბევრ ალაგას მკვლელობასაც ჰქონ-
და ალაგი. პირველად თავადაზნაურობა დაფრთხა, მაგრამ მერე მოძ-
რაობის წინააღმდეგ შეადგინა გორის მაზრაში ცნობილი შავი რაზ-
მი გიორგი ოთარის-ძე ამილახვარის და ზურაბ აბდუშელიშვილის
მეთაურობით. ამბობდნენ, რომ ეს რაზმი დაახლოვებით 600 კაცი-
დან შესდგებოდაო. შეიარაღებულნი იყვნენ სახაზინო ვინტოვებით,
მაუზერ-ნაგანის რევოლვერებით. ეს რაზმი რაიონიდან რაიონში გა-
დადიოდა, არბევდა გლეხებს. ბევრ ალაგას საუკეთესო მოწინავე გლე-
ხი ამხანაგიც გამოასალმეს წუთისოფელს. რასაკვირველია, გორას
ორგანიზაცია (რ. ს. დ. მ. პ.) ამ ამბებს გულგრილად ვერ უყურებდა.
საჭირო იყო გლეხთა სტიქიური აღელვება შეგნებულ მოძრაობის
კალაპოტში ჩამდგარიყო. ვის უნდა ეკისრნა ეს საქმე? რასაკვირვე-
ლია, სოც. დემოკრატისა, რომელიც დიდის გავლენით სარგებლობდა
სოფლად. ივლისის პირველ რიცხვებში გორის სამაზრო კოლექტივმა
მოაწყო კონფერენცია სოფ. მეტეხში ნოე ხომერიკის (ხუნზუხა) თავ-
მჯდომარეობით. რამდენათაც მახსოვს ამ კონფერენციას დაესწრო
15 დელეგატი გორის მაზრის ყველა რაიონებიდან. თითქმის ყველა-
ნი გადამწყვეტი ხმის უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. მახსოვს ამ
კონფერენციის მონაწილე ზოგიერთი ამხანაგები: სანდრო კეცხოვე-
ლი, პორფილე ეფრემიძე (კონფერენციის მდივანი) კაკოლა მეტე-
ხელი, ნესტორ ქერეჭიშვილი, გიგა ჯაბაური და სხვები.

დღიური წესრიგი, რამდენადაც მახსოვს, ასეთი იყო: შავი რაზ-
მის წინააღმდეგ წითელი რაზმის შედგენა, იარაღის შეგროვება.
პროპაგანდისტთა კოლეგიის შედგენა და რაიონებში განაწილება და
შიმდინარე კითხვები. მცირე კამათის შემდეგ ყველა კითხვები კონ-
ფერენციამ დადებითად გადასჭრა. ასე შესდგა წითელი რაზმი გო-
რის მაზრაში. პირველი რაზმი 50 კაცისაგან შესდგა გორის და ახალ-
ქალაქის რაიონებში. ამ მაზრის უფროსი იყო ნიკო ხახიშვილი სო-
ფელ ხოვლედან. მეორე რაზმი შევადგინეთ ცხინვალის და მეჯვრის-
ხევის რაიონებიდან დაახლოვებით 100 კაცამდე. ამ რაზმის მეთაური
იყო გიორგი მაჩაბელი. გარდა ამისა, მოვაწყვეთ მაკედონიის ტიპის
ბომბების კეთება თეძამის ხეობაში, ტყეში, ახალქალაქის ახლოს. აქ
რამდენადაც მახსოვს, დამზადდა 200-მდე ბომბი გოლა გრიქურო-

ვის (ფეხნიკი გოლა) და მაკედონიიდან ჩამოსულ ერთ ესერის (გვარი არ მახსოვს) მეთაურობით.

ამ ხანებში, ე. ი. 1905 წლის ივლისის უკანასკნელ რიცხვებში მოკვდა გორის და დუშეთის მაზრის გენ.-გუბერნატორი გენ. ამილახვარი, რომელიც მაინცდამაინც არ იყო ძლიერ მკაცრი. მის ალაგას დანიშნეს პოლკოვნიკი ალფტანი. ამ ხანიდან კი იწყება სუსხიანი ხანა. მოკლე ხანში მან დაატყვევა გორის და დუშეთის მაზრებში 200 კაცამდე ბრალიანი და უბრალო. დატყვევებულთა მეტ ნაწილს ასახელებდნენ რუსეთის შორეულ გუბერნიებში. მეტი წილი გადასახლებულებისა შემთხვევითი ხალხი იყო. იმ დროს საკმარისი იყო გცმობა და შავი, ხალათი და დიდი თმა გქონოდა, მორჩა და გათავდა — სოციალისტი იყავი. დაგიჭერდნენ და დაუკითხავად გადაგასახლებდნენ. უმრავლესობა მაშინდელი პარტიული მუშაკებისა გადარჩენ პოლიციის ბრწყალებს და არალეგალურად მოქმედობდნენ. ამავე დროს გორის წითელ რაზმიდან გამოვყავით ცალკე ჯგუფი ტერორისტებისა კოტე დონდაროვის მეთაურობით. ამ ჯგუფმა რამდენიმე ტერორისტული აქტი შეასრულა. მათ შორის ბოქაულ ბარძიმ ავალიშვილის მოკვლა და სხვა. მთავრობა თანდათან აძლიერებდა რეპრესიებს. ტერორზე ტერორით გვიბასუხებდა, დაიჭირეს სანდრო კეცხოველი და რამდენიმე მომქმედი ამხანაგი. მოკლეს ნიკა, მეტ სახელად „დალაბრა“.

აქ ისევ დაუბრუნდეთ შავ რაზმს. ჩვენ წითელი რაზმი დავყავით პატარ-პატარა ჯგუფებათ. ასე ათ-თუთხმეტ კაცათ თითო ჯგუფი; ეს ჯგუფები ეცემოდნენ მოულოდნელად შავ რაზმს ხან აქ, ხან იქ. ყველაზე მეტად ერთმა ჯგუფმა ისახელა თავი შავრაზმელებზე თავდასხმით და იარაღის აყრით ილო მისიურაძის მეთაურობით (მეტ სახელად ტოგო). მოკლე ხნის განმავლობაში ისეთი შიშის ზარი დასცა ჩვენმა წითელმა რაზმმა შავ რაზმელებს, რომ ნელ-ნელა იწყეს დაშლა. გახრწნა. ამას დაერთო ჩვენი სამაზრო კომიტეტის მოთხოვნა. სადაც კატეგორიულად მოვითხოვდით თავად-აზნაურობისაგან შავი რაზმის დაშლას. წინააღმდეგ შემთხვევაში დავემუქრეთ სხვა ზომების მიღებით.

17 ოქტომბერის შემდეგ ბევრი პოლიტიკურები დაბრუნდა გადასახლებიდან. ეს იყო ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში. ხელათ მოვიწვიეთ გორის სამაზრო კონფერენცია, გავინაწილეთ როლები და შეუდევით გორის მაზრაში აგიტაციას საერთო აჯანყების სასარგებლოთ. ჩვენი წითელი რაზმიც გაძლიერდა. თბილისიდან გამოვიწვიეთ ვასო ცაბაძე. იმანაც არ დააყოვნა და მაშინვე გაჩნდა გორში. მოკლე ხნის განმავლობაში მთელი გორის მაზრა დაიფარა მჭიდრო ორგანიზაციებით პასუხისმგებელ ამხანაგების მეთაურობით და ხელმძღვა-



ნელობით. რაიონებში ყველგან ხალხმა გააუქმა სოფლის სამმართველოები (კანცელარიები) და თითქმის ყველგან დააარსა თავისი მართვა-გამგეობა. გააუქმა ძველი შემადგენლობა ქალ. თვითმართველობასა და აირჩია რევოლიუციის მომხრე ხმოსნები, აგრეთვე დაარსდა ხალხური სასამართლო.

ასე, 1905 ოქტომბრის 17-დან დავიწყეთ მზადება გორის მაზრაში საერთო აჯანყებისთვის. სიგნალს ველოდით ცენტრიდან. აჯანყების გეგმა, რამდენადაც მახსოვს, ასეთი იყო: ქიათურიდან გადმოვიდოდა მუშების შეიარაღებული რაზმი, როგორც მაშინ ამბობდნენ 400 კაცისაგან შემდგარი. ბორჯომის რაიონებს ევალებოდათ ბორჯომის ხეობის შეკვრა, რაც რამდენათაც მახსოვს იქაურმა ამხანაგებმა კიდევ შესძლეს. ამ 400 კაცს მიემატებოდა გორის მაზრის რაზმი, რომელიც იყო ნავარაუდები 3.000 კაცამდე. ეს შეიარაღებული ძალა დაცემოდა ლამე ქ. გორს და იქაურ გარნიზონს იარაღს აყრიდა და ორ როტას და ორ ბატარეიას, რომელიც ჩვენი მომხრე იყო, შეიერთებდა და იმ ჯარით გაემართებოდა თბილისელი ამხანაგების მისაშველებლად. ასეთი იყო დაახლოვებით აჯანყების გეგმა.

ჩვენ რომ ასეთ მზადებაში ვიყავით, არც მთავრობას ეძინა. დეკემბრის, დაახლოებით 20 თუ 25-ში, თბილისიდან საოლქო კომიტეტმა შეგვატყობინა, რომ მოსკოვის აჯანყება დამარცხდა და იარაღი მიმალ-მიმალეთ, რაზმები დაშალეთ და უფრო შემჩნეული ამხანაგები გაეცალეთ გორის მაზრასაო. ვისაც შეეძლო წასვლა გორის მაზრიდან, წავიდა, მაგრამ უმრავლესობა ამხანაგებისა პოლიციას და ეხანდარმებს ჩაუვარდა ხელში, რომლებიც მისცეს სამართალში. მთავრობამ მოაწყო დიდი პოლიტიკური პროცესი „გორის რესპუბლიკის საქმე“ პასუხის გებაში იყო მიცემული 40 კაცამდე.

როგორც მოგახსენეთ, ბევრი დამავიწყდა, მხოლოდ ესლა მომაგონდა და უნდა აღვნიშნო ერთი ფრიად დიდი მნიშვნელობის მომენტი 1905 წლის მოძრაობაში; სახელდობრ, დიდი დემონსტრაცია ქალ. გორში ივნისის ბოლო რიცხვებში თუ ივლისის დასაწყისში, როცა მაზრაში დაიწყო ძლიერი აგრარული მოძრაობა, ქალ. გორშიაც თავი იჩინა ამ მოძრაობის ტალღამ. მოედანზე მოგროვდა აუარებელი ხალხი მეტ ნაწილად მუშა-ხელოსნები. ხალხი მოითხოვდა, რომ წავსულიყავით და „ავველო“ ამიროვის ქალა თავის დიდი ბალით, რომელიც ვიღაც ამიროვს რაღაც ხრიკებით გამოეციცვლა ქ. გორისთვის. ხალხი ავიდა ამ ქალაში და „აილო“ ის, რაც აღნიშნა თივების ზვინების დაწვით, იქიდან დემონსტრაცია გაემართა ქალაქისაკენ. „ამილახვრიანთ“ ხილთან დემონსტრანტებმა გაიგეს, რომ ამნაირივე დემონსტრაცია მოუხდენიათ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლის რამოდენიმე მონაწილე პოლიციას დაუტყვევებია. დემონსტრანტებმა

მოითხოვეს მათი განთავისუფლება და ამ მიზნით გაემართენ პოლიციის სამმართველოსაკენ მათ გასანთავისუფლებლათ. პოლიციასაც არ სძინებია, მას ჯარისკაცებით აევსოთ ქუჩები. ერთი პატრულთაგანი, შემდგარი ოცი კაცისაგან, შეხვდა დემონსტრაციას არტილერიის მოედნის (ეხლა მარქსის მოედანი) თავზედ და გაუფრთხილებლივ ესროლა. დემონსტრაცია გაიფანტა, დარჩა დაჭრილ-დახოცილი რამოდენიმე კაცი, მათ შორის, ვანო მუხიანიძე, მურალოვი და სხვები. ამის შემდეგ პროტესტის ნიშნად გორის კომიტეტმა მოუწოდა მცხოვრებთ სამი დღით „გლოვა“. დამარხვის დღეს გორის დუქანბაზარი დაკეტილი იყო. არ მუშაობდნენ მუშა-ხელოსნები და მეეტლეები. ყოველგვარი მოძრაობა შესწყდა. პროცესიაში მონაწილეობდა აუარებელი ზღვა ხალხი. ამის შემდეგ „ახალ უბანში“ გაიმართა მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს: დ. ონიაშვილმა, გიგუცა ხუციშვილმა, პორფირე ეფრემიძემ და სხვებმა. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ენერგიულ პროტესტს უცხადებდა ჯალათებს და მოითხოვდა, რომ ამნაირ სიმხეცეს მთავრობის აგენტების მხრივ ალავი აღარ ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზომების მიღებით დაემუქრა ხალხი მთავრობას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს მიტინგი იყო სამაზრო ადმინისტრაციის მიერ ნებადართული, რასაკვირველია, ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით.

იმ დამესვე დაგვიბარეს, როგორც ხალხის მეთაურები: მე, გოლა ამირალოვი და გიგო ზაზანოვი მაზრის სამმართველოში, სადაც დაგვხვდა ქანდარმი მარტინოვი და გვითხრა: როგორც ეტყობა, ბრბო თქვენ გიჯერებთ; გთხოვთ დააწყნაროთ ეს ბრბო. ჩვენ, რასაკვირველია, უარით უპასუხეთ და უთხარით: „დაწყნარების საშუალება თქვენ ხელთ არის და, როგორც გინდათ, ისე მოიქეციეთ“. არ ვიცირა მოსაზრებით. იმ ხანათ არავინ დაუპატიმრებიათ.

აქვე უნდა აღვნიშნო ხსოვნა ერთი კარგი ამხანაგისა. მე მოგახსენებთ დათიკო მელიქოვის შესახებ. ის იყო მოსკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი. ის სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაეთხოვათ 1904 — 1905 წლ. გაზაფხულზე. ის ჩამოვიდა გორში და მთელი თავისი არსებით გადაეშვა რევოლიუციის ტალღებში. ის იყო გულწრფელი, ამხანაგების უსაზღვროთ მოსიყვარულე, რევოლიუციისთვის თავგანწირული. და ბევრიც გააკეთა 1905 წლის რევოლიუციის დროს. ის თავის ტემპერამენტით უუძველად კომუნისტი იყო. ის ქლეჩით გარდაიცვალა გორში 1906 წ. გაზაფხულზე.

იარაღის ქეზნაში

(ერთი გვირაბის ისტორია).

1905 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვებია. მე მაშინ ავლაბრის საიდუმლო სტამბაში ვმუშაობდი. მიხა ბოჭორიშვილისაგან ვლებულობ ცნობას, რომ დაუყოვნებლივ მასთან მივიდე: სალამო ხანია. მე მის ბინაზე ვარ. აქ არიან: ზაქარია ჩოდრიშვილი, ილია ბადრიძე და სხვა ამხანაგები. როგორც ამხანაგებმა გადმომცეს. ქუთაისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას გადაუწყვეტია. ქუთაისის ერთ-ერთი სათადარიგო ათასეულის თოფის საწყობიდან 2000 ვინტოვკის და ვაზნების გამოტანა. საჭიროა, რომ თბილისიდან იქ ჩავიდნენ უცნობი ამხანაგები და დაიჭირავონ ამ საწყობის ახლოს მდებარე სახლი. ასეთი სახლი ამ ეჰმად ცარიელი იყო და შესდგებოდა 8 ოთახისაგან და ერთ პატარა სარდაფისაგან. საიდანაც უნდა დაწყებულყო გვირაბის გაყვანა. გარდა ამისა ამ სახლს ეზოში ერთი დიდი ჭაც ჰქონდა.

იმ ღამესვე „სათანადო საბუთებით“ გავემგზავრეთ ქუთაისში მე. როგორც ნობელის ნავთის წყაროების მმართველი. მარო ბოჭორიძე. როგორც ჩემი მეუღლე-ავადმყოფი, ზაქარია ჩოდრიშვილი — ცოლის ძმა და ბაბე ლაშაძე, როგორც მოსამსახურე ქალი.

მეორე დღეს. დილით. უკვე ქუთაისში ვიყავით. გზაში შემხვდა ამხ. ნიკოს ნიკო (ნიკო ნიკოს ძე მგელაძე). რომელიც გავვიძღვა წინ. ცოტა მოშორებით გვანიშნა ის სახლი. რომელიც უნდა აგველო იჯარით. სახლის დათვალეერების შემდეგ გავიგეთ სახლის პატრონის გვარი და გავემგზავრეთ მასთან მოსალაპარაკებლად.

სახლი ეკუთვნოდა კარგად შეძლებულ ქუთაისის მოქალაქე შავგულიძეს. მას. გარდა ამ სახლისა, კიდევ ჰქონდა სახლები სხვადასხვა ადგილას.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა შავგულიძეს ვესტუმრეთ მოსალაპარაკებლად. გავაცანით ჩვენი ვინაობა და შეუდექით საქმეს. იმ დღესვე მის სახლში ორივე მხარემ. კარგი სადილის შემდეგ, ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას და ზოგიერთი სიტყვიერი პირობაც დავედევით. ასეთი იყო მაგალითად ის, რომ ჩემ მიერ აღებულ სახლში არავინ არ შესულიყო და არ შეეწუხებინა ჩემი „ავადმყოფი“ ცოლი და ცოლის ძმა, რომელნიც ექიმ გომართელთან იყვნენ ჩამოსული

საექიმოთ. წინდაწინ მე მივეცი 20 მანეთი, ვიყიდე ზოგიერთი ნივთები, რაც აუცილებელი იყო (ფარდები და ორიოდე სკამი).

იმ ღამესვე ჭიათურიდან გამოწვეულ იქნენ ამხანაგები: ვასნო კალანდაძე, ელისო ლომინაძე და სხვები (გვარები არ მახსოვს).

ამხანაგები ჩამოსვლისთანავე შეუდგენ მუშაობას. გეგმა ასეთი იყო: სარდაფიდან უნდა დაეწყოთ გვირაბის გათხრა, რომლითაც 15 საყენის მანძილზე ქუჩის მეორე მხარეს მიადგებოდნ საწყობს ძირიდან. ამოღებული მიწა უნდა მოეთავსებიათ ჯერ ქაში და როცა ის აივსებოდა, ოთახებში.

გვირაბი სანახევროდ გაყვანილი იყო, რომ მუშაობა შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან ნიადაგი ფხვნილი გამოდგა და ქუჩაზე მოძრაობის დროს მიწა წვეებოდა, რასაც შეიძლება გვირაბის ჩანგრევა მოყოლოდა და საქმე მსხვერპლით გათავებულყო. ფიცრების მიტანა კი შეუძლებელი იყო. ამიტომ საქმე შეჩერდა და სახლის პატრონს დარჩა მხოლოდ ორი ოთახი მიწით სავსე და სარდაფიდან სანახევროდ გათხრილი გვირაბი.

მანახე გოგუაძე.

სოციალური რევოლუციის გეგმის შესახებ წარსუ- ლიდან

1903 წელს ჯარისკაცობიდან დავბრუნდი ტფილისში და და-
ვიწყე მუშაობა ლისინოვ—ტერ-პეტროსოვის სამკერვალოში (ყოფილ
ერევნის მოედანზე). აღნიშნულ ქარხანაში გავეცანი მუშათა წრებს
სამსონა ქოსაშვილის საშუალებით, რომელიც იმავე ქარხანაში მუ-
შაობდა და წარმომადგენლათაც ითვლებოდა. ქოსაშვილი სხვა ქარ-
ხანაში გადავიდა სამუშაოთ. მის შემდეგ ამორჩეულ იქნა ფილიპე რუ-
სიშვილი და ბოლოს მე ვითვლებოდი წარმომადგენლათ.

ორგანიზაცია ასე იყო მოწყობილი მკერვალებში: ყველა ქარ-
ხნიდან თითო კაცს ირჩევდნ და აქედან შესდგებოდა მოწინავე წრე.
რომელსაც „ცენტოვი“ ორგანიზაციას ვეძახდით. ეს წრე ჩემს მის-
ვლამდე იყო შედგენილი. ამორჩეული გვყავდა კოტე შაყულაშვილი;
შემდეგ რაჟდენ ჯღამაძე, რომელნიც შედიოდნ რაიონულ ორგა-
ნიზაციაში. ჩვენთან დაიარებოდნ მისა ბოჭორიშვილი, თევდორე კა-
ლანდაძე, ისიდორე რამიშვილი, ბრადიავა, ფარნიევი და სხ. რად-
განაც მაშინ პროფესიონალური კავშირები არ იყო ჯერ კიდევ ჩამო-
ყალიბებული, ამისათვის მაშინ ს. დემოკრატიული პარტია ზეღმძღვა-
ნელობდა ეკონომიურ ბრძოლასაც. ტფილისის მკერვალ მუშებს საუ-
კეთესო ძალები გვყვანდა. ასე გასინჯეთ, საკუთარი პროფესიონა-
ლური ჟურნალიც-კი გვქონდა; თუმცა მისი არსებობა რამოდენიმე
ნომრით განისაზღვრა, რადგანაც ჩქარა დახურა გუბერნატორმა. მა-
შინ სომეხი მუშების უმრავლესობა ჩვენთან ვერ იყვნენ საკმაოთ ორ-
განიზაციულათ დაახლოვებულნი, რადგანაც მათი დიდი უმრავლე-
სობა დაშნაკუთიუნის პარტიის გავლენის ქვეშ იყო. ჩვენ გვინდოდა,
რომ ეს მუშები როგორმე ჩაგვება პროფესიონალურ მოძრაობაში და
დანარჩენს კი თვითონ მიხვდებოდნენ. ამისათვის ვიწყეთ მზადება
უპარტო პროფესიონალური კავშირების დაარსებისათვის, რაც 1905
წელს სისრულეშიაც მოვიყვანეთ; გვეგონა, რომ რადგანაც ისინი სო-
ციალ-დემოკრატიულ პარტიას გაურბოდნენ, ამ უპარტო კავშირში
შემოვიდოდნენ, როგორც მოიქცენ ესერი და ფედერალისტი მუშები.
მაგრამ იმედი გავვიცრუვდა. აქ წინ აღგვიდგა დაშნაკუთიუნის
ეროვნული „პრინციპი“. დაშნაკუთიუნი მშვენიერად მიხვდა, თუ
სომეხი მუშები ჩვენს უპარტო კავშირში შემოვიდოდნენ, მათ საბო-

ლოვოთ ხელიდან გამოეცლებოდათ ეს მასა. მათ ამჯობინეს დაშნაკური ეროვნული პროფესიონალური კავშირის დაარსება, რაც სისრულეში მოიყვანეს და ამგვარად ერთს პროფესიაში ორი კავშირი არსებობდა. მეტი ღონე არ იყო: ასე თუ ისე, მათი კავშირისათვის ანგარიში უნდა გაგვეწია, რადგანაც ჩვენს კავშირს დიდი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი; ეს ამოცანა განხლდათ ტფილისის მკერვალთა საერთო გაფიცვის მოწყობა.

ამავე დროს დარწმუნებულიც ვიყავით, რომ ისინი მალე შეიგნებდნენ თავიანთ შეცდომებს და მოკლე ხანში შემოგვეერთდებოდნენ. გაჩაღდა მუშაობა. ორნაირი მუშაობა უნდა გვეწარმოებია. ჯერ ერთი ჩვენი საქმე უნდა გვეკეთებია, მეორეც მათთან მუდმივი მოლაპარაკება და ხშირად ბრძოლაც გაგვემართა. ისინი კრიტიკას ნაკლებათ ეგუებოდნენ. დაშნაკუტიუნის პროფესიონალური კავშირი დიდს ხარალს და დაბრკოლებას აყენებდა საერთო საქმეს. ხშირი იყო ასეთი შემთხვევა: როდესაც რომელიმე საკითხს ჩვენს კავშირში გადაწყვეტდით, იგივე საკითხს დაშნაკელთა პროფკავშირი სულ სხვანაირად სწყვეტდა. აქ კი გვიხდებოდა ერთის მხრივ მათთან მორიგება და ვაჭრობა, მეორე მხრივ კი, მწარმოებლებთან ბრძოლის წარმოება. რა თქმა უნდა, ყველა ეს არალეგალურად სწარმოებდა 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. ასე თუ ისე, მაინც საქმე ჩინებულად მიდიოდა.

დადგა გაფიცვის გამოცხადების დროც. ეს იყო 1906 წელს დაახლოვებით თებერვალში. გადაწყდა გაფიცვა ნაწილობრივით გვეწარმოებინა. რადგანაც უფრო ადვილად დამარცხდებოდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. ტაქტიკა მიზანშეწონილი იყო, მწარმოებლებს ამით შეერთების საშუალებას ვუსპობდით. შეუდექით მოთხოვნილების შემუშავებას. ჩვენი მოთხოვნილება დაახლოვებით შემდეგი იყო: 1) ნაჭრობით მუშაობის მაგივრად თვითური მუშაობის შემოღება; 2) რვა საათიანი სამუშაო დრო; 3) საექიმო დახმარება მწარმოებლის ხარჯზედ ერთი თვის განმავლობაში ჯამაგირის და ადგილის შენახვით; 4) წელიწადში ორი კვირის შვებულება მწარმოებლის ხარჯზე; 5) უმიზეზოთ დათხოვნილ მუშას მისცემოდა სამი თვის ჯამაგირის რაოდენობა; 6) ზრდილობიანი მოპყრობა ორთავე მხრიდან და სხვა. სხვათა შორის დიდი კამათი გამოიწვია რვა საათის სამუშაო დროს წამოყენებამ. ერთის მხრით ამხანაგები იმ აზრისა იყვნენ, რომ რვა საათიანი დროს წამოყენება ნაადრევათ მიიჩნდათ ჯერ-ჯერობით ტაქტიკურათ. ამ აზრს თავგამოდებით იცავდა ებრაელი მუშა ოლვერა. ამას მეც და სხვა ამხანაგებიც უჭერდით მხარსა. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ ნაჭრობლივ მუშაობის დროს დიდი დაუდევრობა იყო მუშებში სამუშაო დროს არანორმალურად გამოყენების მხრივ.



ამის დასამტკიცებლად საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ერთ-ერთ მაშინდელ სამკერვალოზე, სახელდობრ ლისინოვ — ტერ-პეტროსოვისა. სადაც, სხვათა შორის, მეც ვმუშაობდი. ამ ქარხანაში ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი მუშაობის დროს ღვინის სმას. ორშაბათობით და სამშაბათობით მუშაობა არა სწარმოებდა, თითქმის მცირედის გამოკლებით. შემდეგ დიდის მედიდურობით მოვიდოდენ ხოლმე და დაიწყებოდა მუშაობა და თან საბნების მოტანაც. ხუთშაბათიდან უკვე ერთმანეთს ვეკითხებოდით: აბა, ბიჭებო, ამაღამ ვინა რჩებით ქარხანაში სამუშაოთ (აქ ნაგულისხმევი იყო მთელი ღამის დარჩენა). მართალია, ხშირად საჩქარო საქმეც იყო ხოლმე, მაგრამ უფრო კი იმისთვის ვრჩებოდით, ვითომ ორშაბათის და სამშაბათის განაცდენი შეგვეცხო ხოლმე ღამე მუშაობით. მაგრამ ვაი იმისათნა მუშაობას, — მეორე დღისათვის აღარც კი ვარგოდით, ვინც ღამე რჩებოდა. ამ სამკერვალოში, სხვათა შორის მუშაობდა ერთი ძველი მუშა ალექსი გამრეკელიძე (მეტ სახელად ლაცას ვეძახდით). ამ მუშას ღამე მუშაობის დროს ხშირად თვალები ისე ასტკვიდებოდა, რომ მუშაობა აღარ შეეძლო, გამოვიდოდა ამ დროს მექარხნე ტერ-პეტროსოვი და თან გამოჰქონდა რაღაც თეთრი წამალი, დააწვევდა გულაღმა ამ მუშას და ჩაუშვებდა წამალს თვალებში. როდესაც დაუამდებოდა, ისევ წამოაყენებდა და დააწყობინებდა მუშაობას. ეს მუდამ ასე გრძელდებოდა. ალბათ ამ სიკეთეს იმისთვის უშვებოდა „ხაზეინი“ მას, რომ ამ მუშის შვილები მისი დანათლულები იყვნენ. ხაზეინების მიერ შვილების მონათვლას და მეჯვარედ გაყოლას ხშირად ჰქონდა ადგილი. ასეთ პირობებში რვა საათიანი სამუშაო დროს წამოყენება დიდ სარისკო საქმედ მიგვაჩნდა. რადგანაც ჩვენის აზრით წარმოებას ამით საფრთხე მოელოდა, აგრეთვე მწარმოებლების მხრიდანაც მოსალოდნელი იყო სასტიკი წინააღმდეგობა. წამოყენებული იყო რვა და ცხრა საათიანი სამუშაო დროს წინადადება.

დიდი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რვა საათიანი სამუშაო დროს წამოყენება შემდეგი ფორმულით: ვინაიდან პრინციპიალურის მოსაზრებით კავშირი ვერ წამოაყენებდა ცხრა საათიან სამუშაო დროს, ამისათვის წამოვაყენეთ რვა საათიანი და შემდეგ კი კავშირი უნდა წასულიყო აუცილებლათ კომპრომისზედ, ესე იგი, ცხრა საათიან სამუშაო დროს დაჰყუბულებულიყო, მაგრამ ტფილისის მკერვალი — მწარმოებლები იმდენად შეეშინებია და დაეფრთხო ჩვენს კავშირს, რომ თუმცა გაფიცვა გამოცხადდა, მაგრამ მათ ჩვენთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწყვიათ და სხვა მოთხოვნილებებთან ერთად რვა საათიანი სამუშაო დროც დაგვითმეს თითქმის უბრძოლველათ. ამას ხელი შეუწყო სხვათა შორის, იმ გარემოებამაც, რომ როდესაც მათ კრება მოიწვიეს გუბერნატორის ნებართვით, ამ კრებას დაესწრენ

წვრილი ხაზენები, რომლებმაც ჩვენ დაგვიჭირეს მხარი კენჭის ყრის დროს.

ასე, პირველი ნაწილი გაფიცვისა გამარჯვებით დამთავრდა. ეს შეეხებოდა ქალის ტანისამოსების სამკრვალთა მუშებს. რეაქციის ხანაში ჩვენ მოვიპოვეთ საუკეთესო პირობები. ის იყო კავშირი ემზადებოდა მეორე გაფიცვისათვის, რომ გამგეობაში იჩინა თავი უთანხმოებამ. გამგეობა შესდგებოდა საუკეთესო მომზადებული ამხანაგებისაგან. ესენი იყვნენ: რაჟდენ ჯღამაძე, კოტე შაყულაშვილი, სიმონ ზაქარიაშვილი, ლადო ოშიაძე, ლავრენტი წულაძე, დიმიტრი ანანიშვილი, სამსონ ქოსაშვილი, ქვრივიძე და სხვანი... საჭირო შეიქნა ახალი გამგეობის არჩევა. ახალ გამგეობაში ძველებიც მოჰყვენ და გამგეობა შეუდგა დაწყებულ საქმის განგრძობას. ძველი გამგეობის წევრები გარედან უწევდნენ დახმარებას. მუდმივ პასუხისმგებელ მომუშავეთ მოწვეული იქნა სიმონ ზაქარიაშვილი თვეში 30 მან.

გამოცხადდა მეორე გაფიცვა. — ეს გაფიცვა ორ ნაწილად იქნა გაყოფილი, მაგრამ მწარმოებელმა შერემენტიევმა შეადგინა „ხაზენების“ კავშირი და, კოტა არ იყვეს, ამ გარემოებამ შეგვაფიქრიანა. ამას ზედ დაერთო ორ დიდ ქარხნის პატრონის მიერ გამოცხადებული ლოკაუტი, (აღნიშნულ ქარხნებში უკვე მოგებული გვქონდა ბრძოლა) ესენი იყვნენ ექსელანსის და საფარიანცის ფირმები, რომლებიც მოითხოვდნენ რვა საათის მაგიერ ცხრა საათიან სამუშაო დროს. კავშირმა ამ ფირმებს დაუთმო ცხრა საათიანი სამუშაო დღე, რადგანაც უფრო რთული გაფიცვები სწარმოებდა და სერიოზულ ხასიათსაც ლეებულობდა. სხვათა შორის დიდი ბრძოლა სჭირდებოდა კავშირს სახლში მომუშავეების წინააღმდეგ. რისთვისაც ცალკე კომისია იქნა შედგენილი, რომელსაც სასტიკი ყურადღება უნდა მიექცია, რომ შტრეიკბრუნერ მუშებს სახლში ჩუმად საქმე არ წაეღოთ, განსაკუთრებით იმ ქარხნებიდან, სადაც გაფიცვა სწარმოებდა. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ შტრეიკბრუნერ მუშებს თოფობით წაართვეს მატერიები და უკანვე მოუტანეს ხაზენებს იმ პირობით, რომ მეორეთ აღარ მიეცათ სახლში საქმე. ეს მოხდა ხიდზედ სანოვიჩთან. გაფიცვა გრძელდებოდა და გაფიცულებისათვის დახმარების მისაცემათ კავშირს თანხა შემოაკლდა, დაიგზავნა მოწოდებები სხვადასხვა ქალაქებში დახმარებისათვის; მართლაც დახმარება მივიღეთ როსტოვიდან, ბაქოდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან. სხვათა შორის სესხათ ავიღეთ მაშინდელი ჰინჩაკისტების პარტიიდან, (აკოფ ფილოსიანსის ხელით) 200 მანეთი. გაფიცვამ ექვს თვეზედ მეტი გასტანა. კავშირი დიდს მატერიალურს გაჭირვებას განიცდიდა; ამისათვის კავშირის გამგეობამ დაადგინა 25 პროცენტის გადახდა გაფიცულების სასარგებლოდ იმ მუშების ხელფასიდან, რომლებიც მუშაობდნენ. გაჩნდა ხელის მო-



წერა კერძო მოქალაქეებში. ვაჭრებშიც-კი ვაგროვებდით ბრძოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო და არც ერთი მხარე არ ფიქრობდა დათმობაზედ. ბრძოლამ უკიდურესი ხასიათი მიიღო *). შემდეგ პეტროგრადში აგზავნიდა შესაკერად „ზაკაზებს“, კრიჩევსკი-კი პოლტავაში აკერინებდა. როგორც ზემოთა ვსთქვი, მექარხნე შერემენტიევის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა მწარმოებლების მიერ საერთო ლოკაუტი, ესე იგი, იმ მწარმოებლების მონაწილეობით, რომლებთანაც გაფიცვა ჯერ არ იყო გამოცხადებული.

ბრძოლაში ველარ გაუძლეს წვრილმა მწარმოებლებმა, გამოვიდნენ ლოკაუტიდან და დააკმაყოფილეს თავიანთი მუშები, ვინაიდან მათ სხვა გზა არც კი ჰქონდათ, რადგანაც, ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, წვრილ მწარმოებლებს სრული განადგურება მოელოდათ. ასე ციხე შიგნიდან გატყდა და მწარმოებლებს დაეშალა კავშირი. შემდეგ დანარჩენმა მწარმოებლებმაც დაინახეს, რომ მათ მეტი გზა აღარ ჰქონდათ. მათაც დააკმაყოფილეს თავიანთი მუშები გარდა ერთი ორი მწარმოებლისა. ესენი იყვნენ მგონი საევიჩი და კიშელგოფი, რომლებიც გაფიცვას გადაჰყვეს კიდევ. ასე დასრულდა გამარჯვებით ეს გაფიცვები, მაგრამ არც მუშებს დაგვიჯდა იაფად და უმსხვერპლოდ. ამ გაფიცვის თაობაზე დაატუსაღეს შემდეგი ამხანაგები: დიმიტრი ანანიაშვილი და ზარიმარია, შემთხვევით დაატუსაღეს რაჟდენ მუშაკუტიანი და მელიტონა; ესენი გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. დაიჭირეს კოტე შაყულაშვილი და პატიომკინის მატროსი სტანისლავა გიორგი მიქაძის სახლში. კვირაცხოვლის ქუჩაზედ. ამის შემდეგ კავშირის ქონება გადატანილ იქნა ვანო ხმალიძის ბინაზე. სამწუხაროდ მაშინდელი მოწინავე და ხელმძღვანელი მუშებიდან თითო ოროლას გარდა აღარ არიან ცოცხალნი.

ჩვენი არალეგალური მუშაობის დროს ბევრ კურორტებსაც ჰქონდა ადგილი.

1906 წ. ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზედ „პოტიომკინის“ ყოფილმა მატროსმა ამხ. სტანისლავამ გვთხოვა კრების გათავების შემდეგ ეამბა ერთი შემთხვევა არალეგალური მუშაობის დროს მომხდარი, რამოდენიმე კვირის წინად. მან ლაპარაკი დაიწყო. კრებას დარაჯობდა სამი შეიარაღებული ჯარისკაცი, კრებაზედ მომსვლელ ამხანაგებს თითო თითოდ უჩვენებდით კრების ადგილს. გავიხედეთ გადაღმა ქუჩის კუთხეში ატუზული დავინახეთ ვიღაცა. ჩვენ საეჭვო პირად მივიჩინეთ და მაშინვე ორი ამხანაგი გავეშურეთ იმისაკენ. მისვლისთანავე ვკითხეთ ვინაობა, — იქ რას აკეთებდა. მან პასუხის მოცემაზედ უარი განაცხადა. ჩვენი ეჭვები უფრო გაიზარდა და წი-

*) გაფიცვის მსხვერპლი შეიქნა მექარხნე აკოფოვი.

ნადადება მივეცით წამოგვეყოლოდა. ისინიც გამოგვეყენ, რადგანაც ვაიძულეთ გამოყოლა, ხელმეორეთ დაუწყეთ გამოკითხვა, თუ ვინ იყო ან რას აკეთებდა. მან კვლავ უარი განაცხადა ჩვენების მოცემაზე და ამაყადაც დაიწყო ლაპარაკი. ჩვენ გვეშინოდა ორგანიზაციის გაცემისა. თითქმის დავრწმუნდით, რომ ის ჯამუში უნდა ყოფილიყო და ვადავწყვიტეთ მისი მოკვლა. ბოლოს კიდევ ერთი კითხვაც მივეცით, თუ რომელ პროფესიას ეკუთვნოდა, როდესაც დაგვატყო, რომ მოკვლას უპირებდით, მან ასე მოგვმართა: „მე მკერვალი ვარო“. შეკითხვაზე ვის იცნობდა მკერვალ მუშებში, მან დაასახელა რამოდენიმე მუშა, რომლებსაც ჩვენ ვიცნობდით და დაუმატა, რომ, მე სოციალისტ-რევოლიუციონერი ვარ იმ კუთხეში, სადაც თქვენა მნახეთ, პარტიული კრება მაქვს მოწვეული და რაც გინდათ ის მიყავითო, მხოლოდ თქვენც მითხარით ვინა ხართო“. ჩვენთვის ცხადი იყო, თუ ვისთან გვეჭონდა საქმე. იგი აღმოჩნდა მკერვალი მუშა სოციალისტ-რევოლიუციონერი პაშკოვსკი. ამის შემდეგ გადავკოცნეთ ერთმანეთი და შეუღდექით ჩვენი მოვალეობის შესრულებას ე. ი. დარაჯობას.

მკერვალი ნიკო იტრიევი.

ნაროდნიკები ჩვენში

ეპიფანე კალანდაძე.

1924 წელს გაზ „კომუნისტში“ ი. კალანდაძის წერილი იყო მოთავსებული ნაროდნიკ ეპიფანე კალანდაძის შესახებ. ავტორი მოითხოვდა ცნობების შეკრებას ამ გარდაცვლილი ნაროდნიკის შესახებ. არა ვარ რა პირადათ ეპ. კალანდაძის მომსწრე, საჭიროდ მიმაჩნია აქვე გადმოგცეთ განსვენებულ დედაჩემის (სადიმო კალანდაძის ასულის) ნაამბობი ეპიფანეს შესახებ.

ეპიფანე იყო მღვდლის ფილიპე კალანდაძის შვილი. ფილიპე კალანდაძე ხიდისთავის რაიონში ცნობილი იყო, როგორც მდიდარი. საქმის კაცი და სტუმართ-მოყვარე.

ძველად წერა-კითხვის გამავრცელებელი ერთად-ერთი დაწესებულება ამ მხარეში იყო მღვდელ ფილიპეს ოჯახი. იქ ბევრი გოგობიჭები იყვნენ თავ-მოყრილი, ემსახერებოდნენ და თან წერა-კითხვასაც სწავლობდნენ. იყვნენ ახალგაზრდა დიაკვნები, რომლებიც გალობას და წირვის წესებს სწავლობდნენ. მღვდელი ფილიპე, როგორც ფიცხი ადამიანი, სუსხს არ აკლებდა თავის მოწაფეთ, განსაკუთრებით ზარმაცებს; სცემდა, სჯიდა მათ.

ფილიპეს შვილები ბევრი ჰყავდა, მაგრამ უმეტესობა დაეხოცა. ეპიფანე ქალაქს გაგზავნა სასწავლებელში.

როდესაც იპიფანემ ქალაქს სწავლა დაასრულა და შინ მოვიდა. მამასთან ხშირად მოდიოდა ლაპარაკი. ის ეკლესიაში არ დადიოდა. ზიარებას არ იღებდა, ხალხს ეუბნებოდა, რომ საკურთხეი არ მოეტანათ მისი მამისთვის, რადგან „აქ“ მღვდლის გასუქება მიცვალებულის სულს „იქ“ არ წაადგებო. თითონ ეპიფანე მამას კიცხავდა: „მიცვალებულის ოჯახს შემწეობა სჭირია და შენ კი საწირავეებით და საკურთხებით სცარცვაო“.

როდესაც ფილიპე სოფლებში მობოჰილ სანოვაგეს ხურჯინით ჯორზე აკიდებულს მოიტანდა სახლში, ეპიფანე ბრაზმორეული, მიაძახებდა: „მოიტანა, მოიტანა ყორანმა ნადავლი მძორი... მოუჯდება და მიაძლება მადიანადო!“ თვითონ მამის მიერ მოტანილ საკურთხეს არა თუ სჰამდა, ახლოსაც არ გაეკარებოდა. როდესაც მღვდლის მთელი ოჯახი საკურთხით სადილობდა, ეპიფანე ამ დროს სახლში დამ-

ზადებულს ან ნაყიდ კერძს სკამდა. ეპიფანეს დედა, ბაბუსი, ტირილით ეტყოდა ხოლმე თურმე თავისიანებს:

„ფული ყოველ მხრიდან მომდის უანგარიშოდ, მარა ეპიფანეს გადამკიდეს რა გაგვახარებსო“.

ბოლოს და ბოლოს მშობლებმა ეპიფანე გიჟად გამოაცხადეს და ამბობდნენ:

— „რაცხა ცოდვა გვიქნია და ბრალი ეპიფანეს ეწიაო“. მეზობლები კი ამბობდნენ:

— „ნამეტანმა სწავლამ ეპიფანე ჭკუაზე შეარყიაო“.

შემდეგ ეპიფანე ოზურგეთს წავიდა მასწავლებლად.

ერთხელ დედამ შეუთვალა: „შვილო შენზე ბევრი დამიხარჯავს, სამაგიეროდ მიყიდე რაიმე და გამომიგზავნეო“. ეპიფანეს ეყიდა დედისთვის ტანსაცმელები, სხვადასხვა ფეშქაშები და გამოაგზავნა. ბოლოს დედას გაეგო, რომ ყველაფერი ეს ეპიფანეს ნისიად აეღო ვილაც ვაჭრიდან. დედას რომ ეს გაეგო, ვაჭრისთვის თვითონ გადაეხადა ვალი და ეთქვა: — „თუ ჩემს შვილს საშუალება არა აქვს, ვალებში მე მას არ ჩავაგდეო“.

ბოლოს ეპიფანე სახლში დაბრუნდა. არავინ იცოდა დაითხოვეს მასწავლებლობიდან, თუ თვითონ მიანება თავი. მისმა საქციელმა, ქვეყანა გააკვირვა: ტანი შეიმოსა ძაძით: ხალათი, შარვალი და ჩაბალახი სულ ძაძისა ჰქონდა. ხალხში მაინცა და მაინც ბევრს აღარ ლაპარაკობდა, რადგან მშობლების მიერ გიჟად იყო გამოცხადებული და ხალხიც ამაში დარწმუნებული იყო, მხოლოდ ერთი კაცი ბიბონ ლომთათიძე ამოიჩემა და მუდამ იმასთან ატარებდა დროს (ბიბონი ჯოლა ლომთათიძის მამა იყო). იმას ყველაფერს ელაპარაკებოდა, ისიც ყველაფერში ეთანხმებოდა მას. მუდამ ერთად დადიოდნენ, მუსაიფობდნენ, მსჯელობდნენ.

მას ჰყავდა ორი ამხანაგი: ერთი ქიქოძე (ბახველი), მეორის გვარი დედა-ჩემს არ სცოდნია.

თბილისში ყოფნის დროს ეპიფანე ვილაცამ მოსწამლაო — ასეთი ხმები დადიოდა, როცა მისი ცხედარი ჩამოასვენეს სოფელში. დასაფლავებას დაესწრენ მისი ნაცნობები და დიდად შეწუხებულნი იყვნენ მისი სიკვდილით. მისმა ამხანაგებმა თურმე ბევრი ისეთი რამეები უამბეს დედა ბაბუსის ეპიფანეს ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, რაც მას არ სცოდნიყო, ამიტომ დედა შვილს ასე დასტროდაო:

— „მე არ მცოდნია თუ ასეთი შვილი მყავდი, თორემ არ მოგიშორებდი, უბეში ჩავისვამდი, ფრთხილად შევინახავდი და სიკვდილს არ მოგაკარებდიო!“

დედა ჩემი ეპიფანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლებს სისწორით ვერ აღნიშნავდა, ხოლო მისი ვარაუდით ეპიფანე უნდა დაბადებულყო არა უადრეს 1855 წლისა.

სასურველია, ვისაც კი რამე ცნობა მოეპოვება ეპიფანეს შესახებ გამოაქვეყნებდეს პრესაში. ჩვენ ვფიქრობთ ბევრია ჩვენში ეპიფანეს მომსწრე როგორც მის ნათესავებში, ისე გარეშე პირებიც.

გ. ლომთათიძე.

თავად დიასამიძის გველეშაპი 1897 წელს

სოფ. ბრილი (გორის მაზრა).

პირველ ქართულ მსროლელ დივიზიას ზაფხულზე (1925 წ.) ალლუმის დროს გავლა მოუხდა სოფ. ბრილში. ეს სოფ., სხვათა შორის, მით არის ცნობილი, რომ აქ 1807 წ. გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე მოჰკლეს დიასამიძე.

მესამე ქართულ მსროლელ ლიგიონიდან სასწრაფოთ გამოვყავით რამოდენიმე ამხანაგი, რომელნიც გაემგზავრნენ ბრილისაკენ. ამ ამხანაგებს სამხედრო მუსიკაც გააყოლეს. გზაში წვიმამ მოგვისწრო. სოფლის გლეხობა (ქალი და კაცი) ყანებში გაშლილა სამუშაოთ.

ვერ ავწერთ რა ალტაცება გამოიწვია მუსიკამ სოფლელებში. მოგროვდენ გლეხები. შევეკითხეთ იმ ამბის შესახებ, რაც ჩვენ გვანტერესებდა.

მოსწრებულმა გლეხებმა მოიგონეს თავ. დიასამიძის მკვლელობის ამბავი. მოვნახეთ ის გლეხები, რომლებმაც 14-18 წელი დაჰყვეს კატორღაში ამ მკვლელობის თაობაზე. გადავიღეთ მათი სურათები. შემდეგ გაიმართა მიტინგი.

ბევრი აღმოჩნდა ამ საქმის მოწამე.

აი სამი მთავარი მოწამე.

1) **ტატო დევაძე**, რომელიც 15 წელი ჰყავდა ტატოსვე სახლში დამწყვედელი დიასამიძის, რადგანაც ხელი არ მოუწერა პირობაზე. ამ პირობით თავ. დიასამიძეს თავისუფლათ შეეძლო აეყარა კარმიდამოდან ტატო და გაეგდო ქუჩაში.

2) **ლექსო ჩუბინიძე**.

3) **გაბო იმერლიშვილი** — ესენია მკვლელობის მონაწილენი.

გამოირკვა შემდეგი:

1882 წლიდან თავ. დიასამიძის საკუთრებას შეადგენდა სოფ. ბრილი. მას ჰყავდა დაქირავებული შეიარაღებული რაზმი — „ჩაჩნები“ 150 კაცამდე. გარს ერტყენ სოფელს. თავ. დიასამიძე მოსვენებას არ აძლევდა გლეხებს: აწიოკებდა, აონრებდა მათ.

ყოფილა ასეთი შემთხვევა: გლეხები შეკრებილან და საუბარი გაუმართავთ თავიანთ ჭირ-ვარამზე. ამ დროს ტატოზე გაბრაზებული თავ. დიასამიძე, ხელში მოვერცხლილი ჯოხით მივარდნია გლეხებს.



და ჯოხი ერთი გლენისთვის თავზე გადაუმტვრევია. მეორე დღეს ამ ჯოხის საფასური 30 მან. იმავე გლენისათვის გადაუხდევინებია.

ტატოს ცოლს ერთ დღეს ძროხა გამოუყვანია თავის ეზოში საძოვრათ, დაუნახავს რა ეს დიასამიძეს, უბრძანებია:

— ჩაჩნებო: წაართვით ეგ ძროხა და დახოცეთ ეგ ძაღლები! ჩაჩანიც თურმე თოფით გამოუდგა ქალს... ტატო სახლში არ ყოფილა. ქალს დამალვა მოუსწრია; მაგრამ ერთი კვირის შემდეგ შიშით ტატოს ცოლი გარდაიცვალა. თვით ტატოს თურმე მემამულე ვერაფერს უბედავდა... მოხუცი ტატო ეხლაც ყოჩაღადაა და მაშინ კი უეჭველია, შეეშინებოდა თავადს მისი ხანჯლის. ტატო 15 წლის განმავლობაში თურმე მოპარული წყალით სარგებლობდა. წყალიც კი დაუკეტა თურმე გლენებს თავ. დიასამიძემ.

ასე ყოფილა მთელი გლენობა აწიოკებული დიასამიძის მიერ.

დიდხანს ვერ გაუძლო სოფ. ბრილის გლენობამ ასეთ ტანჯვა-წვალებას; იქვე სოფელში გამოჩნდა რამოდენიმე გლენი — **ლექსო ჩუბინიძე, ვაზო იმერლიშვილი, ბესო იმერლიშვილი და სანდრო ქართველიშვილი**, რომლებიც ყავდა ათვალისწინებული დიასამიძეს, რომლებმაც იკისრეს ბატონისათვის სამაგიეროს გადახდა.

ლ. ჩუბინიძემ თურმე ერთი პატარა ძირი მუხა მოსჭრა და გათალა ურმის ხელისათვის, ეს საკმარისი იყო ბატონისათვის, რომ გლენის ასაწიოკებლად ჩაჩნები გაეგზავნა. ჩაჩნებმა სასტიკად სცემეს თვით ჩუბინიძეს, მოკვლა დაუპირეს ჩუბინიძის მოხუც დედას წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ჩუბინიძემაც ხელი გამოიღო და უსულოთ დასცა თავის სახლის კართან კეტით ერთი ჩაჩანი. გაიგო თუ არა დიასამიძემ ეს ამბავი, ჩუბინიძეს ჩამოართვა ყველაფერი, რაც კი მას გააჩნდა.

ვაზო იმერლიშვილის მოხუც მამას სასიკვდილოთ სცემეს იმიტომ. რომ ის ბატონს არ ეახლა ბეგარაზე. ვაზო იმერლიშვილმა ველარ მოითმინა მოხუცი მამის ტანჯვა-წამება. ამასაც ის დღე დაადგა, რაც ჩუბინიძეს. ვაზოს ასე დაემუქრა ბატონი: „**ცოლს შეირთავ, პირველი მე უნდა მომგვარო**“. ამის შიშით ვაზოს ქალს აღარავინ აძლევდა.

ბესო იმერლიშვილს ბატონმა არაფერი დაუტოვა, ყველაფერი წაათრვა, მთელი უძრავ-მოძრავი, რაც გააჩნდა.

სანდრო ქართველიშვილი მოჯამაგირეთ იღვა თავ. დიასამიძესთან. გამხეცებულმა დიასამიძემ ერთ დღეს ხეზედ მიაბა სანდრო და კეტით სცემდა თავში, ამის შემდეგ სანდრო ლოგინად ჩავარდა.

მაგრამ დიასამიძისთვისაც გათენდა განკითხვის დღე.

სალამოა. მზე გადახრილია. ვაზოს წინადადებით ოთხივე ამხანაგი ერთადაა. ბესო და სანდრო საჩიტე თოფებს ამზადებენ, ვაზო ხანჯალს ლესავს, ლექსოს კი — რევოლვერი აქვს მომარჯვებული.

გაბო რაღაც უკმაყოფილობას გრძნობს. მამა მისმა, ზურაბმა, არაფერი იცის ამის შესახებ.

დაბოლოს გაბომ მამას გაანდო თავისი საიდუმლოება.

— „წადი შვილო, მოჰკალი ეგ ძალლი, ოღონდ სოფელს ეშველოს რამე და შენ, ჩემი ერთი მარჩენალი უფროსი შვილი, თუ გინდ მომკვდომოდე“ — მიუგო თურმე მამამ.

გაბო ამ სიტყვებზე სწრაფად, გაბედულად შემოტრიალდა და გასწია ამხანაგებისაკენ.

1897 წლის მარიაშობისთვის 13-ია ძველი სტილით.

მზე ჩადის, ღამდება. თავადი დიასამიძე ეტლით გომს არის წასული, რაღაც საქმეზე, ეტლზე თავის ვაჟიშვილი უზის შეეტლეთ... ამალამ უსათუოდ დაბრუნდება ბრილში.

გზები შეკრულია შეიარაღებული ჩაჩნებით, ამ გზაზე დიასამიძის გარდა ფრინველიც ვერ გატრინდება.

დაღამდა თუ არა, ოთხივე ამხანაგი გაუდგა გზას. მისვლისთანავე საკირე ლელის ბოგირი აყარეს და ჩაუსაფრდენ გაღმა-გამოღმა.

ბნელა. აქა-იქ ღრუბლიან ცაზე ვარსკვლავები ბუტუბუტუ.

უცებ დაირღვა სიწყნარე და მოისმა დიასამიძის ეტლის ცხენების ეუენების ხმა...

ბიჭებმა ერთმანეთს აცნობეს თავადის მოახლოება, მოადგა აყრილ ხიდეს თავ. დიასამიძე. ჩამოკრა ბატონის უკანასკნელმა ზარმა. „ვილაცას ხიდი აუყრია, იმ ძალს იმასა“, გაბრაზებული წამოიძახა დიასამიძემ და ამ დაძახილზე იგრიალა ბესო იმერლიშვილის თოფმა, რომლის ტყვიაც შიგ გულში მოხვდა ბატონს და ჩააძალა სამუდამოთ. სანდროს თოფმა უმტყუნა.

სოფელმა თავისუფლად ამოისუნთქა... მაგრამ დიასამიძის დამქაშებს არ გამოეპარათ ეს ამბავი და მეორე დღესვე შეატყობინეს ტფილისის გუბერნატორს მკვლელების სია.

მეორე დღეს დაიჭირეს ყველანი, მათ მოეღოთ: დახვრეტა ან კატორღა, სასამართლომ იმდენი „ლმობიერება“ გამოიჩინა, რომ თითოს 20 წლის კატორღა აკმარა.

ერთმა მათგანმა, ჩუბინიძემ 12 წელი დაჰყო კატორღაში და შემდეგ იაპონიის ომში თავის ნებით წაივდა. ამიტომ სასჯელი აპატიეს და 1909 წ. დაბრუნდა.

გაბო იმერლიშვილი ჩამოვიდა 1915 წელს. მან 18 წელი დაჰყო კატორღაში.

დანარჩენი ორის — სანდრო ქართველიშვილის და ბესო იმერლიშვილის დღესაც არავინ არაფერი იცის — ცოცხლებია. თუ მკვდრები, ვინაიდან გადასახლების დროს ისინი დაუცალკევებიათ.

სოფ. ბრილის ეს ორი გმირი და მესამე მოხუცი ტატო მოწამეა ამ ამბავისა.

თავად დიასამიძის მტარვალურ მოქმედების მოსმენა ტანში ერუანტელს ჰგვრის კაცს.

სოფელს ძლიერ უყვარს ეს გმირები, მათი განმთავისუფლებელნი და როდესაც წითელ არმიელებმა ხელში აიყვანეს აღნიშნული გლეხები და გაატარეს მოზღვავებულ გლეხებში, ერთბაშათ იგრიალა მქუხარე ტაშმა და გაისმა გლეხების ხმები:

გაუმარჯოს გმირებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

წამოსვლის დროს სოფელს ლეგიონმა გაუხსნა სამკითხველო.

1925 წ.

ს. გეგია.

— 1 —
თავადი დიასამიძის მკვლელობის და მასსა და გლეხების შორის დამყარებულ ურთიერთობის დასახასიათებლად ჩვენ ამოვკრიბეთ შემდეგი, ქვემოდ მოყვანილი საბუთები ცენტრო-არქივის საქმეებიდან.

ტფილისის გუბერნატორი

უფ. კავკასიის სამოქალაქო ნაწ.

კანცელარია

მთავარმართებელს.

18 აგვისტო 1897 წ.

№ 5479.

ქ. ტფილისი.

„გორის მაზრის უფროსმა ორი დეპეშით (14 აგვისტოს თარიღით) მომახსენა, რომ გზაზე სოფ. ბრილის მახლობლად, დროებით ვალდებულ გლეხებს, ჩასაფრებულთ, თოფით სასიკვდილოთ დაუჭრიათ თავ. დიასამიძე.

ამის შესახებ პატივი მაქვს ვაუწყო თქვენს ბრწყინვალეობას; დავსძენ, რომ მკვლელი შეპყრობილია. მკვლელობის ალაგას გაემგზავრა გორის მაზრის უფროსი. გამოძიება სწარმოებს.

ამ მოხსენებას ასეთი წარწერა აქვს: „К сведению 19 августа“.

№ 590.

ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საქმეების

11 აგვისტო.

საკრებულოს.

1897 წ.

თავ. დიასამიძის მამულში მცხოვრებ, ს. ბრილის გლეხების, — სოლო საჩინოს ძე დევადის და გიგო სვიმონის ძე ნოზაძის საპელაციო საჩივარი გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელი შუამავლის განაჩენზე.

თავ. დიასამიძე სჩივა და მოითხოვს ჩვენგან ბეგარის გადართებას. გვიკრძალავს მინდვრების დამუშავებას; ამა წლის 11 ივლისს გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა ადგილობრივად მოახდინა გამოძიება და განაჩენიც გამოიტანა, რომლის ასლსაც აქ ვარდგენთ; თავ. დიასამიძე ამბობს, თითქოს ჩვენ მისი მიწის მოიჯარადრენი ვიყვნეთ და არა ხიზნები, — ასეთი და სხვა უსაბუთო ჩვენების ძალით მომრიგებელ შუამავალმა დაადგინა ჩვენი გადასახლება. რისთვისაც დროც დანიშნა ე. ი. ამა წლის პირველი დაკემბერი; ჩვენ არავითარი სასყიდელი არ გვეძლევა იმის ასანაზღაურებლად, რაც ჩვენ მის მამულში გაუმჯობესება მოგვიხდენია. ასეთი განაჩენი ჩვენ მიგაფხნია უკანონოთ, — ჩვენ დასახლებული ვართ თავ. დავით დიასამიძის მიწაზე სამოცდა ორ წელიწადზე მეტია. იმ პირობაში, რომელიც ჩვენ თავ. ნიკოლოზ დიასამიძის მამამ, მარშალმა თავ. დავით დიასამიძემ მოგვცა 1835 წლის აპრილის 6-ს თარიღით, ცხადათ არის ნათქვამი, რომ ჩვენ იმნაირივე ხიზნებათ ვითვლებით მის მიწაზე, როგორც სხვები და არა მოიჯარადრენი, რის დასამტკიცებლად ამასთანავე გირდგენთ თავ. დიასამიძის მიერ ხელმოწერილ პირობას.

ზემოთქმულის თანახმად ვთხოვთ გლახთა საქმეების საკრებულოს გააუქმოს მომრიგებელ შუამავლის განაჩენი და ხელ-ახლა გაარჩიოს საქმე და გვიცნოს ჩვენ თავ. დიასამიძის მიწაზე მცხოვრებ ხიზნებად. წარმოდგენილ პირობას გარდა ვთხოვთ დაჰკითხოთ ს. ბრილის ყველა მცხოვრებთ და გვიცნოთ ჩვენ ხიზნებათ, რადგანაც ჩვენ მიერ გაწეული შრომა მიწაზე შეფასდება 2.000 მან.

მთხოვნელნი: სოლო დევაძე და გიგა ნოზაძე, რადგან ამათ წერა არ იცოდენ. მათი თხოვნით მათ მაგივრად ხელს ვაწერ დავით ტაბატაძე.

1897 წ. აგვისტოს 8.

1835 წელი აპრილი 3 დღესა. ეს ხელწერილი მოგეცი მე თავ. დავით დიასამიძემ (თავად-აზნაურთა წინამძღოლმა), თქვენ სახაზინო ვლახებს დევაძეებს სეხნას და ბერუას იმაში, რომ თქვენ მოისურვებთ ჩემს სოფელში ცხოვრება, მოთხოვთ ამისი ნებართვა და მეც დაგართე ნება. იცხოვრეთ ისე, როგორც ცხოვრობენ ხიზნები, როგორც ისინი ასრულებენ სხვადასხვა სამსახურს. მე კი თვალყურს ვადევნებ, რომ ვინმემ თქვენ არ წაგართვას დაკავებული ადგილი. შეგიძლიათ იცხოვროთ ჩემს მიწაზე სანამ თქვენი სურვილი იქნება, უკეთუ თქვენ არ მოგეწონება აქ ცხოვრება და მოისურვებთ სხვაგან გადასახლებას თქვენი საკუთარი ქონებით, არავითარი პრეტენზია არ იქნება წარმოდგენილი არც ჩემის, არც ჩემის მემკვიდრეების მხრივ, ამის შესა-



ხებ შეგვიძლიათ საკუთარი ქონებით გადასახლდეთ იქ, სადაც მოსურვებთ, მაგრამ ვიდრე ჩემს სოფელში იცხოვრებთ, უნდა მემსახუროთ ისე, როგორც ხიზნები მემსახურებიან. დანარჩენში კი არავითარი პრეტენზიების წარმოდგენა არ შემეძლება. მეღაშვილი შიო, გლახა და სვიმონი იმავე პირობებში უნდა დასახლდნენ ჩემს სოფელში, რაც ჩამოთვლილია ზემოდ. ხელს აწერს: დავით დიასამიძე.

—:—

ახლის ახლი.

1897 წ. ივლისის 11 დღესა ს. ბრილი. მე, გორის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა, განვიხილე რა ს. ბრილის ხიზნთა საჩივარი თავ. ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძეზე, რომელმაც მათ ნება არ მისცა დაემუშავებიათ სახიზნო წესით მათდამი კუთვნილი მამული, ეძოვებიან პირუტყვი, ესარგებლათ შეშით და სხვ. ამის გამო სოფ. ბრილის ხიზნების — გიგო სვიმონის ძე ნოზაძის, ვანო პავლეს ძე, სოლო ტატოს ძე, ილიკო ტატოს ძე სტეფანიძის, სოლო საჩინოს ძე, შიო გიორგისძე, პავლე გიორგის ძე დევიძის რწმუნებულმა გლეხმა ალექსანდრე ტაბატაძემ ამა წლის აპრილის 23 თხონა მიართვა მთავარმართებელს, სადაც სჩივის, რომ მემემულე თავ. დიასამიძემ, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გლეხები იხდიან კანონით დაწესებულ ბეგარას, აუკრძალა მათ განკარგულებაში მყოფი მიწებით სარგებლობა, პირუტყვის ძოვება საძოვრებზე, ტყიდან შეშით სარგებლობა, გადასახადებს მოუმატა და გლეხებს ნებას არ აძლევს დაამუშავონ ვენახები. რწმუნებული სთხოვს მთავარმართებელს გაანთავისუფლოს გლეხები მძიმე ხარკისაგან, ნება დართოს მინდვრების და ვენახების დამუშავებისა. ტაბატაძის ხსენებული თხონა ამა წლის 30 მაისის თარიღით (№1441) ტფილისის გუბერნატორმა გადმომცა მე სათანადო შესასრულებლათ. საქმის გარჩევის დროს მოვიწვიე მემამულე თავ. დიასამიძე, რწმუნებული ტაბატაძე და ზემოდ ჩამოთვლილი ხიზნები. რწმუნებული ტაბატაძე თუმცა გამოცხადდა სოფ. ბრილში, მაგრამ სხდომის განხილვისათვის არ დაუცდია, ისე წავიდა. ვანო სტეფანაძე სადაც წასული აღმოჩნდა სოფ. ბრილიდან. დანარჩენი ხიზნები გამოცხადდნენ და დაადასტურეს რა მათი რწმუნებულის საჩივარი, დასძინეს, — რადგანაც მემამულემ აღვიკრძალა გაზაფხულის ხორბლის დათესვა და ბოსტანის გაშენება, ასეთები ჩვენ სრულებით არ მოგვეპოვებაო. ამ ხიზნებთან ერთად გამოცხადდა ხიზანი ნიკო პავლეს ძე სტეფანიძე და შეუერთდა მომჩივან ხიზანთ. ხიზნები მოითხოვენ მემამულესა და მათ შორის არსებული უთანხმოების მოწესრიგებას და აგრეთვე თხოულობენ ნება დაერთოს მათ ისარგებლონ საშემოდგომო ნათესებით. ხელის

მოწერაზე უარი სთქვეს. მომრიგებელი შუამავალი თავადი გიორგი თარხანოვი.

გამოცხადდა მემამულე თავადი დიასამიძე და განმარტა, რომ გიგა ნოზაძე და სოლო დევძე მოიჯარადრენი არიან და არა ხიზნები. ითხოვა, რომ მათი საჩივარი არ გარჩეულიყო, ამასთანავე თავ. დიასამიძემ ითხოვა ვადა, რომელშიც ის წარმოადგენდა იმის დასამტკიცებელ საბუთებს, რომ ისინი მართლა მოიჯარადრენი არიან. სოლო ტატოსძე და ილიკო ტატოსძე სტეფანაძეების, პავლე და შიო გიორგის ძე დევაძეების შესახებ კი განაცხადა, რომ ისინი არც მოიჯარადრენი არიან, არც ხიზნებიო, ჩივის, რომ მომჩივანნი ამუშავებენ მის მიწებს, როგორც კერძო პირნი, შეთანხმებით, განსაზღვრულ დღის გადახდით. ვანო და ნიკო პავლეს ძე სტეფანაძეს აღიარებს ხიზნებად და ითხოვს მათ გადასახლებას ერთი წლის ვადაში; ამ ვადაში ის იშოვის მათთვის შესაფერ ადგილს დასასახლებლათ; რომ ნიკო სტეფანაძეს არ აქვს ბალი, სახნავ მიწაზე მას სურდა ვაზის ჩაყრა, მაგრამ ამის ნება მან არ დართო წინასწარ თუ არ მოხდებოდა შეთანხმება. შეშის მიცემა მის ვალდებულებას არ შეადგენს, რადგანაც ამის უფლება ხიზნებს არ აქვთ მინიჭებული, რომ შეშით ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით, ყოველ ორ წელში განისაზღვრებოდა ეს გადასახადი წლიურად 5 მანეთი ჩარეჭიდან (ადგილობრივი განსაზღვრა შეძლებისა). საძოვარი აკრძალულია მხოლოდ ტყეში, სადაც ხიზნებს არ აქვს სარგებლობის უფლება. სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის შესახებ მან განმარტა: დათესვის წინ ხიზნები მემამულესთან შეთანხმებით განსაზღვრავდნენ გადასახადის რაოდენობას და მხოლოდ შემდეგ იწყებდნენ მინდვრების დამუშავებას, და რადგანაც ასეთი შეთანხმება მათ შორის დადებული არ ყოფილა 1897 წლის მოსავლის შესახებ, ხიზნებს არ დაუშუშავებიათ მინდვრები, რომ არ გადაეხადათ ღალა. მოსავლის შეკრებას ის არ უშლის მხოლოდ იმ პირობით, რომ ხიზნებმა მას მისცენ დღიურიდან ორი კოდი და ორი ჩანახი ან ფულად იმდენი, რამდენსაც წინა წლებში იძლეოდნენ. ხელს აწერს: თავ. ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძე.

მემამულის მიერ მოხსნილი სოლო და ილია ტატოს ძე სტეფანაძეების ნაცვლად საქმის გარჩევის დროს გამოცხადდა მათი მამა ტატო ნინიას ძე სტეფანაძე და დაადასტურა რა მისი შვილების საჩივარი, დასძინა, რომ მან რწმუნება მისცა შვილებს საჩივრის აღსაძრავად.

შიო და პავლე დევაძეების მამამ გიორგიმ (რომელიც აგრეთვე მოხსნა მემამულემ) განაცხადა, რომ მართალია, თუმცა ის არ სჩივის არც რწმუნება მიუცია შვილებისათვის საჩივრის აღსაძრავად, მაგრამ



რადგან მისი ღრმა მოხუცობის გამო ოჯახის მართვა-გამგეობა გადაცემული აქვს შვილებზე, მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება. ხიზნებისა და მემამულის შემდეგი გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ წინა წლებში, როცა მათ იჯარით ჰქონდათ აღებული აზ. მაკავარიანის მამული, 1889 წლამდე იხდიდნენ მოსავლის მეოთხედს. შემდეგ ეს გადატანილ იქნა ფულად და განისაზღვრებოდა 30 მანეთით ჩარეკიან მეპატრონისათვის, წარსული წლის შემოდგომაზე, იმის გამო, რომ ჩარეკული სისტემით უფრო სუსტი მეურნენი მეტს იხდიდნენ, მდიდარ მეურნეებთან შედარებით, თავ. დისამიძემ პირველთა თხოვნის თანახმად წინადადება მისცა ხიზნებს, რომელთა უმრავლესობა, ორ მდიდარ მეურნეთა გარდა, დათანხმდა, რომ ფულადი გადასახადი გადაეტანათ ნატურალურზე, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: თითოეულ დღიურზე ერთ კოდ-ნახევარი ხორბლეული, — ნახევარი პურის ხორბალი, ნახევარი სიმინდის ან ქერი, ლობიო 8 გირვანქა, შეშის გადასახადი პირად მოსახმარად და მასალად ერთი ურმის და ოთხი მარხილის ყოველ საჩარეკო (Чарекного хозяйства). მეურნეობაზე 5 მანეთი. ტყით სარგებლობის შესახებ ყველაფერი ზემოდ თქმული ეხება ღროს ხიზნების მიერ საჩივრის აღძვრამდე. ხიზნების თქმით მემამულე ასეთ გადასახადზე არ დასთანხმდა. თითოეულ კვადრატულ საყენ საბოსტნე მიწაზე ხიზნების უმრავლესობა დასთანხმდა გადაეხადათ 5 კაპ., მაგრამ ორი — დათო და ივანე ჩუბინიძეები, რომელთა დიდძალი საბოსტნე მიწა აქვთ დაკავებული, ამ გადასახადზე არ დასთანხმდნენ და ამის გამო თითქმის მიღწეული შეთანხმება ჩაიშალა. მივიღე რა ყველა ეს ჩვენებები მხედველობაში და გავეცანი რა საქიმის ვითარებას, მე, მომრიგებელმა შუამავალმა. დავადგინე:

1) მომავალში აეკრძალოს მემამულეს ხელი შეუშალოს ხიზნებს იმ მიწებით სარგებლობაში, რომლებიც ამ ჟამად მათ განკარგულებაშია, მიუხედავად იმისა, გადაიხდიან ხიზნები დაწესებულ გადასახადს თუ არა; გადასახადის გადახდა ასეთ შემთხვევაში ხდება გლეხთა საქმეების სათანადო დაწესებულებების საშუალებით.

2) ვინაიდან ფულადი გადასახადი ჩარეკული სისტემის მიხედვით მართლაც რომ უსამართლობაა ღარიბ გლეხების მიმართ, როგორც მემამულის, ისე გლეხთა ერთი ნაწილის მიერ მოსავლის მეოთხედი, — მივიღე რა მხედველობაში მემამულეთა და ხიზნების ზემოთ მოყვანილთ შეთანხმება, დავადგინე: ყოველ დღიურზე, როგორც მოხნულ, ისე მოუხნავზე — ერთ ნახევარი ადგილობრივი კოდი, არა უმეტეს 25 გირვანქიანი ჩანახისა და ხუთი გირვანქა ლობიო. თითოეულ კვადრატულ საყენ საბოსტნე მიწიდან ხუთი გირვანქა ხახვი ან კარტოფილი, გლეხის სურვილის თანახმად.



3) ტყეების სარგებლობა რჩება ისე, როგორც დღემდე იყო, ურთიერთ შეათნხმების თანახმად.

4) პირუტყვის ძოვება ხდება თავისუფლად მოუხნავ და საძოვრად გაშვებულ ადგილებში, ტყეში კი აკრძალულია.

5) ამა წლის საშემოდგომო ნათესი პურის შეკრებას ხელი არ უნდა შეუშალოს მემამულემ, გლეხები კი იხდიან ორ კოდსა და ორს ჩანახს.

6) რაც შეეხება საბაღე მიწებსა და გაშენებულ ვენახს, რომლის ხნიერობის გარკვევა შეუძლებელია, კუთვნილება ნიკო სტეფანაძისა, ვინაიდან მემამულეს განზრახვა აქვს ამ გლეხის გადასახლებისა, აეკრძალოს მას ბაღის მოშენება.

7) უფლება მიეცეს თავ. დიასამიძეს წარმოადგინოს საბუთები, რომ გლეხები გოგა ნოზაძე და სოლო დევაძე ხიზნები არ არიან. საბუთები უნდა წარმოადგინოს ამა წლის 1 დეკემბრამდე.

8) რაც შეეხება მემამულის თხოვნას, ვანო და ნიკო სტეფანაძეების მისი მამულიდან გადასახლების შესახებ, წინადადება მიეცეს მას შემოიტანოს ამის შესახებ განსაკუთრებული განცხადება. ეს დადგენილება გამოეცხადოს მხარეებს და მიეცეს მათ უფლება გაასაჩივრონ ის ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საკრებულოში. ხელს აწერს: მომრიგებელი მოსაშვალე თავადი **გ. თარხანოვი**. განაჩენი მოვისმინეთ 11 ივლისს 1897 წლისა. თ-დი ნიკოლოზ დიასამიძე. ხიზნებმა უარი განაცხადეს ხელის მოწერაზე. მომრიგებელი მოსაშვალე **გ. თარხანოვი**. დაესწრენ მოწმენი: გიორგი გვარამაძე, ივანე აკოფოვი, სარქის მამულოვი.

ვასვამთ ბეჭედს.

რომ ეს ასლი სისწორით გადმოწერილია დედანიდან და ეძლევა სოფელ ბრილის ხიზნებს თანახმად მათი თხოვნისა, გამოწმებ ხელის მოწერითა და სახაზინო ბეჭდის დასმითა, ივლისის 28 დღესა 1897 წ მომრიგებელი შუამავალი თავ. თარხანოვი.

საქმე № 345.

1897 წ.

ასლი ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საქმეების საკრებულოს დადგენილებისა 1910 წლის დეკემბრის 1-თარიღით (№ 3005).

მოვისმინეთ: საკრებულოს წევრის ე. ი. რიდელის მოხსენება. 1897 წლ. ივლისის 11-ს გორის მაზრის მეორე განყოფილების, ამ უბად მესამესი, მომრიგებელმა შუამავალმა გაარჩია სოფ., ბრილის ხიზნათა საჩივარი მემამულე თავ. ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძეზე და სხვათა შორის, დაადგინა: მიეცეს მემამულე თავ. დიასამიძეს ვადა,

რომლის განმავლობაში წარმოადგინოს მან იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ გლეხები გიგო ნოზაძე და სოლო დევაძე ხიზნები არ არიან. ამ დადგენილების გამო გლეხებმა სოლო დევაძემ და გიგო ნოზაძემ წარადგინეს დანიშნულ ვადაში საჩივარი, რომ ისინი დასახლებული არიან თავ. დიასამიძის მიწაზე 1835 წლ. აპრილის 6-ს და ითხოვეს ცნობილ იქნან ისინი ხიზნებათ. 1910 წლ. აგვისტოს 3-ს გორის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა მოახსენა საკრებულოს, რომ სოლო დევაძე და გიგო დევაძე შეტანილი არიან ს. ბრილის ხიზანთა ოქმში. (ოქმი შედგენილია 1909 წლის ივლისის 4-ს), როგორც ხიზნები, მცხოვრებნი თავ. ნიკოლოზ დიასამიძის მიწაზე.

საგუბერნიო საკრებულოს მიაჩნია რა დევაძისა და ნოზაძის შუამდგომლობა გადაჭრილად მათი ხიზანთა ოქმში შეტანით, **ადგენს:** საქმე მოსპობილ იქნას, რაც მომრიგებელი შუამავალის საშუალებით გამოეცხადოს სოლო დევაძეს და გიგო ნოზაძეს. ამასთან მათ უნდა განემარტოს გასაჩივრების წესი და ვადა“.

ჩემი თავგანსჯვა.

(იხ. „რევ. მატ“. № 2 (12) 1925 წ.)

მეორე მაისობა მოეწყო 1899 წლ. მახათის გადაღმა, მლაშე ტბასთან. ეს უფრო ფართო და მრავალრიცხოვანი იყო, როგორც მუშების, ისე ინტელიგენციის შემადგენლობით. მლაშე ტბის არე-მარე მუშებმა შეამკეს წითელი დროშებით. მუშები აღტაცებაში მოჰყავდა მუშა ბოქორიძის, ზ. ჩოდრიშვილის, რ. კალაძის, ს. ჯუღელის და ვ. ცაბაძის სიტყვებს პირველ მაისობის და რვა საათის სამუშაო დროს მნიშვნელობაზედ: სიტყვებმა იმდენად აღაფრთოვანა დამსწრე მუშები, რომ მათ ქუჩებში დემონსტრაციულად გამოსვლაც კი მოისურვეს, მაგრამ მოწინავე მუშებმა შეაკავეს, არ გაუშვეს მუშები ქუჩებში, შემდეგ წლებისათვის გადასდევს ქუჩებში გასვლა იმ მოსაზრებით, რომ ახლა ცოტანი ვართ, შემდეგისთვის უფრო მომზადებული და მრავალრიცხოვანი გავალთ ქუჩებში სადემონსტრაციოთო, ასე მუშები წავიდ-წამოვიდენ თავიანთ ბინებზე და 1899 წლის მაისობაც მშვიდობიანათ დამთავრდა.

1901 წელს პირველი მაისის დღესასწაული და დემონსტრაცია ალექსანდრეს ბაღთან ასე მომზადდა: 1901 წ. 16 აპრილს ახალი სტილით საღამოს 8 ს. ჩემს ბინაზე (მიხეილის, ახლა პლენხანოვის ქ.) ყოფილი ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ, ვიწრო ქუჩის კუთხის სახლი № 110 სარდაფის სადურგლო სახელოსნოში მოვიდენ: ჩემი უმცროსი ძმა ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოქორიძე, გ. თელია და ერთი-სხვა ამხანაგი, რომლის გვარი არ მახსოვს. აქ შესდგა გეგმა 18 აპრილის—პირველ მაისის დღესასწაულისა. პირველად კითხვა დაისვა, რომ პუშკინის ქუჩაზე, სასულიერო სემინარიის წინ, თავი მოეყარათ მუშებს და ქალაქის სამმართველოს მხრიდან, სასახლის წინ გაველოთ და გასულიყვენ დემონსტრაციულად გოლოვინის პრ. წითელი დროშით და რევოლუციონური სიმღერით. ზაქრომ კი კითხვა ასე დააყენა: მუშები შეიკრიბებიან ალექსანდრეს ბაღის კუთხეში ჯოხებით შეიარაღებულნი, აქედან ავაფრიალოთ წითელი დროშა და თუ მოვასწრობთ, გავიაროთ სალდათის ბაზრით, რადგან კვირა დღეა და ბაზრის ხალხსაც თან გავიყოლებთ, გავივლით პუშკინის ქუჩით ქალაქის სამმართველოს წინ და თუ მოვახერხებთ, სასახლის წინ გავივლით სიმღერით და წითელი დროშის ფრიალითო და ვინდა ესეც რომ არ იყოს და ვერ მოვახერ-



ხოთ ქუჩებში გავლა, იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ალექსანდრეს ბაღთან ავადრიალებთ დროშასო.

ზაქროს წინადადებას ერთხმად მიემხრენ იქ დამსწრე ამხანაგები და გეგმა მიღებულ იქნა, შემდეგ დაადგინეს, რომ 17 აპრილს შაბათს საღამოს შეკრებილიყვნენ ნაძალადევში, ზაქრო ჩოდრიშვილის ბინაზე, რომ იქ ევახშმათ და ფიციც დაედოთ, რომ 18 აპრილს, კვირას, პირველ მაისს, აუცილებლად გავიდოდნენ ქუჩებში მაისობის სადღესასწაულოდ. ასეც მოვიქეცით. 17 აპრილს ე. ი. შაბათს საღამოთი შეიკრიბენით ზ. ჩოდრიშვილის ბინაზე (ნაძალადევში). აქ იყვნენ მ. ბოჭორიძე, გიორგი ჩხეიძე, არ. ოქუაშვილი თავის სახლობით, გ. თელია, ძმანი ჩოდრიშვილები თავიანთი ოჯახობით, თვითონ ზაქრო და სხვა ამხანაგები, რომელთა გვარები არ მახსოვს. ვახშმის შემდეგ დროშა მიენდო ამხ. მ. ბოჭორიძეს, ზ. ჩოდრიშვილს და არაქელას, მათ მეორე დილით ადრიაანათ უნდა გაეტანათ ეს დროშა იარბუკაზე და მიებარებიათ მეჩოთქე ოქოვეისათვის — არაქელას ბიძაშვილისათვის. ეს უნდა მომხდარიყო სანამ მუშები შეიკრიბებოდნენ დანიშნულ ალაგს ალექსანდრეს ბაღთან. მეორე დღეს, კვირას, 18 აპრილს (ახ. სტ.) ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, სახელმწიფო ხაზინის გასწვრივ, ორბელიანის სახლის წინ თავი მოიყარა მრავალრიცხოვან (400 — 500) ჯგუფმა ჯოხებით შეიარაღებულმა, ამ დროს დემონსტრაციის მომწყობ კომისიამ, ზაქრო ჩოდრიშვილის ხელმძღვანელობით, დროშაც მოიტანა დანიშნულ ალაგას, ცალკე შეხვეული. უტარო და ტარად კი 4 არშინიანი ჭერის ჩამოსაწმენდი ჩოთქი, რომელიც მხარზე გადებული ჰქონდა ერთ პატარა ჩვენს ამხანაგ ბიჭს. მან დაიწყო სიარული იქვე შეჯგუფულ მუშებში და ერთ „სემიჩკის“ გამყიდველთან გაჩერდა, ვითომ „სემიჩკის“ სასყიდელათ.

ამ დროს შეჯგუფულ მუშებს რამდენიმე ამხანაგი მუშა გამოეყო, უცბათ სტაცეს ხელი იმ ჯოხს, რომელიც ბიჭს ეჭირა ხელთ, გაშალეს დროშა და აღფრთოვანებული შეუდგენ დროშის აფრიალებას. ამ დროს ტარზე ჩამოკიდებული დროშა ხელში შერჩა რკ. გზის მუშა დურგალ გიორგი თათანაშვილს და მანაც სწრაფად ააფრიალა ის ჰაერში, მაგრამ ტარიდან ორჯელ ჩამოვარდა დროშა, რადგან სისწრაფის გამო ვერ იყო გამაგრებული ტარზე. ამ ჩოჩქოლით ისარგებლეს პოლიცია — ყაზახ-ქანდარმერებმა და ირგვლივ სახლების ეზოში ჩასაფრებულნი, ბოქაულ გედევანიშვილის და ქანდარმთა შეთაურობით, ოთხივე მხრიდან სალტესავით გარს შემოერთყენ მუშებს და პოლიციელებმა დაუწყეს უწყალოთ ცემა-ტყეპა, მუშებსაც თავის მხრივ უპასუხოთ არ დაუტოვებიათ ქანდარმები. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რის შემდეგ დროშაც დაგლეჯილ იქნა. ამ ბრძოლაში ჩვენი სამი ამხანაგი: ლეონტი მამალაძე, გიორ. თათანა-



შვილი და კ. ვიგორბინი ძლიერ ნაცემი და დაჭრილნი, თავ-პირ და მტვრეულნი აღმოჩნდნენ. ასევე რაძდენიმე ათეული მუშაც—ნაცემ-ნატყები. ზემოდ ნახსენებ დაჭრილ ამხანაგებთან ერთად ზოგი პოლიციაში და ზოგიც ციხეში გაგზავნეს და მათთან ამ სტრიქონების დამწერიც. პოლიციის მხრივ მძიმედ დაიჭრა წელში ერთი „გოროდოვოი“ ლეონტი მამალაძის ლევორველით. სცემეს მუშებმა ბოქაულ გედევანიშვილს.

დაჭერილი მუშებით გაივსო პოლიციის მე-3 და 5 ნაწილი. მეც მეორე დღეს ჩემი მეუღლით მეტეხის ციხეში ამომაცოფინეს თავი, ჩემი მეუღლე-კი, როგორც ავადმყოფი, ციხის სავადმყოფოში მოათავსეს. მე თუმცა პირველად დაჭერის შემდეგ (პირველ დღეს) არსენალის „ჩინოვნიკ“ ბატურინის მეოხებით განთავისუფლებული ვიქენი, მაგრამ როგორც ზემოდ ვთქვი, მეორე დღეს დამაპატიმრეს მეუღლითურთ.

1902 წელს პირველ მაისს მუშები სცდილობდნენ, რომ გოლოვინის პროსპექტზე მოეხდინათ დემონსტრაცია, დაეწყოთ ქაშვეთის ქუჩიდან, იქ აემართათ დროშა და ასე გაეველოთ გოლოვინსკზე, მაგრამ დემონსტრაციის ხელმძღვანელ კომისიამ, რა დაინახა, რომ გოლოვინსკზე გაძლიერებული პოლიცია იყო დარაჯათ და (მაისობის ხელმძღვანელ კომისიაში შედიოდნენ: ექვთიმე სართანია, გ. თელია და ს. ბურჭულაძე) დროშის ამართვა უცბათ ძნელი იყო, ფრონტი იცვალა და დაბრუნდა ლორის-მელიქოვის ქუჩით. მათ თან გაიყოლეს იქ მყოფი მუშები და გავიდნენ პუშკინის ბაღთან, სადაც ელოდებოდნენ მუშები იმ მოსაზრებით, რომ თუ ვინიცობაა გოლოვინსკზე ვერ მოხერხდებოდა დემონსტრაცია, მაშინ პუშკინის ქუჩაზე აიმართებოდა დროშა და ქალაქის სამმართველოს წინ გაივლიდნენ დემონსტრანტები და სასახლის ქუჩით გავიდოდნენ გოლოვინსკზე, მაგრამ ამ დროს დაინახეს ამხანაგებმა, რომ პუშკინის ქ. ცხედარს მოასვენებდნენ, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი მოაცილებდა. აი ამ პროცესიას ჩვენი ამხანაგებიც შეუერთდნენ და როცა სომხის ბაზრის ეკლესიამდე მიიტანეს ცხედარი, იქ ეკლესიის კარებთან ხალხი შეჯგუფდა, ჩვენმა ამხანაგებმაც ისარგებლეს ამით და უცბათ გ. თელიამ წითელი დროშა ააფრიალა, რასაც „ვაშას“ ძახილიც თან მოჰყვა. ამ დროს პოლიციელებიც საიდანღაც გაჩნდნენ, ჩაერივნენ ხალხში და ზოგი შუა ბაზრით და ზოგი კათოლიკეთა ქუჩით ცემა-ტყეპით გაფანტეს. ძლივს მოასწრეს მღვდლებმა ცხედრით ეკლესიაში შესვლა, ამხ. თელიამ და სართანია კი მოასწრეს დროშით თავის გადარჩენა.

1903 წლის პირველი მაისობა და აშკარა დემონსტრაცია გაიმართა გოლოვინის პროსპექტზე არტიტიულ (ახლა რუსთავლის თეატრიდან) საოპერო თეატრამდის, ქუჩა მოიფინა პირველი მაისობის



საქართველოს რევოლუციის მუზეუმი

ფურცლებით და აფრიალდა წითელი დროშა. აქ ამხ. სარტაშიამ სიტყვა წარმოსთქვა პირველი მაისის და 8 საათის სამუშაო დროს მნიშვნელობაზე. შემდეგ მუშები გაემართნენ რევოლიუციონური სიმღერებით და წითელი დროშით და როცა მიაღწიეს ოპერის თეატრის დერეფანამდის. აქ პოლიცემისტერ კოვალიოვმა პოლიციელებით და ყაზახ-სალდათებით, ალყა შემოარტყა საპიორის ქუჩიდან გამოსულ პოლიციელ-სალდათებთან ერთად და დაუწყეს მუშებს უწყალოთ ცემა-ტყემა. მრავალი მუშა დაიჭრა, მათ შორის, ორი ქალი — მარო მდინარაძე და გაბუნია, რომლებიც სხვა ტუსალებთან ერთად მეტეხის ციხეში გაგზავნეს. მე შემთხვევით გადავჩი დაჭერას, ვსტაცე ხელი დაჭრილ ამხანაგს ს. ბურჭულაძეს და შემთხვევით მომავალ ეტლში ჩავსვი, მოუხვიე გრიბოედოვის ქუჩით, ჩავიარე კალოუზნის ქუჩაზე, გაველ ვორონცოვის ხიდით და დიდ მთავრის ქუჩით ექიმ გედევანოვის და ქიქინაძის საავადმყოფოში მივიყვანე. აქ ქირურგმა ექიმ დიასამიძის დახმარებით ამხ. ბურჭულაძეს ბარდაყიდან ტყვია ამოულო, საღამოზე ის გადავიყვანეთ ნაძალადეგოში ერთი ამხანაგის ბინაზე, რომლის გვარი აღარ მახსოვს. აქ მიუჩინეთ ამხ. ბურჭულაძეს ექიმები — როგორც ქირურგი ისე ექიმი ხუდადოვი. ამ ჭრილობიდან განიკურნა ამხ. ბურჭულაძე, მაგრამ 1905 წლის რევოლიუციაში ის მსხვერპლად შეეწირა მუშათა კლასის განთავისუფლებას.

1900 — 1909 წლებზე ჩემი სადურგლო სახელოსნო (მიხეილის პრ.) იყო რევოლიუციონერების საკრებულო და თავშესაფარი. ამ სახელოსნოდან იყო გაბმული კავშირი პროვინციის სხვადასხვა ცენტრებთან და ადგილობრივ რაიონებთან.

აქ იყო პროვინციებიდან და აგრეთვე ციმბირიდანაც გამოპარული ამხანაგების დროებით თავშესაფარი. აქვე იღებდნენ პასპორტებს ამხ. და იგზავნებოდნენ სხვადასხვა ადგილებში. აქვე შეიძლებოდა ლიტერატურის მიღება და სხვა. აქვე იყო მოწყობილი ლიტერატურის, იარაღის და სხვათა შესანახავი საწყობი. სარდაფი შესდგებოდა ხუთი ოთახისაგან. ორი ოთახი ეკავა საცხოვრებელ ბინას, სამი კი — სახელოსნოს. საცხოვრებელ ბინას ჰქონდა სამი კარი, ერთი ეზოში გადიოდა, მეორე — სახელოსნოში, მესამე ვიწრო ქუჩაში და უერთდებოდა პლენანოვის (მიხეილის) ქუჩას, აგრეთვე სახელოსნოს კარებიც უერთდებოდა პლენანოვის (მიხეილის) ქუჩით ვიწრო ქუჩას.

1904 წელს, მიწურულში, როცა რუსეთ — იაპონიის გაცხარებული ომი იყო, ამ სახელოსნოში სწარმოებდა მეცადინეობა ჯარისკაცებთან. ჯარისკაცებში რევოლიუციონურ მუშაობას აწარმოებდა ამხ. კვარაცხელია. შემდეგ აქ ეწყობოდა მუშათა პროფ-კავშირები ამხ. მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით და ბოლშევიკურ პარტიას ბრძოლა უხდებოდა მენშევიკებთან, ესერებთან, ანარქისტებთან, ფე-

დერალისტებთან, ამათ კრიკაში ედგენ სოსო ჯულაშვილი, სტ. შაუ-
მიანი მ. ტოროშელიძე, ვიქ. ნანიეშვილი, შალ. ელიავა, ზ. ჩოდრი-
შვილი, მ. ბოჭორიძე, გაცხოველებული მუშაობა იყო ფაბრიკა სახე-
ლოსნოებში, ეწყობოდა საიდუმლო კრებები, არალეგალურად იმარ-
თებოდა სხვადასხვა პარტიებთან დისკუსიები. კობას ჰყავდა განსა-
კუთრებული მოწაფეთა წრე, ამ წრეში ამხ. კამენევიც მუშაობდა.
საერთოდ პირველად ამხ კამენევი ამ სარდაფში ეზიარა რევო-
ლიუციას.

1904 მიწურულში ამავე სახელოსნოში მოეწყო ბოლშევიკების
კონფერენცია. პროვინციებიდან და ადგილობრივ ამხანაგებიდან
დაესწრო 60-მდე. დაესწრენ: სოსო ჯულაშვილი, მ. ცხაკაია, სტ. შაუ-
მიანი, ვ. ნანიეშვილი, ასატ. კახოიანი, ზ. ჩოდრიშვილი ძმებით, მ. ბო-
ჭორიძე, რ. დოლიძე, მ. კვარაცხელია, მ. ტოროშელიძე და სხვები.
რომელთა გვარები აღარ მახსოვს.

დღის წესრიგში იყო დასმული სამი საკითხი: 1) გაძლიერდეს
პროპაგანდა-აგიტაცია გლეხებსა და ქალაქის ფაბრიკა-სახელოსნოე-
ბის მუშებში ომის წინააღმდეგ, 2) საერთოდ მუშებში, გლეხებში და
ჯარისკაცებში გავრცელდეს პარტიული ლიტერატურა რამდენათაც
კი მოგვეპოვება, 3) აუცილებლად გაკეთდეს ფურცლების საბეჭდი
სახელდახელო ხის დაზგა, რომელზედაც უნდა ვბეჭდოთ ფურცლები
და გავავრცელოთ მუშებში და განსაკუთრებით სალდათებში. უნდა
გაეგზავნათ აგრეთვე პროპაგანდისტები პროვინციაში. არჩეულ იქ-
ნენ: ამხ. მ. ცხაკაია, — ქუთაისში, სოსო ჯულაშვილი — ჭიათურაში,
ს. შაუმიანი და კახოიანი — ბორჩალოს მაზრაში. როს. დოლიძე და
ზ. ჩოდრიშვილი — ბათუმში, მ. ბოჭორიძე — თელავში და მ. ტორო-
შელიძე და ნანიეშვილი — ტფილისის ფაბრიკა-სახელოსნოებში და
მოსე კვარაცხელია — სალდათ-იუნკრებში.

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგაც შეუდგენით საიდუმლო
მუშაობის წარმოებას. და ამხანაგებმაც სწორედ ამ ცნობილ სახელოს-
ნოს მიმართეს... ამხანაგები შეუდგენ თათბირს, თუ რა გზას დასდგო-
მოდენ და როგორი ტაქტიკა ეწარმოებინათ: დაბოლოს იმ დასკვნამ-
დე მივედით, რომ ისევ არალეგალურათ ეწარმოებიათ მუშაობა. და
ასეც მოიქცენ. ერთ საღამოს მოწვეულ იქნა ამხანაგების კრება.
დაესწრენ: 1) მ. ცხაკაია, 2) ფ. მახარაძე, 3) მალაქია ტოროშელიძე,
4) სტეფ. შაუმიანი, 5) ასატურ კახოიანი, 6) სოსო (კობა) ჯულაშვი-
ლი, 7) ზ. ჩოდრიშვილი, 8) მ. ბოჭორიძე, 9) ნიკო და შალ. ელიავები
და სხვები, რომელთა გვარები არ მახსოვს. ამ თათბირზე მრავალი პარ-
ტიული კითხვა გაიჩნა, რომელიც ენებოდა საიდუმლო მუშაობას.
კრება დაიხურა ღამის 3 საათზე და ამხანაგებსაც იქვე სარდაფში —
ზოგს სკამებზე და ზოგს ტახტზე, იატაკზე მიეძინათ. დილით 5 საათ-



ზე თავიანთ ბინებს მიაშურეს, მაგრამ რადგანაც კიდევ დარჩა დასაწყვეტი ორიოდ საკითხი, ამიტომ მეორე დღეს საღამოს 8 ს. ამავე სარდაფში დანიშნეს კრება. გამოცხადდნენ ამხ. მიხ. ცხაკაია, სტ. შაუმიანი, როსტომ დოლიძე, ვიქტორ ნანეიშვილი, ვერა პავლოვნა პოვროვსკაია, მელანია ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, ზ. ჩოდრიშვილი და ასტ. კახიანი. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. მიხ. ცხაკაია, რომელმაც დამსწრე ამხანაგებს მოკლე სიტყვით მიმართა და განუმარტა, განსაკუთრებით ამხანაგ ქალებს, რომ პირველი საქმიანობა ქალებისა უნდა იყოს წითელ ჯვარში ენერგიული და ხალისიანი მუშაობა. ამასთან საჭროა, რომ ეხლავ შესდგეს ციხის კომისია მელანიას თავმჯდომარეობით და ხელმძღვანელობით და სხვა ამხ. ქალების დახმარებით, რომ გაძლიერებულ იქნეს, საერთოდ წითელი ჯვრის წევრების მუშაობა და რაც და რითაც შეიძლება, ჩვენ ამხანაგ ტუსალებს და მათ ცოლშვილს, უმთავრესი ყურადღება მიექცეს და სწრაფი დახმარება აღმოეჩინოს; კრება დაიხურა ღამის 11 საათზე. ამ დროს მელანია დარაჯობდა კრებას ბინის ეზოდან და ის იყო, რომ ამხანაგებიც უნდა წასულიყვნენ უცბათ მელანია შემოვარდა იმ ოთახში, სადაც ამხანაგები ემზადებოდნენ წასასვლელად და განუცხადა, რომ ჩვენს ბინის კარებზე ქუჩიდან აბრაახუნებენო და დასძინა: მგონია ვილაც საექვეო პირები არიან და დაიშალენითო. ყველანი მელანიას გაჰყვეს, რომელმაც ისინი სათითაოდ ეზოს კარებიდან გაიკვანა ვიწრო ქუჩით და ამით გადაარჩინა ამხანაგები დაჭერას.

1905 წლ. მიწურულში ტფილისში დაიწყო „პოგრომები“ დუქანბაზრების აკლება და რბევა. გაძლიერებული რეაქციის, რეპრესიების და სამხედრო წესების გამოცხადებისთანავე ხულიგან-პოგრომელებმაც გააძლიერეს თავიანთი მოქმედება, აწიოკებდნენ, სცარცვავდნენ და არბევდნენ დუქან-ბაზრებს, მთავრობაც ეხმარებოდა მათ. ის ზარბაზნით არბევდა სახლებს, ხოცავდა ხალხს სახლებში და ქუჩებში, აპატიმრებდნენ განსაკუთრებით მუშებს და წაყვანილ პატიმრებს, — ციხის გზაზე ხოცავდნენ თითქოს გაქცევას აპირებდაო. დიდუბეში დაანგრის ზარბაზნით სახლები და შიგ. ამოხოცეს რამოდენიმე რევოლუციონერი მებრძოლი მუშა-ამხანაგები, როგორც იყო ამხ. აზობაძე და სხვები.

პირველად დაჭერილ ხალხს ათავსებდნენ იუნკრის სკოლის ეზოში. მტკვრის პირად, ყაზარმებში და მეორე-მესამე დღეს კი მეტეხში და საგუბერნიო ციხეებში გაზვნიდნენ.

1906 წლ. 1 იანვრის წინა ღამეს 12 საათი იყო, რომ ჩვენს სახელოსნოს ეწვივნენ მოუწყვეველი სტუმრები: სალდათა და იუნკრთა რაზმი და სახელოსნოს ალყა შემოარტყეს, ზარბაზნებიც კი მოეტანათ. ალბათ მეფის ჯაშუშებს ახლაც ეგულებოდათ სარდაფში რე-



ვოლიუციონერთა კრება და მგონი უნდოდათ ამ სარდაფ-სახელოსანთს აფეთქება-განადგურება და შიგ მცხოვრებთა ამოჟლეტაც, მაგრამ ანგარიშში მოსტყუდენ, რადგან იმ ღამეს იქ არავითარი კრება არ ყოფილა. ჯარმაც უცბათ რაღაც ჩურჩული დაიწყო და უკანაც დაიხია. ამ სახლის 1 და 2 სართულში სამხედრო პირები სცხოვრობდენ. ალბათ ხელიც უფრო ამან შეუშალა „პოგრომჩიკებს“ და ამიტომაც ალყა საჩქაროთ მოხსნეს და წავიდნენ.

ასე გადავრჩით ამოჟლეტა-განადგურებას. შემდეგ ღამის 2 საათზე მეწვივნენ სტუმრები, ამხ. სოსო (კობა) ჯულაშვილი, მიხა ბოჭორიშვილი და ზაქრო ჩოდრიშვილი.

ვლაპარაკობდით იმაზე, რაც ამ ორი საათის წინად ხდებოდა ჩემი სახელოსნოს ირგვლივ. ამაზე ამხ. მ. ბოჭორიძემ სთქვა, რომ ჩვენ მთელი 2 საათია რაც ვეტყელის სასტუმროს წინ ვტრიალებდით, თუ რა მოხდებოდა. დავინახეთ, რომ მოვიდა ერთი ვილაც სამხედრო პირი და რაღაც ჩოჩოლი და თათბირი დაიწყო, შემდეგ ერთბაშად ალყა მოხსნეს და საჩქაროთ იუნკრის სკოლისაკენ გაეშურნენ და ჩვენც აქვე გამოვწიეთო. ამ მუსაიფში ღამის სამი საათიც გახდა და სტუმრებიც დაწვნენ დასაძინებლათ. შემდეგ ამისა არ გასულა ნახევარი საათი, რომ კარებზე ქუჩიდან ვილაცებმა მძლავრად დაუწყეს ბრახუნი და მინამ მე გავილოდი, ქუჩიდან უკვე კარები შემოამტკრიეს და დერეფანში შემოიჭრა ერთი აფიცერი და 12 სალდათი.

ოთახები უნდა გავჩხრიკოთო. დაიწყეს ჩხრეკა. მთლად ააფორიაქეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, თუმცა ბევრი რამ იყო. შემდეგ შევიდნენ იმ ოთახში, სადაც ზემოხსენებულ ამხანაგებს ეძინათ. აფიცერმა ამაყად იკითხა — ესენი ვინლა არისო. უპასუხე: ერთი ჩემი ძმაა და ორი მისი სტუმარი. დაიწყო გვარების გამოკითხვა. სოსომ (კობა) უთხრა გაფრინდაშვილი ვარო, მიხა ბოჭორიძემ — ვერმიცანიშვილიო, ზაქრომ ნამდვილი გვარი უთხრა, აფიცერმა გვარები ჩაიწერა და სასტიკად უბრძანა მათ, რომ თქვენ აქედან ვერ წახვალთ, ახლავ ჟანდარმებს გამოვგზავნი და თქვენ ვინაობას ისინი გამოარკვევენო.

შემდეგ აფიცერმა სალდათებს მიუთითა ჩემზე და ჩემს ცოლზე, რომ წავეყვანეთ. ჩვენ გამოგვიყვანეს ქუჩაში, კარებზე კი სალდათი დააყენეს, უბრძანა, რომ არავინ გაუშვა სანამ ჟანდარმები არ გიბრძანებენო. აფიცერიც თან გამომყვდა და მიგვიყვანეს იუნკერთა სკოლის ყაზარმაში, სადაც სხვა რაიონებში დაპატიმრებულთა რაოდენობა უდრიდა 500 კაცს. 2 დღის გამოძიების შემდეგ ზოგი გაანთავისუფლეს, უმრავლესობა პატიმრებისა კი მეტეხის ციხეში გაგზავნეს. მათთან ერთად მეუღლითურთ მეც მეტეხში მიმაბრძანეს. ზაქრო კი თავის სტუმრებით გაფრენილიყვნენ და ასე, დაჭერას გადარჩენ. ჩემი ცოლი 5 თვის შემდეგ ავათმყოფიბის გამო გაანთავისუფლეს. მე კი

სხვა ამხანაგებთან ერთად არხანგელისაკენ გამგზავნეს. როსტოვის ციხეში მისვლამდე გზაში სახადით ავთ გავხდი, ამიტომ აქ საავადმყოფოში მომათავსეს და 3 თვის შემდეგ გამანთავისუფლეს და როსტოვიდან წასვლა ამიკრძალეს. ამას გარდა ყოველ საღამოს მთავარ პოლიციაში უნდა გამოვეცხადებულიყავი. უმუშევრობა, ნივთიერი უსახსრობა — აი, როსტოვის ცხოვრების სურათი. ამ პირობებში აქ დარჩენა ძნელი იყო, ამიტომ ერთ დღეს გამოვიპარე ტფილისში და აქ შეუდექი ისევ არალეგარულ მუშაობას, მაგრამ 1906 წელსვე აგვისტოში აქ ჟანდარმერებმა დამაპატიმრეს და ციხეში ჩამსვეს. გამასამართლეს და ერთ-ნახევარი წელიწადი ციხეში ჯდომა მომისაჯეს.

1908 წლ. ზაქრო ბაქოში დააპატიმრეს ნადიროვკაში აღმოჩენილ არალეგარულ სტამბის, იარაღის და ლიტერატურის საწყობის საქმეზე, ტფილისში ჩამოიყვანეს; ამ დროს მეც და ჩემი ვაჟი გიორგი საგუბერნიო ციხეში ვისხედით და ციხის საღურგლო სახელოსნოში ვმუშაობდით. ზაქროც ჩვენს კამერაში მოათავსეს, მოყვანის მესამე დღეს ზაქროც და მეც ბორკილებით დაგვჭედეს, მაგრამ სამი დღის შემდეგ მე ამხსნეს ბორკილები, ზაქრო კი ისევ ბორკილებში დაჭედილი დასტოვეს. შემდეგ ზაქროს სამხედრო სასამართლომ 8 წლის კატორღა მიუსაჯა. ზაქროსაც ნება ჰქონდა სხვა პატიმრებთან ერთად ციხის საღურგლო სახელოსნოში ემუშავნა.

მის. ჩოდრიშვილი.

მწარე ფიქრები

(დასასრული, იხ. „რევ. მატიანე“ 2(12) 1925 წელს)

III

მინამ ამ წერილს გავათავებდე, საჭიროთ ვთვლი ერთი გარემოება ჯიჯვ მოვიხსენიო, მოკლედ მაინც; მე მოგახსენებთ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ ფიზიანომიაზე წასულ წელში. მაგრამ რა არის თვით ზნეობა? ნუ თუ ის დამოუკიდებლად არსებობს და დამოუკიდებლათ შესაძლოა იმის განვითარება, როგორც ფიქრობდენ ზნეობის და ღვთისმეტყველების წარმომადგენელი? ახლანდელ დროში უკვე მიღებულია, რომ ზნეობა სრულებით არ არის რაიმე დამოუკიდებელი; წინააღმდეგ ამისა, ის შეადგენს მერმინდელ ნაშენს აღმართულს ეკონომიურ საფუძველზე *), როგორც გონებრივი, იურიდიული ნაშენები; ასე რომ თუ იცვლება და წარმატებაში შედის ზნეობა, მაშასადამე მაშინ უეჭველად იგულისხმება იმ საფუძველის ცვლილება და წარმატება, რომელზედაც თვით ზნეობაა აშენებული. თუ ამ დებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ჩვენ ადვილად გავიგებთ ჩვენი საზოგადოების ზნეობის და ჩაგვრის მიზეზს. აქ ჩვენ ერთის მხრით ვხედავთ უკვე გარკვეულ ლტოლვას აქოტაჟისადმი, რასაც ჩვენი „ნაფიცი“ მწერლები აღტაცებით იხსენიებენ და იმაზე კი სრულებით არ ჰფიქრობენ, რომ „არა მარტო ხორცითა ცოცხალი არს კაცი, არამედ სულითა“. მეორეს მხრით ჩვენთვის აშკარად ასახსნელი ხდება ზნეობრივი საქციელი მთელი ქართველი თავადაზნაურობისა წარსულ 1892 წლის განმავლობაში. ვგონებ მეტიც იქნება ამ საქციელის მოგონება მკითხველისათვის, რადგანაც ეს საქციელი სწორედ მეტად საგრძნობელია, რომ მკითხველს ის უყურადღებოდ დაეტოვებია. მაგრამ, მეორეს მხრით, ამისანა საგნის გახსენება სულ ყოველთვის საჭიროა.

მკითხველი, რასაკვირველია, თვითონ მიხვდება, რომ მე ვამბობ აქ იმ კახეთის თავად-აზნაურთა კრებაზე, რომელმაც სხვათა შორის გადასწყვიტა შემდეგი: „შესდგეს ღვინის გამყიდველი ამხანაგობა, რომელშიაც მიღებულ იქმნას მარტოდ-მარტო თავად-აზნაურობა“ (იხ. „ივერია“ 1892 წ. №245, წერილი კახეთიდან, გადაწყვეტილების

*) სხვათა შორის შევნიშნავ აქ, რომ ის მიმართულება ისტორიულ მეცნიერებაში, რომელზედაც დაფუძნებულია ამნაირი მოძღვრება და რომელსაც ეწოდება მატერიალისტური გაგება ისტორიისა, ძლიერ საინტერესოა ჩვენთვის, მით უფრო, რომ თითქმის იმისი უარყოფილი კი ექცევიან ძალაუფლებურად მის გავლენის ქვეშ. და ახლო მომავალში მე ვეცდები გავაცნო ჩვენს საზოგადოებას ამ მიმართულების უმთავრესი საფუძველები.



მეორე პუნქტი). მკითხველისთვის მეტია ამ დადგენილების განმარტება: თვითონ იმის შინაარსი ამბობს, თუ რა სიტულვილს იჩენს აქ „განათლებული“ თავად-აზნაურობა სხვა წოდებათა მიმართ. თვით ამ კრებაზე ბ. ი. ზ-მ საკმარისად აუხსნა თავად-აზნაურობას, თუ რას ნიშნავს ამნაირი თავად-აზნაურობის საქციელი და გაათავა თავისი სიტყვა: „თუ ყველასთვის არ იქნება ამხანაგობის კარი ღია, ეგრეა ამხანაგობაა — იკითხა მან და ან ამისთანა ამხანაგობისაგან რა საზოგადო საქმეს უნდა ველოდეთ. ისევ სირაჯის დუქანი იქნება, რომლის მოგებაც მცირე რიცხვს გაუსქელებს ჯიბესო და უმეტესობას უფრო უარეს დღეში ჩაჰყრიოს“. ჩვენ აქ გვსურს მხოლოდ ღირსეულად აღვნიშნოთ ეს ფაქტი, რომელიც სწორედ რომ დიდის მომასწავებელია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ფაქტი ყველას აშკარად ეუბნება თუ რამდენათ მართალი არიან ის პირები, რომლებიც ხმა მალლა გაიძახიან რაღაც ჰუმანიურ იდეებსა, საერთო მოქმედებასა და საერთო კეთილდღეობაზე. ცხადია, რომ ამნაირ ფრაზების ძახილს ჯერ ჩვენში არავითარი ნიადავი არ ქონებია.

ჩვენთვის კერძოდ, ამ შემთხვევაში, კახეთის თავად-აზნაურობის საქციელს ძლიერ ღრმა მნიშვნელობა აქვს. წარსულ წელში, მაგალ., „ივერია“ ბ. სანოს პირით სულ იმას გაიძახოდა, რომ აი სწორედ დღეს იწყება ჩვენი საერთო მოქმედება, რასაც მოყვება საერთო კეთილდღეობა ანუ „უკეთესი დიდება ქართველი ხალხისო“. აი თვით მისი სიტყვები: „ჩვენის ხასიათისა და გარემოების მიხედვით, დღეს ჩვენ დაგვემჩნია ერთი ფრიად მაღალი და სანატრელი სარბიელი, რომელმაც უნდა კვლავ და ნამეტანი სისპეტაკით შეჰქმნას ჩვენი ხსნა და ამ ხსნას დაუმატოს უკეთესი დიდება ქართველი ხალხისა. მე მოგახსენებთ საერთო მოღვაწეობის, შეერთებული ძალითა და ღონით, მოქმედებას ძმურად, საამხანაგოდ, ერთმანეთის ზურგის მიცემით, ერთის სულითა და ერთის გულით. ჩვენისთანა ხელუხლებელ (როგორ „ხელუხლებელს“? ეს შეტად ძნელი გასაგებია. ნეტა რა უნდა ამითი თქმა ჩვენს ავტორს?) და გაურყვნელ ხალხს (ესეც აღარ გვესმის: რას ნიშნავს გაურყვნელი ხალხი? და თუნდ გინდ გარყვნილი? ბ. სანო თუ მწერლის სახელს ატარებს, ამნაირ ტერმინების განუმარტებლად ხმარება სწორედ რომ არ მიეტოვება) ასეთი მოღვაწეობა სრულებით არ გაუძნელდება („ივერია“ 1892 წ. №249). მკითხველი ნუ მიაქცევს ყურადღებას სხვა და სხვა უმსგავსო აზრებს, რომლებსაც შეიცავენ ზემოდ მოყვანილი სიტყვები, მაგალ., იმას, რომ ჩვენი ხალხი „ხელუხლებელი“ და „გაურყვნელია“ და ამ მიზეზით „საერთო მოქმედება არ გაუძნელდება“. ამისთანა ლოლიკით ჩვენ შორს ვერ წავალთ. მკითხველს ვსთხოვ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ბ. სანო ლაპარაკობს და ამ-

ტიციებს „საერთო მოქმედების და მოღვაწეობის“ თავის ჩენაზე ჩვენში იმ დროს, როცა კახეთის თავად-აზნაურობამ უარყო ყოველგვარი საერთო მოღვაწეობა თავის გადაწყვეტილებით, როცა იმან კარი ჩაკეტა და სხვა წოდების კაცი აღამიანად აღარ სცნო. ნუ თუ, მკითხველო, შეხის ფიქრით კახეთის თავად-აზნაურობის საქციელი ნიშნავს, რომ „ჩვენ დღეს დაგვმჩნევია ფრიად მაღალი და სანატრელი სარბიელი, საერთო მოღვაწეობა, შეერთებულის ძალით და ღონით მოქმედება ძმურად, საამხანაგოდ“? თუ მართლა ამნაირი საქციელი ამას ნიშნავს, მაშინ სწორედ ვერ გმდიგია რაღა დღეს დაგვმჩნევია ეს „ფრიად მაღალი და სანატრელი სარბიელი? არა, ჩემის ფიქრით, ძმურად, საამხანაგოდ მოქმედება ჩვენში არა თუ არ დაწყებულა, არამედ არავითარი ნიადაგიც არ ჰქონებია ჯერ-ჯერობით. შეიძლება, ჩვენი წინაპრები, თავადი იყო, აზნაური თუ გლეხი, კიდევ უფრო საერთოდ და ძმურად მოქმედებდნენ, როგორც დრო და ვითარება ნებას აძლევდა. მაგრამ კახეთის თავად-აზნაურობის საქციელი პირდაპირ ამის საწინააღმდეგო საბუთს იძლევა. მე ის მაკვირებს მხოლოდ, რომ აღამიანი სულ ბრმა უნდა იყოს, რომ ეს არ შეამჩნიოს. შენს წინა ძევს უტყუარი და ნამდვილი ფაქტი; საქიროა მხოლოდ არ გადაასხვაფერო ის, რომ იმის საწინააღმდეგო დასკვნა არ გამოიყვანოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ფაქტი იმდენათ ნათელი, იმდენათ თვალსაჩინო იყო, რომ იმის გადასხვაფერება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ გასაოცარია მხოლოდ ის გარემოება, თუ როგორ მოახერხა ბ. სანომ ამნაირი ფაქტების გადასხვაფერება, რომ თავისი მოულოდნელი დასკვნა გამოეყვანა.

საქმე ის არის, რომ ბ. სანოს ის კი არ მიუღია მხედველობაში, რომ კახეთის თავად-აზნაურობამ, ერთის მხრით, უარყო ყოველნაირი ამხანაგობის პრინციპი და, მეორე მხრით, აღამიანური ღირსება გლეხისა და თავის თავის შესარცხვენად განდევნა ეს უკანასკნელი ამხანაგობისაგან, არამედ ის, რომ თვით თავად-აზნაურობა დაუკავშირა ერთი ერთმანეთს, რათა მით კიდევ უფრო დაშორდეს გლეხობას და უფრო დიდი ძალით იმოქმედოს უკანასკნელის საწინააღმდეგოდ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თუ წოდებრივი სიძულვილი აქ საკმარისად იყო გამოაშკარავებული კახეთის თავად-აზნაურობის მიერ. სამაგიეროთ ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამნაირი ბნელი წარმოდგენის არის არა მთელი ქართველი თავად-აზნაურობა, არამედ მხოლოდ ერთი იმისი ნაწილი, სახელდობრ კახეთის თავად-აზნაურობა. ამიტომ მარტო კახეთის თავად-აზნაურობის გადაწყვეტილებით რომ გათავებულყოფიყო საქმე, მაშინ რაღაცნაირ გაუგებრობაში დავრჩებოდით ქართველი თავად-აზნაურობის დანარჩენი ნაწილის შესახებ. თუმცა ისიც კი უნდა ვაღიარო, რომ მის მერე, რაც იმერეთის თავად-



აზნაურობამ ორი წლის წინად საქვეყნოდ გამოააშკარავა თავის „ქეთილშობილური“ უზრდელობა, ყველასთვის შერყეული იქნა ღირსება და პატივი მთელი ქართველი თავად-აზნაურობისა და ამ ღირსების და პატივის დამცველს მხოლოდ ქართლ-კახეთის „განათლებულ“ თავად-აზნაურობაში ჰხედავენ. მაგრამ გარემოებათა მსვლელობამ ესეც საკმარისად გამოარკვია: იმერეთის თავად-აზნაურობის მოქმედებას მოყვა კახეთის თავად-აზნაურობის დადგინილება, ამ უკანასკნელს მთელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის გადაწყვეტილება 20 დეკემბერს კრებაზე. მე მოგახსენებთ სარკინისგზო კომისიის წევრების არჩევაზე. მკითხველს მოვაგონებ ამ ამბავს ბ. სანოს სიტყვებით, რადგანაც მხოლოდ იგი მოგვითხრობს ამაზე.

გამოცხადებული იყო მრავალთა (?) სურვილიო — ამბობს ვ. ბ. სანო, რომ ბ. ნ. ნიკოლაძე, როგორც მცოდნე კაცი ამოერჩიათ ხსენებული კომისიის წევრად. წარმოიდგინეთ, რომ ბ. ნიკოლაძე ვერ მოჰყვა წევრად მარტო იმიტომ... რომ იგი აზნაური არ გახლავთ. შემდეგ ავტორი ჰქადაგებს „საქმიან კომისიაში თამამად შეგიძლიათ ამოირჩიოთ არა თუ გლეხი, არამედ მონა, ტყვე, პატიმარი, ყოველ ღირსების ახდელი კაცი“ („ივერია“, 1893 წ. № 41). „საკვირველი არიან უფალო საქმენი შენნი“. ნეტა რაზე ან ვის უქადაგებს ბ. სანო? ნუ თუ მან არ იცის, რომ ამნაირ გალობას დიდხანია მოელო ბოლო? რაზე ჰქადაგებს ბ. სანო? იგი ჰლაღადებს, რომ „საქმიან კომისიაში თამამად შეგიძლიანთ ამოირჩიოთ გლეხი, მონა, პატიმარი“ etc. ვისთვის იყო საჭირო ამნაირი ქადაგება? განა ამას ჩვენს დროში სიტყვიერად უარყოფს ვინმე? ბ. სანოს თვით თავად-აზნაურობის მოქმედება უნდა დაეფასებია და არა ქადაგება მოჰყოლოდა. როცა ვკითხულობ ბ. სანოს ქადაგებას, ასე მგონია ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში ვცხოვრობ მეთქი, როცა ეკლესიის მამები გაიძახოდნ თავის ქადაგებაში, რომ „ღვთის წინაშე ყველანი თანასწორი არიანო“! აქ განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ბ. სანოს ღვთის მაგიერ „საქმიანი კომისია“ აუღია (კარგი კიდევ, რომ არა „უსაქმო კომისია“!). საქრისტიანო მამები თანასწორობას ქადაგებდნ მხოლოდ ღვთის წინაშე, ჩვენი სანო მხოლოდ „საქმიან კომისიის“ წინაშე! ვინ არის ამათში მართალი, ეს თვითონ მკითხველმა გასაჯოს, მე შევნიშნავ მხოლოდ, რომ ამას ჰქადაგებს ის იმ დროს, როცა იურიდიულად აღიარებულია ყველა წოდებათა ყრველნაირი თანასწორობა.

ხოლო ბ. სანომ ადვილად მოიშორა თავიდან ხსენებული გადაწყვეტილების ღრმა განხილვა. პირველად მან აღვიარა, რომ „მე არ შემეძლიან გადავდო ორი ამბავი ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც ერთი და იმავე სათავედან მომდინარეობს და ერთნაირადაც უსიამოვნო გუნებაზედ უნდა დაეყენებინა ყოველი

გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ო“. ასეთ „უსიამოვნო გაუ-
ნებაზედ“ დაუყენებია ჩვენი ავტორი, ერთის მხრით, კახეთის თავად-
აზნაურობის დადგენილებას, რომლიდგანაც სჩანს, რომ ეს თავად-
აზნაურობა „სულდგმულობს კიდევ იმ შეუშურვებელის წარმოდგე-
ნით, რომ იგი სხვა სისხლისა“ და მეორეს მხრით, 20 დეკ. გადაწყვე-
ტილებას. შენანიშნავი მხოლოდ ის არის ამ შემთხვევაში, რომ ბ. სა-
ნოს ასე დაუგვიანებია ამ ამბავზე საუბარი მკითხველთან, თუმც რამ-
დენი ხანია მას აქეთ, რაც „კალმის წვერზე ადგა“ მას ეს ორი ამბავი.
რას უნდა მივაწეროთ ეს დაგვიანება? სწორედ ვერ წარმოგვიდგენია.
ერთის მხრით ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორის სიტყვებით და წითელ-
წითელი ფრაზებით მიეგება ბ. სანო კახეთის თავად-აზნაურობის
დადგენილებას. მეორეს მხრით, ეჭვი არ არის, რომ 20 დეკ. გადაწყ-
ვეტილებას ერთი დიდი ნაბიჯი უფრო წინაა კახეთის თავად-აზნა-
ურობის დადგენილებასთან შედარებით: კახეთის თავად-აზნაურო-
ბამ მხოლოდ თვით საამხანაგოში შესვლაზე უარი უთხრა „სხვა სის-
ხლის წარმომადგენელს“. 20 დეკ. კრებაზე-კი „საქმიან კომისიაში
წვერად მიღებაზედაც უარი განუცხადეს იმისთანა პირს, როგორც
არის, მაგ. ნ. ნიკოლაძე, მარტო იმიტომ, რომ იგი აზნაური არ არის“.

ბ. სანოს პირველად არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ
გადაწყვეტილებაზედაც. 20 დეკ. კრებას იგი გაცილებით უფრო ქე-
ბით იხსენიებდა, ვინემ კახეთის თავად-აზნაურობის დადგენილებას
და გუნდრუკის კმევით ამბობდა, რომ ამისთანა „გონიერებით შეერ-
თებული“ კრება ჯერ მთელ საქართველოში არ მომხდარაო, „რო-
მელმაც გადასწყვიტა საშვილისშვილო საქვეყნო საქმეო“ („ივერია“
1892 წ. № 275). მაგრამ სრული წინააღმდეგობა რომ დავინახოთ ბ.
სანოს ძველ და ახალ შეხედულებათა შორის, საჭიროა კიდევ მოვი-
ყვანოთ მისი სიტყვები, რომლებიც წარმოსთქვა მან 20 დეკ. კრების
პირდაპირი შთაბეჭდილების ქვეშ: „დეე, ყველამ შეიტყოს, ჰსწერდა
იგი — და გამიგოს, რომ ქართველი კაცი ჯერ ისევ ქართველობს (მარ-
თლადაც რომ ქართველობს), გულით მაინც არ ეშინიან საქმისა, აქვს
ხალისი და შნო მხნეობისა, გარჯისა, მოქმედებისა“... მკითხველი თი-
თონ მიხვდება, თუ რანაირი წინააღმდეგობაა აქ; მკითხველს შეიძ-
ლება ისიც ეგონოს, რომ შესაძლოა სანოს სახელით ორი სხვა და სხვა
შეხედულების მწერალი მოღვაწეობდეს გაზ. „ივერიაში“; მაგრამ,
არა: „ივერიას“ სანოს სახელით მოუშინაურებია მხოლოდ ერთი მწე-
რალი. საქმე ის არის, რომ მას თავის საწინააღმდეგო აზრების წარ-
მოთქმა შეზრდილ-შეხორცებული აქვს და თვით მისი სალიტერატუ-
რო ასპარეზზე მოღვაწეობა მხოლოდ ამნაირ საწინააღმდეგო აზრე-
ბის კონას წარმოადგენს. ამის დაწვრილებით განმარტებას მე მერმი-
სისათვის ვცდებ. ახლა მხოლოდ იმას მოვასხენებ მკითხველს, რომ თა-



ვის საწინააღმდეგო აზრების აღვიარება ბ. სანოს სრულებითი აღიარება არ უშლის ერთი და იგივე შეხედულება იქონიოს.

მე ახლა უკვე ვგრძნობ, რომ მკითხველს ძალიან ბრაზი მოსდის ჩემზე, რომ აღარ ვათავებ ჩემს მოკლე შენიშვნას, რომელსაც „მწარე ფიქრები“ დავარქვი. მკითხველი აგრეთვე იმაზეც გაჯავრებული იქნება, რომ ამ წერილში თითქმის მარტო თავად-აზნაურობაზეა ლაპარაკი. ვათავების შესახებ ვეცდები მკითხველს დიდი გაჭირვება აღარ მივაყენო: ბოლო ახლოვდება. რაც შეეხება იმას, რომ ამ წერილში თითქმის სულ თავად-აზნაურობაზეა საუბარი, ამისათვის დიდ ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, ნუ თუ, მართლა, ჩვენ ისე დაგვლევია საქმე და დავთარი, რომ თავად-აზნაურობის გარდა სხვა საზრუნავი აღარაფერი გავგაჩნია? თუ მართლა ამაზე დამდგარა ჩვენი ცხოვრება, მაშინ სწორედ აღარც თვით ამ ცხოვრებაზე ღირს ლაპარაკი. მაგრამ შენ, მკითხველო, არ იფიქრო, რომ ასე სწარმოებდეს საქმე და თუ ამ წერილში მარტო თავად-აზნაურობის შესახებ იყო საუბარი, ამას თავის გასამართლებელი მიზეზიც აქვს.

სულ პირველად ის უნდა მივიღოთ სახეში, რომ თვით ეს წერილი შემთხვევით იყო გამოწვეული, რადგანაც ჩვენს მწერლობაში ამ ბოლო დროს შრავალი ახირებული აზრი გამოითქვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. აქ პირველად ის უნდა აღენიშნო, რომ „საერთო მოქმედების“ აღორძინების საქმეს ბევრი გუნდრუკი უკმის და მართლა კი ფონზე მარტო თავად-აზნაურობის უფრო მკიდროთ დაკავშირება გამოცურდა, რაც აქამდეც არსებობდა საადგილ-მამულ ბანკების წყალობით. მაგრამ საქმე ამით არ ვათავებულა: ამის საწინააღმდეგოს მე ბევრს ვერაფერს ვიტყვოდი: დაკავშირებით მოქმედება არა თუ სასურველია, არამედ ყოველწარწარმატებისათვის საჭიროა. საქმე ის იყო, რომ ამავე დროს ჩვენ გვეუბნებოდნენ და გვიქადაგებდნენ, რომ ვითომც თავად-აზნაურობის ერთმანეთთან დაკავშირება იმავე დროს ნიშნავს მთელი ქართველი ერის „მძურად“, „საამხანაგოდ“ მოქმედებასო. ამიტომ მე იძულებული ვიყავი პასუხი გამეცა. ვისთვისაც ჯერ იყო, რადგანაც თვითიველი ფეხის ნაბიჯი ქართველი თავად-აზნაურობისა ამის საწინააღმდეგოს ჰლაღადებს და ამკარად გვეუბნება. თუ როგორ ღრმად ყოფილა „ჩატეხილი ხიდი“ თავად-აზნაურობას და გლეხობას შორის.

მეორე მხრით საჭირო იყო თვით ამ განხეთქილების პირდაპირ გამოთქმა, რასაც თავიდან იშორებენ ჩვენი „ნაფიცი“ მწერლები. მაგრამ მე ხრულებით არ მიკვირს, რომ ქართველ თავად-აზნაურობაში ამნაირი განხეთქილება და სიძულვილი არსებობდა გლეხ-კაცობის მიმართ. თვით თავად-აზნაურობას რომ გარკვეულად არ გამოეთქვა ეს, მე მაინც ამნაირი შეხედულების ვიქნებოდი იმაზე, რადგანაც ცოტათ

თუ ბევრად ამნაირ განწყობილებას ხატავს ქართველი თავად-აზნაურობის ზნეობრივი მდგომარეობა; ეს უკანასკნელი, ე. ი. ზნეობრივი მდგომარეობა, სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიურ განწყობილებათა გამოხატვა. ჩვენში უმეტეს ნაწილად ეს ეკონომიური განწყობილებანი ბატონ-ყმობის ფორმალურად მოსკობის შემდეგ ძირეულად არ შეცვლილან: მებატონეებად მყოფნი ჯერ კიდევ არხეინად განაგრძობენ ცხოვრებას სხვისი შრომის წყალობით, რასაც ბევრად ზელს უწყობს საადგილ-მამულო ბანკი და ამიტომ რა გასაკვირვალა, რომ გლეხ-კაცობას კიდევ იმავე ბატონ-ყმობის დროინდელი თვალით უყურებენ. თუმცა ამნაირ ეკონომიურ განწყობილებათა ნიადაგი ახლა უკვე სიჩქარით ირღვევა, მაგრამ სანამ ეს ნიადაგი სულ არ გამოეშლება ამ განწყობილებებს, იქნობამდის არ მოვლება ბოლო იმ საზიხლარ მოვლენას, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

აი, ამ მიზეზების გამო მე იძულებული ვიყავი თავად-აზნაურობაზე ჩამომეგდო საუბარი მკითხველის წინაშე და სრულებით იმ აზრს არ ვეთანხმები, რომელიც გაზ. „Новое Обозр.“ წარმოსთქვა შემდეგ სიტყვებში: „ქართული პუბლიცისტური მწერლობა უნდა ზრუნავდეს სათავად-აზნაურო კითხვებზე“ („Новое Обозр.“ № 2866). რომლებიც მ.ი. შემდეგ კიდევ განიმეორა კვენით და კიდევ უფრო მაღალის კილოთი და თავის აზრის დასამტკიცებლად რუსეთის მაგალითი მოიყვანა, სადაც თურმე, ამ გაზეთის აზრით, პუბლიცისტური მწერლობა სათავად-აზნაურო კითხვებს არკვევს („Новое Обозрение“, № 3083).

დასასრულ შეიძლება კიდევ რამდენიმე შენიშვნა მომცეს მკითხველმა. მაგალ. იმაზე, რომ ამ წერილში ჩვენი ცხოვრების მართოცუდი მხარეა ნაჩვენები, და ნუ თუ მართლა ჩვენს ცხოვრებას არავითარი წარმატების ნიშანი არ ეტყობა? ეს შენიშვნაც მართალია მკითხველის მხრივ, მაგრამ რა ვქნა, რომ მისი დაკმაყოფილება მე ამ მცირე შენიშვნაში არ შემეძლო: ამნაირი საქმე თხოულობს ღრმად დაკვირვებას, აუარებელ მასალას და ენერგიულ შრომას. დროთა ვითარების გამო ზოგიერთ ამას მე მოკლებული ვარ ჯერ-ჯერობით, ხოლო ჩვენი მწერლები, რომლებსაც დრო და ვითარება ნებას აძლევს; რომ ყველა ამით ისარგებლონ, ნამდვილ თავიანთ მოვალეობას ივიწყებენ და რალატ „ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები“ ამბები აუღლიათ სავარჯიშებლად სალიტერატურო ასპარეზზე. ამიტომ ცხადია, რომ ჩვენი პუბლიცისტური მწერლობა, ამ სამწუხარო გარემოების გამო სრულიად ასცდენია თავის წმინდა და მაღალ მოვალეობას: აწმყოს გამორკვევით უჩვენოს გზა მომავალ წარმატებისათვის.



მაშასადამე, მე თამამად შემიძლია ვაღიარო, რომ ჩვენი მწერლობა ბევრად ჩამორჩენილია უკან ჩვენს ცხოვრებასთან შედარებით. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ საზოგადოებრივ თუ კერძო ცხოვრებას ბევრ ცუდ ნიშნებთან დადებითი მხარეც ემჩნევა; მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ზემოდ ვამბობდი, გამოუტყვეველია ჩვენის მწერლობის წყალობით, რომელშიაც არაფერი განსაზღვრული რამ არ ტრიალებს. ეს გარემოება წარმოსდგება იქიდან, რომ თვით ჩვენი მწერლები არაფერს განსაზღვრულ რამეს არ ემსახურებიან. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ უსათუოდ ჩვენს მწერლობას მიეცემოდა რამე ფერი მაინც, რადგანაც ერთის ნათქვამი მეორესაგან აიწონ-დაიწონებოდა და ამნაირად მიიღებოდა და ან უარიჰყოფებოდა. დღემდე კი ასე არ იყო და კიდევ ვინ იცის რამდენ ხანს გასტანს ამნაირი მდგომარეობა. შარშან, მაგალ., ბ. მაჩხანელმა წარმოსთქვა ზეციური სამოთხის დაარსება დედა-მიწაზე და რადგანაც მისი აზრი არ იქნა აწონილ-დაწონილი ყველას ეგონა, რომ ეს მართლაც ასეაო და ნუ თუ ამისთანა საქმისათვის არ გამოვიმეტოთ რამდენიმე თუმანიო (ბევრი ალბათ ახლაც დარწმუნებულია ამ ზეციური სამოთხის დაარსებაში!) გარდა ამისა ბ. სანო წარსული წლის დასაწყისიდან დაწყებული სულ დიდ ცრემლებს ღვრიდა ჩვენი ცხოვრების შესახებ და მხოლოდ წლის გასრულს დაიწყო გამხიარულება. საზოგადოება, რადგანაც არ ჰხედავს არსაიდან ამის საწინააღმდეგო აზრს ამასაც უჯერებს. უჭირს კი ცოტა, მაგრამ რა ქნას? ამიტომ ნუ თუ გასაკვირველია, რომ ამნაირ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება შეცდომებს ეძლევა.

არა, მხოლოდ მკაცრი გარკვევით და ერთი აზრის მეორე აზრთან დაპირდაპირებით შეიძლება ქვეშარიტების აღდგენა. ანუ როგორც ამბობენ ფრანგები: „du choc des opinions jaillit la vérité!“

ფ. შემოქმედელი.

ვარშავა, 1893 წ. 5 თებერვალი.

P. S. ამას წინათ გაზ. „ივერიაში“ იბეჭდებოდა სტატია ბ. ივერიელისა შემდეგის სათაურით: „გაზ. „НОВ. ОБОЗ.“ და „კახეთის რკინის გზა“, რომელიც იწყებოდა შემდეგი სასაცილო სიტყვებით: „ჩვენის თავად-აზნაურობის მხიარულება და კარგს გუნებაზედ ყოფნა, უცნაურ გარემოებათა გამო (მართლა რომ უცნაურ გარემოებათა გამო!), გუნებას უფუჭებს და უიმედო მდგომარეობაში აყენებს გაზ. „НОВ. ОБОЗ.“ რედაქციას (ივერია 1893 წ. № 10). მთელი ეს სტატია, რომელიც რამოდენიმე ნომერში იყო გაჭიმული, არავითარი ყურადღების ღირსი არ არის. ხოლო „ივერიის“ მე-20 ნომერში იმავე ავ-



ტორმა დაბეჭდა მეორე წერილი შემდეგის სათაურით: „მოვალეობა ჩვენის აზნაურობისა“ და დაგვიბრდა იმის გაგრძელებას.

ეს უკანსენელი წერილი მით არის შესანიშნავი, რომ აქ ავტორი ლაპარაკობს თავად-აზნაურობის როლზე და უფრო დინჯის და „ძღვევა-მოსილის“ კილოთი მსჯელობს. „ჩვენის ფიქრით — ამნაირად იწყებს ავტორი თავის წერილს — მხოლოდ მაშინ ვერას დაამუნათებს უფლება-უპირატესობით მოსილს წოდებას ვერც ისტორია და ვერც ჩამომავლობა, როცა იგი წოდება შეპყრობილია და გამსჭვალული დროს შესაფერი მისწრაფება-სურვილით“. ამნაირი უფლება-მოსილი წოდება არის ახლა ჩვენში თავად-აზნაურობა და, მაშასადამე, თუ ამ თავად-აზნაურობას ჰსურს არ გაუქმდეს, მაშინ მან უსათუოდ უნდა განიმსჭვალოს... დროს შესაფერ მისწრაფება-სურვილით“.

ამნაირია ბ. ივერიელის აზრი და ცხადია, იგი საკმარისად შორიდან უყურებს საქმეს. თავის მოსაზრებას ავტორი ამტკიცებს ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოების მაგალითებით. იგი სხვათა შორის უთითებს საფრანგეთზე, სადაც „თავად-აზნაურობამ ყურადღება არ მიაქცია უფლება-მოსილ წოდებათა საზოგადოებრივ წარმატება-განვითარების კანონს და აკი ამიტომაც დაიღუპაო“. შემდეგ უთითებს ინგლისელ ლორდების მაგალითზე და ამბობს, რომ იმათ „არ ითაკილეს მონაწილეობის მიღება თავიანთ ქვეყნის სამრეწველო წარმატებაში“ და ამიტომაც შეიჩინეს „საზოგადო ხელმძღვანელობა თავიანთ მამულ-დედულისაო“. ამნაირად განაგრძობს ავტორი — „ბურჟუაზია, ეს ხელმძღვანელი ძალა ეხლანდელის მრეწველობისა (მარტო მრეწველობისა?) საფრანგეთში სულ შუა წოდების კაცთა კრებულთა. ხოლო ინგლისში ამ კრებულში ურევია არისტოკრატიაცაო“.

აქედან მკითხველი მიხვდება, რომ ბ. ივერიელი უთითებს ჩვენს თავად-აზნაურობას ბურჟუაზიის გზისაკენ; ჩვენ ჩვენის მხრით, მკითხველო. დავულოცოთ თავად-აზნაურობას ეს გზა, მაგრამ ამასთანავე უნდა განვუცხადოთ იმას, რომ ბურჟუაზიული პრინციპი, ანუ ბურჟუაზიული წესწყობილება, პირდაპირი მოწინააღმდეგეა თავად-აზნაურული წყობილებისა: იმათ შორის არ შეიძლება არავითარი შერიგება, არავითარი კომპრომისი, ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებს მთელი ევროპის ისტორია. რა არის საერთო საშუალო საუკუნეების ევროპისა აწინდელ ევროპასთან? თუ საშუალო საუკუნეობებში მეფობდა და გაბატონებული იყო ფეოდალური წესწყობილება, ამის მაგივრად ახალ ევროპაში, განსაკუთრებით 1789 წ. გამეფდა ბურჟუაზიული წესწყობილება, რომელიც იყო პირდაპირი შედეგი (ვერ გავარჩიეთ. რედ.) განწყობილებათა ცვლილებისა. ბურჟუაზიამ ჩანსთქა მთელი საშ.-საუკ. ევროპა მისი ოთხი წოდებით და საზოგადოებურ არე-

საუკუნოების ევროპა მისი ოთხი წოდებით და საზოგადოებურ არენაზე წამოაყენა მხოლოდ ორი წოდება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ. ორი კლასი — კლასი კაპიტალისტებისა (თანამედროვე. მდიდრებისა განურჩევლად წოდებისა) და კლასი მუშათა. ანუ პირდაპირ მწარმოებელთა. ამიტომ ტყუილად ნუ გონია ბ. ივერიელს. რომ ვითომც ინგლისელი ლორდები საშუალო საუკუნოების წესწყობილების წარმომადგენლები იყვნენ. არა იგინი იმავე ბურჟუაზიული რეჟიმის წარმომადგენელი არიან, რომელიც გამეფებულა თანამედროვე ევროპაში. ამის უცოდინარობა მარტო იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს ავტორს ძლიერ სუსტი ცოდნა უნდა ჰქონდეს ისტორიისა. საზოგადოდ და ეკონომიური პოლიტიკისა კერძოდ. მაგრამ საქმე ის არის, რომ განა ეს აწინდელი ბურჟუაზიული წესწყობილება სამუდამო რამ არის. როგორც ეს გონებია ბ. ივერიელს? არა, ბ. ივერიელო, როგორც ეს ბურჟუაზიული წესწყობილება ნაყოფი და შედეგია წინანდელი წესწყობილებისა, ისევ თვით აწინდელი წესწყობილება თავის გულში ამზადებს სხვა უკეთეს წესწყობილებას, რომელიც სრულიად მოსპობს ყოველნაირ წოდებრივ უთანასწორებას და კლასიურ წინააღმდეგობას. როგორც ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ მოსპო საშუალო საუკუნოების წოდებრივი დაყოფილებანი. მაგრამ ეს იმდენათ საინტერესო საგანია, რომ ის თხოულობს ცალკე განხილვას.

პარტიული არქივი

Июнь

Пролетарии всех стран, соединяйтесь

Борьба

Орган тифлиских большевиков

№ 1

От редакции:

Товарищи, мы обращались К.О.К. с предложением печатать наш орган в их типографии. Ответ получился такой: за печатание номера на трех языках 200 руб.; 30 пудов шрифта, что стоило-бы 600 руб. и цензура статей по вопросам о милиции, дружине, террора и партизанских выступлениях. Такой ответ равносителен категорическому отказу.

По независящим от редакции обстоятельствам в данном номере не появятся отчет о съезде Закавказских организаций.

Редакция

Тифлис

Типогр. тифлиских большевиков.

ზემოდ მოყვანილი სტრიქონები შეადგენს რუსული წიგნის (სა-შუალო ზომის) პირველ გვერდს. თარიღი მართალია წიგნაკს არ აწე-რა, მაგრამ ის უნდა იყო 1908 წელი. სწორედ ამ ხანებში არსებობდა ტფილისში ბალშევიკების სალიტერატურო ბიურო, რომლის დანიშ-ნულებას შეადგენდა წიგნაკების, ჟურნალების, გაზეთების და სხ. გამოცემა.

ამ წიგნაკში მოთავსებულია შემდეგი სტატიები: 1) вопросы момента, 2) министры выбалтывают правду; 3) письмо И.К. о думской фракции; 4) десятилетие Российской Соц. Дем. Раб. партии (1898—1908), 5) Из пар-тийной жизни, 6) Борчало. წიგნაკი შეიცავს 16 გვერდს.

როგორც საერთო, ისე ადგილობრივი პარტიული ცხოვრების სურათი მოცემულია წერილში — „პარტიული ცხოვრებიდან“, და „ბორჩალო“, რომელთა თარგმანი აქვე მოგვყავს:

პარტიული ცხოვრებიდან.

„როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებულმა კონტრ-რევოლი-უციამ ყველაზე ძლიერად თავისი რისხვა თავს დაატეხა პროლეტა-რიატს და მის პარტიას — სოც. დემოკრატიას. ყოველგვარი თავი-



სუფლებს წართმევა და წარმოუდგენელი რეპრესიები — აირეცხა ციის გამარჯვების შედეგი. მთავრობის რეაქციის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება ხაზინების რეაქცია: ყველაფერი, რევოლიუციის დროს მონაპოვარი, უკანვე მიაქვთ: სამუშაო დღის გაგრძელება, ზედმეტი მუშაობის შემოღება, უფრო შეგნებული ამხანაგების ადგილებიდან დათხოვნა, ფაბრიკებსა და ქარხნებში კრებების მოხდენის შეუძლებლობა — აი ხაზინების რეაქციის შედეგი.

ხანგრძლივმა რეაქციამ გამხრწნელი გავლენა იქონია ჩვენს პარტიაზედაც: ამ რეაქციის გავლენით ჩვენს პარტიას ჩამოშორდნენ ყველა ინტელიგენტური ელემენტები, ასე მაგ., ამას წინად პეტერბურგში კომიტეტი არჩეულ იქნა მხოლოდ მუშებისაგან. ივანოვო-ვოზნესენსკში, როგორც კომიტეტი, ისე კონფერენციაც მუშებისაგან შესდგება. მუშებივე არიან ორგანიზატორებიც და პროპაგანდისტებიც დაბალ და საშუალო წრეებში; ასეთივე მდგომარეობაა ყირიმში, ურალზე და სხ. გადამეტებული არ იქნება. — სწერს პეტერბურგელი კორესპონდენტი, — თუ ვიტყვით, რომ ადგილობრივ ორგანიზაციიდან წავიდა ინტელიგენციის ცხრა მეათედი, რის გამო საორგანიზაციო, საპროპაგანდო, სააგიტაციო და სალიტერატურო მუშაობის მთელი სიმძიმე მუშებს დააწვა.

ერთის მხრით კონტრ-რევოლიუციის საშინელმა დევნამ და მეორეს მხრით, პარტიიდან ინტელიგენციის ერთბაშად გაქცევამ თავისი დალი დაასვა პარტულ ცხოვრებას: ორგანიზაციებში მუშაობა შეფერხდა, პარტიის წევრთა რიცხვი მეტად შემცირდა და ზოგიერთ ადგილებში ორგანიზაციები სრულიად დაინგრენ. მაგრამ, საბედნიეროთ, ეს კრიზისი პარტიის მიერ დაძლეულია, პარტია უკვე შეეგუა ახალ პირობებს; ახლა თითქმის ყოველ მხრიდან იწერებიან: ორგანიზაცია წელში იმართება განვლილ დროებითი ნგრევისაგან, ის მაგრდება, პარტიის წევრთა რიცხვი ხელახლა იზრდება, პარტიის გავლენა მუშათა მასაზე მატულობს და ის ხელახლა სათავეში უდგება პროლეტარიატის ეკონომიურსა და პოლიტიკურს ბრძოლას.

ივანოვო-ვოზნესენსკიდან გვწერენ: მუშაობა ცხოველდება, საქმისაგან ჩამოშორებული ამხანაგები კვლავ იკრიბებიან და აწყობენ ახალს ორგანიზაციებს. ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ნიჟეგოროდის საოლქო ორგანიზაციიდან, იაროსლავიდან და ბევრ სხვა ადგილებიდან ასეთ ცნობებს ვღებულობთ: წარსულ წელს ორგანიზაციები თითქმის სრულიად დაინგრა, მაგრამ ახლა მუშაობა განახლდა, ორგანიზაციები აღდგენილია და მათი რიცხვი სასწრაფოდ იზრდება. ამხანაგები გვწერენ, რომ ყირიმის კავშირი დიდი ხანია ფაქტიურად არ არსებობდა. იყო დრო, როცა ჩვენ ორგანიზაციები სრულიად დანგრეული გვეგონა, მაგრამ ახლა მუშაობა იწყება, ორგანიზაციები ფეხზე დგებიან



ერთდებიან და ახლო ხანში ამხანაგებს განზრახვა აქვთ შექმნან სოციალისტური ორგანიზაცია. პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ორგანიზაციაში ირიცხება არა ნაკლები სამი ათასი აქტიური მომუშავე წევრი, განახლებულ იქნა ჯგუფობრივი მუშაობა, ზოგიერთ რაიონებში ითვლება 10-მდე ჯგუფი. კავშირდებიან, ერთდებიან ხელოსნები და მოლაპარაკება აქვთ გამართული პეტერბურგის კომიტეტთან; დიდია პარტიის გავლენა მუშათა მასაზე, ამის საბუთად ჩაითვლება წარსული წლის ნოემბრის 22-ს მოწყობილი გაფიცვა (მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოც. დემ. ფრაქციის დეპუტატების გასამართლების გამო). ეს გაფიცვა მოწყობილი იყო მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც მას გაუწიეს სოც. რევოლუციონერებმა და მენშევიკების ერთმა ნაწილმა. როგორც ვიცით, გაფიცვაში მონაწილეობდა 70 ათასზე მეტი მუშა. ურალზე პარტიის წევრთა რიცხვი რამდენიმეთ შემცირდა, მაგრამ მუშაობა ძლიერ გამოცოცხლებულია: მუშაობს 11 არალეგალური სტამბა, რომელთაგან მხოლოდ ერთმა, უფის სტამბამ წარსულ წელში დაბეჭდა ნახევარი მილიონი ფურცლები, გაზეთები და წიგნაკები. ურალზე გამოდის 10-მდე არალეგალური გაზეთი, რომელთა შორის არის სპეციალური გამოცემანი გლეხებისა და მუშებებისთვის. როგორც ურალელი კორესპოდენტი აღნიშნავს, ორი წლის განმავლობაში ჩვენი გავლენა მუშათა მასაზე დიდად გაიზარდა. კარგათ მიმდინარეობს მუშაობა აგრეთვე პოლონეთის და ლიტვის სოც. დემ. ორგანიზაციებში, როგორც ეს სჩანს აპრილის კონფერენციის მასალებიდან. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ორგანიზაციები ოდნავათ შესუსტდნენ, მაგრამ პარტიული მუშაობა ჩვეულებრივი ენერგიით სწარმოებს და პარტიის გავლენა მუშათა მასაზე დიდია; ვარშავაში, მაგ. წარსული წლის აგვისტოდან ამა წლის 1 მარტამდე შესდგა პროპაგანდისტთა ჯგუფების 279 კრება, 19 კონფერენცია, 97 მასიური კრება, რომელსაც დაესწრო საერთოდ 7860 კაცი. ამ უამად ვარშავის 108 სამრეწველო წამოწყებაში ითვლება 2787 პარტიის წევრი და სხ. კავკასიის უკანასკნელი ყრილობის ცნობებით პარტიის წევრთა რიცხვის რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ რეაქცია მძვინვარებს, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ორგანიზაციების არსებობა მკვიდრია და პროლეტარულ მასებზე გავლენა დიდი. მხოლოდ წვრილ სამრეწველო რაიონებში ორგანიზაციები დროებით შესუსტდნენ და ახლა ხელახლა იწყება მუშაობა საკმაოდ ენერგიულად.

ჩვენი დრო ხასიათდება პარტიის მემარცხენე ფრთის, ბოლშევიკების, აშკარა გამარჯვებით.

როგორც ვიცით, ძლიერი მენშევიკური ორგანიზაციები არსებდნენ ისეთ ადგილებში. სადაც მრეწველობა მცირედ იყო განვითა-



რებული, მაგრამ იქაც ძველი ორგანიზაციები გაიხრწნენ და მათგან გრევებზე ეწყობა ბოლშევიკური ორგანიზაციები. მსხვილ სამრევ-ველო ცენტრებში მენშევიკური ორგანიზაციები ან სრულიად არ ყოფილა, როგორც მაგ., ურალზე, ივანოვო-ვოზნესენსკში და სხ., ან ისინი იყვნენ მეტად სუსტი, როგორც მოსკოვში, პეტერბურგში და სხ ახლა ამ ადგილებიდან სრულიად იდევნებიან მენშევიკები. პეტერბურ-გიდან იწერებიან: პარტიიდან მენშევიკები გადაბარდნენ პროფ-კავ-შირებში, კოოპერატივებში, ახლა კი უფრო შორსაც მიდიან. უეჭვე-ლია, მენშევიზმი, როგორც ინტელიგენციის მიერ შემოტანილი პარ-ტიაში, ინტელიგენციასვე გააქვს პარტიიდან. ვუსურვოთ კეთილი მგზავრობა!

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ადგილობ-რივ პარტიული ორგანიზაციის წევრებმა თითქმის არაფერი იციან თა-ვისი პარტიის ცხოვრების შესახებ; ბევრმა პარტიულმა ამხანაგებმა არც კი იციან, ამ ჟამად, რუსეთში, არსებობს თუ არა რაიმე პარტიუ-ლი ორგანიზაცია. ცხადია, კავკასიის საოლქო კომიტეტის ასეთი არა პარტიული მოქმედების მიზეზად ჩაითვლება პარტიული სიბრმავე. ზე-მოდ ჩვენ ესწერდით, რომ ამ ჟამად პარტიული ცხოვრების დამახა-სიათებლათ ჩაითვლება მენშევიზმის თანდათან შესუსტება და ბოლ-შევიზმის გამარჯვება. პარტიულ ცხოვრებასთან გაცნობა ნიშნავს ამ ახალ მოვლენასთან გაცნობა და, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელი მენ-შევიკური ორგანიზაციები — საოლქო კომიტეტი, ტფილისის კო-ლექტივი და სხ. შეგნებულათ აფუჩიჩებენ საქმეთა ვითარებას; ფრაქ-ციულობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ადგილობრივ ენაზე არ ბეჭდა-ვენ, არ სცემენ ლონდონის პარტიული ყრილობის რეზოლიუციებს. შესამე სათათბიროს არჩევნების დროს საჭიროდ არ დაინახეს გამო-ეჭვეყნებით პარტიული საარჩევნო პლატფორმა, არ ბეჭდავენ ც. კ. რეზოლიუციებს პროფკავშირებზე და კოოპერატივებზე, ც. კ. საპირ-ველმაისო ფურცელს, არც ერთ წერილს ც. კ. პარტიულ ორგანიზა-ციისადმი. ამავე დროს ჭორებს ავრცელებენ, რომ რუსეთში არ დარ-ჩა არც ერთი ორგანიზაცია. საჭიროა თვით მუშებმა მოუღონ ბოლო ასეთ არანორმალურ მდგომარეობას.

„**ტფილისი.** ორგანიზაციის შიგნითაც ასეთი არანორმალურობა გამეფებული, ორგანიზაციის უმცირესობის ინტერესთა უარყოფა, აბუჩად აგდება, მაფი სულიერი მოთხოვნილებათათვის ანგარიშის არ გაწევა, მივიწყება. ასეთი პოლიტიკის სისტემატიურად გატარებამ გამოიწვია სასტიკი პროტესტი 1 რაიონის ბოლშევიკების შხრით: ამ-ხანაგებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებათა და მათ დაკმა-ყოფილებამდე შეაჩერეს საწევროს შეტანა. ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით ყველა მოთხოვნილებებს, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს: იყო-

ლიონ ორი ბოლშევიკი პროპაგანდისტი ბოლშევიკი მუშებისათვის: ყველა გამოცემებში თანასწორ მონაწილეობას ლებულობენ ორივე მიმდინარეობის წარმომადგენელები. რაც შეეხება გამოცემებს, თვით მენშევიკებს არაფერი მოეპოვებათ. პირველ მოთხოვნილებაზე კი მოხდა კომპრომისული შეთანხმება. სამი პროპაგანდისტისაგან ერთი აუცილებლად უნდა იყოს ბოლშევიკი.

რკინის გზის სახელოსნოებში არსებობს მუშების მიერ არჩეული კომისია, რომელსაც შუამავალის როლი უნდა გაეწია მუშებსა და ადმინისტრაციას შორის, მაგრამ ეს კომისია სცდილობდა რაც შეიძლება მეტი ესიამოვნებია მთავრობისათვის — მოეწონება მას ესა თუ ის ნაბიჯი თუ არაო. მუშათა ინტერესების დაცვას კი ის ყურადღებას არ აქცევდა. მუშებში აღშფოთება გამოიწვია კომისიის შემდეგმა ნოქმედებამ: 1-ლ მაისს, სახელოსნოების დაარსების დღეს, ბ-ნნი ამორჩეულნი წავიდნენ ადმინისტრაციასთან მისალოცავად. სადაც ისინი მიიწვიეს საჭიფოდ. ნადმზე ეს ჩვენი ამორჩეულნი შავრაზმელებთან ერთად ამბობენ შავრაზმულ სიტყვებს, სვამენ შავრაზმულ სადღეგრძელოებს. მიუხედავად ამისა 1-ლი რაიონის მენშევიკურმა რაიონმა გზათა მინისტრის ჩამოსვლის გამო გამოიტანა საინტერესო დადგენილება: მივმართოთ კომისიას თხოვნით, რომ ის მივიდეს მინისტრთან და იმუამდგომლოს უმუშევართა სამუშაოზე მიღების შრომის ხელფასის გადიდების შესახებ და სხ. ამხანაგებო, მენშევიკებო! სად არის თქვენი ფრაზეოლოგია მუშათა პოლიტიკური აღზრდის, მათში თვითმოქმედების განვითარების შესახებ და სხვა ასეთი ლამაზი ფრაზები? ეს იყო და აღარ არის! ახლა კი მუხლ-მოდრეკით მთავრობას ემუდარებით. ესეც სოციალ-დემოკრატები?!

„ბორჩალო.“ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მენშევიკურმა ყრილობამ ღრმა კმაყოფილების გრძნობით დაადგინა და გამოსაქვეყნებლად გადასცა რეზოლიუცია ბორჩალოს ორგანიზაციის შესახებ, რომელიც დეფაქტოდ არ არსებობს. იმ საკითხის გადასაწყვეტად, არსებობს თუ არა მთელი ორგანიზაცია, შეიძლება წამოაყენო არა ქარაფ-შუტა რეზოლიუცია, არამედ ფაქტები. ჩვენ შევჩერდეთ ფაქტებზე. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ყრილობების მოწვევამდე მოწვეული იყო ტფილისის საოლქო ორგანიზაცია ეგრეთ წოდებული „სახოფლო კონფერენცია“, ამის შესახებ აცნობეს ბორჩალოსაც, როდესაც ამხანაგები ჩამოვიდნენ ბორჩალოდან. მათ მოუნდომეს დატყუილება — რომ ჯერ თითქმის ყველა არ გამოცხადებულან, ჯერ დაიცადეთო და სხ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი უორჩეს უკან დაბრუნებულიყვნენ. ამხანაგებიც წავიდნენ, მენშევიკებს კი თურმე ამ დროს გამართული ჰქონდათ კონფერენცია და გულში დასციხოდნენ ბორჩალოელებს — ეს როგორი ხერხი მოვიგონეთო. მაგრამ ამ კონფერენ-



ციაზედაც კი, რომელიც შესდგებოდა მენშევიკების და შემრიგებლებისაგან (ვგონებთ სამი კაცი იყო) გადაწყდა საოლქო კომიტეტში (სასაფლო კომისია) აერჩიათ ერთი ბორჩალოელი. კითხვა იბადება — თუ ბორჩალოში არ იყო და არც არავითარი ორგანიზაცია არ არის, რად უნდა იყოს წარმოდგენილი კომიტეტში? ცხადია, არ შეიძლება. ყოველივე რევოლუციის შედგენა სწორად და მიუდგომლათ.

ფრაქციული უთანხმოებით დაბრმავებული მენშევიკები არა თუ ცდილობდნენ ეჩვენებიათ, რომ ბორჩალოში არავითარი ორგანიზაცია არ იყო, არამედ თავიანთი მოქმედებით ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უმოქმედობით სცდილობდნენ დაენგრიათ ის, რაც დაენგრევას ვადარჩენილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ბორჩალოელები დაჟინებით მოითხოვდნენ პროპაგანდისტებს, იქ არავის არ გზავნიდნენ. მთელი რაიონი, სადაც რამდენიმე ათასი მუშაა, ალავერდის ქარხანა 2 ათასი მუშით, უმიწა-წყლო გლეხობა, უყურადღებოთ იყო მიტოვებული. იქ არ ყოფილა არც ერთი პარტიული მუშაკი. მენშევიკები ამბობდნენ — ძალიან ვწუხვართ. მაგრამ ვერავის ვგზავნით, რადგანაც სომეხი მომუშავენი არ მოგვეპოვებო. ამას ამბობდნენ მაშინ, როცა ამხ. სომეხები (მართალია ბოლშევიკები) წინადადებას იძლეოდნენ და მზად იყვნენ სამუშაოდ წასასვლელად. კითხვა ასე იდგა მენშევიკებისთვის: ან მათ უნდა ემუშავათ ბორჩალოში, ან არავის. დიდი ლოდინისა და ფუჭი იმედების შემდეგ ტფილისელი ბოლშევიკები დარწმუნდნენ, რომ მეტი არაფერი იყო მოსალოდნელი. მათ გადასწყვიტეს თავიანთ ხარჯზე გაეგზავნათ ერთი ამხანაგი. დიდის წვალებით შეაგროვეს რამდენიმე გროში და ამხანაგი გაგზავნეს, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ იქ უკვე შეუღდა მუშაობას“.

(ფურცლები)

I

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

კავკასიის ყველა მუშაებსა, მუშა-ქალებსა და გლეხებისადმი.

ამხანაგებო! დადგა პირველი მაისი — დღესასწაული მუშა ხალხისა.

მეხუთმეტეჯერ უქმობს ამ დღეს ევროპიელი პროლეტარიატი. იქ ვერავინ უბედავს მას დაუშალოს თავისუფლად გამოთქვას ამ დღე-

დებულ დღეს თვისი შეუჩერებელი მისწრაფება ყველასათვის ნასწორ თავისუფლებისა, შრომისა და უფლებისადმი.

მეოთხეჯერ ვუქმობთ ჩვენ, კავკასიის პროლეტარიატი, ამ დღეს და რამდენათ მეტ ბარბაროსულ ძალ-მომრეობასა და საშინელ და საზიზღარ ზომებსა ხმარობს რუსეთის თვით-მპყრობელობა ჩვენი მოძრაობის ჩასაქრობათ, იმდენათ მეტი დიადობა, მეტი წარმტაცობა, მეტი კეთილშობილება და თავდადება იხატება ჩვენს დღესასწაულში. საკუთარი სისხლით კიდევ და კიდევ ვამტკიცებთ, თუ როგორის ერთგულებით ვემსახურებით პროლეტარიატის საქმეს, თუ რა თავდადებით მივიღტვით წინ, რომ ბოლომდი მივიყვანოთ ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ავტენით თვით-მპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ დროშის ქვეშ თავს იყრის სულ ახალი და ახალი რაზმი მებრძოლთა. ისინი უფრო და უფრო მჭიდროთ კავშირდებიან. შორს, შორს გაისმის ჩვენი ძახილი: წინ საბრძოლველათ! პატარა უმნიშვნელო ჯგუფი 1901 წ. თბილისის მანიფესტანტებისა და დამაფიქრებელი და საშიშარი 9.000-ანი გროვა პროლეტარიატისა 27 აპრილს 1903 წ. ბაქოში — აი გზა განვლილი ჩვენგან, გზა სახიფათო და საშიშარი. ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით გამსჭვალული 75.000-ანი პროლეტარიატი მთელი კავკასიისა თამამათ იერიშის მიმტანი დღევანდელ უკუღმართ წეს-წყობილებაზე ივლისის საისტორიო დღეებში 1903 წ. — აი გზა განვლილი ჩვენგან, გზა საშიშარი და სახიფათო. ჩვენი პროლეტარიატის კავშირი დღე-დღეზე ღონიერდება და ფრთებს ისხამს, იზრდება და ვაჟკაცდება, კალაპოტს იგანიერებს. — მან გადალახა საზღვარი ქალაქისა და ძღვეა-მოსილი შეიქრა ჩვენს მიყრუებულ სოფელში; მან შთაბერა სული ბრძოლისა და აღუძრა სურვილი გამარჯვებისა დაბეჩავენულ და დამონავებულ გლეხობას.

ჩვენი კავშირი რკინის რგოლივით გარს შემოევლო მთელ რუსეთს. კასპიის ზღვის კიდეებზე ივლისის დღეებში ატენილმა კორიანტელმა აახმაურა ადესა, კიევი, ეკატერინოსლავი... აამოძრავა პეტერბურგი და მოსკოვი. და იმ დროს, როცა პროლეტარიატი მთელი რუსეთისა საქმით ცხად-ჰყოფდა სიმტკიცეს თვისი კლასიური სოლიდარობისას, წარმომადგენლები გათვითცნობიერებულ რუსეთის პროლეტარიატის II მორიგ კრებაზე რ. ს. მ. პ. ამტკიცებდნენ ერთ სულხორცობას ჩვენი პოლიტიკურ ორგანიზაციისა; მათ შექმნეს ერთი მთელი პარტია, ერთი ნებით, ერთი გეგმით, ერთი ცენტრალური კომიტეტით.

სოციალისტური პროლეტარიატი უარს ჰყოფს ნაციონალურ კითხვას; მისთვის არ არსებობს არც რუსი, არც ქართველი, არც ურიი. არც სომეხი; ის იცნობს მშრომელს და მუქთა-ხორა კაპიტალისტს; ის უკავშირდება პირველს რა ერსაც უნდა ეკუთვნოდეს ის და ებრძვის



მეორეს და მასთან ერთად რუსეთის დღევანდელ წეს-წყობილებას. და რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად და გარკვევით იხატება ჩვენ წინ ის დიადი მიზანი, საითკენაც მიისწრაფის პროლეტარიატი.

1 მაისის დღე მუდამ გვაგონებს მუშათა ბრძოლას არა მარტო უკეთესი მერმისისათვის, არამედ ბრძოლას შრომის გასანთავისუფლებლათ კაპიტალის ბორკილისაგან, და ამ მიზნის მიღწევა-კი შეიძლება მხოლოდ საერთო ძალით მსოფლიო პროლეტარიატისა. მაშ ძირს ბრძოლა ეროვნებათა! ძირს ბრძოლა სახელმწიფოთა! ის სასარგებლოა მხოლოდ კაპიტალისტებისა, მემამულეთა და მთავრობისათვის. ძირს ომი! ის ასუსტებს ძალას მუშათა და გლეხთა, ის ხელს უშლის საერთაშორისო კავშირს პროლეტარიატისას.

1 მაისი განთიადია მომავალი ძმობისა, განთიადია ყველა ეროვნებათა შრომისა და სოციალიზმის დროშის ქვეშ.

მუშას, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, არა ჰყავს მტერი გარეშე კაპიტალისტისა და მთავრობისა. მუშა ნემეცი, ინგლისელი, იაპონელი ძმა ჩვენი შრომით, ამხანაგია საერთო საქმით.

1 მაისის დღეს დროშა სოციალიზმისა ერთგვარის მშვენიერებით ნავარდობს ჰაერში, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში, როგორც რუსეთში, ისე იაპონიაში.

პროლეტარიატი მძლავრის იერაზით ჩააჩუმებს ზარბაზნთა გრი-ალს, შეაყენებს მოძმეთა სისხლის ნაკადულს და ბოლოს მოუღებს საზიზღარ ძალმომრეობას. და იმ დროს, როცა რუსეთისა და იაპონიის ჯარები, პირველი თვითმპყრობელ და მეორე ბურჟუაზიულ მთავრობის ბრძანებით პირის-პირ უდგანან ერთმანეთს და ბოროტებისა და მძულვარებისაგან გამხეცებულნი და თმა-აშლილნი ყოველ წამს მზად არიან მისცენდნენ ერთმანეთს. რუსეთისა და იაპონიის მუშა ხალხი მშურათ ხელს უწვდიან ერთი მეორეს და მათ გულიდან ერთი ხმა მოისმის: პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალიზმს! ძირს ომი! ნება არ უნდა მივსცეთ კაპიტალისტებს, მთავრობას და იმათ ფინია ძალებს მეგაზეთეებს კვლავ მოგვიშხამონ დიდებული მაისის დღე მხეცურ ნაციონალურ მტრობითა.

ამ ერთ წლის წინათ იმ აზრით, რომ შური და მტრობა შეეტანათ ჩვენ ძმურად და მჭიდროთ შეკავშირებულ რაზმთა შორის და მით დაესუსტებინა მათი ძალა, მთავრობამ მოახდინა კიშინევის საზიზღარი ისტორია. წელს ომით უნდა იგივე მოახდინოს. მას უნდა დაარწმუნოს რუსეთის ხალხი, რომ სამშობლო განსაცდელშია, რომ მეფე ერთად-ერთი მფარველია ხალხის, ამიტომ ხალხმა ყველაფერი უნდა დაივიწყოს. შეკრბეს მეფის დროშის ქვეშ და გაუმკლავდეს მტერს. არა, ხალხი არ დაუჯერებს მაგ ძველ გაბიძვრას და მატყუარას. ხალხი

ესმის, რომ განსაცდელში რუსეთი კი არაა, არამედ რუსეთის დასავლეთ-სებული მთავრობა, ესმის, რომ იაპონელები წინ აღუდგენ რუსეთის ურცხვ და უტიფარ პოლიტიკას სხვისი ადგილების დასაკუთრებას — მანჯურიის და კორეისას. რუსეთ-იაპონიის ომი — ეს უდიდესი ახალი დანაშაულია რუსეთის მთავრობისა ხალხის წინაშე.

რუსეთის პროლეტარიატი 1 მაისს მეტის გაბედულებით და მეტის ზიზღით აღჭურვილი გამოვა ქუჩაზე და იერიშს მიიტანს თვითმპყრობელობაზე; ის უშიშარია და ხმა-მალა განაცხადებს, რომ მას არაფერი საერთო არა აქვს იმ მცარცველებთან, რომელნიც მეფის გარშემო მოგროვილან და ხალხის სახელით ახალ საზიზღრობას სჩადიან. ის მოითხოვს მშვიდობიანობას და თავისუფლებას.

და თქვენ, გლეხებო! თქვენ, კი გულ-გრილათ უცქერით ჩვენ ბრძოლას?! არა, თქვენ ისე, როგორც შარშან, ბანი მიეცით პროლეტარიატის მეტობოდ ხმას და საერთო ძალით თავზარი დავცთ ჩვენ საუკუნოებით მცარცველ მთავრობას. მაშ ქუჩაზე, ამხანაგებო! დააწერეთ თქვენ დროშაზე:

ძირს ოში! ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი .

სტამბა კავშირისა.

II

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიისა.**

მხეცი დასჭრას.

მეფის სატრაპი დასჭრეს. ელვასავით მოედო ეს ამბავი მთელ ტფილისს და სიხარულის გრძნობა აღუძრა არა ერთსა და ორს, არბ ერთმა და ორმა თავისუფლათ ამოისუნთქა. — ერთიც არავინ გამოჩნდა, (გარდა მეფის შინაყმებისა და დამკაშვებისა) მისი შემბრალებელი, თუ ვისმეს ეწყინა, ეწყინა მხოლოდ ის, რომ გოლიცინი სიკვდილს გადურჩა. ყველას გული წყდება, რომ თავ-განწირული თავ-დამსხმელები მეფის ჯალათებს ჩაუვარდენ ხელში, რომელთაც ავთარივით გამოწუწუნეს მათი სისხლი, და ყველა ერთხმით გაიძახიან: „გოლოცინი ღირსი იყო ამისო“.

ღიახ! მან ეს დაიმსახურა: განა შეიძლება ასეთი ჯოჯოხეთური სიმხეციო სდევნო ყოველივე ის, რაც ოდნავაც არის თვითმპყრობე-



ლობის მტაცებელ პოლიტიკის წინააღმდეგობას წააგავს. და ჯელათ დარჩე. ისეთი პირები, როგორც გოლიცინი, რომელიც ასე თავგამოდებით იცავენ მმართველ ყაჩაღთა ბრბოს ინტერესებს და უსირცხვილოთ, მოურიდებლათ ტალახში სვრიან ხალხის ინტერესებს, ყველა იმას, რაც ყოველი ადამიანის წმინდათა წმინდას შეადგენს, — უფლებას ცხოვრებისა და ბრძოლას — ასეთი პირები ვერსად და ვერასოდეს სასჯელს ვერ ასცდებიან. ვერ ასცდა მას გოლიცინიც... მან ეს დაიმსახურა...

მაგრამ მივანებოთ თავი გოლიცინის პიროვნებას. შურის-ძიებას. რომელიც მან დაიმსახურა და ჩავიხედოთ ღრმად იმ უფსკრულში. სადაც რუსეთის მოქალაქენი სხედან ყოველ უფლებას მოკლებულნი. სადაც გამეფებულა უკუნე ბნელი, გაისმის კენესა წამებულთა, და რომელსაც ეწოდება რუსეთის თვითმპყრობელობა; მაშინ უნებლიეთ მივალთ იმ დასკვნამდის, რომ ყველა ეს გოლიცინები მეტის ღირსია. ისინი იმის ღირსია, რომ აზობოქრებულმა ხალხის მოძრაობამ. წაღეკოს და დაღეწოს მთელი ის წყობილება, რომელიც ქმნის ასეთ გოლიცინებს, საპიაგინებს, ფონ-ვალებს, ობოლენსკებს, პლევეს და კომპ. მაგრამ შეიძლება ტერორის შემწეობით, ე. ი. ამა თუ იმ წარმომადგენლებთან მივალწიოთ სასურველ შედეგს, თვითმპყრობელობის სრულ დანგრევას? აი კითხვა, რომელიც ახლა ყველას უფრო მეტათ ვინემ წინეთ აინტერესებს.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, ასეთი საშუალებით ბრძოლა სრულიად გამოუსადეგარ საშუალებათ მიგვაჩნია, რადგან ასეთი დამცველები თვით-მპყრობელობისა, როგორც გოლიცინი, მხოლოდ ერთ ბორბალს შეადგენენ თვითმპყრობელობის უზარმაზარ მეხანიზმისას. მოკვდება ესა თუ ის სატრაპი, გამოაკლდება ერთი ვინტი თვით-მპყრობელ მეხანიზმას, ვინტს ჩასმენ და მაშინა ისევ ძველებურად ატრიალდება, შეიძლება უფრო ძლიერებით და ენერგიით.

გოლიცინებმა კი არ შექმნეს თვითმპყრობელობა, პირ-იქით. ამ უკანასკნელმა გამოზარდა თავის შესაფერი პირები. **ამიტომ გოლიცინები და სხ. ამგვარები აღიგვებიან დედა-მიწის პირიდან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა დაემხოთ თვით-მპყრობელობა.**

თვით-მპყრობელობის დამხობა-კი შეუძლია მხოლოდ ხალხის აჯანყებას. ეს უკანასკნელი არის მოძრაობა მთელი ხალხის და არსებითად ეწინააღმდეგება ტერორისტულ ტაქტიკას. ხალხის მოძრაობა არის ერთად ერთი ფორმა კლასიური ბრძოლისა და ამიტომ ყოველი ტერორისტული მოქმედება, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ რამდენიმე პირი, მავნებელია ასეთ მოძრაობისათვის, რადგან საუკეთესო ძალას ართმევს ხალხს, ამით სრულიად ასუსტებს ხალხის თვით-მოქმედებას, ხალხის მოძრაობას.

თუ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთად ერთი ნამდვილი საშუალება ხალხის თვით-მპყრობელობასთან ბრძოლისა — არის მთელი ხალხის აჯანყება, მაშასადამე, ჩვენ უნდა უარ-ვყოფდეთ ტერორს. რომელიც, მართალია აძლევს დაკმაყოფილებას გახელებულ გრძობას, შელახულ ადამიანურ ღირსებას, მაგრამ აფერხებს ხალხის მომზადებას, ახანებს რევოლუციის დადგომას, და, მაშასადამე, წარმოადგენს უნაყოფო და მავნებელ ტაქტიკას.

უკანასკნელ „ნაროდოვოლცების“ თავ-განწირულმა ბრძოლამ, რომელიც მხოლოდ ტერორის შემწეობით ფიქრობდენ თვით-მპყრობელობის დამხობას, ნათლად დაგვანახა, რომ ტერორს არ შეუძლია თვითმპყრობელობას მოუღოს ბოლო. ამიტომ გმირული ბრძოლა ამ ჯგუფისა, მიუხედავად დიდი ზნეობრივი და ორგანიზაციული ძალისა, უნაყოფოთ დარჩა, მიზანს ვერ მიაღწია...

სამი თავ-განწირული მებრძოლის სახელები, რომელნიც დაეცენ გოლიცინს, სამუდამოთ დარჩებიან ისტორიაში, როგორც ისეთ გმირების, რომელთაც ყველაფერი, თვით სიცოცხლეც შესწირეს საშინელ შურისძიებას. საეკლესიო ქონების ჩამორთმევამ, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა ეს ტერორი, ძალიან ცუდი სამსახური გაუწია რუსეთის მმართველობას. მან უფრო დააჩქარა ხალხის გარევოლიუციონერება, ისეთი ხალხის, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებოდა ჩვენი პროპაგანდა და ამ ნაირად ხელი შეუწყო ჩვენს მოქმედებას. ეს თავდასხმა მხოლოდ გამომხატველი იყო ხალხის აღევლებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მღელვარება მიიღებს მალე განსაზღვრულ ფორმას და ბოლოს და ბოლოს მტკიცე, შეურყეველ სახალხო მოძრაობად გადაიქცევა. და მაშინ იყვირონ თავის გამარჯვებაზე გოლიცინებმა. მაშინ შეიგნებენ, რომ მათი გამარჯვება პიროსის გამარჯვება იყო, რომ ყოველი მათი ნაბიჯი ახალ მებრძოლს გვაძლევს.

საუკუნო ხსენება თავ-განწირულ მებრძოლთ.

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კავშირის კომიტეტი.

სტამბა კავშირისა.



III

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა

შ. ს. სამ.

თქვენო უწმინდესობავ, მოწყალეო მწყესთმთავარო!

12 ამა აგვისტოს ტელეგრამის დამატებით პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა თქვენი 7 — აგვისტოს ტელეგრამის უქვეშევრდომილეს მოხსენების დროს, კეთილ ინება უმაღლესი ყურადღება მიაქცია თქვენ უწმინდესობის შემცდარ მოქმედებაზე მინისტრთა კომიტეტის 12 ივნისის ამ წლის განკარგულების სისრულეში მოყვანის შესახებ.

4 აგვისტოს კონდაკი *) წინადადებას აძლევს ეჩმიადზინის სინოდს გვერდი აუხვიოს უმაღლესი ნების დაუყონებლად ასრულებას, ე. ი. ჩაიდინოს მძიმე დანაშაული უქვეშევრდომილესი მოვალეობის დარღვევით. მის უმაღლესობამ კეთილ ინება მონარქული ყურადღება მიექცია მისთვის, რომ ახლანდელი შემთხვევა არ არის ამ უკანასკნელ დროს, რომ ეჩმიანდზინის პატრიარქატი ახვევინებს წინანდელ კანონის მორჩილ მოქმედებიდან სომეხ — გრიგორიანთა ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებს, და ამიტომ

ნიღაბი ახლილია!

მოყვანილი ფარული დოკუმენტი ამჟღავნებს მთავრობის სურვილებს. ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ თვითმპყრობელობის არსებობა ეწინააღმდეგება როგორც უნდა იყოს თვითმართველობას, ისეთ რეაქციონურ სფეროშიც კი, როგორც არის ეკლესია.

მეფე და მისი სატრაპი გააბრაზა იმან, რომ კათალიკოსმა წინააღმდეგობა გაუწია მათ მტაცებლობას და ისინი აშკარათ აღიარებდნ. რომ არავითარ ზომებს არ დაერიდებიან თავის პოლიტიკის ცხოვრებაში განსახორციელებლათ. თუ კი სომეხთა სამღვდლოება კიდევ განაგრძნობს წინააღმდეგობას და არ დაემორჩილება, ისინი ემუქრებიან იმ კითხვის „განხილვას“, რამდენათ ეთანხმება სომეხ — გრიგორიანთა ეკლესიის თანამედროვე წყობილება საზოგადო სახელმწიფო ინტერესებს (ე. ი. თვითმპყრობელობის ინტერესებს) ჩვენ უკვე ვიცით, რა შედეგი მოყვება ასეთ „განხილვას“. ასეთ „მოსაზრებებს“ შედეგათ მოყვება ფინლიანდიის კონსტიტუციის გაუქმება, ერობათა თვითმმართველობის სრულ არარაობამდის მიყვანა, ქალაქის თვითმმართველობის შეზღუდვა და ზოგან სრულიად მოსპობა, სომხის

*) კათალიკოსის განკარგულება სინოდისათვის

მიბრძანა თუ სომეხ გრიგორიან-
თა სამღვდელთა კიდევ არ დაე-
მორჩილება სახელმწიფო მთავ-
რობას, შევეუდგე იმ საკითხის გან-
ხილვას, რამდენათ ეთანხმება სა-
ხელმწიფო ინტერესებს რუსეთის
მონარქების მიერ ნაბოძები სო-
მეხ-გრიგორიანთა ეკლესიის მარ-
თველობის მოწყობა **).

ამასთანავე ვალდებული ვარ
დავძინო, რომ მისმა უმაღლესო-
ბამ ინება გადმოეცა თქვენი ტე-
ლეგრამა 10 აგვისტოდან, რადგან
ამ დროებით საჭიროდ ვერ იცნო
თქვენი პირადი მიღება ამ საქ-
მეზე.

თუ კი მაინც, შემდეგში თქვენ
უწმინდესობას აუცილებლათ იც-
ნობს პეტერბურგში მოსვლას თა-
ვის მოქმედების ასახსნელათ, ამ
საგანზე შუამდგომლობით თქვენ
შეგიძლიათ მიმართოთ სამოქა-
ლაქო მთავარ-მართველობის სა-
შუალებით.

ვანდობ რა ჩემს თავს თქვენ
ლოცვებს (თუ წყევას? რედ.)
უმორჩილესათ გთხოვთ მიიღოთ
ღრმა პატივისცემა და მორჩილე-
ბა, რომლითაც დავშთები

თქვენი უწმინდესობის მორჩი-
ლი მონა ვ. პლევუ. (კიშინევის პა-
ლაჩი. რედ.).

№ 4289. 13 აგვისტო 1903 წ.

ს. პეტერბურგი.

შკოლების დახურვა, საქველმოქ-
მედო დაწესებულებათა შეზღუდ-
ვა და ახლა საეკლესიო საქმეთა
გამგეობის ჩამორთმევა სომეხები-
სათვის. —

ვანა შეეძლო მოეთმინა რუსე-
თის თვითმპყრობელობას, რომ
სომხის სამღვდელთა დამოკი-
დებული ყოფილიყო თავის ამომ-
რჩეველთაგან, ხალხისაგან. ვანა
შეუძლია მას მოითმინოს, რომ
სამღვდელთა თავის პირდაპირ
უფროსად თვლიდეს თვითონ
ხალხს და არა თვითმპყრობელ
ჩინოვნიკებს. მეფე — აი ერთად
ერთი უფლების მომცემი წყარო,
თვითმპყრობელ სახელმწიფოში.
სომეხთა ეკლესიის წყობილება
ძირითად ეწინააღმდეგება ამას და
ამიტომ, ადრე თუ გვიან, უნდა
მოხვედროდა მას თვითმპყრობე-
ლობის კლანჭები, მიუხედავად
იმისა, როგორ შეხედავდნენ ამას
სომეხები და სამღვდელთა.

სანამ არსებობს თვითმპყრობე-
ლობა, სანამ ხალხი განდევნილია
სახელმწიფოს გამგეობიდან, ყო-
ველივე უფლება სრულიად მეფის
ხელში და მეფისთვის იქნება, ხო-
ლო ხალხს მატრო მოვალეობები
ედება. პროლეტარიატმა დიდი
ხანია შეიგნო ეს და სამკვდრო-სა-
სიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა
საზიზღარ თვითმპყრობელობას.
მისი წითელი რევოლიუციონური
ღროშა დაფრიალებს დამონე-
ბულ რუსეთს და მისი გამაცოცხ-
ლებელი ხმა გაისმის კიდით-კი-
დემდე. მაშ შეერთდით ყველა, ვი-
საც კი ბრძოლა შეგიძლიათ, ვი-

***) კურსივი ჩვენია

საც ძვირფასათ მიგაჩნიათ თავი-
 სუფლება, დადექით პროლეტა-
 რიატის დროშის ქვეშ და ჩვენთან
 ერთად საბრძოლველად გამოიწ-
 ვიეთ თვითმპყრობელობა.

ძრს თვითმპყრობელობა!

**გაუმარჯოს ხალხის თვითმპყრო-
 ბელობას!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ
 რესპუბლიკას!**

კავშირის კომიტეტი.

31 აგვისტო 1903 წ.

სტამბა კავშირისა.

რუს. სოც. დემ. პარტია 1908 წელს

შ. საქ. სამ.

საიდუმლოთ*)

პოლიციის დეპარტამენტი
საგანგებო განყოფილება
11 აგვისტო 1908 წ.
№ 136571.

ცარკულიარულად.

საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართ-
ველოს და „ოხრანის“ განყოფილ-
ებათა უფროსებს.

პოლიციის დეპარტამენტი ამასთან ერთად გიგზავნით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევე, ცნობათ და მოსაფიქრებლად რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციების მოღვაწეობის მიმოხილვას, რომელიც შედგენილია ადგილებიდან მიღებული წერილებისა და ცნობების მიხედვით. ამასთან ერთად გეგზავნებათ უწყება სათაუროთ „ძვირფასო ამხანაგებო“ მომავალი პარტიული კონფერენციის შესახებ.

ხელს აწერს: დირექტორის მაგიერ **ს. ვისარიონოვი.**

განყოფილების გამგე, პოლკოვნიკი კლიმოვიჩი.

„ძვირფასო ამხანაგებო!

ორგანიზაციებიდან მიღებული წერილებისა და იმ მოხსენებების თანახმად, რომლებიც ც. კ. წევრებმა გააკეთეს ცალკე ოლქების შემოვლის შემდეგ, შედგენილია დანართი მიმოხილვა **). ეს მიმოხილვა სრული არ არის, რადგანაც ყველა ოლქების ჩამოვლა დამთავრებული არ ყოფილა.

ოგანიზაციებში ჩამოვლა ც. კ. მიაჩნია საუკეთესო საშუალებათ პარტიის მთლიანობის დასაცავად და კავშირის განსამტკიცებლად ც. კ. და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის, ამიტომ ც. კ. აზრად აქვს მომავალშიაც მიმართოს ამ საშუალებას. ამავე დროს ც. კ. მოაგონებს ამხანაგებს, რომ საჭიროა სისტემატიური მიმოწერის წარ-

*) ეს დოკუმენტი ამოღებულია ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართ-ველოს არქივიდან.

რედ.

***) ეს დანართი ქვემოთ იბეჭდება შემდეგი სათაურით: „რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციათა მოღვაწეობის მიმოხილვა, შედგენილი ადგილებიდან მიღებული წერილებისა და ცნობების მიხედვით“.

რედ.



მოება ცენტრთან და ადგილებთან საქმეთა ვითარების შესახებ. მოხსენებების გამოგზავნა. განსაკუთრებული დასაბუთებული მოხსენებებით უნდა იყონ აღჭურვილნი სრულიად რუსეთის კონფერენციის დელეგატები. როგორც ამ დელეგატების არჩევა, ისე მოხსენებები ადგილობრივი ვითარების შესახებ უნდა დამთავრებულ იქნას ივნისის დასაწყისისათვის, თუ სად შეიკრიბება კონფერენცია ან როდის გეცნობებათ ცალკე და ვიდრე ცნობას არ მიიღებენ დელეგატები, არ უნდა წამოვიდნენ. ამასთან ც. კ. დაჟინებით გირჩევთ მანდატით აღჭურვით ადგილობრივი მუშაკები, რომელნიც კარგათ არიან გაცნობილი საქმეებთან.

ეს განსაკუთრებით სასურველია კიდევ იმიტომ, რომ პარტიის ყველა წევრები, რომელნიც ამჟამად დებულობენ მონაწილეობას ადგილობრივ მუშაობაში, მაგრამ რომელთა დასწრებას კონფერენციაზე მნიშვნელობა აქვს პარტიისათვის, მოწვეული იქნებიან სათათბირო ხმით.

ც. კ. მოაგონებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ დელეგატებს საგზაო ფული იქით და აქეთ უნდა მისცეს ადგილობრივმა ორგანიზაციამ.

არჩევნები უნდა მოხდეს იმ წესით, როგორც ეს მოხდა ნოემბრის კონფერენციაზე. ამასთან, სასურველია, რომ ყველგან, სადაც კი ამის საშუალებას პირობები იძლევა, არჩევნები ხდებოდეს სპეციალურად ამისათვის მოწვეულ კონფერენციებზე, რომელზედაც უნდა გაირჩეს ყველა ის საკითხები, რაც დასმულია დღის წესრიგში.

ამ ცნობის მიღებისთანავე საჭიროა წერილობით ეცნობოს ც. კ. და აგრეთვე შეძლებისდაგვარად გამოგზავნილ იქნას განსაკუთრებული მისამართი, რომლის მიხედვით გეცნობებათ კონფერენციის მოწვევის დრო.

ამხანაგური სალამი, ც.კ.რ. ხ.დ.მ.პ.

მაისი 1908 წლ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციათა მოღვაწეობის მიმოხილვა, შედგენილი ადგილებიდან მიღებული წერილებისა და ცნობების მიხედვით.

ცენტრალური რაიონი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ცენტრალური რაიონის ორგანიზაციები სრულიად დაშლის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ზოგიერთმა ორგანიზაციებმა კი საესეებით შესწყვიტეს არსებობა. ახლა ეს ორგანიზაციები კრიზისს თავს აღწევენ, ხელ-ახლა ეწყობა პარტიული „იაჩიეკები“, ხდება კრებები, ყველგან ემჩნევა ერთი საერთო მოვლენა: ინტელიგენტებმა მასიურად მიანებეს თავი ორგანიზაციებს და მთელს მუშაობას, პროპაგანდულსაც

კი, აწარმოებენ მხოლოდ თვით მუშები. ასე მაგ., მთელს ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონში 10 ათას მუშათა შორის არ მოიპოვება არც ერთი ორგანიზაციაში მომუშავე ინტელიგენტი. ზოგიერთი ამხანაგები ამის შესახებ ამბობდნენ: „მადლობა ღმერთს, რომ ინტელიგენცია მოგვშორდა, როგორც იქნა; ჩვენ ასე შევსძელით საკუთარ ფეხზე დადგომა. დეე, ნულარ დაბრუნდება ის ჩვენთან, მან (ინტელიგენცია) ხომ ყველაზე მძიმე წუთებში მიგვატოვა, როცა თავს დაგვატყდა უამრავი რეპრესიები. ასე რომ, ინტელიგენტებს არ შეიძლება ვენდოთ. ყველაფერს ჩვენ თვითონ გავაკეთებთ“. მუშების მეორე ნაწილი ამაზე უპასუხებდა: არ შეიძლება მთელი ინტელიგენციისადმი ასეთი მოპყრობა, ვინც ჩვენთან დარჩა, მათდამი დამოკიდებულება სხვანაირი უნდა იყოს, რომ მუშებისათვის ჯერ კიდევ ძნელი იქნება თავის თავზე პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიღება, რომ ამ შემთხვევაში ინტელიგენციის დახმარება აუცილებელია. ამ მიმდინარეობამ გაიმარჯვა.

სულიერად დაცემა მასსებს არ ემჩნევა. მრეწველობას უფრო გაფართოვება ემჩნევა, ვიდრე შემცირება, გარდა ივანოვო-ვოზნესენსკისა, სადაც საქმეს შეფერხება ემჩნევა. მაგრამ აქაც მსხვილი, კარგად მოწყობილი ქარხნები, საქმეებს აფართოებენ. მიუხედავად ამისა მუშათა ეკონომიური მდგომარეობა მეტად გაუარესდა. ივანოვო-ვოზნესენსკში მოწვეულ კონფერენციაზე გამოიჩინა, რომ „ხაზინებმა“ დაიწყეს შეტევით კამპანია მუშების წინააღმდეგ: ყველგან ჯარიმები, პირადი დამოკიდებულების გამწვავება, მოუსვენარ მუშათა დათხოვნა, მუშათა ხელსაყრელი ხელშეკრულების შეცვლა უარესით. მექარხნეთა მიერ შევიწროებული მუშები სათანადო წინააღმდეგობას უწყევნ თავიანთ პატრონებს. მოხდა მთელი რიგი სტიქიური გაფიცვები. მუშები ყველგან აღელვებული არიან და მოელიან ზაფხულს.

პროფესიონალური კავშირები თითქმის ყველგან ან დახურულია, ან დაშლილი. არსებულ კავშირებში ემჩნევა წევრთა მეტის-მეტე შემცირება. მომუშავეთა აზრით ამის მიზეზია ის, რომ პოლიციური რეპრესიების გამო კავშირებს არ ძალუძთ თავიანთი მოღვაწეობის გაცხოველება და, ამიტომ არა ხედავენ რა მასსა არავითარ სარგებლობას, გადის კავშირებიდან. დახურულია თითქმის ყველა კავშირები იაროსლავში, კოსტრომაში, ნიჟნიში, სორმოვოში, კოვნოში, კინეშმაში. ზოგიერთი კავშირები ცდილობენ არალეგალურად არსებობას. მაგრამ ვერ ახერხებენ. ივანოვო-ვოზნესენსკში თუმცა განაგრძობენ არსებობას ლეგალური პროფესიონალური კავშირები, მაგრამ მეტად შეკვეცილად. იქ ყველაზე ძლიერია მქსოველთა კავშირი, რომელიც 1906 წელს შედიოდა 2300 წევრი, ახლა — 400 წევრი. ფეი-



ქართა კავშირში წინად შედიოდა 1000 წევრი, ახლა დარჩა — 100. ქ. შუიაში პროფ-კავშირში ნაცვლად წინანდელი 2000 წევრისა დარჩა 149, ტეიკოვოში 1154 წევრის ნაცვლად დარჩა 120. კოოპერატიული მოძრაობა სუსტია. ივანოვო-ვოზნესენსკში არსებობს კოოპერატივი: „ერთობა — ძალა“, რომლის წესდებაში არის დივიდენდი და პრემია წაღებული საქონლის მიხედვით. კოოპერატივთა სასარგებლო მოძრაობა ემჩნევა შუიაში და როდნიკში. სოც.-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება, რათა მხარი დაუჭირონ შეკითხვას პროფ-კავშირების დევნის გამო, ყველგან თანაგრძნობას პოულობს. ც. კ. რეზოლიუციები პროფესიონალური კავშირებისა და კოოპერატივების შესახებ გარჩეულ იქნა ც. კ. ბევრ ორგანიზაციებში და ყველგან მიღებული.

რაც შეეხება დამოკიდებულებას სოც.-დემ. ფრაქციისადმი, ის ყველგან უარყოფითია, განსაკუთრებით ივანოვო-ვოზნესენსკის ორგანიზაციაში. უკანასკნელმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც არ იწონებს რა ფრაქციის მუშაობას, მაინც იმედოვნებს, რომ ფრაქციის მუშაობა იქნება ნაყოფიერი ც. კ. შეთანხმებით, რაც პარტიას გაანთავისუფლებს ისეთი მძიმე და არანორმალური ნაბიჯებისაგან, როგორცაა ფრაქციის უკან გაწვევა. ფართო მასებში ინტერესი სათათბიროსადმი მეტად სუსტია. ყველაზე საჭირობოროტო საკითხად ყველა ორგანიზაციებში ამ ჟამად ითვლება საორგანიზაციო საკითხი.

აი მოკლე მიმოხილვა დანარჩენი ორგანიზაციების შესახებ ცენტრალურ რაიონში:

იაროხლავლი. აქ არსებობს დიდი საფეიქრო ქარხანა კორინკინისა, წისქვილები და სხ. შრომის პირობები მძიმეა. დიდხანს აქ არავითარი ორგანიზაცია არ ყოფილა. ახლა ორგანიზაცია ეწყობა. ინტელიგენცია თითქმის არ მოიპოვება, პროპაგანდისტთა საჭიროება კი დიდია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ აქ არსებული ს. რ. ორგანიზაცია იშლება და მის წევრებს სურთ სოც. დემ. პარტიაში შესვლა, მაგრამ წინასწარ სურთ გაეცნონ პროგრამას. პროფესიონალური კავშირები არ არის, გუბერნატორმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის კავშირების არსებობის ნებას არ დართავს.

კოსტრომა. ზაფხულში მომხდარი გაფიცვის შემდეგ კოსტრომაში დაიწყო რეპრესიები — ყველა კავშირები დახურულ იქნა. დაიწყო დაპატიმრება, რაც აქამომდე გრძელდება. ციხეები გავსილია. ამ ჟამად კოსტრომაში არსებობს ს. დ. ჯგუფი, რომელიც რევოლუციურულად იკრიბება. გულ-გასატეხი სულიერი განწყობილება მასებში არ არის. ყველა მსხვილ ქარხნებში არსებობას განაგრძობენ პარტიული „იარაღიკები“. ქარხნის მახლობლად მუდამ ხდება კრებები.

თითოჯერ 150-მდე მუშის მონაწილეობით. მთელს საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებენ მხოლოდ მუშები.

კინეშმა (კოსტრომის რაიონი). საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია შესუსტდა 22 ნოემბერს მომხდარი გაფიცვის შემდეგ. მოწინავე მუშები დაპატიმრებულ იქნენ. კავშირები დახურეს. ახლა ორგანიზაცია გაჭირვებას თავს აღწევს. კინეშმის ს. დ. ორგანიზაცია პოპულარიული გახდა 1907 წლის პურის კამპანიის შემდეგ, როცა პურზე ფასების აწევამ მუშებში გამოიწვია მასიური მოძრაობა, როცა მუშებმა ხელთ იგდეს ქალაქი და მართავდნენ მრავალრიცხოვან კრებებს. იმ აწეულმა სულიერმა განწყობილებამ, რომელიც შეიქნა ამ კამპანიის დროს, გამოხატულება ჰპოვა 22 ნოემბრის გაფიცვაში. რეპრესიებმა რამდენიმედ დასცა სულიერი განწყობილება. ინტელიგენცია აქ თითქმის არ არის, ცოდნის მიღების წყურვილი კი, როგორც ყოველგან, აქაც დიდია. ორგანიზაციას შეადგენენ შემდეგი რაიონები: ვეტკა, ტომნა, ქალაქის, ნავოლოკი, კამენკა, განსაკუთრებული სულიერი დაეცმა ეტყობა ტომნის რაიონში (რაზხოროენის და კორმილიცინის ქარხანა). „ვერ ვმოულობთ დამცველთ, ყველანი ციხეში არიან“. როცა ადმინისტრაციას მივმართავთ თხოვნით მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ის გვირჩევს: წადით კოსტრომაში (სადაც დაპატიმრებულნი სხედან) თქვენს დამცველებთანო. ცალკე ორგანიზაციების გაერთიანების საქმე საკმაოდ მკვიდრათ არის. კონფერენციები ხდება რეგულიარულად, თუმცა ზოგიერთ მუშას სიარული უხდება 20 ვერსის მანძილზე. ც. კ. მოხსენების მოსასმენად შეიკრიბა მთელი კონფერენცია. დიდ ინტერესს იწვევს საკითხი მომენტის შეფასების შესახებ; გამოითქვა სურვილი, რომ ც. კ. შეეცადოს ამ საკითხის გარკვევას.

ივანოვო-ვოზნესენსკი. ლონდონის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევაში მონაწილეობდა ორგანიზაციის 2000 წევრი, ახლა ორგანიზაციაში ითვლება არა უმეტეს 600 წევრისა. პარტიული „იჩიევები“ შენახულია თითქმის ყველა ქარხნებში, თუმცა მათი რიცხვი მეტად შემცირებულია. ივანოვო-ვოზნესენსკის ორგანიზაციას, როგორც ყოველთვის, გაკვირვებაში მოჰყევხართ თავისი საქმიანობით და არდაბნეულობით. მაგრამ გაჩნდნენ მრავლად პროვოკატორები, რომელთაც მუშებში დაბადეს ურთი-ერთ შორის უნდობლობა და მასსებიც აიძულეს უფრო გაფრთხილებით იმოქმედოს. მუშაობა მიმდინარეობს მეტად ძნელ პირობებში. ბინები თითქმის არ მოიპოვება. მთელს საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებენ თვით მუშები. კონფერენცია, კომიტეტი შესდგება თითქმის მხოლოდ მუშებისაგან. საორგანიზაციო კრებებს, აგრეთვე დაბალი და საშუალო ტიპის ჯგუფებს ხელმძღვანელობენ მუშები. მთავარი საკითხი, რო-



მელიც ამ ჟამად ორგანიზაციის საზრუნავს შეადგენს. — ეს საორგანიზაციო საკითხია. ორგანიზაციის დაშლის პროცესი შეჩერებულია. ღარჩენილი ამხანაგები შეჯგუფდნენ და დაიწყეს თავისი რიგების გაფართოება.

მარტში შესდგა ივანოვ-ვოზნესენსკის კავშირის საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები ივანოვო-ვოზნესენსკიდან, შუიდან, პესცოვიდან, ტეიკოვიდან, როდნიკოვიდან. შეკავშირებულ მუშათა რიცხვმა ყველგან დაიკლო. ყველგან ნაკლებობაა პროპაგანდისტთა ძალებისა იმ დროს, როცა ცოდნის წყურვილი გაძლიერებულია. უკეთესადაა საქმე პესცოვოში, სადაც ორგანიზაციამ უკვე მოაგვარა თავისი საქმეები. საბჭომ გაარჩია და მიიღო ც. კ. რევოლუციები კოოპერატივებისა და პროფკავშირების შესახებ, აგრეთვე დაადგინა, ჩატაროს მოსამზადებელი მუშაობა ყველა ორგანიზაციებში იმ დღისათვის, როცა სათათბიროში გაირჩევა შეკითხვა პროფესიონალური კავშირების დევნის შესახებ. საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რათა პარტიული ყრილობა გადადებული ყოფილიყო ამა წლის სექტემბრამდე და რომ მახლობელ პარტიულ კონფერენციაზე გამომუშავებულ იქნას ყრილობის დღის წესრიგი.

ნიჟნი-ნოვგოროდი: წარსული წლის ზაფხულში ორგანიზაცია თითქმის სრულიად დაიშალა, არ მომხდარა კრებები. ჯგუფები, კომიტეტი არ არსებობდა. ასეთი მდგომარეობის მიზეზი ნაწილობრივად ის გადაწყვეტილება იყო, რომლითაც მთელი მუშაობა უნდა მოთავსებულყო პროფკავშირებში, სადაც მუშაობა სწარმოებდა პარტიული ატმოსფერის გარეშე. ინტელიგენტური ძალების უმრავლესობამ ორგანიზაცია მიატოვა. მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა ფართო მასებში. როცა პროფკავშირები ერთი-ერთმანეთზე იქნენ დახურული. აღმოჩნდა, რომ არც ორგანიზაცია არსებობდა. გადაწყდა საქმის საწარმოებლად დროებით საორგანიზაციო კომისიის შექმნა. ამა წლის თებერვალში კი მოწვეულ იქნა კონფერენცია, რომელზედაც აირჩიეს კომიტეტი. კონფერენციაზე დიდ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი: ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვდნენ პარტიული ორგანიზაციის სრულიად გაუქმებას, რადგანაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენსო. პარტიული ორგანიზაციის ნაცვლად ისინი მოითხოვდნენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ამ აზრს წინააღმდეგობა გაუწიეს. ყველაზე საჭირობოროტია აქ საორგანიზაციო საკითხი. ლტოლვა პარტიისაკენ წინანდელთან შედარებით გაძლიერდა, მაგრამ ძალები ცოტაა, წრეები თითქმის არ არსებობენ, წინად დამოუკიდებელი ნიჟეგოროდის ორგანიზაცია ამ ჟამად იმდენათ დასუსტდა, რომ გადაიქცა სორმოვოს ორგანიზაციის ერთ-ერთ რაიონად, — ეს სორმოვის ორგანიზაცია კი წინად ნიჟეგოროდის ორგანიზაციის ნაწილს

წარმოადგენდა. უკეთესადაა საქმე ნიჟეგოროდის საოლქო ორგანიზაციაში, რომელსაც კავშირი აქვს გაბმული ბევრს სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში. ბევრ ალაგს არსებობენ კოლექტივები, წრეები. სწარმოებს სააგიტაციო მუშაობა. გამოვიდა ვაზ. „ტრუდი“-ის ორი ნომერი. საგრძნობელია მოსიარულე აგიტატორების სიმცირე. მუშაობა სწარმოებს გლეხთა შოჩის, მაგრამ არის ისეთი ადგილები, სადაც მოსახლეობენ მუშები, — როგორც მაგ. დიდი სოფლები — ვასილიევო, გოროდეცი, ვზვოდნოე, იურიხო, მურაშკინო, ილეეო.

სორმოვო. ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელშიაც მუშაობას ეწევიან მხოლოდ მუშები, ერთი საუკეთესო ორგანიზაციათაგანია რუსეთში. ეს ორგანიზაცია სავალდებულო დაწესებულება შეიქნა ადგილობრივ საქარხნო ცხოვრებისათვის, რომელსაც ანგარიშს უწევს ყველა. ამ ჟამად ამ ორგანიზაციაში ითვლება 350 წევრი. მეტად შველის ორგანიზაციის საქმეებს ლექციები, რომელსაც კითხულობენ ადგილობრივი საერო სკოლის მასწავლებლები. მაგრამ ახლა სკოლიდან დაითხოვეს 7 კაცი და ლექციების კითხვაც შესწყდა. ახლა ყველა რაიონებში სწარმოებს პროპაგანდა, წრეებში შედის 150-მდე კაცი, უმაღლესი და საშუალო ტიპის წრეებს ხელმძღვანელობენ თვით მუშები. 11 ნოემბერს შესდგა „დამფუძნებელი კონფერენცია“, რომელზედაც სორმოვოს შემოუერთდა ორგანიზაციები — კულუბაკის, კოვროვის და ბოგოროდსკის (რომელიც წინად შედიოდა ნიჟეგოროდის საოლქო ორგანიზაციაში). არჩეულ იქნა გაერთიანებული ორგანიზაციების ბიურო. თებერვალში კონფერენცია შეიკრიბა ხელახლა. აღიარებულ იქნა, რომ თუმცა ბიურომ უსახსრობის გამო ვერ შეასრულა ყველა თავისი ამოცანები, მაგრამ გაერთიანებამ სარგებლობა მოგვიტანა მით, რომ პარტიულ საქმეებს კარგათ გავეცანით. კონფერენციაზე გაკეთდა მოხსენება ფრაქციის მუშაობის შესახებ. აზრი გაიყო თითქმის შუაზე. გაირჩა აგრეთვე საკითხი კოოპერატივების შესახებ; მიემხრენ ამ საგანზე ც. კ. მიერ გამოტანილ რეზოლიუციებს. დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა მიმდინარე მომენტზე და გლეხთა გამოსვლა თემიდან. მოხსენებიდან გამოიჩქვა, რომ თემიდან (ОБЩИНА) გამოსვლას ცდილობენ მხოლოდ მდიდრები, ღარიბები — არა. დადგენილ იქნა ნუ ურჩევთ თამიდან გამოსვლას, მაგრამ მიეცეთ თავისუფლად მოქმედების უფლება. მუშაობა ქარხანაში მეტად შემცირდა და ციმბირის შეკვეთების შეწყვეტის გამო მუშათა ხელფასი დაეცა, ადმინისტრაცია ყოველმხრივ ავიწროებს მუშებს. ეს იყო გაფიცვის მიზეზი, რაც არ შეწყვეტილა უკანასკნელ დრომდე. გაფიცვას ხელმძღვანელობდა სორმოვოს კომიტეტი, რომელმაც ამ საქმეზე კავშირი გააბა ს. რ. ორგანიზაციასთან. ცეხები სრულიად დაიხურა, რითაც უმუშევართა რიცხვი დიდათ გაიზარდა.



პროფესიონალური კავშირი დაიხურა ჯერ კიდევ ზაფხულში და ცდას მის განსახლებლად ადმინისტრაცია უარყოფით შეხვდა. სორმოვოში დიდი ხანია არსებობს სამომხმარებლო დუქანი, რომელიც მუშების მხრით არავითარი სიმპატიით არ სარგებლობს და ამიტომ მისი საქმეები ცუდათ მიდის.

მუშაობას აფერხებს უთანხმოება — ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის (უკანასკნელნი ორგანიზაციაში სჭარბობენ) განსაკუთრებით გამწვავა კონფლიქტი მესამე რაიონის გადაწყვეტილებამ, რომელიც ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა, რათა დახმარება აღმოეჩინათ ვაზ. „ტრუდ“-ისთვის (ნიჟეგ. ორგან. გამოცემა, ვაზეთი ბოლშევიკურია). აგრეთვე — შეხლა-შემოხლა გამოიწვია ამ ვაზეთის და ამ რაიონის მიერ გამოცემული ფერცლების გავრცელებამ, სადაც არკვევენ — მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს. საქმე გასარჩევად მივიდა ც. კ. და უნდა ვიმედოვნოთ, რომ კონფლიქტი მოგვარებული იქნება. ცოდნის შეძენის წყურვილი მუშებში დიდია. მეცნიერულ საკითხებზე მუშები ძნელად გასაგებ თხზულებებსაც კი კითხულობენ.

კავროვი (ელად. გუბ.). ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ მუშებისაგან შესდგება, დაშორებულია ცენტრს და თავისებური ხასიათისაა. ამ ორგანიზაციაში არ არიან არც ბოლშევიკები, არც მენშევიკები, მაგრამ არსებობს ორი მიმდინარეობა — ძლიერ მებრძოლი და ნაკლებ მებრძოლი. პირველ მიმდინარეობას ეკუთვნის ტრუმოვის ქარხნის მუშათა მცირე ჯგუფი, მეტ წილად მოსული ელემენტი, რომელიც მცირე ხელფასს იღებს. ზომიერ მიმდინარეობისაა რკინის გზის მუშები, რომლებიც შედარებით მეტს იღებენ შრომის ხელფასს და მათ საკუთარი სახლებიც აქვთ სახელოსნოების მახლობლად.

ორგანიზაციის სათავეში სდგას ჯგუფი; თვეში ერთხელ იკრიბება კონფერენცია. კონფერენციის შესახებ მოხსენებებს აკეთებენ პირდაპირ სახელოსნოებში, სხვა კრებები არ ხდება. წინად პროფესიონალური კავშირი არსებობდა ტრუმოვის ქარხანაში, მაგრამ დახურულ იქნა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ. დახურვის შემდეგ გადაწყდა ეთხოვათ გუბერნატორისათვის კავშირის გახსნა. ადგილობრივმა პოლიციამ მოითხოვა, რომ მუშებს თავი დაენებებიათ ასეთი თხოვნისათვის, რადგანაც მათ ანგარიში უნდა გაუწიონ ადგილობრივ ადმინისტრაციას და არა უმაღლეს მთავრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გადასახლებული იქნებოდნენ.

ურალი. მცირედის გამოკლებით ორგანიზაცია ცუდ მდგომარეობაშია, პოლიციის მიერ მიღებული რეპრესიების წყალობით წევრთა რიცხვი ყველგან შემცირდა. უკეთესად არის საქმე ვიატკაში. იქ მაგარი ორგანიზაციაა. ორკვირაში ერთხელ გამოდის ვაზეთი. ინტელიგენტური ძაგების ნაკლებობა არ არის.

მუშაობა სწარმოებს რკინის გზის რაიონის მუშათა და გლეხთა შორის. გლეხთა შორის არის ლტოლვა ფართო დემოკრატიული ორგანიზაციების (პროფკავშირების მსგავსი) სასარგებლოთ. იწყება კომპრატიული მოძრაობა. სწარმოებს ბრძოლა მიწის სივიწროვის გამო და თანამდებობის პირთა არჩევნებში გავლენის მოპოვებისათვის.

უფაში მუშაობა მიმდინარეობს წესიერად. შეკავშირებულ მუშათა რიცხვი არ შემცირებულა. წრეებში თვით მუშები აწარმოებენ მუშაობას. მასსა სათათბიროს უარყოფითად ეპყრობა, სათათბიროსადმი ბოიკოტის ტაქტიკას მასსა განაგრძობს. არსებობს სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც სცემს თავის გაზეთს.

ზლატოუსტი. საქმე კარგად მიდის. საწევრო გადასახადი წესიერად შემოდის. დაიწყო ბრძოლა ზედმეტი მუშაობის მოსპობის და ხელფასის მომატების შესახებ. არის საოლქო ორგანიზაცია.

პერმი. მუშაობის პირობები ძნელია იმ რეპრესიების გამო, რომელიც შემოღებულია „ლბოვცების“ მიერ. ორგანიზაცია თუმცა არსებობს, მაგრამ მუშაობა არ სწარმოებს.

ეკატერინბურგი. ყრილობის წინად შეკავშირებული 1070 მუშიდან ახლა დარჩა 250 კაცი. საწევრო გადასახადი წესიერად არ შემოდის. გამოვიდა გაზეთის ერთი ნომერი. ამასთან დაკავშირებით აღმოჩენილ იქნა სტამბა.

კომიტეტის ქარხანაში ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 500 კაციდან შემცირდა 200-მდე. 7 ათას მუშაზე მოდიოდა 7½ ათასი (?) უმუშევარი. სულიერი განწყობილება დაცემულია, ამასთან ხალხი გაბოროტებულია. ურალის სხვა ადგილებში საქმე უკეთესად ვერ არის. ყველა ამას ემატება მუშების ადგილიდან დათხოვნა, უმუშევრობა....

ვოლგის რაიონი. ვოლგის რაიონის ორგანიზაციებს დაწვრილებით ცნობები აქვს მხოლოდ სამარის შესახებ. შედარებით იქ მდგომარეობა კარგია. ამა წლის დაწყებამდე ორგანიზაცია სუსტი იყო, პროვოკაცია მეტად ძლიერი, რის გამო დაპატიმრება ხშირი იყო.

ამა წლის თებერვალში ქარხნებისა და სახელოსნოების წარმომადგენელთაგან შესდგა კონფერენცია, რომელმაც გამოიმუშავა მუშაობის გეგმა, საორგანიზაციო წესდება და შექმნა საქალაქო კოლექტივი. ეს უკანასკნელი საკმაოდ წარმატებით მუშაობს. სულ მოკლე ხანში დაარსდა 3 რაიონი (ქალაქის, საქარხნო და რკინის გზის). სახელოსნოებში კრებებზე იკრიბება 15-20 კაცი. უფრო ძნელია მუშაობა რკინის გზის სახელოსნოებში, სადაც ფეხ-მომაგრებულია პროვოკაცია და მუშების დათხოვნაც უმნიშვნელო პროტესტისათვის ხდება. პროპაგანდისტების სიმცირე აქაც ემჩნევა. ლეგალური ლექციები არ იმართება, წრეებში ლექციების კითხვაზე კი ინტელიგენტები უარს ამბობენ.



აქ არსებობს ოთხი პროფესიონალური კავშირი: ნოქრების, მე-ლითონეთა, მეზულკეთა და სააღმშენებლო მუშების. უკანასკნელ ხანებში, რეპრესიებისა და გამოცდილი ხელმძღვანელების უყოლობის გამო, მუშები ისეთი ინტერესით არ ეკიდებიან პროფკავშირებს, როგორც წინად. ამას წინად კავშირთა საერთო კრებაზე შემუშავებულ იქნა საზოგადო კოოპერატივის წესდება, რომელიც გაიგზავნა დასამტკიცებლად.

უკანასკნელ დრომდე არსებობდა კარგი ტეხნიკა. პირველი ფურცლის გამოსვლას მუშები ალტაცებით შეხვდნენ. სწორედ ერთი წელიწადია, რაც იქ არავის უნახავს არავითარი პარტიული ლიტერატურა.

სამარაში არსებობს აგრეთვე სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა მეტად წარმატებით, მაგრამ ერთი ამხანაგი — სალდათის გაქცევის შემდეგ, დაიწყო რეპრესიები, მოხდა მასიური ჩხრეკა, ყაზარმიდან გაშვება გააძნელეს და ასე, სალდათებში მუშაობა მეტად გაძნელებულია.

ამიერ-კავკასია. პარტიის კრიზისი შეეხო ამიერ-კავკასიასაც. ლონდონის ყრილობის წინად პარტიაში ირცებოდა 15,670 წევრი. ახლა კი 14,100 წევრია, ე. ი. შემცირდა 10 პროცენტით. ცალკე ორგანიზაციებში ეს შემცირება კიდევ უფრო შესამჩნევია. გასაკუთრებით სოფლის ორგანიზაციებში, ქუთ. გუბერნ. აქაურ სოფლებში ყველგან ჩაყენებულია სტრაჟნიკები და სალდათები, მამასახლისებს ნიშნავს თვით მთავრობა. გამონაკლისს შეადგენს გურია, სადაც ჯერ კიდევ სოფლის საზოგადოებაში დაცულია დემოკრატიული ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები აწარმოებენ ყოველგვარ ეკონომიურ, სასამართლო და სასკოლო საქმეებს და მათ განაჩენებს ემორჩილება სოფლის ხელისუფლება. მაგრამ აქაც წინანდელი, სოც. დემოკრატიული განუსაზღვრელი გავლენა შესუსტდა. უფრო უზრუნველყოფილი ელემენტები პარტიის გავლენას თავს აღწევენ. გაჩნდნენ ქართველი სოციალ-ფედერალისტები და ს. რ., რომელნიც სოც. დემ. კონკურენციას უწევენ. პარტიულ მუშაობას აბრკოლებს ინტელიგენტური ძალების სიმცირე და ლიტერატურის უქონლობა. წინად 5000 მოწინავე წევრი იყო, ახლა 4500 კაცია. ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში თავისი გავლენა იქონია აგრეთვე სამრეწველო კრიზისმა. ასე მაგ., მარგანეცის დამუშავების შემცირებამ შეასუსტა ორგანიზაციის მუშაობა ჭიათურის რაიონში და ფოთში. ამ ადგილებში შეკავშირებულ მუშათა რიცხვი ძალზე შემცირდა. ამიერ-კავკასიის მთავარი ორგანიზაციები — ტფილისისა და ბაქოს, პირიქით. არა თუ შემცირდა წევრთა რაოდენობის მხრით, არამედ — გაიზარდნენ კიდევ.

ტფილისის ორგანიზაციაში ითვლება 4000 წევრი წინანდელის 3032 ნაცვლად. დიდი ქარხნები ტფილისში არაა, მუშაობენ სახელოსნოები და წვრილი წარმოებანი. მაგრამ მუშაობა აქაც გაძნელებულია და მოისმის საყოველთაო ჩივილი პროპაგანდისტების სიმცირეზე. ლეგალური სოც. დემოკრატები მუშაობაზე უარს ამბობენ. სახალხო უნივერსიტეტის გამოყენებაც კი სოც. დემ. სასარგებლოთ შეუძლებელი შეიქნა. სახ. უნივერსიტეტი ქართველი ფედერალისტებისა და დაშნაკუტუტუნის ხელშია. 1907 წლის მაისში ტფილისში ითვლებოდა 28 პროფესიონალური კავშირი 13.000 წევრით, რომელთაც აერთიანებდა ცენტრალური ბიურო. მათი გავლენა მეტად შესამჩნევი იყო: ისინი აქტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ შრომისა და კაპიტალის შორის მომხდარ შეტაკებებში. საქმეში კავშირების ჩარევით ქალაქის თვითმართველობამ გაატარა სახელოსნოებში 8 საათის სამუშაო ნორმა. კავშირების მეტი ნაწილი ამ ჟამად დახურულია და ნახევრად ლეგალურად არსებობენ. კოოპერატიული მოძრაობა ტფილისში არ არის.

ბაქო ერთად ერთი ქალაქია რუსეთში, სადაც შედარებით თავისუფალი პირობებია ორგანიზაციის და პროფკავშირების სამოღვაწეოთ. ნავთის მრეწველობის მნიშვნელობა მთელი რუსეთისათვის დიდია და ყოველი კონფლიქტი ამ დარგში მეტად დიდ ზარალს აყენებს კაპიტალისტებს, ამას გარდა ბაქოში მომხდარი არეულობა გავლენას ახდენს რუსეთის სხვა რაიონებზედაც. ყველაფერი ეს აიძულებს ადმინისტრაციას ფრთხილად იყოს მუშებთან დამოკიდებულებაში. განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობენ ბაქოში პროფესიონალური კავშირები. ისინი ერევიან, მუშათა და მეპატრონეთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მოწესრიგებაში. ბაქოს ცხოვრებაში კი ასეთი უთანხმოება ხშირია. — ნაწილობრივი გაფიცვა არ ცხრება. კავშირის მთავარი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია ნავთის მრეწველბათნ კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე. ეს საკითხი დასმულია გასარჩევად მუშათა ფართო მასებში, რაც საშვალებას იძლევა ფართო აგიტაციის გასაწევად. პროფესიონალური მოძრაობის სათავეში ორი პროფესიონალური კავშირის დგას: ნავთის სამრეწველოების მუშათა კავშირი და მექანიკურ სამუშაოთა. მუშაობის წარმატებას ძლიერ უშლის ხელს ამ ორ კავშირის შორის არსებული უთანხმოება. თუმცა მათი გაერთიანების საკითხი უკვე დასმულია. მაგრამ ჯერ ვერ განხორციელდა; ნავთის სამრეწველოთა მუშები მოითხოვენ სრულ გაერთიანებას, მექანიკურ სამუშაოთა მუშები კი გაერთიანების პირობათ აყენებენ მხარეთა დამოუკიდებლობას. ნაწილობრივად ამ გვარ კამათში დიდ როლს თამაშობს ფრაქციული მიზნები (მექანიკოსთა კავშირი მენშევიკურია, ნავთის სამრეწველოთა



ბოლშევიკურია), მაგრამ საერთოდ ფრაქციული ბრძოლა ხელს არ უშლის კავშირებს აწარმოონ შეთანხმებული მუშაობა მუშათა სერთო ინტერესების სასარგებლოთ.

ასე არ არის საქმე პარტიულ ორგანიზაციაში. აქ ფრაქციულმა ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. უკვე ნახევარი წელიწადია, რაც ბაქოში რასკოლი სუფევს. ორივე ფრაქციის ძალები თითქმის თანასწორია, რის გამო ბრძოლა მათ შორის ცხარე ხასიათს ღებულობს. ზოგჯერ ეს ბრძოლა არასასურველ ხასიათს ღებულობს. უშვებენ ფურცლებს, რომლებიც მიმართულია ერთი ორგანიზაციის მიერ მეორეს წინააღმდეგ, რაც პარტიის პრესტიჟს სახელს უტეხს. ახლა თუმცა არის იმედი, რომ კონფლიქტი მოგვარებული იქნება. გადაწყვეტილია საერთო-საქალაქო კონფერენციის მოწვევა როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების წარმომადგენლებისაგან. ეს კონფერენცია მუდმივი ხელმძღვანელი დაწესებულება იქნება მთელი ბაქოს ორგანიზაციისათვის; ამ კონფერენციამ უნდა აირჩიოს კომიტეტი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად არჩეული იქნება საკანტროლო კომისია, რომელიც შედგენილი იქნება თანასწორი წარმომადგენლობით ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან; ამ კომისიამ თვალყური უნდა ადევნოს არჩევნების წესიერად ჩატარებას. საერთოდ ბაქოს ორგანიზაცია მოქმედებს წარმატებით. ორგანიზაციაში 3000-მდე წევრია.

ამიერ-კავკასიაში, ისე, როგორც სხვა ადგილებში, ემჩნევა პარტიიდან წევრების წასვლა: მიდიან, მეტ წილად, ინტელიგენტები და აგრეთვე უფრო ინტელიგენტი მუშების ნაწილი. ნაწილი მიდის უნივერსიტეტებში სასწავლათ, კურსებზე; ზოგიერთებს, დაეკარგათ რა რწმენა პარტიის ცხოველმყოფელობაში, მიდიან კოოპერატივებში და პროფესიონალურ კავშირებში, ზოგიერთები ჩვეულებრივ „ობივალურ“ ცხოვრებას ეძლევიან. პარტიას შორდებიან აგრეთვე შემთხვევით მიტმასნებული ელემენტები, რომელნიც მას მიემხრენ მოძრაობის გაცხოველების დროს. შორდება აგრეთვე ყოვლად შეუგნებელი მუშათა ნაწილი. პარტიაში რჩება ყოვლად საიმედო პროლეტარები და ზოგიერთი ინტელიგენტი მუშები. მაგრამ მათ შორისაც აღარ არის რწმენა, სიმტკიცე. ბრძოლის წინანდელი გზები უარყოფილია; ახალი — ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მეხუთე საოლქო ყრილობამ, რომელიც თებერვალში შესდგა, მიიღო რეზოლიუცია, სადაც მოცემულია მომენტის შეფასება და გათვალისწინებულია მოღვაწეობის გეგმა შეცვლილი პოლიტიკური პირობების მიხედვით. სომხურ სოც. დემოკრატიასთან გაერთიანება ჯერ არ მომხდარა. შესაძლებელია, ბაქოში მომუშავე მოწინააღმდეგე ფრაქციების გაერთიანებამ ხელი შეუწყოს

სომხურ სოც. დემ გაერთიანებას. ბაქოს სომხ. სოც. დემ. ორგანიზაცია მრავალ-რიცხოვანია.

სამხრეთი.

იურიევი. (აპრილში გამოგზავნილი კორესპონდენცია კოოპერატიული მოძრაობა) მომხმარებელ საზოგადოებათ რამდენიმე ასი ათასი მანეთის თანხა აქვთ. წმინდა ბურჟუაზიული სახე აქვს. საზოგადოების გამგეობაში შედიან: ხელოსნები, კანტორის მოხელენი, უფროსები. მოგება ნაწილდება პაების რიცხვის მიხედვით. საქონელი ბაზრის ფასებზე ნაკლებათ არ იყიდება. არავითარი მისწრაფება გადახალისებისადმი არ ყოფილა. ზოგიერთი ამხანაგების სურვილი იყო გაეხსნათ მეორე კოოპერატივი დამოკრატულ საფუძველზე, გამომუშავებულ იქნა წესდება, მაგრამ გამოცდილი პირების უყოლობის გამო საქმე ვერ მოგვარდა.

პროფკავშირი დაარსდა 1906 წ. 28 ივლისს. ერთბაშად ჩაეწერა 300 კაცი. კავშირის დაარსებას ხელი შეუწყო ადგილობრივმა სოც. დემოკრატამ, მაგრამ გავლენა თვის სასარგებლოთ ვერ დაიმკვიდრა. კავშირი ვერ იყო დაარსებული სწორ საფუძველზე. რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყეს სესხის გაცემა, შექმნეს შემრიგებელი კამერა და სხ. სესხმა ბევრი წევრი მიიზიდა (ქარხანაში მომუშავე 5000 კაციდან წევრებათ ჩაეწერა ნახევარი). საწევრო გადასახადს უჭერდა ქარხნის კანტორა. აწყობენ სპექტაკლებს, მოეწყო სცენის მოყვარეთა წრე. ამ უმად კასიდან გაცემულია სესხად 1000 მანეთზე მეტი. 1906 წლის გასულს გამგეობაში შევიდა რამდენიმე ამხანაგი. ისინი შეეცადენ სესხის გაცემის შეწყვეტას და სალამოს კურსების მოწყობას. დაიწყო დევნა შევიწროება. სოც. დემოკრატები დააპატიმრეს და გადაასახლეს. ადმინისტრაციამ დაუწყო შევიწროება კავშირის წევრებს, ამიტომ კავშირი ნახევრად დაინგრა. ამას ხელი შეუწყო ხორცის დუქნის უხეიროთ წარმოებამ. იმ თანხიდან, რომელიც 9 ათას მანეთს შეადგენდა, ამ დუქანზე დაიხარჯა 5-6 ათასი მანეთი. ხორცი იყიდებოდა 1 კაპ. უფრო იაფად, ვიდრე ბაზარზე. ყოველთვიურად ზარალობდა. ამ უმად გამგეობაში უმრავლესობა თუმცა პარტიული ამხანაგები არიან, მაგრამ მუშები მაინც უნდობლად უტკერიან გამგეობას, ბრალს სდებენ თაღლითობაში. მუშების მეორე ნაწილი კავშირიდან გამოდიოდა იმის გამო, რომ მათ ადმინისტრაცია ავიწროებდა, და ბოლოს უფრო შეგნებულნი უკმაყოფილონი არიან იმიტომ, რომ კავშირი არ არის მებრძოლი. მიუხედავად მიღებული ნებართვისა სალამოს კურსები არ გახსნილა. ქარხნის დირექტორი შ. შენობას არ იძლევა. მოსამსახურე მასწავლებლები კი უარს ამბობენ.

ემინიათ რა ადმინისტრაციის. ქარხნის გარეშე მასწავლებლებისა და ბინის შოვნა ძნელია.

პარტიული მუშაობა 1907 წლის ივლისის 28-ს მომხდარი დაპატიმრების შემდეგ დროებით შეწყდა. ნახევარზე მეტი დაპატიმრებულ იქნა და გადასახლებული, ეკონომიური რეპრესიების განახლების-თანავე ქარხანაში მუშაობა იწყო პარტიულმა „იაჩიკამ“. გამოიცა ფურცლები (დაბეჭდვა კერძო სტამბაში 20-22 მან. 1000 ცალისა) ამ უამად ტეხნიკის საქმე მოგვარებულია. ძლიერი მისწრაფებაა თვით-განვითარებისადმი. მაგრამ მუშაკების უყოლობის გამო ეს საქმე გადადებულია. იურიევის ორგანიზაცია ცდილობს მუშაობის განახლებას ახლო მდებარე მალაროებში. კავშირი ზოგიერთ მალაროებთან აღდგენილია. მემალაროენი ფურცლებს ხალისით კითხულობენ. მეტად აფარხებს მუშაობას შორე მანძილი და კომიტეტის შემადგენლობა ისეთი ამხანაგებისაგან, რომელთა არსებობა დამოკიდებულია „გუთნისა და თოხის“ შემოსავლისაგან.

კიევი (აპრილის კორესპონდენცია). პროფმოდრაობა. წარსული წლის გასულს დაიბადა აზრი რკინის გზის სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე განეახლებიათ მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ერთი წლის წინად და კიდევ უფრო ადრე. ადესასთან კავშირის დაქერის შემდეგ დაარსებულ იქნა სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის ბიურო. რკინის გზის ხაზზე მუშაობა იოლი საქმე არ არის. ამას ხელს უშლის ჯერ ერთი პოლიციური პირობები და მეორეც ის, რომ მუშაობა დიდი ხანია არ ყოფილა და წინად არსებული ყველა ორგანიზაციები დაშლილი აღმოჩნდა. საქმე მხოლოდ იწყება. ძნელი იყო ტეხნიკური აპარატის მოწყობა. ეხლა კი სამხ.-დასავლ. რკინის გზის ბიუროებთან კავშირი აღდგენილია. გამოცემულია 5 ფურცელი. ამ დღეებში გამოდის პირველი ნომერი გაზეთ „რკინის გზის პროლეტარი“. გვაქვს საკუთარი სტამბა. ფული ცოტაა. შეუდექით რკ. გზის პროფ. კავშირის მოწყობას.

სამხრეთიდან მიღებული ცნობები აღნიშნავენ, რომ მუშებში ინტერესი პარტიისადმი იზრდება. ასეა მაგ., ბახმუტის საკვანძო ორგანიზაციებში, კონოტოპის რკინის გზ. მსხვილ სახელოსნოებში. სადაც მუშათა საკმაო რიცხვი მოიპოვება. წარსულ წელს პარტიული მუშაობა აქ არ სწარმოებდა. ახლა მოითხოვენ ს. დ. ლიტერატურას. ცდილობენ კავშირის აღდგენას და სხ.

კიევში მოიპოვებიან მუშაობის მსურველი სოც. დამოკრატები. არის ფულიც. კიევის კომიტეტმა (4 მენშევიკი, 1 ბოლშევიკი) მიიღო რეზოლიუცია ც. კ. ხაზით პროფესიონალური მუშაობის შესახებ. მაგრამ მუშაობა მაინც ვერ მოეწყო. რადგანაც პროფესიონალურ

ქოქაობასთან გაცნობილი ამხანაგები და პროპაგანდისტები არ მოიპოვებინან.

მოეწყო სამხერთ-დასავლეთის რკინის გზის ბიურო (დამოუკიდებელი ორგანიზაცია) მომუშავენი ენერგიული ამხანაგებია, მაგრამ მათთვის საჭიროა ხელმძღვანელები, მით უმეტეს, რომ ისინი აპირებენ გაზეთის გამოცემას. ბევრია ხელოსნები — მენშევიკები. ადესაში გამოვიდა გაზ. „ადეს. მუშ.“ № 1.

ხარკოვი. კომიტეტი არსებობს. დანიშნულია დამატებითი არჩევნები (თებერვალი, მარტი). დაწერილი იყო 2 ფურცელი 9 იანვარზე და 22 ნოემბერზე. ძლიერია ფრაქციული უთანხმოება. ძველი მუშები არ მუშაობენ. ბოლშევიკებმა ორჯერ მოაწყვეს ტეხნიკა, მაგრამ ის აღმოჩენილ იქნა პოლიციის მიერ.

ხარკოვს, როგორც ცენტრს, აქვს მნიშვნელობა. პოლიციური პირობები ხელსაყრელია. არსებობს იქ წრე. არის ორთქლმავალის საშენებელი დიდი ქარხნები და სახელოსნოები. ლონდონის ყრილობამდე შეკავშირებული იყო 727 კაცი, ახლა — 150 წევრია. არსებობს პროფესიონალური კავშირი მკერვალთა, მბეჭდავთა, (ძველი ურთიერთ დამხმარე საზოგადოება არსებობს 10 წელია აქვს ძველი წესდება ახალი გამომუშავეებული არ არის. ძველი შერეული ხასიათის საზოგადოება).

სოც. დემოკრატები პროფესიონალურ კავშირში არ მუშაობენ თუმცა ადვილათ შეეძლოთ გასულიყვენენ მდივნებათ. კოოპ „ტრუდ“ იხრწნება.

ეკატერინოსლავი. ორგანიზაცია დაშლილია (თებერვალი, მარტი). არსებობს დროებითი კოლექტივები. რაიონული კომიტეტი არჩეული იქნება წრეების მიერ (წრე. 10 კაცისაგან შემდგარი, ირჩევს 1 წარმომადგენელს).

რაიონული კომიტეტი ირჩევს ქალაქის კომიტეტს, რომელსაც აქვს კოოპტაციის უფლება.

ქალაქში ბევრია ხელოსნები. ქალაქში 50.000 მუშაა. ბევრია უმუშევრები (ბელგიის, მალცევის, ნიჟნე-დნეპროვის ქარხნები). მუშებს აინტერესებს კოოპერატიული და პროფესიონალური მოძრაობა; აინტერესებთ აგრეთვე რელიგიური და ფილოსოფიური საკითხები. საჭიროა ინტელიგენტები. ლუგანსკი, სადაც 60.000 მუშაა. არ მოიპოვება მუშაკები. ორგანიზაციას შეუძლია მუშაკის ნივთიერად უზრუნველყოფა.

აგზ. იაკინთა მაღრაძის ხსოვნას

იაკინთე ერთი საწყალი ლელენელი (შორაპნის მაზრის) გლეხის შვილი იყო. ის ზესტაფონის ორკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა იმ ქამად გორში არსებულ საოსტატო სემინარიაში, სადაც ფარულად თავმოყრილი ვიყავით ადგილობრივი არალეგალუ-წავლებლად.

იაკინთეს მე გავეცანი 1903 წელს ქ. გორში ერთ კრებაზე და სადაც ფარულად თავმოყრილი ვიყავით ადგილობრივი არალეგალური მომუშავენი. ის, ეტყობოდა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო მარქსისტულ გზაზე, მაგრამ მისი გლეხის სიყვარულით აღვსილი გული გვარწმუნებდა, რომ იგი ჩვენთან უნდა ყოფილიყო.

მას იმ ქამად ნაროდნიკული აზრები უფრო მეტი ჰქონდა შეთვისებული, ვიდრე მარქსისტული. ჩვენ გადავწყვიტეთ იაკინთეს დაახლოვება და რევოლუციონურ საქმიანობაში ჩარევა. იაკინთემ საბოლოოდ უარყო ნაროდნიკული გზა და დაეწაფა მარქსიზმს და შემდეგ გადაჭრით მიემხრო ბოლშევიზმს, და მუშაობდა გორის მაზრაში, რუისში.

იაკინთეს ერთ წამსაც აღარ გადაუხვევია შემდეგ ბოლშევიკურ ტაქტიკისათვის. ის მუდამ მოწინავე ამხანაგთა რიგებში იყო, მათ ჭირ-ვარამს ერთგულად იზიარებდა. მალე იაკინთე ოჯახურ მდგომარეობით იძულებული, ამხანაგების თანხმობით, სტოვებს გორის მაზრას და გადადის მოლითის სკოლაში. იქავე ეწევა განათლების საქმესთან ერთად პარტიულ მუშაობას. აქ მან მალე შექმნა წითელი რაზმები და მოაწყო მოლითის ბოლშევიკური ქვე-რაიონული კომიტეტი, რომელიც ხორაგოულის რაიონულ კომიტეტთან იყო დაკავშირებული.

იაკინთე ხორაგოულის რაიონის კომიტეტის წევრი იყო და ითვლებოდა ერთ თვალსაჩინო მომუშავეთ.

დიდხანს ვერ იცოცხლა იაკინთემ. ის მოულოდნელად ხელიდან გამოგვაცალა შავი ბრბოს მიერ გამოსროლილმა ტყვიამ.

იაკინთეს მოკვლის ამბავი ასე მოხდა:

1905 წ. 25 აგვისტოს იაკინთე მარელისში მიაწყდა ერთ მეტად საეჭვო შეიარაღებულ ჯგუფს. გლეხებმა მიმართეს იაკინთეს შველისათვის, რომ უკანასკნელნი განეიარაღებინათ და მით თავიდან აეცილებინათ რაიმე ცუდი შემთხვევა. იაკინთე, მუდამ გლეხის ჩივილის

ყურადმღებელი, თამამად მიდის ბრბოს ერთ წევრთან და ეკითხება ვინაობას. იაკინთე ატყვევებს უიარალოთ ბოროტ-გამზრახველს, მაგრამ ამავე დროს ერთმა იმათგანმა ესროლა იაკინთეს და იქვე გამოასალმა სიცოცხლეს.

შეინძრა მთელი რაიონი, ყველას საშინელი მწუხარების დაღი დააჩნდა. ყველამ იგრძნო, რომ რაიონს დააკლდა ერთი საუკეთესო მოქირნახულეთაგანი და პარტიას კი — თავდადებული მებრძოლი.

ხარაგაულის ორგანიზაციას თავის წარსულში ნაკლებათ მოაგონდება ისეთი დღე, გარდა 1905 წ. დეკემბრის დღეებში შეიარაღებულ აჯანყებისა, როგორც იყო იაკინთეს დასაფლავების დღე. 36 გვირგვინი, 15-რაიონული და სხვადასხვა ორგანიზაციის წითელი დროშები, 5.000 კაცი თავმოყრილი მებრძოლის საფლავზე და დაუთავებელი სიტყვები, მკაცრ რეაქციის ხანაში, იყო საჩუქარი დაობლებულ ბოლშევიკურ რიგებისათვის და უტყუარი თავდები მომავალი სრული გამარჯვებისა.

გ. ელისაბედაშვილი

რეზიუმე არუთიუნისა და ბარსეგ ბაბაიანის

ამხ. რ. არუთიუნისა დაიბადა 1888 წელს ალექსანდროპოლის (ლენინიკანი) მაზრის ს. პატარა კარაკლისში. ის ხელობით იყო დურგალი. 1919 წლიდან ის ებმება პარტიულ მუშაობაში ალექსანდროპოლის ორგანიზაციაში. იმ დროს იქ მილიციის უფროსად იყო ნაღბანდიანი, რომლის განკარგულებითაც დაპატიმრებულ იქნენ ამხ. არუთიუნისა და ბაბაიანის და რამდენიმე ხნის შემდეგ გაძევებულ იქნენ სომხეთის საზღვრებიდან. ამხ. არუთიუნისა და ბაბაიანის ჩამოდიან ტფილისში და აქ განაგრძობენ პარტიულ მუშაობას 1920 წლის მაისის 2-მდე, როცა პარტიის მიერ მოწყობილი იყო საიუნკრო სასწავლებელზე თავდასხმა. ამ თავდასხმაში სხვათა შორის მონაწილეობდენ ამხ. არუთიუნისა და ბარსეგ ბაბაიანის, რომელნიც შეპყრობილ იქნენ და დახვრეტილნი მენშევიკური მთავრობის მიერ.

ვასო შინას-ძე ხუციშვილი

ვასილ შინას-ძე ხუციშვილი დაიბადა ს. იწაში, რაჭის მაზრა, ამბროლაურის თემი, 1887 წ. 3 მარტს. შვიდი წლის იყო ვასო, რომ ის მშობლებმა შეიყვანეს ამბროლაურის ორკლასიან სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1898 წ. შემდეგ ის გადავიდა ტფილისის საქალაქო სასწავლებელში, სადაც დაჰყო ორი წელი, რის შემდეგაც იძულებული იყო სიღარიბის გამო სწავლისთვის თავი დაენებებია და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით ტფილისის ერთ-ერთ სტამბაში შესულიყო ასოთ-ამწყობად.

ჯერ კიდევ ვასო სტამბის შეგირდი იყო, რომ ის მოწინავე ამხანაგებთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში. მას ყველა ნდობით ეპყრობოდა, ისიც წვრილმან დავალებებს გულმოდგინეთ ასრულებდა. შეგირდობის დროს რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა დემონსტრაციაში. 1903 წლის დემონსტრაციაში, 23 თებერვალს, ერევნის მოედანზე ის პირველ რიგში იყო, როდესაც პოლიციამ და ყაზახებმა დემონსტრანტები გაჰფანტეს, ვასო ხუციშვილი ჩემთან ერთად საშინლად ნაცემი მე-14 საპოლიციო ნაწილში მიიყვანეს, და სხვა ამხანაგებთან ერთად ერთ ბნელ და ნესტიან საკანში შეგვეყარეს, საიდანაც ის შემდეგ გადაიყვანეს მეტეხის ციხეში. რამდენიმე თვის შემდეგ ვასო გაანთავისუფლეს ციხიდან, სადაც ის უფრო დაახლოვებით გაეცნო რევოლიუციონურ მოძრაობას. ამის შემდეგ ვასო ერთი მოწინავე რევოლიუციონერი მუშა იყო ტფილისის სტამბის მუშებში.

1905 წელში ვასო ამხანაგების რჩევით გაგზავნილ იქნა რ. ს.-დ. მ. პ. ცეკა-ს ბოლშევიკურ საიდუმლო სტამბაში ბაქოში და მუშაობდა აქ აბელ ენუქიძესთან, მაკარი გოგუაძესთან, ვანო სტურუასთან, ვანო ბოლქვაძესთან და სხვებთან ამ სტამბის ლიკვიდაციამდე, როდესაც 1905 წლის რევოლიუციამ დროებით თვითმპყრობელობას გამოჰკლიჯა სიტყვის თავისუფლება და იმ ხანებში შესაძლებელი გახდა მოკლე ვადით რევოლიუციონური ფურცლების და გაზეთების ბეჭდვა აშკარად ეწარმოებიათ რევოლ. ორგანიზაციებს.

როდესაც ბრძოლა გამწვავდა და რეაქციამ იგრძნო ძალა, ამ ხანებში ბაქოში შავრაზმელებმა მოჰკლეს ამხ. მონტინი; ის დიდი პატივით ბაქოს მუშებმა ტფილისში ჩამოასვენეს; სხვა დელეგატებთან ერთად ამხ. მონტინის გვამს ტფილისამდე გამოჰყვა ბაქოს ცეკა-ს საი-

დუმლო სტამბაში მომუშავენი ამხ. მაკარი გოგუაძე და ვასო ხუცი-
შვილი. დასაფლავების შემდეგ ვასო მივიდა მთაწმინდაში წურინოვის
სახლებში ამხანაგებთან და ბინად იქ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ წურინოვის სახლის წინ ვილაცას მიერ მოკ-
ლულ იქნა „გოროდოვოი“, რის გამოც მთელ ამ სახლში მყოფ ამხა-
ნაგებს პოლიციამ და ყაზახებმა ალყა შემოარტყა, რომ დაეპატიმრე-
ბინა ყველა იქ მყოფი ამხანაგები, ვინაიდან ექვი მკვლელობაში აქ-
ტუბოვრებ ამხანაგებზე მიიტანა ჟანდარმერიამ.

ეს იყო რეაქციის აღვირახსნილი ფარფაშისა და დაუნდობელი
ხოცვა-ჟლეტის ხანა. ვინაიდან ვასო ხუციშვილი შემჩნეული იყო დი-
დი ხნის წინადაც რევოლიუციონურ მოძრაობაში, და იცოდა რა,
რომ მას ჟანდარმები არ დაინდობდნენ. მან განიზრახა ფანჯრიდან
გადახტომა, რომ ჯალათებს ხელში არ ჩავარდნოდა... მან ამ მიზნით
ფანჯრიდან ისკუპა, მაგრამ მეფის ჯალათმა მას ხიშტი შეუშვირა
და მასზე წამოაგო ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი ვასო... დაიღუპა
ამხ. ვასო 1905 წლის რევოლიუციის დროს მთაწმინდაში. წურინო-
ვის სახლებს კი მთავრობამ ცეცხლი წაუკიდა და დასწვა.

უშანგი (ყარამან) ჯაში.

სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის ინსტრუქციადან

გენ. ალიხანოვის წერილი.

(საქ. რევოლ. მუზეუმის მასალებიდან).

ქვემოლ მოთავსებული წერილი — ეს არის ოფიციალური მოხსენება ჩვენში კარგად ცნობილი ჯალათის გენ. ალიხანოვისა. აქ გენ. ალიხანოვი იმართლებს რა თავს უმაღლესი მთავრობის წინაშე იმაში, რომ ის სომხების წინააღმდეგ არ მიმხრობია თათრებს, რომ მას არ დაუწიოკებია სომხობა, ამავ დროს რამდენიმეთ ფარდას ხდის, რასაკვირველია, თავისდაუნებურად, მთავრობისა და ორივე ერის გაბატონებული კლასების პროვოკაციულ, მხეცურ მოქმედებას სომეხ-თათართა მშრომელი ხალხის ურთი-ერთი ხოცვა-ჟლეტის საქმეში. რედაქცია ბეჭდავს ამ წერილის თარგმანს, როგორც იმ დროის (სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის) თვითმპყრობელი მთავრობის ერთს პროვოკაციულ საყურადღებო დოკუმენტთაგანს.

„მოკლე შენიშვნა საქმეთა ვითარების შესახებ ნახიჩევანის, შარურისა და ზანგეზურის მაზრებში.“

29 ივლისი, 1905 წ. ტფილისი.

გაგზავნილი ვიყავი რა სასწრაფოთ ნახიჩევანის მაზრაში, რომელსაც ჩქარა შეუერთდა, აგრეთვე ჩემს განკარგულებაში, შარურის და ზანგეზურის მაზრები, ჩემთვის არ მოუციათ სამოქმედო განსაკუთრებული ინსტრუქცია. მაგრამ ჩემი უფლება-მოავლეობანი გამომდინარეობდენ მოწერილობის სიტყვებიდან — „იქ მომხდარ არეულობათა ჩასაქრობათ“. მაშასადამე, ისე, როგორც ქუთაისის გუბერნიის მაზრებში, მე ვინიშნებოდი გაგზავნილი ჯარების უტროსად ჩემდამი რწმუნებულ რაიონში გუბერნატორის უფლებებით, რის შესახებაც შევეუთანხმდი ადგილობრივ გუბერნატორს გრაფ ტიზენ-გაუზენს.

მესმორდა რა ასე თავისი მისია, ნახიჩევანში მისვლისთანავე მცხოვრებთ მივმართე ასეთი მოწოდებით: „იმ სამწუხარო შეტაკე-



ბათა გამო, რომელიც მოხდა ნახიჩევანის მაზრის სომეხ და თათარ-მოსახლეობათა შორის, მისი უდიდებულესობის მოადგილემ კავკასიაში გენ.-ადიუტ. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა ინება დაკისრება ჩემთვის მივიღო ზომები მშვიდობიანობისა და კანონიერი წესრიგის აღსადგენათ, ამიტომ მოვუწოდებ ქ ნახიჩევანისა და მისი მაზრის სომეხებსა და თათრებს ბოლო მოუღონ ყოველგვარ უკანონო მოქმედებას, აღადგინონ მყუდრო, მეზობლური დამოკიდებულება, რაიც ძველთაგან არსებობდა ამ ორ ტომს შორის; დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში და ხელი მიჰყონ მშვიდობიან შრომას, პატრონთ დაუბრუნონ არეულობის დროს უკანონოთ გატაცებული ქონება და სათანადო დახმარება აღმოუჩინონ ხელისუფლებას წარსულ არეულობათა გამომწვევი პირების და დამნაშავეთა აღმოჩენაში. ამ მიმართულებით მე სრულ დახმარებას აღმოვუჩინ ჯარს და ყოველგვარი თვითნებობისა და უკანონობის წინააღმდეგ მივმართავ სასტიკ ზომებს. წარმოუდგენელი ბედნიერება იქნება ჩამთვის, უკეთუ მცხოვრებთა კეთილ-გონიერება დამიხსნის მე სასტიკი ზომების ხმარების აუცილებლობისაგან“ და სხ.

რომ ზემო ნათქვამი ცარიელი სიტყვები არ ყოფილა, ეს მე დამტკიცე მაშინ, როცა თავდასხმა მოხდა ხანუხლარზე, სადაც ჩვენი სროლის შემდეგ მათივე (სომეხების) სიტყვით მკვდარი აღმოჩნდა არა ნაკლებ 200 თათრისა. რაზედაც სომხურ პრესას კრინტიც არ დაუძრავს.

შემდეგ გავეცანი რა მდგომარეობას მაზრებში. დავრწმუნდი, რომ სომხები თავიანთი კომიტეტების და აგრეთვე სამღვდლოების ხელმძღვანელობით, უეჭველად აწარმოებენ პოლიტიკურ მუშაობას. საეკლესიო ქონებათა ჩამორთმევის შემდეგ სომხებმა ხელი მიჰყვეს ახალ სისტემის იარაღის შეძენას. იარაღი მათ შემოაქვეთ საიდუმლოთ სპარსეთით და ოსმალეთით და სოფლებში მალავენ. ეს საქმე იმდენათ წარმატებით მიმდინარეობს, რომ საიდუმლო აგენტების (აგენტები თვით სომხებივეა) თქმით არ მოიპოვება სოფელი, სადაც არ იყოს რამდენიმე ყუმბარა, რამდენიმე ათეული ახალი სისტემის თოფი და აუარებელი ვაზნა. არ მოიპოვება ისეთი სომეხი, რომელსაც არ მოეპოვებოდეს რევოლვერი და არ არის ისეთი სახლი, სადაც არ იყოს რამდენიმე ათეული პროკლამაცია და არალეგალური გამოცემანი.

მუსულმან მოსახლეობის ნაწილმა იცის ყველაფერი ეს და მეტად შეშფოთებულია, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ თუმცა იარაღი მასაც აქვს, მაგრამ ის ძველის-ძველია. როგორც კონსერვატორნი და მთავრობის მომხრენი, მუსულმანები ამაში (იარაღის შეძენაში) ხელს უშლიან სომეხებს, ამიტომაც, რომ სომხები ყოველის საშუალებით ცდი-

ლობენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა სრულიად გაჩანაგებას ნივთიერათ და გაბიაბრუებას მორალურად. ამ მიზნით, თავიანთ არქიმანდრიტების ხელმძღვანელობით სომხებმა ნახიჩევანში მოაწყვეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის სპეციალური დანიშნულებაა, სხვათა შორის, გაავრცელოს სატანტო ქალაქის ზოგიერთ მოსყიდულ გაზეთებში ტენდენციური—ყალბი ცნობები მუსულმანების შესახებ, თითქოს მათში ფეხ-მოკიდებული იყო პანისლამიზმი და თათრის ხანები ავტონომიისადმი მიისწრაფოდენ... შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქიშერა არც ერთს მუსულმანს თავში არ მოსვლია... მართალია, სომეხთა მისწრაფებების გამო, მუსულმანთა მოთხოვნა არ მიდის იმას იქით, რომ აფრთხილებს ერთმორწმუნეთ. რათა ისინი მზად იყვნენ და შემეჭიდროდნენ საკადრის პასუხის და შურისძიებისათვის. უკეთეს სომხები მათ თავს დაესხმიან. ინტერესს მოკლებული არაა თათრების პროგრამა, გატარებული, „მუსულმანთა რელიგიური ძმობის პასუხში სომეხთა რევოლიუციონური კომიტეტის მოწოდებაზე“, რომლის ერთს ცალს აქვე ვარდენ.

თავდაპირველად, როგორც მოგახსენეთ, ამას წინად მტრულად განწყობილი ტომების დამშვიდება ისეთი წარმატებით მიდიოდა, რომ ვფიქრობდი მათს სრულ მორგებას ახლო მომავალში. მივისწრაფოდა ამ იმედის ხორც-შესასხმელად. ვცდილობდი როგორც კი შემეძლო დამეცვა სრული სამართლიანობა და მომეპოვებია ნდობა, რომ ჩემი მუშაობა იყო მიუკერძოვებელი. ამ მხრით მე თავს ნება მივეცი ზოგიერთი უკანონო მოქმედება ჩამედინა სომხების სასარგებლოთ, რათა მათ საბუთი არ ჰქონდათ იმისი, რომ ჩემში დაენახათ მხოლოდ მუსულმანი, რომელსაც შეეძლო თავის ერთმორწმუნეთა მხარეზე გადასვლა. ასე, სომეხთა მითითებით მე საპყრობილეში ჩავსვი მუსულმანთა 40 მამასახლისი და სხვა გავლენიანი პირები, რომელთაც ბრალდებოდნენ მომხდარ არეულობებში მონაწილეობა ან მისი გამოწვევა. მუსულმანთა მიერ ნაჩვენები დამნაშავე სომხებისთვის კი თითქმის ხელი არ მიხლია — დავაპატიმრე მხოლოდ 4 კაცი. სომეხთა სოფლების დასაცავად გავგზავნე სამხედრო რაზმები 15-20 კაცისაგან შემდგარი, თათართა სოფლებისათვის კი არც ერთი ჯარისკაცი არ მიმცია. ასეთმა დამოკლებულებამაც კი სომხებისადმი ერთი წამითაც არ შეაჩერა მათი ბელადები გავერცელებით პრესაში ყალბი ცნობები. იმ დროს, როცა თათრებს ჩამოვართვი რამდენიმე ათეული თოფი, სომხებისთვის კი — არც ერთი, გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, თითქოს მე ვანავიარაღე სომხები... სომხები დაჟინებით იცავენ ორს შემდეგს პირნციპს: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და „ვინც ჩვენთან არ არის. ის ჩვენი წინააღმდეგა“. საშუალებათ მათ აირჩიეს ტერო-

რი, მიზანი მათი კი უეჭველად მდგომარეობს იმაში, რომ არსებული წყობილების ნანგრევებზე შექმნან რაღაც თავისი. ეინც მათ არ თანაუგრძნობს, იმათ წინააღმდეგ მიმართავენ ტერორს, რასაც გასავალი აქვს. ასე, მაგ., მაზრაში ყველა მოსამსახურეთ დაუგზავნეს მუქარის წერილები, — რომ მოკლული იქნებიან. უკეთუ გაბედავენ სომხების საზარალოდ ხმის ამოღებას. და ასეთი საშვალეებით თავიანთ მხარეზე ბევრი გადაიბირეს და მათ შორის მაზრის უცროსი ენკელი.

სომხების მეთაურთა შორის ყველაზე გამოჩენილია თავისი შეუპოვრობით არქიმანდრიტი კარაპეტი, რომელიც საშინლად აღიზიანებს თათრებს. ეუბნება მათ ხმამაღლა, როცა კი შემთხვევას იპოვის, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ისინი გაქლეტილი იქნებიან სრულიად...

სხვათა შორის, იმ დროს, როცა ნახიჩევანის ჯარი უტევდა, კარაპეტმა მრავალი საპატიო თათართა თანდასწრებით ხმა-მაღლა განუცხადა ბათალიონის უფროსს, რომ მისი „წმინდა ვალია ხელი შეუწყოს ჯვარის გამარჯვებას მთავარზე“ — რაზედაც პოლკოვნიკ სკლიარევსკისაგან პასუხად მიიღო: „არავითარი საქმე მე არც ჯვართან და არც მთვარესთან არა მაქვს. მე გამოგზავნილი ვარ აქ რათა დავიცვა ხელმწიფე იმპერატორის ყველა ერთგული ქვეშევრდომი.“-ო.

წაქეზებისა და მუქარის გზით ტერორისტები ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ ზომებს, რომლებიც კი ნახმარი იქნება დასაწყენარებლათ. სომხური პრესის მოღვაწეობას და აგრეთვე სხვადასხვა არქიმანდრიტთა შუამდგომლობათ მთავრობის წინაშე თითქოს მიზნად აქვთ დაწყენარება, ნამდვილათ კი ამით სცდილობენ ჩამოიშორონ მათთვის არასასურველი პირები. ეხლა უკვე აღარ არის საეჭვო, რომ სომეხთა მოძრაობის მეთაურებმა მოაწყვეს უეცარი თავდასხმა თათრებზე ერევანში, კამარლიუში და იტკრანში იმიტომ, რომ მტრობა ის იყო მიწყენარდა და საერთო დამშვიდების საქმეც კარგათ მიდიოდა. ამ თავდასხმით აგიტატორებმა რამდენიმეთ მიზანს მიაღწიეს, რადგანაც თათრები არ დაივიწყებენ ამ უღეტას, განსაკუთრებით იტკრანში მომხდარს. სომხების მხეცობამ ამ პატარა თათრის სოფელში გადააჭარბა ყველაფერს, რაც კი ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს. მოკლული აღმოჩნდა ქალი. კაცი და ბავშვები — 50; მაგრამ ეს იყო მკვლელთაგან, როცა მაგ., ძუძუ-მწოვარ თავგაქეპცილ ბავშს დედის გაფატრულ მუცელში სდებენ. ეს ფაქტია. ამას გარდა ზოგიერთი ქალები თან წაიყვანეს სომხებმა, რამაც მეტად აღაშფოთა თათრები. მაზრის უფროსის ენკელის სახე-ამ შემთხვევაში საცხებით გამოაშკარავდა. ისარგებლა რა ჩემი იქ არ ყოფნით, სურდა არაფერი ეთქვა იტკრანში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ამის შესახებ მოხ-

სენება წარმოადგინა 8 დღის შემდეგ, როცა რამდენიმეჯერ დაბეჯითებით ვუბრძანე მოხსენება წარმოედგინა; ადგილობრივი საქმის გამოსაძიებლათ გაგზავნილმა ენკელმა არავითარი ზომები არ მიიღო დაშნაკელთა აღმოსაჩენათ, არ დააპატიმრა არც ერთი სომეხი. თათრებს არა ერთხელ შემოუტანიათ საჩივარი მასზე, ცუდათ ახასიათებდენ მას, ინტელიგენტი პირები კი დასძენდენ, რომ 12 მაისს ნახიჩევანში მომხდარი „პოგრომის“ გამომწვევი ენკელია, რადგანაც სამი დღით ადრე გავიგონეთ მისგან, რომ პოგრომია მოსალოდნელიო. მას კი არავითარი საწინააღმდეგო ზომები არ მიუღია. თვით არეულობის დღეს მის განკარგულებაში იყო შეიარაღებული სტრაჟნიკები, სრული შესაძლებლობა ჰქონდა არეულობა ჩაეჭრო დასაწყისშივე, მაგრამ მან ეს არ ინება. თათრები სჩივოდენ ენკელის მიერ შემოღებული გაროზგვის შესახებ. „უკეთუ ჩვენ დამნაშავენი ვართ, დე, მოგვკლან, მაგრამ ნუ გვროზგავენ ჩვენი ოჯახებისა და ხალხის წინაშე, ნუ გვარცხვენენო“. ამის გამო დავიბარე მაზრის უფროსი და აუკრძალე მას მუსულმანთა გაროზგვა, მიუთითე რა, სხვათა შორის, უმაღლეს ბრძანებაზე გაროზგვის მოსპობის შესახებ.

ამის შემდეგ ხმები გავრცელდა, რომ ნახიჩევანში მოდის ახლად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი პრინცი ნაპოლეონი. ეს ამბავი გამეხარდა, რადგანაც ეჭვი არ შემდიოდა იმაში, რომ სომეხების წინააღმდეგ საძნელო ბრძოლაში მისი მხრით ვპოვებდი დახმარებას, ისე, როგორც დახმარებას მიწევდა არეულობის ჩაქრობაში თავ, ორბელიანი, როცა მე ქუთაისის გუბერნიაში ვიყავი გაგზავნილი.

დაბოლოს პრინცი მოვიდა, რომელსაც დიდებულად შეხვდენ. მე მოვახსენე, რომ „თქვენო უმაღლესობავ, სამწუხაროთ, არ შემიძლია მოვახსენებთ სრულის სიწყნარის შესახებ ჩემდამი რწმუნებულს რაიონში, მაგრამ მაინც ოლქი ღებულობს უკეთეს მიმდინარეობას“.

— ამის ჩვენ დავინახავთო — მომიგო პრინცმა აშკარა უნდობლობის კილოთი. შემდეგ მე დანიშნულ დროზე დაწვრილებით მოვახსენე მის უმაღლესობას საქმეთა ვითარების შესახებ სამს მაზრაში, ამასთან დავასახელე მიზეზებიც, რომელთა შორის ენკელის მოშორება ან სხვაგან გადაყვანა მიმაჩნდა აუცილებლათ. მე მოვახსენე აგრეთვე, რომ ათ პუნქტზე დანაწილებული ჯარი პატარ-პატარა რაზმებათ საშიშრო მდგომარეობაში იმყოფებოდენ, თუ მიღებული იქნებოდა მხედველობაში სომეხთა მისწრაფებანი. ამისთვის მომყავდა 1843 წელს დაღესტანში მომხდარი მაგალითი, როცა საკმაოდ ძლიერი რუსის რაზმი სრულიად გაანადგურეს მთიულებმა უეცარი თავდასხმით მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარი გაფანტული იყო 18 პუნქტად. ჯარის ამნაირი დაქსაქსვა გარდა იმისა, რომ ჯარის კაცებზე



ასუსტებს აფიცერთა თვალყურის დევნებას, არღვევს დისციპლინას, ჯარის ნაწილების მეურნეობას, ამას გარდა სომხურ სოფლებში ჯარების გაჩერებით, ჯარს საქმე აქვს რევოლუციონურად განწყობილ მცხოვრებლებთან, რომელმაც არ შეიძლება გამხრწნელი გავლენა არ იქონიოს ჯარისკაცებზე. ამიტომ მე ვსთხოვე ნებართვა ნახჩევანის მაზრის ოთხ ნაწილში დამებანაკებია მთელი ჯარი ოთხ ნაწილად პატარ-პატარა რაზმებათ თავიანთი უფროსებით, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ რა თავიანთ რაიონებს, ყოველთვის გამოცხადდებოდნენ იმ პუნქტებში, სადაც საჭიროება იქნებოდა.

ჩემს შემდეგ დიდი ხნით საუბარი ჰქონდა პრინციტან არქიმანდრიტ მესროპს, რომელიც მეტად განვითარებული ადამიანია, შემპარავი და დიდი მატყუარა. მათ შორის საუბრის შედეგი ჩქარა გამოაშკარავდა.

მეორე დღეს, როგორც კი ჩავსხედით ეტლში ახლო მდებარე სომეხთა სოფლებში ჩამოსასვლელათ პრინციმა აშკარა უკმაყოფილებით მომპაროთა მე თავისი ადიუტანტის — სომეხის თანადასწრებით შემდეგი სიტყვებით:

— მითხარით, თქვენ მართლა გაუჯავრდით მაზრის უფროსს ენკელს იმის გამო, რომ ის თათრებს როზგავდა?

— მე ავუტყობალე მას დასჯის ასეთი წესი — მიუგე, როგორც დროს შეეფერებელი. უმაღლესი ნების საწინააღმდეგო. და ამასთან იმ მცხოვრებთა საშინელი აღმამშფოთებელი, რომელიც ჩვენ უნდა დავაწყნაროთ.

— მეც თავი მომაქვს ცივილიზაციის მქონე კაცად, მომიგო პრინციმა. მაგრამ მე ამას სხვანაირად ვუცქერი. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ველურ ხალხთან, რომელთაც გაეგება მხოლოდ ველური მოპყრობა.

— მე კი ვფიქრობდი, პირიქით — მივუგე მე — რომ სწორედ ველურ ხალხს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი მართვა-გამგეობის თანამედროვე წესები. გაროზგვისაგან მივიღებთ მხოლოდ უარყოფით შედეგებს. ყოველ შემთხვევაში, მე მოვიქეცი ჩემი რწმენის თანახმად. უკეთუ თქვენ სხვა შეხედულებისა ხართ. შეგიძლიათ მიმართოთ როზგს რამდენიც გენებოსთ.

პრინცი ორი დღე დარჩა ნახჩევანში და ისე წავიდა, რომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩემს მოხსენებას. მაზრის უფროსი თავის ალაგას დარჩა. თათრების გაროზგვაც ნება დართული იქნა. ჯარები არა თუ ისე დარჩა დაფანტული როგორც იყო. არამედ სომეხების თხოვნის თანახმად მე მივიღე ბრძანება დამეგზავნა მათ სოფლებში ახალი რაზმები. დაბოლოს რაზმები დანაწილებული დარჩა 70 ალაგას რკინის გზის ხაზის დამცველი რაზმებითურთ. ამიტომ იმ

ნაწილებს გარდა, რომლებიც ყარაულში იყვნენ ნახიჩევანში, დარჩა 1/2 ასეული კახაკებისა, რომლებიც დღითა და ღამით სხვადასხვა ალაგას დაბინავებულ ჯარისათვის დასარიგებელ სურსათის ტრანსპორტს აცილებდენ. წასვლისას პრინცმა უბრძანა მაზრის უფროსს, რომ ყოველთვის მას მიემართა თავის გუბერნატორისათვის.

ნახიჩევანში თავისი ორი დღის ყოფნით პრინცმა იმის გარდა, რომ მე ჩამაყენა არა ნორმალურ მდგომარეობაში, მეტად გაახარა და აღფრთოვანა სომხები და გააბოროტა თათრები. თათრების დეპუტაცია ჩივოდა, რომ პრინცი შევიდა სომხების ეკლესიაში, მოუსმინა სომეხთა არქიმანდრიტს, ინახულა მათი დანგრეული სოფელი ჯაგრი და ამავე დროს მუსულმანთა მეჩეთის ახლოს გაიარა და არც კი შეიხედა შიგო, სადაც მუსულმანთა სამღვდელთა ელოდებოდა, არ მოუსმინა მუსულმანთა სასულიერო მეთაურს კაზის და არც კი დაინტერესებულა ენახა დანგრეული სოფ. იტკრანი, სადაც ასე მხეცურად ამოხოცეს მათი ძმები, ცოლები და შვილები. „ჩვენ გავვეგონაო, ამბობდენ მუსულმანები, რომ მეფის ახალი მოადგილე ერთნაირი ყურადღებით ეპყრობა ყველა სარწმუნოებებსო“.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა მტრობა სომეხთა და თათრებს შორის და მოედო ახალს რაიონს — ორდუბათის რაიონს, — სადაც წინად სიწყნარე იყო. პრინცის უტაქტიკო მოქცევა ჩემდამი გაგრძელდა მისი წასვლის შემდეგაც. მაგრამ ამის შესახებ მე არ ვილაპარაკებ. ეს აიხსნება პრინციპის სრული გამოუცდელობით. და რუსული მართველობის წესებთან გაუცნობლობით. არაფერს ვიტყვი აგრეთვე სომხური პრესის ტენდენციური ბრალდების შესახებ, რომელიც ჩემს წინააღმდეგ იქნა წამოყენებული. მაგრამ არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა ჩემი ნათესავი ნახიჩევანის ხანების შესახებ, რომლებთანაც გაჩერება საცხოვრებლათ მე დიდ დანაშაულებათ ჩამითვალეს.

ამ ხანების პაპამ, რომელიც იყო ნახიჩევანის რაიონის მთავრის მემკვიდრე თავისი ნებით სპარსელებთან მტრული განწყობილების გამო თავისი სამფლობელო გადასცა პასკევიჩს, რისთვისაც მას ებოძა გენერალ-გუბერნატორობა. მისი შვილი იზრდებოდა პაქესკი კორპუსში, მსახურებდა გვარდიაში. ოსმალეთთან ომის დროს უფროსობდა ბრიგადას და დივიზიას, მიიღო დიდძალი სამხედრო ჯილდო წმ. გიორგის ხარისხითურთ ბრილიანტის ხმლით. ამ ჟამად ცოცხალია მისი 3 ვაჟი — ერთი ყოფილი პაჟი და გვარდიელი, ამ ჟამად უფროსობს დალესტნის ცხენოსანთა პოლკს შორეულ აღმოსავლეთში. ორი დანარჩენიც განათლებული არიან, ერთგულ მონაწილეობას ღებულობენ სამხედრო კამპანიებში და მსახურებდენ მამის სიკვდილამდე. თათრული მათში არაფერი არ არის და არავითარი ქიმერით ისინი

დაავადმყოფებულნი არ არიან. კითხვა იბადება — რატომ არ უნდა ჩამომხტარიყავ მე ამ ნათესავებთან? მე მათთან მივიდოდი სინდისის შეუბღალავად იმ შემთხვევაშიაც კი, ისინი რომ პოლიტიკური დამნაშავენი ყოფილიყვნენ, რადგანაც ეს არავეითარ გავლენას არ მოახდენდა ჩემს პირად მტკიცე რწმენაზე. ახლა, არეულობის დროს, ნახიჩევანის ხანები დაზარალდენ უფრო მეტად, ვიდრე ყველა ადგილობრივი სომხობა. მე ვიცნობ იმ ხალხს, ვიცნობ რა აზრისაც ისინი არიან და თამამად შემიძლია ვთქვა: ღმერთამა ჰქნას ჩვენს მეფეს ბევრი ჰყოლოდეს ისეთი ერთგული ქვეშევრდომები, როგორიც არიან ნახიჩევანის ხანები.

გენერალ-მაიორი ალიხანოვი“.
